

სოლომონ ლავაური

**ცისფერი ეკრანი
და
მუსიკალური
ხელთვნება**

თბილისი 2008

წიგნის მიძღვნა ძველი ტრადიციას. არც მე
მინდა ვულგატო ამ წმინდა გრძნობას. მეც
მეყანდნენ და მეყანან ჩემი რჩეულები, სან-
გრძლივი წლების გზაზე გვერდში მდგომნი,
მათზე ფიქრის დროს კალმისწვერზე თუ
თვალის სსივებზე ჩამომიმწკრივდნენ საქ.
ტელევიზიისა და რადიომანუწეებლობის
მაშინდელი თვალსაზრისით სელმძღვანელები,
კოლეგები, მძღოლები, მსატყრები, საა-
ნარატოსა თუ ვიდუო საამქროების ტექნიკის
ინჟინრები, სმის რეჟისორები, რედაქტორე-
ბი, რეჟისორის ასისტენტ თანამუშევეები,
ორკესტრის დირიჟორები, კინო თუ ტელე
ოპერატორები, დიქტორები. მრავალი მათ-
განი დიდი სანია გადასასლდა მიწისქვეშა
დიდ საქართველოში. ამ წიგნში ბევრ მათ-
განზე სიტუვა არ მითქვამს. ვერც კალმის
წვერიდან, ვერც თვალთა სსივიდან თუ გონე-
ბის სკივრიდან ისინი ველარ მოვიცილე,
ვიდრე არ დავწერე სიტუვები: „წიგნს
ვუძღვნი ჩვენი დიდი ოჯახის რადიო-ტელე
თანამშრომლების სსოვნა სიეყარულს“.

რედაქტორისგან

ფასეულობათა გადაფასების ეპოქაში ტელევიზიის არსობრივი დანიშნულება არაერთმნიშვნელოვანი დისკუსიების საგანი გახდა. ცხოვრების აჩქარებული რიტმით დაღლილი, პოტენციურ მგზავრად ქცეული თანამედროვე ადამიანი საკუთარ სახლში არა მხოლოდ მეტაფორულად, რეალურადაც დაბრუნდა და ტელევიზიის ყოვლისმომცველი გავლენისგან გამიჯვნის აუცილებლობას ვერ ხედავს. რაღაც ახალი და ილუზიური სიმყუდროვე შემოვიდა ოჯახურ გარემოში... თუნდაც, ეკრანისკენ მიბრუნებული სახეები, თავისუფალი დროის არარსებობა და ასე თუ ისე დაძლეული მარტოობა...

☞ გასული საუკუნის 40-იან წლებში საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ერთ-ერთი უცხოური ინსტიტუტი ამგვარი კითხვებით მიმართავდა მოსახლეობას: „იცით, რა არის ტელევიზია?“ ან „გინახავთ ჩართული ტელევიზორი?“...

გავიდა წლები და სოციოლოგები, ფსიქოლოგები და რელიგიური მოღვაწენი თითქმის ერთსულოვნად აღიარებენ, რომ ტელევიზია ადამიანის სულსა და ფსიქიკაზე უდიდეს ზემოქმედებას ახდენს არა მარტო ცნობიერად, არამედ ქვეცნობიერადაც, ასოციაციებისა და ანალოგიების მეშვეობით.

ამ კონტექსტში ალბათ უარყოფის ნაცვლად „როგორის“ „რაზე“ პრიმატია გასათვალისწინებელი, ანუ როგორი სატელევიზიო ეთერი შეიძლება ჩაითვალოს უნივერსალურად და მეტ-ნაკლებად ყველასთვის მისაღებად.

დღევანდელი ქართული, ტრადიციებს და ნოვაციებს აცდენილი, უსახური სატელევიზიო სივრცის ფონზე ვფიქრობთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გავიხსენოთ საქართველოს ტელემაუწყებლობის პირველი ნაბიჯები და პროფესიური სკოლა, რომელიც „არაპროფესიონალთა“ უხეში ჩარევების შედეგად ეტაპობრივად დაინგრა. თუ რატომ გადაიდგა შემდგომი ნაბიჯები უკან და არა წინ ეს ალბათ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის კვლევის საგანია.

ცნობილი ტელეჟურნალისტის სოლომონ ლაფაურის მოგონებათა წიგნი უსამართლოდ დავინყებულ პერსონალიების, მათი ღვანლის გახსენებაა, რომელთა სახელები და სახეები ქართული სატელევიზიო ხელოვნების სათავეებს და მკაცრებელთა თაობების სიყვარულს და ემოციებს უკავშირდება.

ბატონი სოლომონ ლაფაური, თავისი პიროვნული ხიბლით და ცხოვრების წესით, იმ ქართველ ტელეჟურნალისტთა კოპორტას წარმოადგენს, რომლებმაც საკუთარი ნიჭიერებით და პასუხისმგებლობის გრძნობით გაარღვიეს საბჭოთა ოფიციალური დახშული სივრცე, რათა ეროვნული საგანძური ინტერნაციონალიზმის ზღვაში არ ჩაკარგულიყო. ამგვარი ღირებულებებისთვის იღწვოდნენ იმ წლებში, როცა ტელევიზიის ეკრანიდან აკრძალული გახლდათ წარმოთქმა სიტყვების: „ერი“, „სამშობლო“, „ეკლესია“, „სანთელი“ ... ქვეტექსტებზე ორიენტირებული ნამდვილი ქართული მწერლობაც და ტელეჟურნალისტიკაც, გამოსახვის ყველა შესაძლო ფორმით, რთული გზებით აღწევდა აუდიტორიის ცნობიერებამდე და იგი, შეიძლება ითქვას, უფრო სიღრმისეულ, ფარულ ეროვნულ მუხტს ატარებდა, ვიდრე პოსტსაბჭოთა სინამდვილეში გულგრილად, ყალბი პათოსით წამოსროლილი ჩვენთვის საკრალური სიტყვები: „პატრიოტი“, „სამშობლო“, „მამული, ენა, სარწმუნოება“... ან ურწმუნოთა სანახაობებში ჩართული საეკლესიო ზარები თუ საგალობლები... სიტყვების გაუფასურებას ცნებების და შემდგომ ღირებულებათა გაუფასურება მოსდევს და არაპროფესიული, სულიერებისგან დაცლილი ტელეგადაცემები ანტიშემცვენებით, ანტიამლზრდელობით შედეგებს იწვევს ისე, როგორც თანამედროვე ტელეინდუსტრიაში ჩართული საეკლესიო თემების ფსევდოსულიერება. ერთ-ერთი ცნობილი საეკლესიო მოღვაწე სწორედ ამგვარი ტელეპროდუქციის შესახებ წერდა: „რასაც ვერ შესძლებს ანტირელიგიური პროპაგანდა, შეძლებენ რელიგიურ თემაზე გადაღებული ვიდეოფილმები“...

საფიქრებელია, რომ ქართული სატელევიზიო პროდუქცია, ისე, როგორც ბეჭდური მედია, ინტერნეტის კონკურენციის პირობებში აუდიტორიას დაკარგავს, თუკი ახალი სუნთქვა,

ახალი ათვლის წერტილი არ მოინიშნა უპირველესად, მისივე საუკეთესო ტრადიციების გათვალისწინებით...

ბატონი სოლომონ ლაფაურის მუშაობა ტელევიზიის მუსიკალურ, ხოლო შემდგომ ხალხური შემოქმედების რედაქციაში, თავისი ნამდვილი არსით, არა მხოლოდ სამსახურობრივი მოვალეობის შესრულება, არამედ მოღვაწეობა გახლდათ. მის სახელთანაა დაკავშირებული ყურნალისტური ნოვაციები, უდიდესი ამაგი ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში. ცალკეული მომღერლების, მუსიკოსებისა თუ კომპოზიტორების პრეზენტაცია და აღიარება... ეთნოგრაფიული გუნდების შექმნა, ქართული ხალხური სიმღერების აღმოჩენა, გახმოვანება და მისი პოპულარიზაცია...

მოვლენებს ზოგჯერ აუხსნელი ლოგიკაც ახლავს და ყველასთვის მოულოდნელად იგი, ყოველდღიურ შემოქმედებით შრომაში ჩაფლული რედაქტორი, მომავლის დიდ გეგმებზე ორიენტირებული პიროვნება, რომელსაც თითქოს არ გააჩნდა არც ერთი წუთი თავისუფალი, ტოვებს ათეული წლებით შეჩვეულ სამსახურს - სახელმწიფო ტელევიზიას... სცენარებით, ფოტო და ვიდეო მასალებით სავსე სამუშაო მაგიდას... საერთოდ, თბილისსაც ტოვებს და სამუდამოდ მშობლიურ სოფელ კისისხევში გადადის საცხოვრებლად... უვლის ვენახს, მოჰყავს სიმინდი, რგავს, თესავს... უშუქოდ და უპატრონოდ დარჩენილი კახეთის სოფლების ერთი ჩვეულებრივი, რიგითი მკვიდრი ხდება...

მის ყოველდღიურ ცხოვრებას აღარ ახლავს ტაში და ოვაციები, ტელემაყურებელთა მადლობის წერილები, სატელეფონო ზარები, მუდმივი თათბირები, ხელოვანთა შეხვედრები... საიუბილეო თარიღმაც უხმაუროდ ჩაიარა...

ხანდახან კი, როცა ცარგვალზე მზე ჩასასვლელად გადაიხრებოდა, იგი ბრუნდებოდა მამისეულ სახლში და უმეტესად სანთლის შუქზე - მოგონებებს წერდა...

ჩვენ გადავათვალიერეთ ბატონ სოლომონ ლაფაურის არქივი და ცოტა არ იყოს, გაოცებული დავრჩით, რადგან იგი არავის მიმართ არ გამოთქვამს მცირე საყვედურსაც კი... მისთვის მტკივნეულ თემას - ტელევიზიის დატოვების ეპიზოდს არსად არ აღწერს...

საერთოდ, ცდილობს განვლილი ცხოვრებიდან მხოლოდ და მხოლოდ კარგი და ღირებული მოიგონოს...

მახსოვს, ბატონმა სოლომონმა უკანასკნელი შეხვედრისას მითხრა: „ჩემი ცხოვრების გზაზე მხვდებოდნენ ადამიანები, უანგაროდ რომ მიწვდიდნენ დახმარების ხელს... ჩემს გარშემო იყვნენ პიროვნებები, რომლებიც თავიანთი ღირსებით, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით, ღვანლით სხვებსაც აძლევდნენ შთაგონებას... დიდი იყო ამგვარი მაგალითების ძალა!..

არ მინდა ისე წავიდე ამქვეყნიდან, მათდამი მადლიერება არ გამოვხატო...”

ბატონ სოლომონ ლაფაურის მოგონებათა წიგნი მადლიერების გამოხატულებაცაა და იმის განმარტებაც, თუ რას ნიშნავს დარგობრივი პატრიოტიზმი.

ქართული ტელევიზიის ჩამოყალიბების და განვითარების ისტორია არ შეიძლება მხოლოდ წარსულის საარქივო მასალად განვიხილოთ. ის უპირველესად ტრადიციაა, რისი გათვალისწინების გარეშეც შეუძლებელია ამ სფეროში რაიმე ღირებულის შექმნა რაც ვფიქრობთ უკვე არაერთმნიშვნელოვნად გვიჩვენა დრომ.

წ ი ნ ა თ ქ მ ა

სამათეულ წელზე მეტი დავყავი „ჯადოსნური ეკრანის“ სამყაროში. იყო ძიება, პოვნა, სიხარული, ტკივილი, წყენა. ამათგან უფრო მეტი სიხარული განმიცდია. ყურნალისტს ყოველთვის ჰგვრის სიხარულს, როდესაც პრესის ფერცლებზე იხილავს დასტამბულ საკუთარ ნააზრევს. მან იცის, რომ მისი განცდილ-ნაფიქრალი, ალბათ მძივებად აკინძული, მომავალი თაობისათვის შეინახება. ახალბედა ყურნალისტები თუ სხვა მკვლევარნი წინა თაობის ნაფიქრალ-ნააზრევით გაეცნობიან წინამორბედთა ცხოვრების ავ-კარგს, ეპოქის სუნთქვას.

ჩვენ, ტელევიზიის შემოქმედ ადამიანებსაც, მრავალჯერ გვწვევია სიხარული, როდესაც შენი შემოქმედებითი ნიჭის ნაყოფით ესაუბრები ასიათასობით უხილავ მაყურებელს, როდესაც შენი ნაღვანით დაუკითხავად შედიხარ ოჯახებში და არღვევ მათ საოჯახო ინტიმურ სამყაროს. ეს დიდი პასუხისმგებლობა იყო ჩემთვის და ამდენად ყოველთვის ვცდილობდი პატივი მიმეგო უხილავი მსმენელისათვის, პატივი მეცა საკუთარი თავისთვის, რათა არ გამჩენოდა უპასუხისმგებლობის სინდრომი. ტკივილიც ვახსენე. დიახ, უდიდეს ტკივილსაც განვიცდიდი, თუ ჩემს ნაფიქრალი, თუნდაც, პატარა კონცერტით, ჩანახატი, ვერ შევებოდი ტელემაყურებელთა გულის სიმძებს. ტკივილს განვიცდიდი მაშინაც, როდესაც რედაქციის მიერ ორგანიზებულ გადაცემას, სანახაობით პროგრამას დიდი გამოხმაურება ხვდომია, მაგრამ მისი დამთავრებისთანავე ნაიშლებოდა. ეს განსაკუთრებით ეხება ტელევიზიის პირველ პერიოდს, როდესაც გადაცემის შენახვის არავითარი საშუალება არა გექონდა. თუმცა, ეს გულისტკივილი არც შემდგომ განელეზულა. დრომ განვლო. უდიდესი ნახტომებით წავიდა წინ სატელევიზიო ტექნიკა, გაჩნდა მოძრავი სატელევიზიო სადგურები, გადაცემების ადგილზე მომზადების, ჩანერის მრავალი საშუალება. დღესაც არაერთხელ ვნახულობ მაშინდელი ჩემი ნაღვანის ვიდეო ჩანანერების ცალკეულ ნაწყვეტებს, მაგრამ ეს ზღვაში წვეთის ჩაგდებას მაგონებს. უამრავი მაღალპროფესიულ დონეზე დადგმულ-ჩანერილი პროგრამებია ნაშლილი, რითაც არათუ ჩვენი შრომა, უფრო მეტად იმ პერიოდის მუსიკოს-შემსრულებლების, სახელგანთქმული ქორეოგრაფიული ანსამბლების, გუნდების, მომღერლების, საოპერო, საბალეტო სპექტაკლების უამრავ დიდოსტატთა ხელოვნება ნაიშალა. მომავალმა თაობებმა დაკარგეს მათი ნახვის, მოსმენის, აღქმის, შეფასების საშუალება. დღეს მაინც სხვაა. დღევანდელი ტელევიზიის შემოქმედებით კოლექტივს, მეტ-ნაკლებად და მაინც შეუძლია მომავალ თაობებს შემოუნახონ თანამედროვეობა. ალბათ ეს ასეცაა. მინ-

და მოვეფერო თითოეულ მათგანს და ვთხოვო არ ელაღატოთ ერის სამსახურისთვის.

ეს პატარა ნიგნი ცისფერ ბილიკებზე ჩემი ნაკვალევის ნანილობ-რივი გახსენებაა, რადგან ამომწურავ, ქრონოლოგიურ გაშუქებას უფრო ღრმა ანალიზი, კოლეგებთან გასაუბრება თუ არქივებში ძიება სჭირდება. აქ ვერ შევვხე ფერადი სტუდიისა და სხვა რედაქციების მიერ გადაცემულ უამრავ კონცერტს. დღევანდელი მძიმე მდგომარეობის გამო არ გამაჩნია საშუალება, უფრო დეტალურად ავსახო ცისფერ ეკრანზე გადაცემული მუსიკალური პროგრამების ავ-კარგი. აქ გამოყენებულია, ისიც ნანილობრივ, მხოლოდ ჩემს პირად არქივში შემონახული მშრომელთა წერილები, პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიები, ინფორმაციები და მეხსიერების სკივრში დაუნჯებული შთაბეჭდილებები. მაინც ბევრი მრჩება უთქმელი. სათანადოდ ვერ ვეხმიანები ბევრი ჩემი კოლეგის, მათ შორის, რადიოში მოღვაწე შესანიშნავი ადამიანების ლალი ვარდანაშვილისა და სხვათა ღვაწლსა და ამაგს. ყოველ მათგანზე ცალკე ნარკვევებიც დაინერება. ეს მომავლის საქმეა. დრო კი უხილავი რაშივით მიჰქრის და ჩემი თაობის რუღუნებით განუღმ შრომას, უკვე წარსულად ქცეულს, დავინწყების მტვერი ეყრება. ცოდვას საქართველოს ტელევიზიის საწყისი წლების ისტორია დავინწყების ბურუსში გაეხვიოს.

აი, ამ ფიქრებითა და კეთილი სურვილებით აღვსილმა ჩავაქსოვე ჩემი მცირედი ღვაწლი ამ პატარა კრებულში. აქვე ერთგან ვამბობ: „აღბათ ბევრ ჩემს კოლეგასაც აქვს სათქმელი. დაე, ყველამ თავისი თქვას-მეთქი“.

„ღმერთმა ინებოს!

I ნანილი

საქართველოს ტელევიზია და მუსიკალური გადაცემები

პირველი ნაბიჯები

ტელევიზიაზე, მის არსზე საუბარი დღეს არავის გაუკვირდება. ქვეყნდება შრომები, ინერება გამოკვლევები, რეცენზიები. სატელევიზიო გადაცემებზე იცავენ დისერტაციებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ნერენ სადიპლომო ნამუშევრებს. მიუხედავად ამდენი კალმის ტრიალისა, ბევრი რამ რჩება უთქმელი, დაუნერელი. საინტერესო მოსაგონარი კი ძალზე ბევრია. ცოდვას უკვალოდ გაქრეს ათეული წლებით გონების სკივრში შემორჩენილი ამბები. მით უფრო აუცილებელია ითქვას პირველ ნაბიჯებზე, იმ საინტერესო გადაცემებზე, ძიებებზე, რომლებმაც საქართველოს ტელევიზია დაბადების დღიდანვე ერთბაშად, საკავშირო ტელევიზიებს შორის, ერთ-ერთ მონინავეთა რიგებში ჩააყენა. ეს კიდევ უფრო აუცილებელია ახლა, როდესაც საქართველოს ტელევიზიის სხვადასხვა არხის პროგრამების მომზადებას რამდენიმე ასეული ადამიანი ემსახურება და შეხვდები ისეთ კურიოზებსაც, როდესაც ზოგიერთ ახლადმოვლენილ თანამშრომელს მიაჩნია, რომ მხოლოდ მისით და მის მიერ მომზადებული გადაცემით იწყება ქართული ტელევიზიის ისტორია.

პრეტენზია როდი გვაქვს ჩვენმა სტრიქონებმა მოიცვას უკვე განვლილი შემოქმედებითი გზის ყოველი დეტალი, ფაქტი თუ ამბავი. არა, ამის პრეტენზია არა გვაქვს და არც მიზნად დავვისახავს. ჩვენ შემოვიფარგლებით ტელეეკრანიდან მუსიკალური ხელოვნების პროპაგანდით და ისიც ზოგიერთი მომენტით. ეს ერთი ყანრიც იმდენის მომცველია, მის სრულყოფილად აღნუსხვას დიდი დრო და ენერგია სჭირდება.

ტელევიზიის მომავალი ისტორიკოსი თუ თეორეტიკოსი ბევრ საჭირო მასალას მოიძიებს ამ მეტად საინტერესო და ამასთან რთული კოლექტივის შემოქმედებითი ცხოვრებიდან. ერთი კი ღრმად მნამს და მჯერა, რომ ვერცერთი კალმოსანი გვერდს ვერ აუვლის საქართველოს ტელევი-

ზიის დაბადების პირველ პერიოდს, 1956-60-იანი წლების პატარა კოლექტივის დიდ ლეანლსა და ამაგს.

„საქართველოს ტელევიზიამ პირველი გადაცემა 1956 წლის 30 დეკემბერს მოაწყო. ისიც სიმბოლური უნდა იყოს, რომ ე.წ. „მუსიკალურ ქუდად“ აუღერდა არჩილ კერესელიძის სიმღერა „ყელსაბამო ლალიანო“ კინოფილმიდან „ბედნიერი შეხვედრა“. ტელევიზიის დაბადება ქვეყანას მიულოცეს აკადემიკოსმა ვიქტ.კუპრაძემ, პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა. არჩილ კერესელიძის „სიმღერა თბილისზე“ ნ.გურუშიძის ლექსზე პირველად შეასრულეს ეთერ გვაზავამ და ციცინო ციციქიშვილმა და სხვ.“ (ივლიტა მესხიშვილი, "საქ.ტელევიზია 1956-88 წლებში").

ასე დამკვიდრდა ჩვენს ოჯახებში „ჯადოსნური სარკე“, რომელშიც ჩვენი ხალხი ხედავდა და ისმენდა პოლიტიკურ ინფორმაციას, ლიტერატურას, ხელოვნებას, სპორტს და რომელ ერთს?! იმ პირველსავე გადაცემებში ტელემყურებელთა მრავალრიცხოვან აუდიტორიასთან და ტელემუშაკთა შორის გაიბა ის უხილავი ჯადოსნური ძაფი, რომლითაც ურთიერთ პატივისცემა, დაფასება, სიყვარული ინასკეებოდა. ტელემყურებელთა თანადგომა იმთავითვე ისეთი თბილი და უშუალო იყო, რომ გვაიძულებდა ყოველდღიურად ცისფერი ეკრანიტ რესპუბლიკის მშრომელთა ოჯახებში ჩვენი სტუმრობა, მათი საოჯახო ინტიმის დარღვევა სასურველი ყოფილიყო. ხალხისადმი დამოკიდებულების სწორედ ეს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა თითოეულ ჩვენგანს სასურველ ტვირთად ეკიდა. იმ პერიოდის არცერთ მუშაკს ეს საპატიო ტვირთი მხრებიდან დღემდე არ ჩამოუღია. მაშინდელი, სულ რამდენიმე ათეული ტელე მუშაკი სირთულეებს კი არ გაურბოდა, ეძებდა, რათა თავისი ალალი წვლილი შეეტანა ქართული ტელევიზიის მშენებლობაში.

საოცარი ენთუზიაზმი, ენერგია, კოლექტიური შრომა, რწმენა ედო საფუძვლად ჩვენს მუშაობას. იყო შემთხვევები, როდესაც რალაცა მიზეზის გამო დიდი დროით ჩერდებოდა ფუნქციონირის პლატოზე ამავალი ტრამვაი, (მაშინ ჯერ არ იყო საბაგრო გზა). ზამთრობით კი დიდთოვლობისა თუ გზის მოყინვის გამო, ვერც სამანქანო გზით ვსარგებლობდით. თოვლში და წვიმაში შევუდგებოდით მთანმინდის ვინრო ბილიკებს, ზურგით აგვექონდა მთელი დღის პროგრამა, ფილმები თუ გადაცემები.

ფუნქციონირი... ზედა პლატო... მაშინ იქ იყო ერთადერთი ორმოციოდე კვ.მეტრი სტუდია და ტელეცენტრი. იქიდან ეწყობოდა ტელეგადაცემები. სულ მალე ორიგინალური გადაცემები და პირველი სატელევიზიო დადგმებიც დაიწყო. | (პირველი სატელევიზიო დადგმა „ბებრები“ განახორციელა რეჟისორ მა მერაბ ჯა-

ლიაშვილმა. მასვე ეკუთვნის პირველი სატელევიზიო ფილმი „დედის ხელი“). იგი განხორციელდა შემოქმედებითი და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მეგობრული თანადგომით. იქვე მოისმენდით: „ეს მე არ მესება“, „ჩემი საქმე არ არის“. ვერ ნახავდით ვინმეს თავისი დაუდევრობა, შეცდომა სხვისთვის გადაებრალებინა. ყველა ეძებდა და აკეთებდა მაქსიმუმს. ბარემ აქვე ვახსენებ იმ პირველ ინჟინრებს, რომელთაც ნილად ხვდათ პატივი ყოფილიყვნენ ქართული ტელევიზიის პიონერები. ესენი იყვნენ მთ. ინჟინერი ვახტანგ სალიბეგაშვილი, კომპლექსის უფროსი, ინჟინერი გიორგი კორძახია, მოძრავი სადგურის უფროსი ინჟინერი ტაისა კლიმკინა (თხორი), ცვლის უფროსი მარიამ არსენიშვილი, ინჟინრები: ემანუელ კიბლერი, ვალერიან უჯმაჯურიძე, მირიან მოსულიშვილი. ცოტა მოგვიანებით შემომატებული ელექტროტექნიკოსები: ნიკო ბახტაძე, ვაჟა შონია, გიორგი მანჯგალაძე, ივანე ემჩენკო, დ. და გ. ბარათაშვილები, ეთერ ბაქრაძე, მზია სვანიძე. ტელეოპერატორები: თ.ლომიძე, რ.კეზელი; ჯ.ნანიტაშვილი, ლ.არცივაძე, ჯ.გრიგორაშვილი, ზ.დობორჯგინიძე, რ.გაბაშვილი, ვ.ოძელაშვილი, ჟ.დონდუა. სასარგებლო, ნაყოფიერ მუშაობას ენეოდნენ მხატვრები თ.სამსონაძე, ი.ხუროშვილი, ცოტა მოგვიანებით, ნ.ხინველი. დღეს თუ ჭირს ერთი სასურველი დიქტორის პოვნა, მაშინდელმა იღბლიანობამ ერთბაშად ოთხი დიქტორი წარმოაჩინა; ჯუღიძეც ვაშაყმაძე, ყანეტა არჩვაძე, ლია მიქაძე, ალექსანდრე მაჭავარიანი. სწორედ მათი თანადგომით გახდა შესაძლებელი ხორცი შეგვესხა სერიოზული, რთული კომპონენტებით შემდგარი გადაცემებისა თუ დადგმებისათვის. იქამდე მივიდა ჩვენი სითამამე, რომ 1959 წლის შემოდგომაზე, ცოცხალი შესრულებით, მცირე შემადგენლობის ვოკალური ანსამბლების პირველი სატელევიზიო დათვალიერებაც ჩავატარეთ. წარმოიდგინეთ სტუდია, სადაც დასაშვები იყო ერთი ან ორი კაცის საუბარი, რომლის ერთადერთი შესასვლელი კარები ყრუდ იკეტებოდა, რათა გარეშე ხმა ეთერში არ გაპარულიყო, გაეაღეთ კარები, დერეფანში, ერთ რიგში დავანყვეთ კოლექტივები და ერთმანეთის მიყოლებით, დიქტორის მიერ მორიგი ნომრის გამოცხადებამდე, სწრაფად, უხმაუროდ ვანყობდით ანსამბლებს მიკროფონთან. ისე ჩავატარეთ კონცერტი, ერთი ზედმეტი ჩქამი არ გასულა ეთერში. რვა ანსამბლის ცოცხლად გამოსვლა მიკროფონთან იყო ხალხმრავალი ქართული ხალხური სიმღერების კონცერტის პირველი გადაცემა. კონცერტის დამთავრების შემდეგ ერთმანეთს ვეხვეოდით, ვულოცავდით, ვზვიამობდით შემოქმედებითი ჯგუფი და ინჟინერ-ტექნიკოსები. როცა მაშინდელ ენთუზიაზმზეა ლაპარაკი, როგორ შეიძლება არ ახსენო „ვილისისა“ და პატარა ავტობუსის მძღოლები ს.ეგინოვი, კ.ქობულაშვილი და შ.თათარაშვილი. ამ ადამიანთა დაუზარელი თანადგომით ყველაფერი ესწრე-

ბოდა. ფუნქციონირზე – გადაცემების ატანაც, კინო გაქირავების კანტორიდან ფილმების მოტანაც, კინოგადაღებებიც და მრავალი სხვა საქმეც ვაკეთებულა, მაგრამ არც იმის თქმა მინდა, თითქოს ისინი მამა-აბრამის ბატონები იყვნენ. განსაკუთრებით ორი მომენტი დამამახსოვრდა. ერთ კვირა დღეს, შალვა თათარაშვილს თავისი „რაშით“ (ავტობუსს ეძახდა) მცხეთისკენ გაუქუსლავს „სამშოვარზე“. გაძედილი ავტობუსი ბატონ ანტონ კელენჯერიძეს შეუნიშნავს, რომელიც თურმე თავის აგარაკზე იმყოფებოდა. ავტობუსის „დაჭერა“ დაუპირებია. ეს მომენტი არც მძლოლს გამორჩენია და სასწრაფოდ მიმალულა. ორშაბათს, საერთო თათბირზეა. კელენჯერიძემ აღნიშნა მძლოლის უდისციპლინო საქციელი და სამსახურიდან განთავისუფლება დაუპირა. შალვა თათარაშვილმაც იცოდა, არ შერჩებოდა, პირადი გამორჩენის მიზნით, ავტობუსით ქართლის გზებზე აღმა-დაღმა სიარული და მიმართა ეშმაკობას... „ვინიადან ფაქტზე ვერ დამიჭირა, გავიქეცი, მოყავისფრო ავტობუსი ცისფრად გადავლებო“. გაგვანდო თანამშრომლებს. კომიტეტის თავმჯდომარე კი დაარწმუნა, რომ მას თბილისიდან ფეხი არ გაუდგამს. ბატონ ანტონმაც ნახა რა ცისფერი მანქანა – „შემეშალა, მე ყავისფერი მახსოვდა ჩვენი ავტობუსიო“. ასე გადარჩა შ.თათარაშვილი სამსახურიდან განთავისუფლებას.

მეორე შემთხვევა კი სერგო ეგინოვის განცდილი შიშს შეეხება. ვთქვით, რომ იმ პერიოდში ერთი პატარა სტუდიის მეტი არაფერი გაგვაჩნდა. მოძრავი სადღურიც გვიან მივიღეთ. საახალწლო გადაცემა მზადდებოდა. რედაქციების სურვილი იყო გადაცემებში მეტი ყოფილიყო რალაც სიახლე, გასართობი, სანახაობითი მომენტები. შოთა არჩვაძის წინადადებით, გადაწყდა ცნობილი მომთენიერებელი ირ.ბუგრიძე ცირკიდან სტუდიაში მოგვეწვია, თავისი ლომებით. მისი ლომების გადაყვანის „პატივი“ მძლოლ ს.ეგინოვს ხვდა. ფუნქციონირისკენ მსვლელობისას ლომმა რამდენიმეჯერ „მოუთათუნა“ დრუნჩი კისერზე მძლოლს. აკანკალებული, ფერნახდენილი და შარვალ ჩასველებული სერგო ძლივს გადმოსვეს მანქანიდან. ლომების პატარა სტუდიაში შეყვანამ კარგი შიში აჭამა ტელეოპერატორებსაც... მაგრამ, ვიმეორებთ, რედაქტორების, რეჟისორების სწრაფვა, პროგრამების სიახლისაკენ იმდენად დიდი იყო, მის განხორციელებას ვერაფერი აბრკოლებდა. ბევრი კარგის თქმა შეიძლება გადაცემების მომზადებაში მონაწილე დამხმარე რგოლების მაშინდელ პუნქტუალურ, კეთილსინდისიერ თანადგომაზე. სამწუხაროდ, რაც დრო გავიდა, უფრო გართულდა რგოლებს შორის კოორდინაცია, ურთიერთ თანადგომა. ბევრი ქალაქი და დრო იხარჯებოდა გადაცემის მომზადების საჭირო ტექნიკურ საშუალებათა მოსაპოვებლად, გაჩნდა თავის არიდების, „მე არ მეხებაო“ – მავნე დაავადებები.

შემოქმედებითი კოლექტივის კეთილნაყოფიერებაზე, მის მეგობრულ ანსამბლად შეკავშირებაზე როდესაც ვლადპარაკობთ, იგი თავისით როდი მოდის, დიდი მნიშვნელობა ეძლევა ვინ, როგორ, საით წარმართავს სულიერ და მატერიალურ ძალებს.

თავს ბედნიერად ვთვლი, რომ ჩემი პირველი ნაბიჯები ტელევიზიაში გადაიდგა ღვანლმოსილი ჟურნალისტების, უპატიოსნესი მოქალაქეების, ჭემარიტი, პრინციპული და ამავე დროს, უაღრესად გულისხმიერი ხელმძღვანელების: ანტონ კელენჯერიძის, ივლიტა მესხიშვილის, პეტრე შამათავას, აკ.ძიძიგურის, გიორგი საგინაშვილის ხელმძღვანელობით.

მოღვაწეობა დავიწყე იმ დროს სტუდიის ერთადერთი ერთდირექტორული და შემოქმედი მთავარი რედაქტორის შოთა სალუქვაძის, კოლეგების: თამაზ ხომერიკის, ნიკო ლეონიძის, მედეა ლორთქიფანიძის, ნუნუ ხავთასის, ლია ბუაჩიძის, გალინა ანჯაფარიძე-ნესტერენკოს, შოთა არჩვაძის, ავთანდილ გაჩეჩილაძის, რევაზ ურუშაძის, გივი ძნელაძის, ელგუჯა კაკასიძის, ნათელა გამსახურდიას, ცილა ვაჭარაძის, თემო ნაცვლიშვილის, გოგი კველიაშვილის, ვალერიან ჩეკურნიშვილის, კარლო ლუარსაბიშვილს, ცოტა მოვლიანებით შემომბატონებულ მწერალ ილია რურუას, ფელიქს დანელიას, ვახტანგ მამალაძის, მინდია თავაძის, ეთერ ჭიჭინაძის; მთავარი რეჟისორის ს.ველახიშვილის, რეჟისორების: ვ.ფაჩულიას, ბ.მემძარიშვილის, ო.გვიჩიას, შოთა ქარუხნიშვილს, უ.დარჩიას, გ.გაჩეჩილაძის, მ.ჯალიაშვილის, დავით ცხაკაიას, ოთარ თალაკვაძის, ხმის რეჟისორების: ს.ხატიაშვილის, ნ.ძნელაძის, ნ.გიგაურის, ლ.ქიშმიშვილის რეჟისორის ასისტენტების ნ.გურგენიძის, მ.ჩხეიძის, დ.გუნცაძის, დ.იოსელიანის, ედ.გიორგობიანის, ლ.ცქიტიშვილის, ე.ჩუბინიძის, ზ.კაციას, ლ.ხაჩიძის, ზ.ტულუშის, ე.ეგვტაშვილის გვერდით. ერთადერთი მომარაგებელი იყო ყველასათვის უწყინარი ვანო ერიქაშვილი და რედაქციები საწყობშიც კი თითქმის არ ჩასულან საწერი ქალაქისა თუ სხვა საჭირო მასალისათვის. ყოველივე საჭირო ვანო ერიქაშვილის ხელით მაგიდებზე გვხდებოდა. გასახსენებლები არიან პირველი გამომშვები რეჟისორები: თ.კანდელაკი და მ.უსენიანშვილი. დაუვინყარია მაშინდელ თანამშრომელთა ურთიერთობა, მეგობრობა სამსახურში და ოჯახებში. ამ შეკრულ ჯგუფს ხუმრობით „სატელევიზიო კორპორაცია – „ბაღჩაშიაც გადავიხედე“ შეერქვა.

თითოეული მათგანის შესახებ ღირს ცალკე საუბარი. მომავალში ალბათ ასეც იქნება. ამჟამად კი არ შეიძლება მცირედი მაინც არ ითქვას ამაგდარ ჟურნალისტზე, შესანიშნავ ხელმძღვანელსა და ორგანიზატორზე ანტონ კელენჯერიძეზე.

კომიტეტის მაშინდელი ხელმძღვანელობა ბევრს ზრუნავდა კო-

ლექტივის სიჯანსაღისათვის, შემოქმედებითი იმპულსების გაღვივებისათვის. თბილი, გულისხმიერი ურთიერთობა, ჟურნალისტური ძიების უნარის გამომუშავება, თემის, მასალის მოპოვების, ფორმის სიახლის შეგრძნება იყო. ხშირად შემოდინდნენ რედაქციებში, იყო შეხვედრები, განსჯა იმისა თუ რაზე ვმუშაობდით, რას ვფიქრობდით. ერთხელ, დღის მეორე ნახევარში რედაქციაში ჩვეულებრივ შემოგვესტუმრა ბატონი ანტ. კელენჯერიძე. ნახა, რომ მხოლოდ ვმასლაათობდით და გვითხრა: „გატყობთ, მორჩენილხართ გადაცემებზე მუშაობას, გაგზავნილი გაქვთ ფუნიკულიორზე მასალები. ჰოდა, დარჩეს ერთი ვინმე პასუხისმგებელი რედაქციაში, დანარჩენები კი წადით, შეიარეთ შემოქმედებით კავშირებში, ჩაჯექით არქივებში, მუზეუმებში...“

(1960 წ. მთ. რედაქცია გაიყო ორად. მხატვრულ გადაცემებს კვლავ შოთა სალუქვაძე უძღვებოდა, პოლიტიკური გადაცემების მთ. რედაქტორად მიიწვიეს მწერალი ილია რურუა). თემას იპოვით, ისევ ჩვენ გამოგვადგება. თუ ცხოვრებაში არ გაერიეთ, ისე კედლებში გამოკეტილნი რას გახდებით“-ო დასძინა. ის კი არა, კვირაში ერთი დღე რედაქტორის საკუთარ თავზე მუშაობის დღედ გვექონდა გამოცხადებული. არქივებში თუ მუზეუმებში მაშინდელი მოპოვებული საინტერესო მასალები დღემდე მომყვება. ვფიქრობთ, სწორედ ასეთი შემოქმედებითი ატმოსფერო იყო მიზეზი, რომ ტელევიზიის იმ სანყის პერიოდშივე ეკრანზე იმდენი საინტერესო, უანრული თვალსაზრისით, ისეთი სიახლეები ჩნდებოდა, რომ დღესაც სიამაყით ვიგონებ.

პირველი სატელევიზიო ოპერა

აი, სწორედ ასეთ შემოქმედებით ატმოსფეროში დაიბადა აზრი შექმნილიყო საბჭოთა კავშირის ტელევიზიის ისტორიაში სრულიად ახალი მუსიკალური ჟანრი – სატელევიზიო ოპერა. როგორც აღვნიშნეთ, ეს იდეა მოამწიფა იმ მწირ პირობებში მანამდე უკვე განხორციელებულმა სერიოზულმა ლიტერატურულ-მხატვრულმა დადგმებმა.

ცნობილი გახდა, რომ 1961 წლის მაისის თვეში, ცენტრალური ტელევიზიით უკვე მეორედ (პირველი გამოსვლა მოსკოვიდან გვექონდა 1960 წლის 8 სექტემბერს), უნდა მოწყობილიყო საქართველოს ტელევიზიის დღე. იგი ეძღვნებოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს. ხელმძღვანელობის დავალებით მუსიკალურმა რედაქციამაც დაიწყო სამზადისი ერთ საათიანი სატელევიზიო კონცერტის კინოფირზე გადაღებისათვის. კოლეგიაზე დამტკიცდა საკონცერტო პროგრამა. სწორედ მაშინდელმა კინოფირმა, თუმცა უზარისხოდ, მაგრამ მაინც შემოუნახა შთამომავლობას ერის საყვარელი მომღერლების: დავით ანდლულაძის, დავით გამრეკელის, მარი ნაკაშიძის, ჰამლეტ გონაშვილის, დები იშხნელების, მარო თარხნიშვილის (მედეა და პეტრე ამირანაშვილების, ნოდარ ანდლულაძის, ბათუ კრავეიშვილის, ლამარა ჭყონიას, ელისო ვირსალაძის, ლიანა ისაკაძის, ცინო ციციქიშვილისა და ეთერ გვაზავასა და სხვათა გამოსახულება და ჩანაწერები.

„ზოგი ჭირო მარგებელიაო“ იტყვიან. ხალხის ეს ბრძნული ნათქვამი სრულ ჭეშმარიტებას შეიცავს. ვინაიდან მაშინ ღარიბული ტექნიკური აღჭურვილობის გამო მოსკოვისთვის ადგილიდან გადაცემის სხვა საშუალებები არ გაგვაჩნდა. გადაწყდა კონცერტი ამჯერადაც გადაგველო ფართე კინოფირზე და სხვა პროგრამასთან ერთად ასე წაგველო მოსკოვში. კინოზე გადასაღებად ვიქირავეთ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დიდი პავილიონი.

წინასწარი ხმის ჩანაწერების მოსამზადებლად, ასევე დავიქირავეთ იმ პერიოდში რესპუბლიკაში ერთადერთი ვარგისი ვ.სარაჯიშვილის სახ. თბილისის კონსერვატორიის დიდი დარბაზი და ხმის რეჟისორის ლევან ქიშმიშვილის წყალობით ჩავინერეთ კინოფირზე გადასაღები ყველა მუსი-

კოს-შემსრულებლის ფონოგრამა. კინო-კონცერტის გადასაღებად კომიტეტმა დაგვამტკიცა პასუხისმგებელი მუსიკალური რედაქტორი ს.ლაფაური, რეჟ. ნ.ჯალიაშვილი, ხმის რეჟისორი ლ.ქიშშიშვიცი, კინოოპერატორი თ.ლომიძე, მხატვარი ი.ხუროშვილი (ამ ჯგუფმა გადავიღეთ 1 საათიანი კინო-კონცერტის 1960 წ. მოსკოვიდან გადასაცემი პირველი პროგრამაც). ის იყო ცენტრალური ტელევიზიისათვის გამიზნულ კინო-კონცერტზე მუშაობა გავშალეთ, რომ ერთ საღამოს რედაქციაში შემოვიდა ჩემი მეგობარი, ჯერ კიდევ ცენტრალური მუსიკალური სკოლიდან, იმჟამად ტელესტუდიის ერთ-ერთი ხმის რეჟისორი, კომპოზიტორი ნოდარ გიგაური და მთხოვა რაღაც საინტერესოს მოსასმენად გავყოლოდი. სამუშაო დღე დამთავრებული იყო. პატარა ოთახებში შეხიზნული ვიყავით რამდენიმე რედაქცია. მუსიკალური ინსტრუმენტი არ გექონდა. ერთადერთი როიალი იდგა ვინრო კინოფირის გამშვებ პატარა საპროექციოში. დიდი თხოვნით ძლივს გავაღებინეთ საპროექციოს კარები ლამის დაცვას და ნ.გიგაურმა დაიწყო აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ მიხედვით, მის მიერვე ლიბრეტოზე შექმნილი სატელევიზიო ოპერა-ნოველის ფრაგმენტების დაკვრა. დაუმთავრებელი მუსიკის მოუხედავად ჩინებულ ფაბულაზე აგებულმა მღერადმა მელიოდიამ, არიებმა, ანსამბლებმა და რაც მთავარია ოპერა-ნოველის ჟანრის დაბადების წარმოსახვამ, მაშინვე მიიპყრო სიახლის თვალთახედვით ჩემი ყურადღება.

მეორე დღეს, კომიტეტში მისვლისთანავე შევედით მთ. რედაქტორ შოთა სალუქვაძესთან და მთავარ რეჟ. სერგო ევლახიშვილთან. ავუსხენით საქმის ვითარება, მოვასმენინეთ ოპერის ნაწყვეტები. შემდეგ კოლეგებიც დაინტერესდნენ ოპერის მოსმენით და საერთო წინადადებით შევედით სტუდიის დირექტორ ქ-ნ ი.მესხიშვილთან. ჩემს მიერ ტელევიზიის მუსიკალური გადაცემების პრობლემატიკაზე თუ სხვა სახის წერილებში, რომელიც რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში დამიბეჭდავს, არაერთხელ აღმინიშნავს და აქაც მრავალგზის მომიწევს ერთი და იგივე აზრის გამეორება ქ-ნ ი.მესხიშვილის შესახებ, როგორც ნაღდი წინმხედვარე, პერსპექტივაში განმჭვრეტი, ჭირში თუ ლხინში შენს გვერდით მყოფი, ყოველგვარი სიახლისადმი თანამდგომი, ხშირ შემთხვევაში რისკის გამწვევი ადამიანისა. ამიტომაც თანამშრომლები მას, ზოგჯერ თანატოლებიც კი „დიდუდას“ ვეძახდით. პოდა, ქ-ნ ივლიტამ მოგვისმინა, თვალები გაუბრწყინდა, თქვა: „აფუსუს, გვიანია, მოსკოვის საპროგრამოდ ალბად ველარ მოესწრაბო“. მე ვუთხარი, რომ ჩემი სარედაქციო სამუშაოთი და კინოსტუდიაში კონცერტის გადაღებაზე დახარჯული ენერჯის მიუხედავად, მზად ვარ ვიტვირთო ოპერის ჩანერა-დადგმის რთული ორგანიზაციული სამუშაო თუ თქვენი თანადგომა მექნება-მეთქი. შევუდექით მუშაობას. ქ-

ნ ივლიტას წყალობით არ მოგვეკლება ნინასწარ ფულადი სახსრების გამოყოფა ორკესტრის, გუნდის, სოლო პარტიებისათვის ნოტების გადასაწერად, რომელიც საქ. მუსიკონდისათვის გვექონდა დაკვეთილი. ნ.გიგაური დღე-ღამეს ასწორებდა ოპერის დასრულებისათვის.

როგორ შემიძლია თბილად არ გავიხსენო ჩვენი კომიტეტის სიმფონიური ორკესტრის მთ. დირიჟორის, უპატიოსნესი მუსიკოსისა და მეგობრის ლილე კილაძის ღვანლი საერთოდ და კერძოდ ამ ოპერის მომზადებაში. ნ.გიგაურის დანერვილ ნოტებს იგი უკეთებდა კორექტურას, ღამეებს ათენებდა ოპერის საორკესტრო პარტიტურისა და მისი გარკვევებისათვის. სანიმუშო იყო მისი მუშაობა მომღერლებთან, ორკესტრთან და რაღაც ათიოდ დღეში დავიწყეთ კონსერვატორიის დიდ დარბაზში „გამზრდელის“ ფონოგრამის მომზადება-ჩანერა (ხმის რეჟისორი, კომპოზიტორი ი.ბობოხიძე, სოლისტები პეტრე თომაძე, ვახტანგ გულუნჩაძე, ნათელა ტულუში და შოთა კიკნაძე. ახმოვანებდნენ დალი ლოღელიანი, რამაზ ჩხიკვაძე, ირაკლი უჩანეიშვილი და ტარიელ საყვარელიძე).

როგორც ზემოთაც ვახსენე პარალელურად მიმდინარეობდა საკონცერტო პროგრამის კინოფირზე გადაღება, ყოველივე ძალზე მძიმე ტვირთად მანვა: საკონცერტო ნომრების მომზადება, ხმის ნინასწარ ჩანერა, მათი კინოფირზე გადაღების გრაფიკის დაცვა. კინოსტუდიაში დიდი პავილიონის დაქირავების, მოსკოვის დიდი თეატრიდან გამოჩენილი მომღერლის დ.გამრეკელის მონვევა და რომელი ერთი?!

ბევრი ნუნუნი გამოძდის, რას ვიზამ! მართლაც, ფაქტია, რომ კინოკონცერტის გადასაღები თანხა კომიტეტმა ძლივს იშოვა ზემდგომთა დახმარებით. ჩვენ ხომ საერთოდ არ გვექონდა კინოფირზე გადაღებული მუსიკალური ნომრები 1960 წ. ასევე მოსკოვისათვის გადაღებული ერთ საათიანი კინოკონცერტის გარდა, ფილმოტექის თაროს შევსებას ვახერხებდით კინოსტუდიის ფილმსაცავიდან მუსიკალური ნომრების ამობეჭდვით. ასეთები იყო, ომის დროს კინოსტუდიის მიერ გადაღებული ფილმ-კონცერტი „ჯურღალის ფარი“, ბალეტები „სინათლე“, „გორდა“ უფრო გვიან „ოტელიო“ და ა.შ. ამდენად, დაქირავევ პავილიონის ყოველი ნუთი თანხა გვიღირდა და შეძლებისდაგვარად ვაკეთებდით მაქსიმუმს. ამის გაგება კი ყველას როდი შეეძლო?!

კინოსტუდიაში ღამისცვლაშიც მიმდინარეობდა კონცერტის გადაღება. მხატვარმა ირაკლი ხუროშვილმა სტუდიაში გადასაღები ხალხური სიმღერებისა და ცეკვებისათვის შექმნა საქუსარი ანუ უკანა ფონი. იგი გამოსახავდა ვეება ქართულ მასრებიან ჩოხას. ფუნქიკულიორზე ჩვენი გადაცემის დამთავრებისთანავე, მიუხედავად ღამისა, მაშინვე კინოსტუდიაში წავედი. ვხედავ გადაღება გაჩერებულია. ოპერატორი თენგიზ ლომიძე ზის თავის კამერიანად მალლა ამნეკრანზე

და იძახის სადაა დამლაგებელი? რეჟისორი მერაბ ჯალიაშვილიც მხრებს იჩეჩავს. ამ კონცერტისათვის დაქირავებული ადმინისტრატორი არ სჩანს, საქ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მთელი შემადგენლობა ჩაცმული, გრიმნასმული გადაღების მოლოდინში არიან. უნდა გადავიღოთ ფერხული „ძაბრა“, „ჩაკრულო“, „არხალალო“, „ხასანბეგურა“. იქვე არიან დები იშხნელები. ვიკითხე შეფერხების მიზეზი. თ.ლომიძემ მითხრა იატაკი ქუჭყიანია და არ გადავიღებო. გადასაღები მოედნის ხაზზე მართლაც ჩანდა მტერიანი ფეხის ნაკვალევი. დამლაგებელი სადღაც გასულიყო, მაგრამ იქვე იყო მიყუდებული იატაკის მოსანმენდი ჯოხი და ნავთიანი ტილო. დავავლე ხელი, ნუთმი შემოვუზრბინე მოედანს და გავწმინდე. „შენ პასუხისმგებელი რედაქტორი ხარ, რა შენი საქმეა იატაკის წმენდაო“ - მ.ჯალიაშვილმა იატაკის ჯოხის ხელიდან წართმევა სცადა. ხელით განვირიდე რეჟისორი და ყველას იქ მყოფთ საყვედურით მივმართე: „თქვე დაღცვილებო, ლამის დროში ვინვებით, იატაკს ერთ ნუთმი ყველა მიხედავდით, სირცხვილი -თქვენ მეთქი და შევუღრინე რიგიანად ჩემიანებაც და მოწვეულებსაც. სულ მალე აინთო დიდი ფარები, გადალება დაიწყო. რას იზამ, თუ საქმე ფუჭდება სხვისი მიზეზით და შენ შეგიძლია გააკეთო, უნდა გააკეთო. ამით გვარიშვილობა როდი შეგელახება. ასეთი დევიზით მიცხოვრია დღემდე და მითუმეტეს მაშინ, სიტუაციაში... ამავე კონცერტისთვის გადავიღეთ საქ.ხალხური ცეკვის სახ. ანსამბლი ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით: „ფარიკაობა“, „შეჯობრი“, ცეკვა „ქართული“. ბევრი კარგი მოსაგონარი დამრჩა სათქმელი ამ ბრწყინვალე ცეკვის ანსამბლზე, მის ხელმძღვანელებზე.

ვისაც საოპერო ხელოვნებასთან, ამ ურთულეს მუსიკალური ყანრის შექმნის პროცესთან საქმე ახლოს ჰქონია, დაგვეთანხმება, რა საცალფეხო ბილიკზე შევდექით. უპირველეს ყოვლისა, არ ითმენდა დრო. საქმეს ისიც ართულებდა, რომ ნ.გიგაურს არც ნესიერი ბინა ჰქონდა და არც, მითუმეტეს, მუსიკალური ინსტრუმენტი. პირველ რიგში კომიტეტის ხელმძღვანელობამ დაგვართო ნება სამუშაო საათების შემდეგ დარჩენილიყო კომპოზიტორი და ემუშავა ზემოთნახსენებ სამროექციოში. მეორე და რაც მთავარია, როგორც ზევითაც მოგახსენეთ, ჩვენს ენთუზიაზმს მხარში ედგა კომიტეტის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი ლილე კილაძე. ჩვენი თხოვნით მან ხელი მოჰკიდა უკვე დასრულებული ნაწყვეტების კორექტირებას, გაორკესტრებას, სადირიჟორო პარტიტურის შექმნას. ამის წყალობით, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ოპერის ვოკალური და საორკესტრო პარტიებიც კი სასწრაფოდ ხვდებოდა საქართველოს მუს. ფონდის (დირექტორი ო.არომიძე) ნოტების გადამწერლებთან. ცხადია, ასეთმა შეუფერხებელმა

საქმიანობამ გზადგზა სათანადო ხარჯებიც მოითხოვა. აი, სწორედ აქ იჩინა კომიტეტის ხელმძღვანელი ამხანაგების, განსაკუთრებით კი ივ.მესხიშვილის გაბედულმა თანადგომამ. ჩვენი მწვანე შუქი გვექონდა ანთებული. ერთხელ ცალკე მითხრა ქალბატონმა იელიტამ: „სოლომონ, რისკს კი ვენევიტ – მაგრამ, რომ არ გამოგვივიდეს საქმე და შევრცხვეთ, ან თავი სად გამოვყოთ ან თანხა საიდან დაეფაროთ“. არ შემძლია ვთქვა, „დედა ეს რა გავაკეთეთ, რა გენიალური შედეგრი შეიქმნა მეთქი“, მაგრამ, იმ სანყისი ეტაპისათვის, კავშირის მასშტაბით პირველი სატელევიზიო ოპერის კვალობაზე, სწორედაც, რომ უდიდესი გამარჯვება იყო დამწყები კომპოზიტორის ნ.გიგაურისათვისაც და მთელი ჩვენი კოლექტივისთვისაც. სწორედ სტუდიის შეგობრულმა ატმოსფერომ განაპირობა „გამზრდელის“ უმოკლეს ვადაში დამთავრება, გაორკესტრება საორკესტრო თუ ვოკალური პარტიების გადანერა.

ოპერა „გამზრდელის“ შემსრულებლებად, როგორც ზემოთაც ითქვა, მოიწვიეთ ზ.ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახ. აკადემიური თეატრის სოლისტები: ნათელა ტულუში, შოთა კიკნაძე, ვახტანგ გლუნჩაძე, პეტრე თომაძე. დადგმის დროს მათ ჩანანერზე პირველად ტელეპრაქტიკაში როლებს განასახიერებდნენ მსახიობები, დალი ღოღელიანი, რამაზ ჩხიკვაძე, ირაკლი უჩანეიშვილი და ტარიელ საყვარელიძე.

ოპერის დამდგმელი ჯგუფი: რეჟისორი სერგო ევლახიშვილი, მუსიკალური რედაქტორი, ამ სტრიქონების ავტორი, მხატვარი თენგიზ სამსონაძე, ხმის რეჟისორი ლევან ქიშიშვილი, რეჟისორის ასისტენტები ტ.კურცხალია და დ.ოსელიანი, ტელეოპერატორები ჯ.ნანიტაშვილი, რ.არცივაძე და რ.გაბაშვილი. ადვილი როდი გახლდათ ფუნიკულიორის პლატოზე მდებარე იმ პატარა სტუდიაში საოპერო დადგმის განხორციელება. მაგრამ ვიმეორებთ სურვილი, მონდომება, ძიება ყოველგვარ დაბრკოლებას ჯაბნიდა. ავილოთ თუ გნებავთ მაშინდელი ფუძე ჩაყრილი სატელევიზიო-სატირულ-იუმორისტული ყურნალი „ოქროპირი“, რომელიც წლების განმავლობაში დიდი პოპულარუობით სარგებლობდა... ასევე ითქმის მაშინდელ „მოამბეზე“. ამინდის ცნობების გადაცემა გაცოცხლებული ნახატებითა და თანხმლები მუსიკით მისაბადი გახდა სხვა რესპუბლიკების ტელევიზიებისათვის. ინჟინერ-პერსონალის მიერ (გოგი გორძახია) იმ პერიოდში შექმნილმა ტელეეკრანის ელექტრო-ფარდამ განაცვილფრა ჩვენთან ჩამოსული მოსკოველი კოლეგები. მსგავსი ფაქტების გახსენება შორს ნაგვიყვანდა. ერთი კი უნდა ითქვას: ტელევიზია თავის არსშივე შეიცავს ინტერნაციონალურ ბუნებას, ერთი სტუდიის მიგნება მალე პოულობს გავრცელებას და საერთო სახალხო კუთვნილება ხდება. ნ.გიგაურის სატელევიზიო

ოპერა-ნოველა „გამზრდელიც“ მალე მთელი საბჭოთა კავშირის ტელესტუდიების კუთვნილება გახდა. მაგრამ, მოვლენებს რომ წინ არ გაეუსწროთ, დავუბრუნდეთ ოპერის განხორციელების ზოგიერთ მომენტს. დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ მოცემულ პერიოდში საერთოდ რაიმე პროგრამის და მითუმეტეს, ოპერის ჩანერის ტექნიკური საშუალება არ გაგვანდა. ხშირად მივმართავდით ხმის ჩანერის რადიო-ტექნიკურ საშუალებებს. ამჯერადაც ასე მოვახდინეთ. რადიო-ლენტზე ჩაეინერეთ მუსიკალური მასალა. რეჟისორ ს. ევლახიშვილის წინადადებით, ოპერის მომღერლების ჩანანერზე, როგორც ზევით ითქვა მოვიწვიეთ დრამატული თეატრის მსახიობები. ამ შემთხვევაში გამოვიყენეთ კინონარმოების მიერ უკვე მოპოვებული საშუალება.

... და აი ნ. გიგაურის სატელევიზიო ოპერა-ნოველა – „გამზრდელი“ მზადაა, ველოდებით მის ტელეეკრანზე გაშვებას. ე.წ. ცოცხალი დადგმით. ინტერესი ჩვენი პროგრამისადმი უაღრესად დიდია. მის წინასწარ სანახავად თბილისში ჩამოდის ცენტრალური ტელევიზიის მრავალრიცხოვანი შემოქმედებითი ჯგუფი, თვით კომიტეტის თავმჯდომარის, ბ-ნ ს. კაფტანოვის მეთაურობით.

დაიწყო ცენტრალური ტელევიზიით გადასაცემი პროგრამის გასინჯვა. ველავდით. ჩვენდა საბედნიეროდ, ყველა დადგმას და გადაცემას დიდი მონონება ხვდა. აღმოჩენად მიიჩნიეს სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „ოქროპირი“, I („ცეტეზე“ გადასაცემი სატირულ ჟანრალ „ოქროპირში“ ერთი სიუჟეტი ჩემიც გახლდათ, რომელსაც „ხარისპარია“ ერქვა.) სატელევიზიო სიახლედ აღიარეს ოპერა „გამზრდელი“ ასევე მოხდა ქართველი ხელოვნების ოსტატების კონცერტის მოსმენისას. გადაწყდა. ჩვენი სტუდიის მიერ მომზადებული ყველა გადაცემა ნავიდოდა მოსკოვში, მათ შორის ოპერა „გამზრდელის“ ყველა მონაწილე ნავიდოდა მოსკოვში და ცოცხალი დადგმით განხორციელდებოდა, როგორც ახალი მუსიკალური ჟანრის დაბადება. დადგმის მსვლელობის დროს იქვე ჩაინერდნენ მონიტორზე!

ვიდრე უშუალოდ ცენტრალურ ტელევიზიით გადაცემის შემდგომ ამბებს მოვყვებოდეთ აქვე ვახსენებ, ზოგი რამის შეფასებაში მაშინაც იჩენდა ხოლმე თავს აზრის გაორება. მაგ. (მოსკოვისთვის) კონცერტის პროგრამაში დები იშხნელების ჩართვას მონინალმდეგეებიც გაუჩნდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ნება დამართეს მათი შესრულებით, კინო-ფირზე გადაგველო მხოლოდ „სულიკო“. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც იშხნელების ოთხი და: მარიაში, თამარი, ნინა და ზინაიდა უკვე ჩამოცილებულნი იყვნენ ფილარმონიის აქტიურ ცხოვრებას. მავანთა და მავანთა მკაცრი „მოთხოვნილებების“ გამო მათ აღარ ინვეზდნენ შეხვედრებზე. მე მათ საბურთალოს ახლად გახსნილ სასაფლაო-

ზე ნაცნობის წლისთავის პანაშვიდზე შეეხვდი. გული დამენვა, სინამდვილეს თვალი ვერ გაუხსნორე. გავბედე და ვეახელი ღვანლმოსილ დებს. ტელევიზიით კონცერტი შევთავაზე. სულ მალე ასეც მოხდა. ექვსი სიმღერა შეასრულეს ფუნიკულიორზე იმხნელებმა. ჩვენ ეს კონცერტი ეთერში გადაცემის მსვლელობისას მონიტორზე ჩავინერეთ. საბედნიეროდ, მაშინ გექონდა ასეთი ჩამწერი აპარატი, ჩანაწერი ტელევიზიის ფილმოტეკაში დღესაც ინახება. დადგება დრო და ოდესღაც ჩანერილი ეს ექვსი სიმღერა კვლავ გაახშიანებს ცისფერ ეკრანს. მაშინ კი დების ეკრანით გაჟღერებას მითქმა-მოთქმა მოჰყვა, ზემდგომ ორგანოებშიც გაჩნდა საჩივარი – „ლაფაურმა ნაფტალინიან დებს ტელეეკრანი დაუთმოო“. სამწუხაროდ, მსგავსი საყვედურები კომპოზიტორთა კავშირშიც მითხრეს, ამიტომ, აღარ გამკვირვებია, როდესაც იმხნელების სამოსკოვე პროგრამაში დამტკიცებას ზოგი ვინმე წინ აღუდგა. ვფიქრობ, მომიტყეებს დღევანდელი მკითხველი ჩემს იმ შეცოდებაზე, რომელიც მაშინ მოვიმოქმედე. კინოსტუდიის პავილიონში საკონცერტო გადაღების დროს „სულიკოსთან“ ერთად „ყაყაჩოს“ და „ციცინათელას“ ჩანაწერებიც წავიღე. ღამე ვიღებდით, ვისარგებლეთ იმ ღამის სიჩუმით და კინო-ლენტი ზარულად გადავიღეთ დები იმხნელების ოთხი სიმღერა, ზემო დასახლებულ სამ სიმღერას, რომლებიც რადიო ფონდის ხმის ჩანაწერებიდან ავიღეთ, მივამატეთ იქვე, ცოცხლად შესრულებული ნ.ბარათაშვილის ტექსტზე შექმნილი ბრწყინვალე სიმღერა „არ დაიჯერო“. ხმის რეჟისორმა ლ.ქიშმიშევმა, რეჟისორმა მ.ჯალიაშვილმა, კინოოპერატორმა თ.ლომიძემ და ამ სტრიქონების ავტორმა ასე პარტიზანულად გადავიღეთ დები იმხნელები. ეს ამბავი მოსკოვიდან ჩამოსული კომისიის მიერ საკონცერტო პროგრამის გასინჯვისას გამჟღავნდა. ისინი სიხარულით შეხვდნენ იმხნელების კინოფირს. კატეგორიულად მოითხოვეს რუსი ტელემაყურებლებისათვის ესოდენ სასურველი და პოპულარული დების შესრულებით კიდევ ერთი ნომრის ჩამატება. როდესაც კომისიის წევრებმა მითხრეს, „კიდევ ხომ არაფერი გაქვთ გადაღებული“, კინოსაპროექციოდან „არ დაიჯერო“ გავაშვებინე. აღფრთოვანება ვერ დაიფარა. მაღლობა გვითხრეს. შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ „არ დაიჯერო“ რადიოს ფონდში საერთოდ არ იყო ჩანერილი და კინოფირიდან გადაწერეს. ასე გადარჩა ფარულად გადაღებული დები იმხნელების ოთხი სიმღერა მომავალი თაობისათვის. მე კი, ნიშნად ჩემი მათდამი პატივისცემისა 1963 წ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მაშინდელი მთ.რედაქტორის არჩილ კოკილაშვილის წყალობით, დავსტამბე პატარა წიგნი „დები იმხნელები“. ფაქტიურად ჩვენი ძალისხმევა გახდა ამ ღვანლმოსილი მუსიკოსების სცენაზე კვლავ დაბრუნების მიზეზი. დაუბრუნდეთ ნ.გიგაურის ოპერა „გამზრდელს“. იგი წარმატებით

დაიდგა ცენტრალური ტელევიზიით „საქართველოს დღის“ პროგრამის მსვლელობის დროს. იქვე ჩაინერა მონიტორით ფართე კინოფირზე, გამრავლდა და დაეგზავნა მაშინდელი სსრკ ყველა რესპუბლიკის თუ ოლქის ტელესტუდიებს. იმავე წლის ბოლოს მოსკოვში ჩატარდა მუსიკალური რედაქციების მთავარ და უფრ. რედაქტორთა საკავშირო სემინარი. „გამზრდელი“. ამ სემინარზე გვაჩვენეს, როგორც საქართველოს ტელევიზიის შემოქმედებითი კოლექტივის ძიებისა და გამარჯვების ნიმუში. დიდი სიხარული განვიცადე, როდესაც სემინარზე სიტყვით გამოსულმა ცენტრალური ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს.კაფტანოვმა დარბაზს მიმართა – „ამ ჩინებული სატელევიზიო ოპერის შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი ამ დარბაზში იმყოფება და მისი სახელიც ისეთივე თბილია და ნაცნობი, როგორც თქვენთვის საყვარელი და პოპულარული ქართული ხალხური სიმღერა „სულიკო“. ცხადია, ეს დღე ჩემთვის ყოველთვის ღირსახსოვრად დარჩება. მაშინ პირველად ვესწრებოდი ხალხმრავალ სემინარს და ჩემი მისამართით თბილმა ხსენებამ ერთბაშად სემინარის შუაგულში მომაქცია.

ცენტრალური ტელევიზიით საქართველოს პროგრამის მეორედ გასვლას დიდი გამოხმაურება ხვდა წილად. 1961 წ. 1 ივნისის დათარიღებით, დაინერა საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანება, რომლითაც მაღლობა გამოგვეცხადა 25 კაცს. რვა ჩვენს თანამშრომელს: ტელეოპერატორებს ჯ.ნანიტაშვილს, რ.გაბაშვილს, კომპოზიტორ ნ.გიგაურს, რეჟისორის ასისტენტებს ტ.კურცხალიას, დ.იოსელიანს, მხატვარ თ.სამსონაძეს მიენიჭათ პირველი ხარისხის დიპლომები. მოვიყვან ამ ბრძანებიდან ნაწყვეტს: „ცენტრალური ტელევიზიით მეორედ გამოსვლის მაღალ დონეზე წარმოჩენის გამო საქ. ტელევიზიისა და რადიოს სახ. კომიტეტი გადაყვანილი იქნა I კატეგორიაზე. (მანამდე პირველი კატეგორია ჰქონდა მხოლოდ მოსკოვს, პეტერბურგსა და კიევს.) მოსკოვისა და მისი ოლქების ტელემაყურებლებს საშუალება ჰქონდათ ენახათ საქართველოს ტელევიზიის პროგრამა, რომლითაც წარმოდგენა შეექმნათ ქართველი ხალხის უდიდეს შრომით, შემოქმედებით მიღწევებზე.

თბილისის ტელესტუდიის მეორე გამოსვლამ მოსკოვში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა მათ დიდ შემოქმედებით ზრდაზე.

საბჭოთა კავშირის ტელევიზიის ისტორიაში პირველად თბილისის ტელესტუდიის მუშაკებმა, საბჭოთა კომპოზიტორმა ნ.გიგაურმა შექმნეს სატელევიზიო ოპერა „გამზრდელი“...

დიახ, პირველად საბჭოთა კავშირის ტელევიზიის ისტორიაში საქართველოს ტელევიზიამ თავისი არსებობის გარიჟრაჟზევე თქვა თავისი სიტყვა. ნ.გიგაურის პირველ სატელევიზიო ოპერა „გამზრდელის“

განხორციელებას ფართო გამოხმაურება და მოწონება არც ჩვენთან მოკლებია. გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნდა მისასალმებელი ინფორმაცია. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო რედაქციაში შემოსული მშრომელთა აღფრთოვანებული ფოსტა. დღემდე შემოვიწახე რამდენიმე წერილი. მოვიყვან ცნობილი მწერლის აკ. გელოვანის გამოხმაურებას:

„სიამოვნებით ვნახე ნოდარ გიგაურის სატელევიზიო ოპერა“ „გამზრდელი,“ მაყურებელი ბევრს მოელის ხოლმე, როცა ხედავს აშნაირ ქმნილებებზე აგებულ ხელოვნების ნაწარმოებს. ახალგაზრდა კომპოზიტორისა და მთელი შემოქმედებითი კოლექტივის სასახლოდ შეიძლება ითქვას, რომ მაყურებლის მოლოდინი გამართლებულია: ჩვენ ვნახეთ მშვენიერი განცდილი, მრავალფეროვანი მუსიკალური და არტისტული გონებით გამთბარი ოპერა მინიატურაში, სხვადასხვა განათლებისა და გემოვნების ადამიანები, ერთნაირი გატაცებით უყურებდნენ, უსმენდნენ და არ არსებობდა ორი აზრი. დიდი აკაკის პოემის დედააზრი სწორადაა დაჭერილი და ახსნილი, დიალოგი სხარტი და დრამატულად დაძაბულია, მუსიკა მჩქეფარე, სასიამოვნო, ადამიანურია, მსახიობები საუცხოოდ ასრულებენ როლებს. კარგი იქნებოდა ოპერის გაზრდა და გატანა დიდ სცენაზე.

ქართული ტელესტუდიის ინიციატივა კმაყოფილების გრძნობას იწვევს. მსგავსი ორიგინალური ცდების რიცხვი უნდა გაიზარდოს, ეს მშობლიური ხელოვნების ერთი ფრიად პერსპექტიული უბანია. საჭიროა ამ უბანზე პოეტებისა და მუსიკოსების მოზიდვა, რომ სტაბილური სურათები ან ნასესხები ეპიზოდები ცოცხალმა შემოქმედებითმა, თავისთავად ღირებულების მქონე ფაქტებმა შეცვალონ“.

ეს და სხვა მსგავსი წერილები საერთო სიხარულს გვანიჭებდა, ძალას გვმატებდა. სულ მალე მივიღეთ გამოჩენილი კომპოზიტორის ოთარ თაქთაქიშვილის სატელევიზიო ოპერა „ჯილდო“ მიხეილ ჯავახიშვილის ამავე სახელწოდების ნოველის მიხედვით.

ინტენსიურად შევუდექით ოპერაზე მუშაობას. იმთავითვე მოგვხიბლა მუსიკალური ენის დრამატურგიულმა სიმძაფრემ, აზროვნების ლაკონიურობამ ო.თაქთაქიშვილის ძარღვიანმა, ღრმა პროფესიონალიზმით შექმნილმა არიებმა, ანსამბლებმა, ვოკალისა და სიმფონიურის ფსიქოლოგიური მონაცვლეობის სიძლიერემ ახლებურად გაიღევა ცისფერ ეკრანზე. სატელევიზიო ოპერა „ჯილდოს“ აღიარება ხვდა. მის შესახებ ვრცელი წერილი გამოქვეყნდა 1964 წ. 20 აგვისტოს გაზეთ „საბჭოთა კულტურაში“. დამდგმელმა რეჟისორმა ლევან თაქთაქიშვილმა ოპერა „ჯილდო“ გადაიღო ფართო კინო-ფირზე და ინახება საქ. ტელეარქივში.

მე აქ აღარ შევუდექი ოთარ თაქთაქიშვილის სატელევიზიო ოპერა „ჯილდოს“ შესახებ თხრობას. ერთი კი უნდა ითქვას, რომ სწორედ სა-

ქართველოს ტელევიზიის მიერ დაწყებულმა სატელევიზიო ოპერების შექმნამ უბიძგა რესპუბლიკის მუსიკალურ ხელოვნებაში ოპერანოველის ჟანრის დაბადებას. განა, ამის ნათელი მაგალითი არ არის შემდგომ ზ.ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრში განხორციელებული ოთ.თაქთაქიშვილის შესანიშნავი „სამი ნოველა“? ერთ-ერთი მათგანი ხომ სწორედ ტელევიზიის თხოვნით დაინერა და ჩვენთანვე დაიდგა.

სამწუხარო ის არის მხოლოდ, რომ საქართველოს ტელევიზიამ ზოგ-ზოგის ტენდენციური მიდგომის წყალობით, „ხელი აიღო“ მის მიერ კარგად დაწყებულ საქმეზე. ამის გამო მოგვიხდა კომპოზიტორებისათვის შეკვეთის უკანვე ნალევა. მაგ. კომპოზიტორ არჩილ კერესელიძეს თითქმის გააზრებული ჰქონდა ილია ჭავჭავაძის „განდევილი“. აკაკი ანდრიაშვილმა „აკაკო ყაჩალი“ გადაამუშავა ტელე-ვარიანტად. ანდა საკმარისის არ არის თვით ოთარ თაქთაქიშვილის მიერ კიდევ ორი ოპერანოველის შექმნა, რომელიც შემდგომ საოპერო თეატრში დაიდგა „სამი ნოველის“ სახელწოდებით?.. ბევრი, ძალიან ბევრი რამის დამფუძნებელია საქართველოს ტელევიზია. სამწუხაროდ, მრავალ მიზეზთა გამო, ყოველ მათგანზე აქ ვერ შევჩერდებით.

საოპერო სცენები. გადაცემები მომღერლის გახსენება - ნიკო ქუმსიაშვილი

არაერთხელ ვახსენე, რომ დღიდან დაარსებისა დიდ ადგილი ეთმობოდა სატელევიზიო მუსიკალურ გადაცემებს. მზადდებოდა მსოფლიოს თითქმის ყველა გამოჩენილი კომპოზიტორის, მომღერლის, შემსრულებლის შესახებ გადაცემები „შემოქმედებითი პორტრეტების“ ციკლიდან. ისინი ძირითადად გადაიცემოდა ფოტო-ილუსტრაციის ჩვენების ხერხით. მუსიკალური ილუსტრაციამ კი უფრო მეტად გამოყენებული იყო ნაწყვეტები კინოფილმებიდან. უკვე 60-იან წლებში, როდესაც ცნობილი მუსიკოსების ჩანაწერებზე იღებდნენ დრამის მსახიობებს და ეს გამოცდილება ტელევიზიასაც კარგად მოერგო, უკვე შევძელით უფრო სანახაობითი, უფრო მოსასმენად და საყურებლად მრავალფეროვანი გაგეხადა გადაცემები. ამგვარი გამოცდილების ტელესტუდიის პირობებში გადმონერგვა ჩვენს მუშაკებს, რედაქტორებს, ხმის რეჟისორებს უდაოდ უორმაგებდათ შრომას. ჯერ ერთი, საჭირო იყო ხმის ჩასანერი სტუდიის ხელში მოგდება, რაც ყოველთვის იოლი არ გახლდათ და მეორეც, ჩანაწერის მონტაჟი, მისი ხორცშესხმა, უკვე ფუნქციონირის სტუდიაში, მოითხოვდა ჩვენი მხატვრების დახელოვნებულ ოსტა-ტობას, რათა ყოველი გადაცემის თუ ცალკეული სცენებისათვის შექმნათ ახალ-ახალი ფონები. ნიჭიერი მხატვრების თ.სამსონაძის, ი.ხუროშვილის, ნ.ხინველის, ესკიზების შემსრულებლის თ.ხომტარიას წყალობით ყველაფერი ეს ხერხდებოდა. აქვე დავსძენთ, რომ რადიოში მოღვაწე ჩვენი კოლეგების, შტატგარეშე ავტორების გადაცემაზე მუშაობა თუ მხოლოდ მაგნიტურ ლენტზე ჩანერით თავდებოდა, ჩვენ მის შემდეგ გვინევდა რთული სამუშაოს ჩატარება გამოსახულების ნორმალური მიღებისათვის. აქედან ვფიქრობთ, მკითხველი პარალელის გავლებით, ნათლად წარმოიდგენს ტელეჟურნალისტიკის მიერ გადაცემის ეთერში გასვლამდე გახარჯულ ენერგიას,

რომელიც გნებავთ ჟურნალ-გაზეთებში მოღვაწე კოლეგებთან შედარებით. ამასთან, ტელეჟურნალისტს ტექსტის ლაკონიურობასთან ერთად, უნდა გააჩნდეს დრამატურგიული, ე.ი. ტელეგენიურობის, ვიზუალური აზროვნების უნარი. ამის გარეშე ტელეგადაცემა ემსგავსება მიწოდებულ საუბრებს, რაც ასე აღიზიანებდა, და ალბათ ეხლაც ასეა, ჩვენს გაცნობიერებულ ტელემაყურებელს. ეს მცირე ექსკურსი დაგვჭირდა მხოლოდ იმისათვის, რომ მკითხველს წარმოდგენა მაინც შეექმნას სათანადო პირობების უქონელ წინა თაობის ჩემი და ჩემი კოლეგების საქმიანობაზე.

ქ-ნი ი.მესხიშვილი ნიგნში „საქართველოს ტელევიზია 1956-1988 წლებში“ აღნიშნავს: „1959 წ. დაარსდა პირველი სატელევიზიო ჟურნალი „ივენანა“... 1961 წ. მარტში ჟურნალი „სპორტი“... 1962 წ. სატირული-უმორისტული ჟურნალი „ოქროპირი“... და შემდგომ ამისა, „შექმნა ჟურნალები: „ახალგაზრდობა“, „თვალსაწიერი“, „წყაროსთვალი“, „თბილისი და თბილისელები“... და, ეტყობა შემთხვევით გამორჩა ახალგაზრდობის რედაქციის ჟურნალი „ირმის ნახტომი“ და მუსიკალური რედაქციის ჟურნალი „მუსიკის სამყაროში“. ეს უკანასკნელი იმავე წლებში არსებობდა. მისი შექმნის აუცილებლობა განაპირობა იმანაც, რომ საზოგადოება ჟურნალ-გაზეთებიდან ნაკლებად მიენდებოდა ინფორმაცია ჩვენი რესპუბლიკიდან, მაშინდელი სსრკ კავშირისა თუ მსოფლიოს ხალხთა ცხოვრებაში ამ ჟანრში მომხდარი საინტერესო ამბები. ჟურნალის გამოშვებას ხელმძღვანელობდა რეჟისორი ნოდარ გარსევანიშვილი, მუსიკალური რედაქტორი გახდა მზია რამიშვილი. ეთერში წამყვანებად ჯერ დიქტორები მუშაობდნენ, შემდეგ კი შეექმენით. ჟურნალის სარედაქციო კოლეგია, შტატგარეშე ახალგაზრდა ავტორებთან ნანა ქავთარაძისა, მედეა ქელბაქიანისა და მანანა ახმეტელის მონაწილეობით. ნანა ქავთარაძესვე მიენდო „მუსიკის სამყაროს“ ეთერში წაყვანა. ამ მიმოხილვითი ხასიათის ჟურნალმა სამ ათეულზე მეტი ხანი იარსება და მცირე ნვლილი როდი შეიტანა ქართველი კომპოზიტორების ახალი სიმღერების, კამერული ნაწარმოებების პირველად აუღერებაში, მომღერლების მიერ ახალი როლების შესრულებისა თუ მუსიკის სფეროში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების გაშუქებაში.

თითქმის არ დარჩენილა საქართველოში საოპერო თუ კამერული მომღერალი, რომელზეც გადაცემა არ მომზადებულა. ეს იყო გადაცემები ციკლიდან. „გამოჩენილი მომღერლები“, „შემოქმედებითი პორტრეტები“.

ჩემთვის განსაკუთრებით სამახსოვროა გადაცემა ციკლიდან „მომღერლის გახსენება“. ამ გადაცემებში ვიხსენებდით ჩვენი ცხოვრებიდან ნასულ სახელგანთქმულ შემსრულებლებს. ასეთები იყვნენ ვ.სა-

რაჯიშვილი, ნ. ქუმსიაშვილი, ვ. ქაშაკაშვილი, ს. ინაშვილი, ო. ნინუა-ცაგურია, ნ. ცომაია, პ. ამირანაშვილი, დ. გამრეკელი, ბ. კრავეიშვილი და სხვები. ეს გადაცემები ტელემედიკების განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა.

აქ მინდა გავიხსენოთ გადაცემა ნიკო ქუმსიაშვილზე. ტელეეკრანიდან მასზე თქმულმა მართალმა სიტყვამ და მანამდე მისდამი მუსიკალური საზოგადოების გულგრილმა დამოუკიდებულებამ დაუმსახურებლად მივიწყების გამო, ტელეეკრანიდან ნამოკრულმა ნკიპურტმა სათანადო ნაყოფი გამოიღო.

ეს მოხდა 1960 წ. 9 ივლისს. ეთერში გაისმა საოცარი მეტალის მქონე ლირიკულ-დრამატული ტენორის ნ. ქუმსიაშვილის ჩანანერის ხმა „თავო ჩემო“ ზ. ფალიაშვილის ოპერიდან „დაისი“. ავტორი გახლდათ ამ სტრიქონების ავტორი. გადაცემა მოვამზადე ნიკოს ოჯახთან შეუთანხმებლად, რომელსაც მისი ქალიშვილი, ექიმი როდამ ქუმსიაშვილი წარმოადგენდა. ამ შეუთანხმებლობას ჰქონდა თავისი მიზეზიც, ეთერში ვერც მის მიმართ ვიტყვოდი საქებას. გადაცემის დროს ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ნიკოსივე სურვილით, საკუთარი სოფლის სასაფლაოზე, თიანეთის რაიონის სოფ. ორხევში იყო დაკრძალული. ნაეყვანე კინო-ოპერატორი გივი ქანთარია და აყვდით ორხევში. მოვიწახლეთე ცნობილი მომღერლის სასაფლაო, ერთსართულიანი პატარა ნახევრად ფიცრული სახლიც. გული ჩამწვრიტა მაყვალ-ბარდებ გადავლილმა საფლავის მანიშნებელმა, თავთან ჩარჭობილმა, გადარეცილმა მუხისაგან გამოთლილმა ჯვარმა, მასზე გაკრულ პატარა თუნუქის ფირნიშზე ძლივს ამოვიკითხე „ნ. ქუმსიაშვილი“.

ჩემს არქივში შემონახული მაქვს იმ გადაცემის ტექსტი – სცენარი. აქ მოვიტან ფინალის მცირე ფრაზას: „1942 წ. 20 სექტემბერს ნიკო ქუმსიაშვილის ცხედარი მისივე თხოვნით საკუთარ სოფელში გადაასვენეს და იქ, მთაში, მამა-პაპათა გვერდით, მშობლიურ მიწას მიაბარეს. მიაბარეს და... მალე ყველას მიავიწყდა კაცი, სახელოვანი მომღერალი, ვანო სარაჯიშვილის დაისში თუ აბესალომის პარტიებში შემცვლელი. დაივიწყეს კაცი, რომელმაც ვანო სარაჯიშვილის სიკვდილით გაოგნებული ოპერის მოყვარულნი კვლავ თეატრისაკენ მოაქცია. დღეს მისი საფლავი ველური ყვავილებითაა დაფარული, ბუნებას თავისი ეკალ-ბარდი დაუფარებია. მისი სიმღერით მოხიბლულთა ცრემლის მაგიერ, ზეცა ნვიძას უგზავნის. ქარის ზუზუნს თეუცვლია „დაისის“ შესავლის მწუნხრის მქლოდიები. დიდება, ღმერთო, შენს სახელს“... კინოფორზე ყოველივე ზემოთქმული იყო ასახული.

კინო-კადრები შეცვალა სტუდიაში ტიტრით აფარებულმა, მხატვარ ბაღდავაძის ტილომ. მასზედაც ნ. ქუმსიაშვილის მიგდებული საფლავი, გადაგრეხილი მუხის ჯვარი და ბარდებია ზეთში მომტირალნი.

გადაცემის მეორე დღეს, პროპაგანდის მთავარი რედაქციის მთ. რედაქტორმა ილია რურუამ ბრძანა: დაისის მნუხარე მუსიკის, გამოსახულებისა და ტექსტის მართლაცდა მნუხარე შერწყმამ ცრემლები მომგვარა. ესლა ვიგრძენი რა დიდი ძალა ჰქონია ტელეეკრანზე სიტყვას, მუსიკის, ხედვის ერთად შეკრულ სიძლიერესო". სარეცენზიო თათბირზე ბევრი კარგი ითქვა. მთავარი კი წინ გვედო. დამთავრდა თუ არა თათბირი ბ-ნ ანტ. კელენჯერიძემ დამიძახა. კაბინეტის კართან დაგვხვდა საქ.თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე ბ-ნი დოდო ანთაძე. მან მოისურვა ჩვენს თავმჯდომარესთან ერთად, კიდევ ერთხელ ენახა ნ.ქუმსიაშვილის გადაცემის გამოსახულების ფინალური კადრები. ნახვის შემდეგ კი თავში ხელი შემოირტყა და ბრძანა: „ეს არ გვეპატიება თეატრალურ საზოგადოებას, ზ.ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრს, კულტურის სამინისტროს, კომპოზიტორთა კავშირს. ეს სამარცხვინო ლაქაა ჩვენი“-ო. რედაქციაში შესვლისას კი ჩვენი ლიტ.დრამის რედაქციის მაშინდელი რეჟისორის ასისტენტმა მაყვალა ჩხეიძემ მის გვერდში მდგომი ჩემთვის უცნობი მანდილოსანი გამაცნო და მითხრა: „სოლომონ, აი, ნიკოს ქალიშვილი, ექიმი როდესაც ქუმსიაშვილიო“. მან თქმაც ვერ დაასრულა. ქ-ნ როდამს წასკდა ცრემლები და ძლივს ამოღერდა: „ბატონო სოლომონ, ასე როგორ გაიმეტეთ ჩემი ოჯახი, თუ საზოგადოებას დაავინწყდა მამაჩემი, მე სად ჯანდაბაში ვიყავიო“... და მადლობა გადამიხადა კარგი გადაცემის მომზადებისათვის.

ქ-ნ ი.მესხიშვილის წარდგინებით, კომიტეტის თავმჯდომარემ ბ-ნ ანტ.კელენჯერიძემ ჩემი შრომა ბრძანებითა და ფულადი პრემიით აღნიშნა. ჩემთან ერთად მადლობა გამოუცხადა ხმის რეჟისორსა და გადაცემის მუსიკალურ გამფორმებელს ნოდარ ძნელაძეს, რეჟისორ ნოდარ გარსევანიშვილს, რეჟისორის ასისტენტს ნანა გურგენიძეს, კინოოპერატორს გივი ქანთარიას. ნ.ქუმსიაშვილზე გადაცემის მომზადებისას რამდენიმე თბილისელის ოჯახში აღმოვაჩინეთ ხანგრძლივი დაკერის ფირფიტა, რომელზეც ჩანერილი იყო მომღერლის შესრულებით მალხაზის არია „გმორდები ტურფავ“, „თავო ჩემო“, არია ოპერიდან „ქალიშვილი დასავლეთიდან“ და კ.ფოცხვერაშვილის სიმღერა „ლალე“. ამ უკანასკნელი სიმღერის მესამე კუპლეტის ფინალი „ლალე, ლალე, დივლი დალალე, ერთ ვარსკვლავში შენ შეგნიშნე, გოგოვ, გენაცვალე“ – ფირფიტის დაზიანების გამო ცუდად გადაინერა მაგნიტურ ფირზე. მისი ეთერში გამოყენება არ შეიძლებოდა. ნ.ძნელაძემ გამოსავალი მოძებნა. მითხრა: „სიმღერის დასაწყისი და მესამე კუპლეთი ფაქტიურად იგივე ნიუანსებით და სიტყვებით მეორდება. რა იქნება მაგნიტურ ფირზე მოვხსნათ დაზიანებული ჩანანერი და პირველი კუპლეტის ფინალში განმეორებული გადატანით დავასრულო-

თო", სიმღერა მოვისმინეთ უკვე ამ თვალთახედვით. აღმოჩნდა, რომ მისი შესრულება პირველი და ბოლო კუპლეტისა მართლაც თითქმის იდენტური იყო.

ნ.ძნელაძემ ბრწყინალებდ ჩაატარა მაგნიტური ფირის სამონტაჟო ოპერაცია. ტელე-რადიოს მუსიკალურმა რედაქციებმა ერთხმად მიიღეს „ლალე“ რადიოს ოქროს ფონდში შესანახად.

სხვათა შორის, აღნიშნულ გადაცემაზე გამოქვეყნებულ ბრძანებაში ხაზგასმული იყო: „მომღერლის ხმის ჩანაწერების მოძიების ფაქტი საზოგადოებაში, რასაც ვერ ვიტყვით რადიოს მუსიკალური გადაცემების მთ.რედაქციაზე“.

ნ.ქუმსიაშვილის გადაცემამ, როგორც აღვნიშნეთ, დიდი გამოხმაურება გამოიწვია. არაფერი მითქვია თიანეთის რაიონის რაიკომის პირველი მდივნის მარიამ გონჯილაშვილის, რაიონის აქტივის რეაქციაზე. მდივნის სატელეფონო ზარით საუბარს, ნაწყენი კილო გაჰყვებოდა: „რატომ რაიონის ხელმძღვანელობა საქმის კურსში არ ჩაგვაყენებო“. ჩემი პასუხი ერთსახა გახლდათ: „დალოცვილებო, სასიქადულო მომღერალი ცოცხალიც თქვენი იყო და მკვდარიც თქვენთან განისვენებს. თუ ასე სწუხართ მისი სახელისათვის, მიგეხედათ საფლავისათვის, მისთვის საყვარელი იმ პატარა სახლკარისათვის და ამ გადაცემასაც სხვა ტონი ექნებოდა-მეთქი“.

რას იზამთ, სიმართლეს ვერ დაემალები. მიხედა თავიანთი გულგრილობის ნაყოფის სიმუჯეს და ტონი შეიცვალა. მ.გონჯილაშვილმა მითხრა: „გაისადნ. ქუმსიაშვილის დაბადების 90 წლისთავს ზემით აღვნიშნავთ. თქვენც მოწვეული იქნებით და ვნახოთ რა გადაცემას მოამზადებთო“. ასე დავცილდით.

მეორე წლის ოქტომბერში, მართლაც, რედაქციაში მიწვია ქ-ნ მ.გონჯილაშვილის წარმოგზავნილი და მოსანვევები გადმომცა, ნ.ქუმსიაშვილის გახსენების ზეიმში მონაწილეობის მისაღებად – თიანეთში. მართლაც, „უურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მთ.რედაქტორის ბ-ნ ოთარ ეგაძის თხოვნით, მისი კუთვნილი ავტომანქანა „ზიმით“, კინო ოპერატორ გივი ქანთარიასთან ერთად ვენწივით თიანეთს.

კმაყოფილებას ვერ ვფარავდით, როდესაც რაიონის კულტურის სახლის კედელზე გაკრულ მარმარილოს მემორიალზე ამოვიკითხეთ: – „ნიკო ქუმსიაშვილის სახ. კულტურის სახლი“. იქვე ლამაზად მოწყობილ სკვერში, მშვენიერ კვარცხლბეკზე ვიხილეთ მომღერლის შესანიშნავი ბრინჯაოს ბიუსტი. ბიუსტის გახსნის ცერემონიალზე სიტყვა ბ-ნ ოთარ ეგაძემ წარმოსთქვა, გამომსვლელებმა: საქ.თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტი მის თავმჯდომარემ დ.ანთაძემ, ზ.ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორმა დ.მჭედლიძემ, ადგილობრივმა გამომსვლელებმა თუ მოწვეულმა

სტუმრივბა ქება შეასხეს გამოჩენილი მომღერლის დიდ დამსახურებას ქართული საოპერო საშემსრულებლო ხელოვნების განვითარებაში. არაერთხელ ახსენეს ტელევიზია, მახსენეს მეც, „ვისი წყალობითაც აეხადა ბურუსი მომღერლის მივიწყებულ სახელს“.

ზეიმმა გადაინაცვლა სოფ. ორხევში. „პატარა, ქვის ხიმინჯებზე შემდგარი, დაბალი, ოროთახიანი ბანიანი სახლი, ეზო მოვლილი, მუზეუმად გარდაქმნილი დაგვხვდა. მას ამშვენებდა მარმარილოზე წარწერა „ნ.ჭუმსიაშვილის სახლ-მუზეუმი“.

ზეიმის მონაწილეებმა გადავინაცვლეთ ზევით, მთის კალთაზე, ვეება თელეხსა და მუხების ჩრდილში მიმობნეულ წინაპრად ქცეულ სასაფლაოზე. მომღერლის საფლავი დაგვხვდა კეთილმოწყობილი. დაედგათ გრანიტის ბიუსტი. შემოდგომის მზიან დღის ხეთა ჩრდილში ზ.ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრის, გუნდის, სოლისტების მიერ აულერდა „დაისის“ შესავალი. გუნდი „აბესალომ და ეთერიდან“, „რა დღე დაგვიდგა“, მალხაზის, აბესალომის არიები... მოპორებით, ხეთა ჩრდილებში ოხშივარი ასდიოდა ხინკლის ქვაბებსა და მწვადებს. ტელევიზიის მუშაკები ვილებდით საჭირო მასალას. სულ მალე ეთერში წავიდა ნიკო ქუმსიაშვილისადმი მიძღვნილი გადაცემა ახალი სათაურით – „მომღერლის უკვდავება“. მასში მაღლი მიეძღვნა ყველას, ვინაც ხელი და გულის ნანილი გაიღო მომღერლის ასე რიგად დაფასებაში. მალე მომღერლის ქალიშვილმა როდამ ქუმსიაშვილმა რედაქციაში სახსოვრად მომართვა ნიგნი – „მომღერლის უკვდავება“. გამიხარდა, რომ ქალიშვილის ნიგნზე სათაურად ჩვენი გადაცემის „ტიტრით“ იწყებოდა. ასე ვეძახდით გადაცემების დასაწყისისა თუ დასასრულის მაუნყებელ წარწერებს. მოგონებების ნიგნი სულმოუთქმელად წავიკითხე. გულში მიხაროდა რომ ყოველივე ზემოთ აღწერილში, მომღერლის უკვდავსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების დაჩქარებაში, ჩემი გულწრფელი, ალალი შრომის შედეგიც იყო. სამწუხაროდ, ჩემს მიერ მომზადებული მომღერლისადმი მიძღვნილი მეორე გადაცემის წარწერის „მომღერლის უკვდავება“-ზე მეტი ერთი სიტყვა არ იყო ნათქვამი ჩემზე თუ არა ტელევიზიაზე, მუსიკალურ რედაქციაზე მაინც. რას იზამ, მსგავსი შემთხვევები ბევრჯერ მქონია...

შემოქმედებითი საღაგოები

აუცილებლად გვინდა შევეჩერდეთ ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ანდრია ბალანჩივაძის შემოქმედებითი საღამოს მონყობაზე (ავტ. ს.ლაფაური). იგი ბრძანებითაც აღინიშნა, როგორც ფუნქციური მდებარე სტუდიისა და რუსთაველის სახ. თეატრის მცირე დარბაზის ახლად მიღებული მოძრავი სატელევიზიო სადგურის მეშვეობით ერთ სტუდიად გამოყენების წარმატებულ ცდას. ეს ტექნიკური სიახლე იყო. იმ პერიოდისათვის სტუდიის პულტით იმართებოდა მთელი გადაცემა. ფუნქციურიდან გადაიცემოდა კინო-ფოტომასალა, სადიქტორო ტექსტი, სიტყვაში გამოსვლები. იქვე სრულდებოდა მცირე შემადგენლობის ცოცხალი კამერული ნაწარმოებები, რომელსაც სცენარის გეგმის მიხედვით სხვადასხვა დროს ერთვებოდა რუსთაველის სახ. თეატრის მცირე დარბაზი: აქედან სრულდებოდა საფორტეპიანო კონცერტი - ავტორის შესრულებით: სიმფონიური ნაწარმოებები კომპოზიტის სიმფონიური ორკესტრის მონაწილეობით, საფორტეპიანო კონცერტს ლილე კილაძე დირიჟორობდა და სიმფონიიდან ნაწყვეტებს ავტორი. ფუნქციური სტუდიაში - მუშაობდნენ რეჟ. ნ. გარსევანიშვილი, რეჟ. ასისტენტი ნ. გურგენიძე, რეჟ. თანაშემწე ე. მარგიშვილი, ხმის რეჟ. სულიკო ხატიაშვილი, ტელეოპერატორები ე. დუნდუა, ლ. არცივაძე, მოძრავი სადგურის პულტს მართავდნენ რეჟ. გ. გაჩეჩილაძე, ხმის რეჟისორი ნ. ძნელაძე, რეჟისორის თანაშემწე ე. ეგეტაშვილი, ტელეოპერატორები ზ. დობორჯგინიძე, ვ. ოძეშვილი, არჩილ (არჩიკო) სარალიძე.

გადაცემამ ყოველგვარი ხარვეზებისა და შეფერხებების გარეშე ჩაიარა. ტელემაყურებელმა იხილა ერთი მთლიანი სტუდიური გადაცემა. სწორედ ეს ფაქტი აღინიშნა სიახლედ, რამაც საშუალება მოგვცა მასშტაბური გადაცემების მომზადებისათვის.

ანდრია ბალანჩივაძის შემოქმედებითი საღამო, როგორც უკვე ითქვა, საქ. ტელევიზიის საერთოდ, კერძოდ, მუსიკალური რედაქციის თანამშრომელთა მიერ დიდი წინგადადგმული ნაბიჯი გახლდათ, როგორც ორგანიზაციული, ისე შემოქმედებითი თვალსაზრისით. ასევე ითქმის ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალზე, სტუდიებში თუ მოძრავ სა-



ტილევიზიო სადგურზე მომსახურე ადამიანებზე, მოძრავ სადგურთან ტელევიზიის რედაქციების მაკავშირებელ რგოლზე, რომელსაც იბუამად გივი ძნელაძე უძღვებოდა (ეს რგოლი არსებობდა პროგრამების დირექციასთან). ისინი უზრუნველყოფდნენ რედაქციის განაცხადის მიხედვით მოძრავი სადგურის დაგეგმვას, კავშირგაბმულობის სამინისტროსაგან მაკავშირებელი სატელეფონო ხაზებით, დაქირავებული დარბაზის დამატებითი განათებით, დეკორაციის მოწყობით: ერთი სიტყვით, როგორც მას ვეძახდით, „სტუდიის გარე გადაცემების“ ტექნიკური უზრუნველყოფა ამ რგოლის გამართულ მუშაობაზე იყო დამოკიდებული. სტრუქტურულად აკინძული იყო ერთმანეთზე რედაქციებისა და ტექნიკური სამსახურების მუშაობა. თუმცა, გადაცემების მოწყობის ხასიათის, შემადგენელი კომპონენტების რაობის საკითხებში რედაქცია უფრო მეტად იყო გარკვეული, რომელი დარბაზისა თუ კულტურის სახლის სცენა გამოდგებოდა. ამიტომაც მათი დირექციებიდან, ნატურაზე გადაღების შემთხვევაში, გადაღების ნებართვა რედაქციის პრეროგატივად რჩებოდა. ამდენად, რედაქციებს საორგანიზაციო სამუშაო რომ იტყვიან, ყელამდე ჰქონდა.

ცნობილი ქართველი კომპოზიტორის შალვა მშველიძის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამოს მოსაწყობად მარტო დუშეთის რაიონში რამდენიმეჯერ მომინია ასვლა, რომელიც ასე იოლი არ გახლდათ, თუ გავითვალისწინებთ საქ. ტელერადიო კომიტეტის სატრანსპორტო საშუალებათა სიღარიბეს. ამა თუ იმ გადაცემის ორგანიზაციისათვის ტრანსპორტით ძალიან ხშირად გვეხმარებოდნენ რესპუბლიკის რაიონები, სოფლები.

ბ-ნი შალვა მშველიძე დუშეთის რაიონის სოფ. მჭადიჯვარში გახლდათ დაბადებული. მისი სურვილი იყო მოგვენახულებინა მშობლიური სოფლის სანახები. ადგილზე ნანგრევები დავგვხვდა. ლოდზე ჩამომჯდარი სევდანარევი კილოთი იგონებდა წინაპრებს, განვლილ ბავშვობას. ყოველივე ამას ვინრო კინოფირზე იღებდა ოპერატორი გივი მელქაძე, რეჟისორი გივი გაჩეჩილაძე, დღის მეორე ნახევარში გადავინაცვლეთ დუშეთის კულტურის სახლის დარბაზში. აქ გაიმართა ჩვენს მიერ ორგანიზებული შ.მშველიძის შემოქმედებითი საღამო.

სიტყვებში გამოსულები, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მთ. რედაქტორი ბ-ნი ოთარ ვეაძე, მუსიკისმცოდნე ბ-ნი ანტ. ნულუკიძე, ამ სტრიქონებისა და გადაცემის ავტორი, მუსიკის მცოდნე-ფოლკლორისტი ს.ლაფაური, რაიონის წარმომადგენლები გულთბილად ულოცავდნენ კომპოზიტორს დაბადების მე-60 წლისთავს, უქებდნენ მთაში დაბადებულ შვილს, თავის მუსიკაში დამკვიდრებულ ფშაურ კილოკავს, ნაყოფიერად განვლილ შემოქმედებით გზას.

აღსანიშნავია, რომ დუშეთელების უმრავლესობამ პირველად ნა-

ხა და მოუსმინა საქ.ტელერადიო კომიტეტის სიმფონიურ ორკესტრს. მას დირიჟორობდა ლილე კილაძე. შესრულდა შ.მშველიძის სიმფონიური ნაწარმოებები „ფშაური“, „მზის ამოსვლა“, ნაწყვეტელი სიმფონიური პოემებიდან „ზვიადაური“, „მინდია“, არიები ოპერიდან „ამბავი ტარიელიან“.

აღნიშნული ჩანერა-გადაღებების გამოყენებით მომზადდა სტუდიაში გადაცემა „შალვა შაველიძე“. მან ტელემაცურებელთა, მუსიკოსთა მონონება დაიმსახურა. ტელემაცურებელთათვის ამიერიდან შესაძლებელი გახდა პრესაში ნაკითხულით ან სხვა წყაროებით, ნაცნობი თუ უცნობი კომპოზიტორების პიროვნება, მათი შემოქმედება, საკუთარ ოჯახებში გაეცნოთ, მოესმინათ.

ასეთივე წარმატებით განხორციელდა ალექსი მაჭავარიანის, გუგული თორაძის, ოთარ თაქთაქიშვილის, რევაზ ლალიძის, სულხან ნასიძის, ოთარ თევდორაძის, სანდრო მირიანაშვილის, ბიძინა კვერნაძის, ირაკლი გეჯაძის, სოსო კეჭაყმაძის, ვაჟა აზარაშვილის, ნოდარ მამისაშვილის, შოთა მილორავეას, შალვა დავითაშვილის (დავიდოვი), ს.ცინცაძისა და სხვ. საავტორო შემოქმედებითი სალამოები, გადაცემების ავტორები გახლდნენ პ.ხუჭუა, ა.წულუკიძე, ნ.ქავთარაძე, გ.ტორაძე მ.ახმეტელი მ.ქელბაქიანი, მ.ფიჩხაძე და ჩვენი რედაქციის თანამშრომლები.

მუსიკალური დადგმები. უხევედრები

რედაქციის მომძღავერებამ, სატელევიზიო სპეციფიკაში ღრმად ჩახედვამ, დიდი ფორმების წარმატებით დაძლევემ, თანდათან გაგვიხსნა გზა მრავალფეროვანი კონცერტების, შემოქმედებითი პორტრეტების, ქალაქის საკონცერტო თუ თეატრალურ დარბაზებში შეხვედრა ტელემაყურებლებთან დიალოგების მოსაწყობად. რეჟ. ასისტენტები უ.მჭედლიძე, თ.გუდკოვი, ვაჟა ჭიპაშვილი და სხვები დამოუკიდებელ გადაცემებს წარმატებით ართმევდნენ თავს. მთავარმა რეჟისორმა ს.ეველახიშვილმა განახორციელა ლიტერატურულ-მუსიკალური დადგმა „მოცარტი და სალიერი“, უ.მჭედლიძემ დამოუკიდებლად დადგა „ეპიზოდი ბეთხოვენის ცხოვრებიდან“, „იგი მოიცავდა დიდი კომპოზიტორის სიცოცხლის ბოლო წლების, სიყრუით განანამებ ტრალედიას. ასევე განახორციელა უილიამ საროიანის ნოველა „როიალის“ დადგმა. (ავტორი ს.ლაფაური).

უაღრესად საინტერესოდ მიმანია 1962-66 წლებში რედაქციის მიერ განხორციელებული დამონტაჟებული, შემოკლებული ვარიანტით მომზადებული საოპერო დადგმები. აგრეთვე გადაცემები ციკლიდან „სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან“, გადაცემებს რედაქტორობდა ნ.გურგენიძე, რეჟისორები გივი გაჩეჩილაძე და უშანგი დარჩია, მხატვარი იხუროშვილი, რეჟ.ასისტენტები ჟენია მარგიშვილი, ნ.ჩხეტიანი, ლ.ლეონიძე, გივი ახვლედიანი, ვია ჩიტალაძე, რ.ქიტუაშვილი. რედაქციის თხოვნით ჩვენთან აქტიურად თანამშრომლობდნენ კონცერტმეისტერები: დოც. ნინო დაფერაშვილი, ნინო ძამაშვილი, რახილ გლეზერი, მარია კამოვეა, ელენე რჩეულიშვილი, ლიკა ძამაშვილი. მათი დაულალავი შრომით მზადდებოდა აგრეთვე ქართული რომანსები, არიები სხვადასხვა კომპოზიტორთა ოქერებიდან. ისინი ჩვენთან არასათანადო პირობების გამო, საკუთარ ოჯახებში ამზადებდნენ მომღერლებს რედაქციის მიერ დაკვეთილი რეპერტუარით. ასე მზადდებოდა ქართული, რუსული, დასავლეთ ევროპის ცნობილ კომპოზიტორთა „ვოკალური ციკლები“, სა რომანსო შემოქმედება, რომელიც ტელევიზიით გადაიცემოდა ციკლიდან „რომანსის საღამო“ და სხვ.

ქართული საოპერო სპექტაკლების სიმრავლით ვერასოდეს ვერ იკვებინდა ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი. ამას თავისი მიზეზიც ჰქონდა. ერთ-ერთი იყო ქართველ კომპოზიტორთა ოპერების მუსიკალური დრამატურგიის ღერძის სისუსტე. ასეთ შემთხვევაში ტელევიზიას უფრო გააჩნდა ამ ხარვეზის „გადასაფარი“, ანუ ტელეგამოსახვეთი საშუალებების გამოყენებით, სიუჟეტური ხაზის გამთლიანების უნარი. ამიტომაც შევეჭიდეთ მ.ბალანჩივაძის ოპერა „დარეჯან ცბიერის“ ტელევიზიანტით დადგმას. მასში გამოყენებული იყო რადიოს ფონდში დაცული მაგნიტურ ლენტზე ძველი ჩანანერები. დადგამს საერთო მონონება დაიმსახურა (რეჟისორი გივი გაჩეჩილაძე).

ასევე წარმატებით დაიდგა, ოლონდ საკონცერტო (ე.ი.როიალზე) შესრულებით აკაკი ანდრიაშვილის ოპერა „ოთარაანთ ქვრივი“, კოტე მელვინეთუხუცესის კომიკური ოპერა „ბეკინას ქორწინება“ და სხვ. (რეჟ. გ. გაჩეჩილაძე). უნდა აღინიშნოს რეჟ. გივი გაჩეჩილაძის დიდი წვლილი ქართული ოპერების ტელევიზიაში, თბილისისა თუ ქუთაისის თეატრებში დადგმის გამო.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრისა თუ სტუდიის დადგმაში მომღერლებს, მსახიობებს, კონცერტმეისტერებს ზემოთ აღვნიშნე და კვლავ ვიმეორებ, რომ უღრმესი მადლობის მეტი რა გვეთქმოდა. რედაქციის მხრივ ყოველი ახალი ნაწარმოების შესწავლას, მისი მელოდიის გათავისებას დიდი, ყოველდღიური შრომა სჭირდება. ხშირ შემთხვევაში, სარედაქციო სათანადო თანხის უქონლობის გამო, კონცერტმეისტერებს, მომღერალ-შემსრულებლებს ჰონორარის კუთვნილის მესამედსაც ვერ ვუხდით. და მაინც, მოჯადოებული ტელეეკრანი, ყველაფერს აგვარებდა მათი და ჩვენი კეთილი ურთიერთობის, ერთუზიანების წყალობით.

მუსიკალური შეხვედრები

რაც დრო გადიოდა, სულ უფრო ფართოვდებოდა ტელეგადაცემათა არეალი. მოძრავი სატელევიზიო სადგურების შემომატებად, ადგილებზე ვიდეო ჩანერის საშუალებებმა სულ უფრო განზე გასწია გადაცემების ინტერესთა სფერო.

თუ ადრე, ტელეთეორეტიკოსები ტელევიზიას განიხილავდნენ, როგორც კამერული ჟანრის საინფორმაციო საშუალებად. საქმის ნამდვილმა ვითარებამ ტელემუშაკთა წინაშე მასობრივ-სანახაობითი ჟანრისადმი ჩვენი და ტელემყურებელთა ინტერესი გამოხატა.

მოსკოვში, „ოსტანკინოზე“ ახალი ანძის აღმართვამ, ვრცელი სტუდიების მყურებელთა დარბაზების აშენებამ ცენტრალური ტელევიზიის დიდ კოლექტივს დიდი პერსპექტივები გადაუშალა. ჩვენც გადავდით ახალ „ჩვენთვის ფართო“ შენობაში. მაგრამ, რა ტექნიკაცა და სასტუდიო საშუალებებიც ცენტ. ტელევიზიის ცალსახად აღებულ მუსიკალური გადაცემების მთავარ რედაქციას ემსახურებოდა, იმ საშუალებებს სიზმარშიც ვერ ვნახავდით. მართო ძვ. შაბალევკაზე განლაგებული სტუდიები და ტექნიკური საშუალებებიც კი თავს გადასდიოდა ჩვენს ახალ შენობას, „მის ტექნიკურ აღჭურვილობას“, მცირე ერები ხომ მათთვის ყოველთვის „უმცროსი ძმები“ ვიყავით და როგორც ოჯახში უმცროსი შვილები, ხშირ შემთხვევაში უფროსი შვილის გამონაცვალით იზრდებიან, ასევე ვიყავით მოსკოველი კოლეგებისათვის. მათგან ასევე ვიღებდით უკვე ნახმარ და გამოცვლილ ვიდეო-სასტუდიო ჩამწერ აპარატურას. ეს ჩვენთვის მაინც სასიხარულო იყო. მაინც რაღაცის გაკეთების სტიმულს გვაძლევდა. ასე დავინწყეთ საზეიმო განწყობის „მუსიკალური შეხვედრები“ შრომის მონინავეებთან, ფაბრიკა-ქარხნების მუშა-მოსამსახურეებთან. მაგალითად თბილისის ორთქმავალ-ვაგონ-შემკეთებელ ქარხანაში ერთ-ერთი საზეინკლო საამქროში მოვანწყვეთ შეხვედრა შესვენების საათებში. ამ გადაცემას ეწოდებოდა „როცა ჩარხები სდუმან“. ორთქმავლებზე, გასარემონტებელ ვაგონებზე თუ ჩვენს მიერ განყოფილ ფიცარსკამებზე შემოხუნძლულიყვნენ ზეინკლები, დურგლები, მემონტაჟები, მუშები, მემანქანები. ბევრი მათგანი პირველად ხე-

დაედა ასე ახლოს ცნობილ კომპოზიტორებს, საოპერო თეატრის სახელოვან მომღერლებს, ფილარმონიის სოლისტებს.

ნამყვანმა ჯულიეტა ვაშაყმაძემ დიდი მებსიერებისა და ნიჭის წყალობით სულ რამდენიმე გადაკითხვით ისე გაითავისა სცენარი (ავტ. ს.ლაფაური), რომ ეკრანის მიღმა მდგარმა ერთი სიტყვის მოკლება-დამატებაშიც ვერ შევნიშნე. იგი იქვე იღებდა ინტერვიუებს, იქვე ცოცხლად ვუსრულებდით თხოვნას, რისი მოსმენაც სურდათ. (საამქროში მონყობილი იყო სცენა, შეტანილი გეჟონდა პიანინო). რეჟისორები გ.გაჩეჩილაძე და უ.დარჩია, რედ. გ.გრიგოლია და ო.ჩიტი). გადაცემას ქარხნის გაზეთმა „საყვირმა“ ვრცელი მადლობის რეცენზია მიუძღვნა. ასევე კარგი წერილები დაიბეჭდა გაზეთ „თბილისში“ და ა.შ. ამავსე ხასიათის გადაცემებს შემდგომ თვეში ერთხელ ვანყობდით თბილისისა და რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში, მაგრამ, „როცა ჩარხები სდუმან“ განსაკუთრებულად შემორჩა ჩვენს მებსიერებას, როგორც ამ ხასიათის გადაცემების პირველი მერცხალი (აღინიშნა მადლობით); მოგეხსენებათ, მაშინდელი სსრკ-ში და ჩვენს რესპუბლიკაშიც რის დღე აღარ იყო დანესებული: მევანახეთა, მეჩაიეთა, მეციტრუსეთა, მეთეზეეთა, მედიცინის მუშაკთა, მეხანძრეთა, მეცხვარეთა, მეტყუვეთა და მგონია, „მუქთამჭამელთათვისაც“.

ჰოდა, ყოველი ასეთი დღე საზეიმოდ აღინიშნებოდა. პარტიის ცეკადან კი დაბეჯითებით გვთხოვდნენ მოხსენებით ბარათებს, თუ რა „ლონისძიებებს ვატარებდით“. ჩვენც ვტრიალებდით, ვქმნიდით გადაცემებს. ზოგს „მუსიკალურ ფოსტას“ უძღვნიდით (რედ. ეთერ ცინცაძე), ზოგს სტუდიაში ვინვევდით და ხილის, ლიმონათ-ბორჯომის მაგიდებზე განლაგებით, ვთავაზობდით ხელოვნების ოსტატთა იქვე შესრულებულ კონცერტს. სტუდიაში კაფე-რესტორნის მოწყობით ბევრი მასობრივი საახალწლო გადაცემაც მოგვიმზადებია. „მუსიკალური შეხვედრების“ გამართვით ბევრი საინტერესო საქმე კეთდებოდა. ჩვენი რედაქციები უფრო ახლოს ეცნობოდნენ ნალდ მშრომელებს და ნამდვილი სიხარულიც შეჰქონდათ მათში.

გასვლითი „მუსიკალური შეხვედრებიდან“ უნდა დავასახელო თბილისის საავიაციო ქარხანაში, ბოლნისის რაიონის სოფ. კაზრეთის მადნეულის კომბინატში, დმანისის რაიონში, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, საგარეჯოში, ტყიბულში, ტყვარჩელში, რაჭაში, ახმეტაში და სხვ. ყველა ზემო დასახელებულ რაიონებში, ქალაქებში, სოფლებში, ასე ახლოს პირველად ხვდებოდნენ საქ. ტელერადიოს მუსიკალური კოლექტივები მშობელ ადამიანებს. მუსიკოსები, მომღერლები ეცნობოდნენ, ეხმარებოდნენ მათ სულიერ ამაღლებაში.

„მუსიკის ზეიმი რაჭაში“ (ავტ. ს.ლაფაური) ასე ერქვა გადაცემას, რომელიც საქ. კომპოზიტორთა კავშირთან ერთად გავმართეთ ამბრო-

ლაურის ცენტრში და სოფ.ნიკორწმინდაში, ჩუქურთმაში ჩამჯდარი ნიკორწმინდის ტაძრის ეზოში. ეს იყო 1964 წ. გაზაფხულზე. რაჭაში გასვლითი კონცერტის იდეა ეკუთვნოდა კომპოზიტორთა კავშირის მდივანს გუგული თორაძეს. ამბროლაურში მასთან ერთად იყვნენ კომპ. კავშირის თავმჯდომარე ალ.მაჭავარიანი, ბ.კვერნაძე, გ.ყანჩელი, ო.გორდელი, მუსიკისმკოდნეები პ.ხუჭუა, ა.ნულუკიძე, გ.ტორაძე, მ.ქელბაქიანი, გამოჩენილი მომღერალ-შემსრულებლები, ჩვენი კომიტეტის სიმფონიური ორკესტრი (დირ. ლილე კილაძე), მამია ხატელიშვილის ვოკ. კვარტეტი და სხვ.

ამბროლაურის კულტურის სახლის მოზრდილ დარბაზში ტევა არ იყო. აქ თავი მოეყარათ სოფლებიდან თუ ონის რაიონიდან ჩამოსულ ადამიანებს. ისინი ასე ახლოს პირველად ისმენდნენ სიმფონიური მუსიკის კონცერტს, პირველად ხედავდნენ ქართველ სახელოვან მუსიკოსებს. იყო გულთბილი შეხვედრები გ.თორაძის მშობლიურ სოფ. სადმელში, ქინძმარაულში და სხვ.

ასევე არ შეიძლება არ გავიხსენო „მუსიკალური შეხვედრები“ ტყვარჩელის მემახტებთან, ქალაქის მცხოვრებლებთან. კომიტეტის სიმფონიურმა ორკესტრმა გივი აზმაიფარაშვილის დირიჟორობით მსმენელს შესთავაზა რ.ალაიძის, ო.თაქთაქიშვილის, მსოფლიოში ცნობილი კომპოზიტორების პოპულარული საოპერო არიები და სიმფონიური ნაწარმოებები. წარმატებით გამოვიდნენ ვოკ. „ოქტეტი“ მამია ხატელიშვილის ხელმძღვანელობით, აგრეთვე ხალხური და საესტრადო ანსამბლები. მეორე დღეს დასკვნითი კონცერტის შემდეგ ერთმანეთს ეცილებოდნენ გულთბილი სიტყვების გამოთქმაში ტყვარჩელის მემახტეების, ინტელიგენციის წარმომადგენლები. „მადლობა თქვენ, მადლობა ყველას მიღებული დიდი სიამოვნებისათვის. პირველად გიხილეთ ასე ახლოდან, მანამდე თქვენი სახელი და შესრულება გვსმენია მხოლოდ რადიოთი. დიდხანს ემახსოვრებათ ტყვარჩელელ ახალგაზრდებს თქვენთან შეხვედრა“ და სხვ. აღნიშნავდა ტყვარჩელის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

1986 წ. 26 ოქტომბერს საქტელერადიოს სიმფონიური ორკესტრი გივი აზმაიფარაშვილის ხელმძღვანელობით, თბილისის „ფოლკლორული ანსამბლი“ ხელმძ. რობერტ გოგოლაშვილი, სსრკ დიდი თეატრის სოლისტი მაყვალა ქასრაშვილი, კომპოზიტორი და მომღერალი ნუნუ გაბუნია, ქუთაისის ოპერის თეატრიდან ვაჟა კუბლაშვილი, რესპ.სახ.არტ. ნათელა მკერვალიშვილი, სოლისტი ლევან ასათიანი და სხვა. ვენჯივთ ტყიბულს. ტყიბულელი მემახტეებისადმი მიძღვნილ საზეიმო კონცერტში მონაწილეობდნენ აგრეთვე მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები. ტყიბულელთა მშვენიერ საგუნდო კოლექტივის სათავეში ედგა ცნობილი კომპოზიტორი და დირიჟორ-მომღერალი მამია ხატელიშვი-

ლი. რედაქტ. გ. გრიგოლია, დიქტ. დ. კინწურაშვილი, რეჟის. უშ. დარჩია, ხმის რეჟისორი ნ. ძნელაძე, ოპერატორები ზ. დობორჯგინიძე, ჯ. გრიგოლაშვილი, გ. გაფრინდაშვილი, მოძრავი სადგურის ტექნიკურ-საინჟინერო პერსონალს უძღვებოდნენ ნიკო ბახტაძე და შალვა მანჯგალაძე.

კახრეთის მადნეულის მშრომელებთან შეხვედრაში მონაწილეობდა საქ. ტელე-რადიოს კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი კარლო გარდაფხაძე. იგი შეხვედრის დასაწყისში ლელავდა „- არაფერი არ შეგვპლოდა“. მადნეულში სიმფონიური ორკესტრის მსახიობებთან ერთად მონაწილეობდნენ კომიტეტის სხვა მხატვრული კოლექტივები, საოპერო თეატრის სოლისტები, საქ. ფილარმონიის მსახიობები. საღამო დიდებულად ჩატარდა! ჩასულ მსახიობ-მონაწილეთა 150-ზე მეტი ადამიანი ბ-ნმა კარლომ ვიდრე ავტობუსებში ჩამჯდარნი და გზაში კოლონად დაძრულნი არ იხილა, იქიდან ფეხი არ მოიცვალა. მე კი მთხოვა მისი მანქანით მეგზავრა. თბილისში მომავლებმა გზად ბევრ რამეს შევეხეთ. იგი დადებითად აფასებდა მუსიკალური გადაცემების მთავარი რედაქციის მოღვაწეობას. იყო საუბარი კიკვიძის ცხოვრებიდანაც. ბ-ნი კარლო ნაფრონტალი, მხარში ნაიარევი კაცი ვახლდათ. ვიცოდი, რომ ბაევშვილის ნლები სასიხარულო არ ჰქონდა. დედ-მამას 1937 ავბედით ნლებში გამოსთხოვებია, კეთილი ადამიანების დახმარებით გამოსულა ცხოვრების დიდ გზაზე. შვილმრავალ ოჯახს ალალი, პატიოსანი შრომით არჩენდა.

...მინდა დმანისში ჩვენი „მუსიკალური შეხვედრა“ გავიხსენო.

ვისაც დმანისის „დმანისობა“ ბოლნისისა და მახლობელი რაიონებთან ახლო გაცნობის საშუალება ჰქონია, დაგვეთანხმება, რომ იქ ქართველები სამწუხარო უმცირესობას წარმოადგენდნენ. ამიტომ, მიუხედავად სკკპ-ს ძალისხმევით დამკვიდრებულ ენ. „ხალხთა ძმობის“, „ინტერნაციონალურ“ იდეოლოგიური ზენოლის, ეროვნული უმცირესობათა ამ შთანთქმელი, დამლუპველი პოლიტიკისა, ზევითაც იღწვოდნენ პიროვნებები, რომლებიც ახერხებდნენ ჯერ კიდევ დაუკარგავ მინანქალზე მენყერების მიწისძვრებისა, თუ სხა მიზეზთა მიშველიებით, იქ ჩაესახლებინათ აჭარიდან, სვანეთიდან, რაჭიდან, იმერეთიდან ჩამოყვანილი მოსახლეობა. ასე გამაგრდა ბოლნისის რაიონში დიდი სულხან-საბას ნასოფლარი ტანძია. ასე დასახლდა ჯანდარი ამჟამად „ლემშვენიერი“. ამ საშვილისშვილო პროცესმა დმანისშიც გადაინაცვლა. იქ 70-ზე მეტი სვანები ოჯახი ჩაასახლეს ახალ, შესანიშნავ ბინებში... და, აი, მათთვის და ძირძველ დმანისელთათვის რამდენჯერმე მომინია, როგორც „მუსიალური შეხვედრების“, ისე სახალხო დღესასწაულის „დმანისობის“ მოწყობა. ამის ინიციატორი გახლდათ დიდი პატრიოტი, მამულიშვილი მაშინდელი საქ. ცეკას პირველი მდ. ჯუმბერ პატიაშვილი. 9 აპრილის ტრაგედია უდაოდ შებლალა მისი პიროვნული ღირსებები. მაგრამ, ღრმად ვარ დარწმუნებული უამთავლა მას ამ ლაქას ჩამოაცლის.

ისტორია გამოაქვს და იმ სისხლიანი ორგის ნამდვილ დამნაშავეებს და საკადრისი მიეზღვებათ.

იმჟამად ტელერადიო კომიტეტის თავმჯდომარე შესანიშნავი ჟურნალისტი არმაზ სანებლიძე გახლდათ. მე მას წარუდგინე სცენარი, რომელსაც „დმანისის ალორძინება“ ვუწოდებ. მან თვალი გადაავლო მასალას. მოეწონა. უკან დამიბრუნა და მითხრა: „რა ოპერატიულად დაგინერია. ბ-ნ ჯუმბერს მე ვუთხარი, ალბათ ორ-სამ კვირაში იქნება სცენარი მზადო. აილო სამთავრობო ყურმილი და აცნობა, რომ დმანისზე სცენარი წინ მიდევს და სოლომონიცი ჩემთანააო“ ...ბ-ნმა ჯუმბერმა ჩემი სასწრაფოდ მისვლა ბრძანა. მეც არ დამიყოვნებია. საშვი მზად დამხვდა, სწრაფად ავედი მისალეში.

პირველი მდივნის მისალეში დიდხანს არ მილოდინია. ვილაცა გამოვიდა კაბინეტიდან და თანაშემწემ მითხრა: „ველოდებთ, შებრძანდით!“

ბ-ნი ჯუმბერი თბილად შემხვდა. არ ველოდი სცენარის ასე მალე წარმოდგენასო. კითხვას შეუდგა. ვაკვირდებოდი მისი სახის მოძრაობას. ვგრძნობდი უკმაყოფილო არ ჩანდა. კარგი შეფასება მისცა მიკროფონებით აღჭურვილი ნამყვანი მსახიობების ხალხის მასიდან სცენაზე თადარიგით შემოსვლამ, მათ მიერ დმანისის მტხრთან შეხილი ამ მონინავე სადროშოს წარსული ისტორიის მთავარი მომენტების თხრობამ. მსახიობთა თხრობის ეპიზოდებში ქართული საბრძოლო სიმღერებისა თუ ცეკვების ჩატეხვამ.

ლაკონიურად შემოხაზული სცენარის პირველი ნაწილი სულ 20-25 წ. გრძელდებოდა. ჩვენი დიქტორების ლია მიქაძისა და თენგიზ ნათაძის სცენაზე შენაცვლებით მთავრდებოდა წარსული და მას თანადროულობა, ანუ ზეიმი მოჰყვებოდა.

ბ-ნ ჯუმბერმა მომიწონა სათაური „დმანისის ალორძინება“ და საზეიმო ნაწილის მუსიკალური პროგრამაც. მითხრა: „ასე უცბად ლექსი „წინაპარ დმანისელებს“ ვინ დაგინერაო“. არავინ, ჩემია ეს სტრიქონები. მასზედ კომპოზიტორი ნუნუ გაბუნია სწერს ახალ სიმღერას და სიურპრიზად შესრულდება მეთქი. აი, ის ლექსიც:

ეპეი, დმანისელებო
მკერდით ნაღენწო ხმალზე,
იქნებ მკვდრეთიდან წამოდგეთ
ჩვენგან ნამღერის ხმაზე...
დიდო დმანელო, ღვთის კაცო,
გახსენი მიწის კარი,
ჩვენი ხმით ზეცა ბუბუნებს,
თქვენ მანდედან თქვით ბანი...
დიდი ხანია „ჩაკრულოს“
ხმები არ გაგიგიათ...

გამარჯვებულთა ყიყინში
ღვინო არ დაგიღვრიათ...
ველარ დაგიცაეთ მომხედურთგან
სამხრეთის კარიბჭენი,
შემოილალა „სამოყვროდ“
ჩვენთან მოსული მტერი.
ერთხანს მინავლდა, დანაცრდა
თქვენგან ნანთები კერა,
ქართული სიტყვა, სიმღერა,
უცხოთი გადიფერა;
მაგრამ სიკვდილმა ვერ მოგვკლა,
ვერ ამოგვფარა მინას,
მთის ქართველობა მოჯარდა
და მამა-პაპათ ფიცავს;
კვლავ იგუგუნებს ბუხარი,
ბოკვერებს დაგიბელებთ,
სხვა ხმაზე ნაყმუვლ დილას
„ლილეთი“ გაგიტენებთ.

ნამყვანის მიერ ლექსის ბოლოს სტრიქონზე სცენაზე მდგარი გაერთიანებული კომიტეტის ეთნოგრაფიული ანსამბლი, მხატვლიშვილის „ოქტეტი“ და დმანისში ჩასახლებული სვანებისაგან ჩემს მიერ ორგანიზებული მომღერალთა ანსამბლი ერთად ასრულებდნენ „ლილეს“.

ბ-მა ჯუმბერიმ გამოიძახა მდივანი მრენველობისა და მშენებლობის დარგში სანდრო ახვლედიანი და სთხოვა პირადი მეურვეობა გაენია სადმანისო პროგრამისათვის. ისიც დასძინა, რომ კოლექტივები, მსახიობები და ა.შ. დმანისში გაემგზავრებოდნენ სასტუმრო „ივერიის“ ეზოდან 1988 წ. 6 ნოემბერს დილით 9 საათზე.

უკვე დმანისში ვართ. ახლად დასახლებულ სვანების გვერდით გამწვლილ პლატოზე აგებულ „თეატრონზე“ ზეიმი დაიწყო. მთლიანობაში „დმანისობა“ კარგად ჩატარდა. ემოციური გამოვიდა ფინალიც; როცა „ჩაკრულოს“ თითქმის გადაება „ლილე“. სიმღერას იწყებდნენ უკვე ადგილობრივი სვანები, მათ პირველსავე მუზილიდან სცენაზე თანდათან შემომატებით უერთდებოდნენ დანარჩენი კოლექტივები.

დასასრულს იყო დიდი ოვაციები, ტაში. მას გამოსხატავდნენ ათასობით დამსწრე ადამიანი, როგორც ადგილობრივი, ისე მეზობელი რაიონებიდან, სოფლებიდან, თბილისიდან ჩამოსულნი.

ერთხანს გარინდებული ვიდექი. ეტყობა შინაგანი დაძაბულობის გამო ფერიც შეცვლილი მქონდა. მხარზე ხელის შეხება, შემოხვევა ვიგრძენი. „მომილოცია, მშვენიერი ზეიმი ჩაატარეო“ მითხრა. ეს – ბ-ნი ჯუმბერი იყო... ბევრი მილოცავდა ნარმატებას, მათ შორის უცნობიც.



მუსიკალური ტრანსლაციები

მთავარი რედაქციის საზრუნავი ყოველთვის იყო ტელემაყურებელთათვის მიგვენოდებინა მეტი, ახალ-ახალი საკონცერტო პროგრამა, განგვეტვირთა ტელეეკრანი მობებზრებელი საუბრებისაგან. ამ მიზნით უნდა ითქვას, რომ რედაქციის მთელი შემადგენლობა სრული დატვირთვით მუშაობდა. საშტატო რიცხობრივმა ზრდამ უკვე საშუალება მოგვცა მთ.რედაქციის დანანევრება ჟანრობრივ განყოფილებებად. შევქმენით კლასიკური და თანამედროვე მუსიკის (განყოფ. უფრ. მ.რამიშვილი) მასობრივ-სანახაობითი (აქვე შედიოდა ტრანსლაციები) განყოფილება (განყოფ. უფრ. ნ.გურგენიძე), საესტრადო-საკონცერტო განყოფილება უკვე არსებობდა. მთ.რედაქციის დაემატა პასუხისმგებელი მდივნის საშტატო ერთეული, რომელსაც ჩაუყენეთ რედაქტორი ბ.ჩადუნელი. რეჟისორებს შემოემატა თ.ელიავა (პროფ. მსახიობი, მაგრამ კარგი მუსიკალური მონაცემების მქონე, მომღერალი). თუ სანყის წლებში მარტო მე ერთს მიხდებოდა ზრუნვა ხალხური ხელოვნების ეკრანიზაციისათვის, იმჟამად უკვე ამ ჟანრშიც მოვინახერხეთ ცალკე შემოქმედებითი ჯგუფის დაკომპლექტება. სენი იყვნენ ზევით უკვე მრავალგზის ნახსენები რედ. ო.ჩიტაია, რეჟ. ვ.გელაშვილი. რედაქციაში საკმაოდ გვყავდნენ რეჟ. ასისტენტები, თანაშემწეები. თანდათან შესაძლებელი გახდა რედაქტორ-რეჟისორების დანყვილება იმ მოტივით, თუ ვის რომელ ჟანრში უფრო შეეძლო ხარისხიანი პროდუქციის შექმნა. მაგალითად რედ. ირინა რობიტაშვილი და რეჟ. ლ.შაკიაშვილი საბალეტო ჟანრს უვლიდნენ, როგორც გადაცემებს, ისე საბალეტო სპექტაკლების ტრანსლაციებს.

რაკილა ტელევიზიამ მოძრავი სადგურები მიიღო, მას შემდეგ საქართველოს მაყურებლებს არ მოკლებიათ ტელეეკრანზე ეცქირათ, ესმინათ, დამტკბარიყვნენ თეატრალური სპექტაკლებით, საავტორო საღამოებით, სიმფონიური, კამერული, საესტრადო, ხალხური, საზეიმო კონცერტებით. მრავალთაგან გამოეყოფო ზოგიერთს. ხმა დაირხა, რომ სსრკ აშშს შორის ყინულის შეღობის შედეგად ჯორჯ ბალანჩინის მსოფლიოში აღიარებული საბალეტო დასი კავშირს ეწვევაო. თავდაპირველად მას შესთავაზეს ორ-ორი

სპექტაკლის გამართვა ახლანდელ სანკტ-პეტერბურგში და მოსკოვში. მალე გაირკვა, რომ ჯ.ბალანჩინის მოთხოვნით მის გასტროლებს თბილისიც დაემატა. მინის ყივილმა მაინც თავისი გაიტანა. ვერც ნარმოვიდგენდით, რომ გიორგი (ჯორჯი) ბალანჩინი, აღზრდილი კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივადის ოჯახში, ძმა ქართველი კომპოზიტორის ანდრია ბალანჩივადისა ისე წავიდოდა, სამშობლოს არ ნახავდა, მშობელ ხალხს არ აზიარებდა მის მიერ მსოფლიოში აღიარებული ბალებს.

მივიღეთ ყველა ზომები, ჩვენი მხრიდან ყოველმხრივ „ცივილიზებულ“ (ახლა მოდაშია ეს სიტყვა) დონეზე დახვედრისა. გამოიყო საუკეთესო მოძრავი სადგური, დაკომპლექტდა შემოქმედებითი ჯგუფი. კაგებეს შეუთანხმებლად რა გამოვიდოდა?! იქეთ ცივი წყალი კი არა მგონია, ცინული გადაგვასხეს. „არც გაბედოთ იქ მისვლა, თქვენი ოჯახები ვერ აუვა იმ ვალებს, რასაც სპექტაკლებში მოგთხოვენო“. განსაკუთრებით გვაშინებდნენ ბალების დირექტორ-განმკარგულებელის ცივისხლიანობით. „დიდ თანხას მოგთხოვენ, ანდა უკვე აშშ-დან გამოგზავნიან ჩეკს თქვენთვის ვითომცდა უსასყიდლოდ მოცემული სპექტაკლისათვისო“. ამ ამბავმა შიშის შოკში ჩაგვაგდო. მაინც გავრისკე და ოპერის თეატრში ანდრია ბალანჩივადის კალითას ამოფარებული ვენჯიე ჯ.ბალანჩინის, მის დირექტორ-განმკარგულებელს. მათ ჩუმად ერთმანეთს გადაულაპარაკეს. შემდეგ კი მითხრეს: „რამდენ სპექტაკლს გადასცემთ“. „ჩვენ არცერთის თანხა არა გვაქვს და... თუ ერთს მაინც გვაჩუქებთ ქართველი ხალხის სახელით მაღლს მოგახსენებთ“-მეთქი. გაეცინათ... ერთმანეთს შეხედეს და... ორი სპექტაკლი საკმარისიაო“? კინალამ სიხარულით ცას ვიყავი. ასე დავცილდი მეორე დღემდე.

ჯ.ბალანჩინის ორი საღამოს საოცრება გადავეცი თეატრში. დასის დირექტორმა. ერთი კი შეიცხადა, როდესაც ოპერის თეატრში ვეება მახინა მოძრავი სადგური, გაშლილი ბაპაჭუასავით დახლართული კაბელების ქსელი, სამფეხა ხიმინჯებიანი ტელეკამერები იხილეს. სადღა იყო ევროპაში, ამერიკაში მსგავსი სიძველე. მათვის ეს გასული საუკუნის 20-იანი წლებია. იქ უკვე სტაციონარები, ადამიანთა თვალში ნაკლებად მოსახვედრი მიკროტექნიკა გახლდათ. მაგრამ, პირობა არ დაურღვევიათ, ტრანსლაციები მოხდა. ჯ.ბალანჩინზე შემოქმედებითი პორტრეტიც მოვამზადეთ, ნაჩვენები იყო კინო ვინრო ფირზე გადაღებული - მისი ჩასვლა მშობლიურ ქუთაისში და დედ-მამის საფლავთან მისი დუმილი.

გასახსენებელია ასევე აშშ-ს მიჩიგანის უნივერსიტეტის სტუდენტ მოყვარულთა სასული ორკესტრის სტუმრობა თბილისში. ფაქტიურად ბევრმა მაშინ ვიგრძენით თუ რა მშვენიერი, ყურთასმენის დამატ-

კობოელი, ლულუნა ხმა ჰქონია სასულე ინსტრუმენტებს., ქართულ სიმ-ფონიურ ორკესტრებში მრავალი ჩემი მეგობარი უკრავდა. ყველანი გა-ოგნებულნი ვიყავით მიჩინაგელ სტუდენტთა უმაღლესი პროფესიონა-ლიზმით, ბგერის სითბოთი. ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლდათ ბ-ნი გრინბერგი. მე მას, სასტუმროში ვენვით და საჩუქრად მივართვი ერთსაათიანი გრძლივობის ქართული ხალხური სიმღერების ჩანანერები, რომელსაც თანმიმდევრულად თან ახლდა თითოეული სიმ-ღერის დასახელებისა და შინაარსის ანოტაცია ინგლისურ ენაზე.

მან აღფრთოვანება ვერ დაფარა, როდესაც გაიგო, რომ იგი იყო საქართველოს ტელერადიო კომიტეტის „ოქროს ფონდიდან“ გადანე-რილი. მის მიმართ ჩვენი ყურადღებით აღფრთოვანებულმა მითხრა: რით შეეძლო ჩვენი სამსახური. ჩვენც ეს გვინდოდა. ვთხოვეთ: – „უსახ-სრობის გამო ვერ გკადრეთ თქვენი ორკესტრის კონცერტის ტრან-სლაციის უფლება. თუ ნებას დაგვრთათო“. სიამოვნებით დაგვთან-ხმდა. ასე მოისმინეს და ნახეს ბრწყინვალე სასულე ორკესტრის კონ-ცერტები, რომელიც ბევრ მუსიკალური აღზრდის კერას გამოადგათ, რათა მიებაძათ მაღალი პროფესიონალიზმის მიღწევამი. (სხვათა შო-რის, აღსანიშნავია, რომ მიჩიგანის სასულე ორკესტრში ბევრი ქალიშ-ვილი უკრავდა რთულ სასულე ინსტრუმენტებზე. სწორედ მიჩიგანელ-თა მიბაძვას მოჰყვა ქართველ გოგონათა ამავე საკრავებით გამოჩე-ნა.)

აშშ-ში დაბრუნების შემდეგ გრინბერგმა თავის ვილაში გახსნა ლექ-ცია-საუბრების ციკლი „ქართული ხალხური მუსიკა“. 1967 წ. ჟურნალ ამერიკის ბოლო შემაჯამებელ ნომერში დაიბეჭდა მსოფლიოში სახელ-მთხვეჭილ კომპოზიტორ იგორ სტრავინსკისთან ინტერვიუ, თუ რა იყო იმ ნელს კომპოზიტორის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი.

მან უპასუხა: „ამას წინათ ჩემთვის ცნობილი ვახდა, რომ ბ-ნი გრინ-ბერგი ატარებდა ლექცია-საუბრებს კავკასიის ხალხური ფოლკლორის შესახებ. ვენვით მას ვილაში. ორი საათის განმავლობაში ვისმენდი ქარ-თულ ხალხურ პოლიფონიურ სიმღერებს. ეს იყო არა თუ წლებიანდელი, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე მოსმენილი საოცრებაო“.

დაუფინყარი იქნება აგრეთვე მსოფლიოში სახელგანთქმული პრი-მა ბალერინის მაია პლისიეცკაიას დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი, ანუ საავტორო საღამოს ტრანსლაცია ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახ. აკადემიური თეატრიდან.

ცნობილია, სახელგანთქმული ბალერინების საოცარი რეჟიმით ცხოვრება. ამბობენ, „ჩიტი უფრო მეტს ჭამს, ვიდრე ბალერინის კვე-ბის რაციონიო“. ამ ფანრის ვარსკვლავებზე ეს გამონათქვამი სიმარ-თლით ასახავს მათ რთულს, ყოფით ცხოვრებას. ამდენად, ისინი თავი-სებურნი, „კაპრიზნი“ არიან. თუმცა თბილისში, „ქართველ ბალეტის

მოყვარულბთან შეხვედრა, როგორც თვითონ. მ.პლისეკიამ აღნიშნა, „ჩემთვის ყოველთვის სიხარულის მომგვრელიაო“. ამიტომაც იყო, რომ ქ-ნმა მაიამ უყოყმანოდ, ასევე უსასყიდლოდ დაგვითმო საავტორო საღამოს ტრანსლაციის უფლება. უფრო მეტიც, დათმობაზე ნავიდა იმაზეც, რომ კამერა სცენის კუთხეში მოგვეთავსებინა. გულწრფელი მადლობა მოვახსენეთ ქ-ნ მაიას ქართველი ბალეტის მოყვარულთა მიმართ მისი ესოდენ პატივისცემის გამოხატვის გამო.

საქართველოს ტელემყურებელთათვის ასევე ბედნიერება იყო საოპერო სცენაზე ეხილათ დიდი თეატრის სოლისტების დ.გამრეკელის, დ.ბადრიძის, ზ.ანჯაფარიძის, ზ.სოტკილავას, მ.ქასრაშვილის, ე.ვიშნევსკაიას, ვ.დავიდოვას, ირინე არხიპოვასა და სხვა გასტროლები. მათი ერთობლივი გამოსვლები ოპერებში „კარმენი“, „პიკის ქალი“, „რიგოლეტო“, „ტოსკა“, „ტრავიატა“ – ეს დაუვინყარი ფურცლები გახლდათ ტელემყურებელთათვის. დაუვინყარი დარჩება ქართული საოპერო მუსიკის მოყვარულთათვის ირინე არხიპოვასა და ზურაბ ანჯაფარიძის ერთობლივი გასტროლები თბილისში და ქუთაისის ახლად ფეხადგმულ საოპერო თეატრში, რომლის ვიდეო ჩანანერი სრულიად საქართველომაც იხილა.

ანდა, შეიძლება ბალეტის მოყვარულთა მეხსიერებაში და თვით ისტორიის კუთონილებად არ დარჩეს დიდი ვახტანგ ჭაბუკიანის მონაწილეობით ტრანსლირებული „ოტელო“, „ბაიადერა“, „წიზელი“, „გედის ტბა“, „შჩელკუნჩიკი“, „გორდა“, „სინათლე“, „მთების გული“ და სხვ. ბევრი მათგანი იყო ბ-ნ ვახტანგის მიერ ფართე კინოფირზე გადაღებული. მომავალი თაობა მხოლოდ კინოს საშუალებით წარმოიდგენს დიდი ქართული ბალეტის შემქმნელის, ჰაერში ძერასავით მფრინავი კაცის პიროვნების ხელოვნებას. ჩენ სიტყვა „პიროვნების ხელოვნება“ შემთხვევით ვიხმარეთ?! ის იყო პიროვნება, გმირი ამ სიტყვის სრული გაგებით და იყო ჭაბუკიანის ეპოქალური ხელოვნება. იგი მართალია დარჩა ხალხის მეხსიერებაში, მაგრამ დარჩა ლეგენდად, მოგონებად. მან თავისი სიცოცხლის დასასრულით დაასრულა ხელოვნების ზეაღმაფრენა. ეს შეხედულება ვიცი ენინალმდგეგება „ხალხი ჰქმნის ისტორიას“ თეორიის შემქნელთა იდეოლოგიას, სამაგიეროდ იგი ზუსტად ასახავს გმირისა და გმირების მიერ ხალხის მასის გაყოლებით შექმნილ კაცობრიულ ძვრებს ხელოვნებაში, პოლიტიკაში, სახელმწიფოებრივ სიძლიერეში.

ისტორიის ანალებში რომ არ შევიჭრათ მაგალითიც ხომ აგერ გვაქვს?! იყო ტიტანი, გმირი ი.ბ.სტალინი და იყო რკინის სახელმწიფო. მოკვდა გმირი და ხუხულასავით დაიშალა ქვეყანა, რომელიც შიშის ზარს სცემდა მსოფლიოს. იდეოლოგიისა და პოლიტიკის განხილვის სკოთხი სხვა თემაა.

განა იგივე არა ხდება ხელოვნებაშიც?! სადღაა ბეთხოვენიესული „გადაუხვიეთ მილიონებო“, სადღაა ბახის განუმეორებლობა, ვერდის მიერ ოპერებით დაპყრობილი მსოფლიო, რომლის ერთ მელოდიას დღესაც შეუძლია მთელი სტადიონი და ხალხი აამღეროს?!... ასეთი გმირები, ტრანსტიბი საუკუნეებში ხშირად არ ჩნდებიან, მაგრამ, მაინც იბადებიან. აიღეთ ჯორჯ ბალანჩინი და ვახტანგ ჭაბუკიანი. ორი ქართველი. ერთი მაშინდელი კაპიტალიზმის სამყაროში ჰქმნიდა მსოფლიოში მანამდე არსებული საბალეტო ხელოვნების ახალ, ჰაეროვან, მუსიკისა და ცეკვის საოცარ პარმონიას. შეგეძლო ყურებში თითების დაცობით საბალეტო დასის მთლიანი „კორდესა“ თუ ცალკეული სოლისტების მოძრაობით განგესაზღვრა როდის როგორი მუსიკა, როგორ რიტმში უღერდა. ასევე ითქმის მსოფლიოში მეორე საბალეტო კორიფეზე. მის დადგმებში თუ ცეკვებში უპირატესობა ეძლეოდა ცეკვისა და მიმიკის, პლასტიკისა და დრამის სიუჟეტურ განვითარებას. ამიტომაც ბალეტმანსტერმა მამაკაცი აქცია ბალეტის სიუჟეტურ გმირად, მამაკაცი დააყენა მანამდე ბალეტში გაბატონებული ქალთა პერსონის წინ მძლოლად, ამბავის ძირითად მთხრობელად. ასე მივიდა იგი ალ.მაჭავარიანის ოტელომდე.

მუსიკალური სპექტაკლების ტრანსლაციაზე საუბრისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზ.ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექცია ხშირად სახტელერადიო კომიტეტს ტრანსლაციისა თუ ვიდეოჩანერისათვის სათანადო ღირებულებას გვახდევინებდა. ზოგჯერ გამონაკლისი იყო ის ბილეთები, რომლებიც ტელეკამერების განსალაგებლად იყო განკუთვნილი. მიუხედავად ამისა, კომიტეტი მაინც ახერხებდა ოთხ თვეში ერთხელ მაინც მოგვენოდეზინა ტელემაყურებელთათვის ესა თუ ის საოპერო, საბალეტო სპექტაკლი.

მართალია, თეატრში მაყურებლის დასწრებას სულ სხვა ხიბლი აქვს. მომღერლისა თუ შემსრულებლის პირადი კონტაქტი უფრო მეტ ემოციურ დატვირთვას შეიცავს, მაგრამ ვცდილობდით ტელემაყურებელთათვის შეგვექმნა ეკრანიდან მეტი ინფორმაციის მიღების საშუალება. ტელემაყურებლებს მოქმედებებს შორის შესვენების დროს თუ საერთოდ, სპექტაკლის დაწყების წინაც, ვანვდიდით საინტერესო ინფორმაციას ავტორზე, მუსიკალურ ქმნილებაზე, შემსრულებლებზე.

შესვენების დროს კამერის წინ მიგვყავდა რომელიმე საზოგადო მოღვაწე თუ უბრალოდ მსმენელი და საშუალებას ვაძლევდით გამოეთქვა მისი აზრი მიმდინარე სპექტაკლის შესახებ. გექონდა მიზნობრივი ტრანსლაციებიც, როდესაც ვყიდულობდით მთლიანად სპექტაკლს და დარბაზში მოსანვევებით ვასწრებდით მსმენელთ თბილისის რომელიმე ფაბრიკა-ქარხნიდან. არაერთხელ მოგვინყვია მსგავსი

ტრანსლაცია დარბაზში უდღემამო ბავშვთა სახლების აღსაზრდელთა მონაწილეობით. ვფიქრობთ, ჩვენი ამგვარი ცდა უნაყოფოდ არ ჩაივლიდა. ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრში ჩვენი ორგანიზაციით მოწყობილი სპექტაკლები იძენდა დიდ, აღმზრდელობით მნივეწელობას. საზოგადოებაში კლასიკური მუსიკის მოსმენისადმი გაღვივებას, თეატრში ქცევის კულტურის ცოდნას.

დღევანდელი საქართველოს ანარქიულ ყოფაში კიდევ უფრო მომძღაწერებუღია ახარგაზრდობის ცხოვრებაში ყოფითი პრობლემები, გამწეაწებუღია მოზარდ თაობაში ეღმემენტარული ზრდილობის, საზოგადოებაში ქცევის კულტურა, რაც ასე მოჭარბებულად ჰქონდა ძველ ინტელიგენციას. საბედნიეროდ, როდესაც ინტელიგენციას ვახსენებ, უეჭველად მხედველბაში გვყავს აგრეთვე წინა თაობის სოფლის გღეხოზა. გაიღიღი სოფლის ქუჩა-მუკებში და წინმებვედრი თუ თავისი სახლის წინ მჯდარი გღეხი წამოდგებოდა, ქუდს მოიხდიდა, მოგესალმებოდა, ადგილს დაგითმობდა. ახლა ყოველივე ეს სანატრელი, უკვე მიუნწვდომელი ხიღია.

რევაზ ლალიძე წაივდა ჩვენგან ნაადრევად. „ძნელი ყოფიღა ოპერის დანერა, მისთვის სცენიური სიცოცხლის დამკვიდრება. დღე და ღამე ვწერვიუღობ, ძიღი დამიფრთხო“... ხშირად მემოუწიღიღია ჩემთვის. მართლაც, სიცოცხლის ბოლო წღებში ამ წერვიუღობამ დიდად იმოქმედა მის ჯანმრთეღობაზე. იღწნოდა, ტრიღლებდა ცხოვრების მორეღებში, მაგრამ მსუბუქად პარალიზებულბა მისმა გარეგნობამ უკვე დაკარგა ქართული მეღოდის დიდოსტატის პენი. მისი სიმღ. სურათი „საჭიდაო“, ვიოლინოსათვის „მეღოღია“ საფ. „ტოკატა“, გუნდები, ანსამბღები; სოღო სიმღერები, მრავალი სიმღერა კინოფიღმებიდან, ეს ხომ საზეიმო თუ ჩვეუღებრივი კონცერტების უციღობელი მმვენებღია.

ასევე წარმატება ჰხვდა მის „პირმმოს“ (ასე ეძახდა თვით კომპოზიტიორი ოპერა „ღელას“). ზ.ანჯაფაროღის განუმეორებელი ბერღია იმიტაც იყო აღსანიშნავი, რომ მთავარი „გმირის სახის მუქმნისას ზურაბი მყავდა მხედვეღობაშიო“ – ამბობდა კომპოზიტიორი. ასევე ბრწყინავდწენ თავიანთ პარტიებში ე.ამირანაშვიღი, პ.ამირანაშვიღი. ოპერის პრემიერის მემდღე წარმატებით გამოღიღდწენ ოპ. „ღელას“ ახალგაზრდა მემსრუღებღები: ეღდარ გენაძე, ჯემალ მღიღვანი და სხვ.

კლასიკური მუსიკის ტღელემაყურებელთა შორის პოპულარობას ისახავდა მიზნად ფიღარმონიის დარბაზებიდან, ოპერის თეატრიდან, თბღლისის კონსერვატიორიის მცირე თუ დიდი დარბაზიდან, აღმაშენებღლის ქუჩაზე მდებარე საკონცერტო დარბაზიდან საორღანო, სიმფონიური, საფორტეპიანო კამერული კონცერტების ტრანსლაციები. კლასიკური მუსიკის მოყვარულნი ინტერესით ხვეღებოდწენ „სიმფო-

ნიური მუსიკის" დღეებს, რომელსაც ჯანსულ კახიძე ატარებდა. კლასიკური მუსიკის ზეიმი იყო ელისო ვირსალაძის, მარინე მდივნის, ეთერ ანჯაფარიძის, ციალა კვერნაძის, ლექსო თორაძის, მანანა დოიჯაშვილის, მარინე და ნანა იაშვილების, ლიანა ისაკაძის, ს.კორსანტიას, ელ.ბოლქვაძისა და სხვ. მსოფლიოში აღიარებული ვირტუოზი მუსიკის შემსრულებლების, სოლო თუ სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან გამართული კონცერტების ტრანსლაციები.

აღსანიშნავია აგრეთვე, საკუთრივ საქტელერადიოს სიმფონიური ორკესტრის დიდი წვლილი, სტუდიის გარეთ ორგანიზებული ე.წ ლია კონცერტების პრაქტიკა, რომელიც სხვადასხვა დროს ეწყობოდა რედაქციასა და თვით ორკესტრის ხელმძღვანელთა ლილე კილაძის, გივი და ზაზა აზმაიფარაშვილების, სპარტაკ კორკოტაშვილის მიერ. ჩვენს ორკესტრთან ხშირად გამოდიოდნენ საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები, საზღვარგარეთიდან მოწვეული მუსიკოსები. კომიტეტის ორკესტრი აქტიური მონაწილე იყო რედაქციის მიერ ორგანიზებულ გასვლით „მუსიკალურ შეხვედრებში“, სხვა სახის შერეულ კონცერტებში.

რედაქციის მიერ მოწყობილი საზეიმო, გასვლითი, საახალწლო პროგრამების აქტიური მონაწილე გახლდათ კომიტეტთან არსებული ვოკალური „ოქტეტი“ – მიმია ხატელიძევილის ხელმძღვანელობით. აქვე მინდა დავსძინო, რომ მ.ხატელიძევილი საოცრად მგრძნობიარე, საუცხოო ტემბრის (ტენორი) ხმის მქონე შემსრულებელი, დირიჟორი და კომპოზიტორი იყო. „ოქტეტის“ რეპერტუარში იგი ამუშავებდა ქართულ კომპოზიტორთა საგუნდო სიმღერებს. „ოქტეტის“ პოპულარობის გამო მისთვის სწერდნენ სიმღერებს. თავადაც ჰქმნიდა მშვენიერ, ქართულ კილო-პარმონიაზე აგებულ ნაწარმოებებს, იგი ჩინებული შემსრულებელი იყო რ.ლალიძის, ა.ჩიმაკაძის, შ.მილორავეს და სხვა ქართველი კომპოზიტორების სიმღერებისა. „ოქტეტს“ ხშირად ინვეზდნენ ქართულ კინოფილმებში სიმღერების გასახმოვანებლად. რა იყო „ოქტეტის“ განსხვავების მიზეზი მსგავსი ვოკ. ანსამბლებისაგან?! საოცრად ზუსტი, ფილიგრანული საანსამბლო ბგერა, ტკბილხმოვანება, ზუსტი სიმწყობრე. მიმარჩნდა და დღესაც, უკვე წლების გადასახედიდან ვიმეორებ, მამია ხატელიძევილის მსგავსი ბგერის და ხმებში ანსამბლურობა სხვა ანსამბლებს არ გააჩნდათ. რომც არ ვხედავდი ანსამბლს, შორიდან მოსმენით, სწორედ ამ თვისებებით გამოვარჩევდი ყველა სხვა დანარჩენი კოლექტივისაგან.

მ.ხატელიძევილი კარგად ფლობდა, როგორც კომპოზიტორი, ორკესტრობას. მის მიერ გაორკესტრებული საორკესტრო თანხლება გახლდათ ზუსტი, სიმღერისათვის ხელშემწყობი საუკეთესო ფონი. ამიტომაც, ქართველი კომპოზიტორები მას ხშირად ანდობდნენ საკუთა-

რი სიმღერების საორკესტრო პარტიტურის შექმნას. მე არ დამავინ-
ყდება, როგორ გადმოიტანა მან თეატრის სპექტაკლიდან თითქმის
ერთ ხმაზე ჩალიღინებული სერგო ზაქარიასძის მიერ, „ფიროსმანის სიმ-
ღერა“, რომელიც სპექტაკლის მუსიკალურ გამფორმებელ კომპოზი-
ტორ ა.ჩიმაკაძეს ეკუთვნოდა.

იყო 1960-იანი წლები. რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატ-
რში წარმატებით გადიოდა სპექტაკლი „ფიროსმანი“. ერთხელ მამია
რედაქციაში შემოდის ჩემთან (მაშინდელ კავშირგაბმულობის შენობა-
ში) და მთხოვა, აუცილებლად გავყოლოდი თეატრში. წავყევი. სპექ-
ტაკლის იმ მომენტში, სადაც ფიროსმანი – ზაქარიასძე ღლიღინებს: „შენ
გიმღერი, შენ გიგალობ“ – და ა.შ. მამიამ ხელი მომიჭირა და ჩამჩურჩუ-
ლა – „ეს მელოდია ბრწყინვალე სიმღერა იქნება ჩემი კვარტეტისთვის-
სო“ (იმხანად ჯერ „ოქტეტი“ არ ყავდა).

სულ მალე მ.ხატელიშვილმა ვოკ. კვარტეტში, რომელსაც ბრწყინ-
ვალედ მღეროდნენ ვალერი არძინბა (I – ტენორი), თვითონ მამია (II
ტენორი) ოპერის ახალგაზრდა სოლისტი ნიკოლოზ კაპანაძე (ბარიტო-
ნი) და ომარ ჩიტაია (ბანი), მომასმენინა „ფიროსმანის სიმღერა“, გან-
კვიფრდნენ ოთხ ხმაში სიმღერის აჟღერებით. ეს იყო ბრწყინვალე, უნი-
კალური სიმღერა, რომელიც აგერ უკვე რამდენი ათეული წელია ჟღერს
რადიოში, ტელევიზიაში, ჟღერდა საქართველოს ყველა კუთხეში. ასე
იქნება მომავალშიც.

როდესაც მამიას ვკითხე „როგორ შესძელი“ ფიროსმანის სიმღე-
რის“ ასე გაოთხმიანება მეთქი“, ჩაიღიმა და მითხრა თუ როგორ ამოი-
წერა პარტიტურიდან მელოდია:“ მივიტანე არჩილთან, სახლში დავეუ-
კარი სიმღერა. გაუხარდა, „ეს რა გენიალური აზრი მოგსვლიაო“ -
მითხრა. მიუჯდა თავადაც როიალსა და სიმღერა თავისებურ ქურაში
გაატარა. ზოგი რამ შესცვალა ხმებში, ზოგი რამ მიამატა – გამოაკლო
და „ასე ერთობლივი ცდით დაიბადა ეს სიმღერაო“ - დასძინა. გულ-
წრფელად მივულოცე მცდელობა, ნიჭიერება. სულ მალე ფუნქიკული-
ორიდან აჟღერდა ჩიმაკაძის „ფიროსმანი“, მისივე „გამოდმით მე ვარ,
გალმით შენ“, ოთ.თაქთაქიშვილის „მგ ზავერული“, შ.მილორაავას „სიმ-
ღერა საქართველოზე“, ალ.მაჭავარიანის „დოლური“.

ტელევიზია ხშირად ეწვეოდა ხოლმე ვ.სარაჯიშვილის სახ. კონ-
სერვატორიას, მცირე და დიდ დარბაზს. დიდი დარბაზიდან მამინ იქ
საოპერო სტუდიაც სახლობდა, არაერთი საოპერო სპექტაკლის რე-
ჰორტაჟი მიგვიცია ეთერში, რომელშიც ნამყვან პარტიტებს კონსერვა-
ტორიის დამმმთავრებელი კურსის სტუდენტები ასრულებდნენ. ყვე-
ლას უხაროდა ტელევიზორანზე გამოჩენა, ანტრაქტებში გასაუბრება,
მათთვის ხელოვნების ურთულესი გზის დალოცვა. კონსერვატორიის
მცირე დარბაზში კი ძირითადად იმართებოდა სტუდენტთა აკადემი-

ური კონცერტები. სხვადასხვა სპეციალობების მიხედვით მოღვაწე პედაგოგების, საკურსო თუ საკლასო კონცერტები. სწორედ აქ ვეცნობოდით ქართული ხელოვნების მომავალ ვარსკვლავებს. მცირე დარბაზიდან პატარა ტელერეჰორტაჟების გარდა, ვარჩევდით პერსპექტიულ ახალგაზრდა მუსიკოსებს ტელესტუდიაში მომზადებული გადაცემებისათვის ციკლიდან „ახალგაზრდა მუსიკოსები“, „სტუდიაში ახალგაზრდა შემსრულებლები“. ასე გაიხმიანეს და დიდ ხელოვნებაში შეაბიჯეს დღეს საქვეყნოდ სახელგანთქმულმა მუსიკოსებმა: ლიანა ისაკაძემ, პაატა ბურჭულაძემ, ზურაბ სოტკილაევამ, მანანა დოიჯაშვილმა, ნანა გვასალიამ, ელისო ბოლქვაძემ და მრავალმა სხვამ.

ერთხელ მცირე დარბაზიდან ახალგაზრდა, პერსპექტიული ხმის მქონე ვოკალისტების კონცერტს ვინერდით. ჩემი ყურადღება მიიპყრო მშვენიერი ხმისა და გარეგნობის ლირიკულ-დრამატულმა ტენორმა. ვიდუო ჩანერის დასასრულს იგი მოვიდა ჩემთან და მომმართა: „ბნო სოლომონ თუ მიცანიით“. ცნობით კი ვერ ვიცანი, მაგრამ ძალიან მეცნობოდა. ბოლოს მან დასძინა, რომ „თუ ჩემგან კარგი მომღერალი დადგება, თქვენი დამსახურება იქნება და თუ ჩემგან არაფერი გამოვა, ასევე თქვენი დალუპული ვიქნებიო“... – მითხრა გულწრფელად და დასძინა თუ გახსოვთ, ტელევიზიაში მონყობილ თქვენს გადაცემაში“ ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“, მასში მონაწილე ალიკო ხომერიკი ვარო“. გამახსენდა. მან საკავშირო ცენტრალური ტელევიზიის მიერ წამოწყებულ „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“ ერთ-ერთ გადაცემაში მიიღო მონაწილეობა, ბათუმიდან, ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლთან ერთად. მაშინ მე სახტელერადიო კომიტეტის თავმჯდომარის ბ-ნ კ. გარდაფხაძის დავალებით, ამ ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე გახლდით. ამის მიზეზი, ისევე ბ-ნ კარლოს თქმითა და არა მარტო მისი აზრით, „ჟიურში მონაწილე ყველა კომპოზიტორისა და მუსიკოსისაგან განსხვავებით, ყველაზე ობიექტურ შეფასებებს მხოლოდ შენ იძლევი და მისი თავმჯდომარეც შენ უნდა იყოო“. რა გაეწყობოდა, როგორც შემძლო გავნიე მონვეულ ჟიურის ნევრებთან ხელმძღვანელობა, მასპინძლობა.

მაშინ, სტუდიაში ვატარებდით დასავლეთ საქართველოს ზონაში გამარჯვებულთა საღამოს, საკავშირო ფესტივალის დასკვნით ტურში გასაგზავნად. ალიკო ხომერიკს ვთხოვე, ხელიდან გაეშვა მიკროფონი და უიმისოდ ემღერა. მშვენიერი ტემბრის ხმა გამოავლინა, რომელსაც ასევე ფართო დიაპაზონი ჰქონდა. დასასრულს იგი ჩემთან მოვიხმე. ვკითხე, თუ სწავლობდა ბათუმის მუსიკალურ სასწავლებელში. უარყოფითი პასუხის შემდეგ, მეგობრულად ვურჩიე ფესტივალის დამთავრების შემდეგ, აუცილებლად მისულიყო ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში და სერიოზულად დაეწყო ხმის დამუშავება. ამასთან

ჩაიწერე ა.ხომერიკის მისამართი და წერილი გაეუფ ზაენე ბათუმში მუს.სასწავლებლის დირექტორს ქ-ნ თ.გიორგაძეს. ვწერდი: „ქ-ნო თინა, გახსოვთ საქ. ცეკას შეცნიერებათა და ტექნიკის განყოფილების დავალებით (განყოფილების გამგე ცეკაში იმ დროს გახლდათ ბ-ნი აკაკი კარანაძე, შემდეგ საქ. უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე) თქვენთან ორი წლის წინ გახლდით უმაღლესი, საშუალო განათლების ტექნიკუმების შესწავლის მიზნით და გულწრფელად გითხარით ჩემი აზრი ვოკალური განყოფილების მოსწავლეთა დაბალი მონაცემების გამო. აი, გიგ ზაენით ბათუმელი ახალგაზრდის ა.ხომერიკის მისამართს.

ჩემი დეალებით ის მოვა თქვენთან. მიაქციეთ ყურადღება. მას მშვენიერი ტემბრის ხმა, ტენორი გააჩნია. მისგან უდაოდ კარგი მომღერალი დადგება“.

ა.ხომერიკის ჩემთან ნაამბობის თანახმად, იგი მართლაც მისულა სასწავლებელში, მოუსმენიათ და პირდაპირ მე-2 კურსზე ჩაურიცხავთ.

აი, ასე შევხვდი კონსერვატორიაში, უკვე საკავშირო ფესტივალში „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“ გამარჯვებულ მომღერალს. მე შევეუქე ხმა, ტემბრი, სცენაზე თავის დაჭერის, მიხვრა-მოხვრის უნარი. შემდეგ კი ტელეეკრანზე გამოყვანილად დაეულოცე მას გზა დიდ ხელოვნებაში. სხვათა შორის, ჩემი აქ მონათხრობი, თითქმის სიტყვაასიტყვით გაიმეორა მან კორესპონდენტთან, როდესაც იგი ჩაირიცხა ოპერის თეატრის სოლისტად და წარმატებით იმღერა აბესალომის პარტია ზ.ფალიაშვილის ოპერაში „აბესალომ და ეთერი“. სამწუხაროდ, მაშინდელი მისი მიცემული ინტერვიუ ჩემს არქივში ვერ შემოვიწახე. სამაგიეროდ ა.ხომერიკს, ამჟამად უკვე ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, საბედნიეროდ არ დავიწყებია მისი გზის დასაწყისში მომხდარი ეს ფაქტი. (ა.ხომერიკს მართლაც არ დავიწყებია ჩემი მისდამი რჩევა და მცირედი ამაგი. სოფ. კისისხევში, სადაც პენსიაში გასული ვცხოვრობ – არც შუქი მაქვს, არც ტელევიზორი, არც რადიო მესმის. სამაგიეროდ სხვანი და სხვანი, სხვადასხვაგან მცხოვრებნი მილოცავენ იმ გულთბილი სიტყვების თქმის გამო, რომელიც მომღერალს წარმოუთქვია ტელეეკრანიდან თუ რადიოდან ჩემი მისამართით. მაღლობის მეტი რა მეთქმის?!

ტელეტრანსლაციები ქუთაისიდან

საქართველოს ქალაქთა შორის მეორე კულტურულ და ინდუსტრიულ ცენტრად აღიარებული ქუთაისი, მართლაც, რომ გამოიჩინევა თავისი კოლორიტით, ხელოვნებისადმი ლტოლვით, ეროვნული მსოფლმეგრძნებით. თვალში საცემია ქუთათურთა ურთიერთობა, მათი ინტერესი სიახლისადმი. ამიტომაც დიდი იყო სიხარული, როდესაც ფუნიკულორის პლატოზე შეკუნცხული ტელევიზიის მთელი კოლექტივი აღფრთოვანებით შეხვდა მოსკოვის ცენტრალური ტელერადიო კომიტეტის ცნობას პირველი მოძრავი სატელევიზიო სადგურის გადმოცემის შესახებ. "მსს", როგორც მას შემოკლებით ვეძახდით, თავისი სვლით მოემართებოდა საქართველოში. ამიტომაც არავის გააკვირვებია, როდესაც მოძრავი სადგური ქუთაისში შემოვიდა, მას შეხვდა საქ. ტელევიზიის შემოქმედებითი და ტექნიკურ-ინჟინერთა პერსონალი გივი ძნელაძის ხელმძღვანელობით. მათ ქუთაისის საქალაქო ხელმძღვანელობის თანადგომით "გადაჩხრიკეს" დიდი გზა განვლილი ავტობუსი, მოიყვანეს წესრიგში და ცენტრალური მოედნიდან პირველი საცდელი რეპორტაჟიც გამართეს. მისი ნამყვანი გახლდათ გივი ძნელაძე. სამწუხაროდ, სრულადვერ მომყავს ქუთაისიდან პირველი რეპორტაჟის მომწყობი „ნათლიების“ გვარსახელები. ერთი კი ვიცი, რომ ხმის რეჟისორი გახლდათ ლევან ქიშიშიშვილი, ერთ-ერთი ტელეოპერატორი ჯუმბერ ნანიტაშვილი. ადგილობრივი მოსახლეობის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები ოვაციით შეხვდნენ პირველ „მსს“ გამოჩენას, მისი შემვეობით განხორციელებულ პირველ რეპორტაჟს, რომელსაც მთელი საქართველო უყურებდა. ვუყურებდით საქ. ტელერადიოს კოლექტივი და გვიხაროდა რომ მალე ჩვენს გადაცემებში სიახლე გაჩნდებოდა.

მცირედს გადაუხვევ. ერთი პერიოდი საქ. რადიო-ტელე სამმართველოს (1960-იან წლებში საქ. რადიო-ტელევიზია სამმართველოდ იწოდებოდა. ტელევიზიას კი დირექტორატი ჰყავდა) ტელესტუდიის დირექტორი ბ-ნი აკაკი ძიძიგური გახლდათ. მან გაითვალისწინა ფეხბურთის მოყვარულთა დიდი ინტერესი და მოძრავი სადგური გააგზავნა ერევანში, სადაც თბილისის დინამო სსრკ-ის პირველობა-

ზე ეთამაშებოდა ადგილობრივ „სპარტაკს“. დინამომ იმარჯვა. სომხეთის გუნდი თავის მოედანზე დაამარცხა: გამწარებულმა სომხებმა „გულშემმატიკორებმა“ ჯავრი თბილისის მოძრავ სატელევიზიო სადგურზე და მის პერსონალზე იყარეს. ქვით გაუტყვეს თავი ხმის რეჟისორს ლევან ქიშიშივეს. მას დახმარება აღმოუჩინეს და თავი შეუხვიეს. თავგატეხილი ლ. ქიშიშივეის დანახვაზე აკაკი ძიძიგურმა, რომელიც გამოირჩეოდა მოსწრებული ენაკვიმატობით, უთხრა: „არა უშავს ლოვა, მშობლიური ქვითა გაქვს თავი გატეხილი და მალე მოგიჩვენებ“.

რალაი ბ-ნი ა.ძიძიგური ვახსენე, ბარემ აქვე ვიტყვი მის ორიოდ გამონათქვამსაც. ერთხელ მის კაბინეტში ვისხედით. დარეკა მთავრობის ტელეფონმა და ისე ხმამაღლა ისმოდა ხმა ჩვენც კარგად გვესმოდა. „სად იყავი კაკო, საათია გეძებთ, ეხლავე ცეკაში მოდი, დევი გეძახისო“. აკაკიმ პასუხად დასძინა: “მოვალ მაგრამ, ეგ მუქარა რალაა, ბავშვობაში დევით მაშინებდნენ, ეხლაა და დევით მაშინებთ, ალარაა ჩემი საშველიო“.

კიდევ ერთი: ცეკაში დევი სტურუას კაბინეტი გამოძახებული ხალხითაა სავსე. ბ-ნი დევი თათბირობს. ყურმილში ზარი ისმის, პირველი მდივანი ვასილ მუჯვანაძე თავისთან იხმობს. დევი ნამოდგა, ბოდიში მოუხადა დამსწრეებს და კაბინეტიდან გავიდა. მდივნის ცარიელ სკამზე კაკო ძიძიგური ნამოჯდა. ხელი მოიჩრდილა და ასე ჩამოათვალიერა დამსწრენი. აუ, თქვა მან. ამ სკამიდან მართლა დეგენერატები და ბუზის ოდენები სჩანხართო...

ეს სხვათაშორის...

რესპუბლიკის სხვა ქალებებს შორის ყველაზე მეტი მოძრავი სადგურით მუსიკალური რედაქციის მიერ განხორციელებული ტრანსლაციები ქუთაისზე მოდის. პირველი დიდი ღონისძიება მუსიკალური რედაქციის მიერ დაწყებული ხალხური შემოქმედების პირველი სატელევიზიო ფესტივალი გახლდათ, რომლის ერთ-ერთი ზონალური ცენტრი ქუთაისი იყო. არენდით ავიღეთ და სტუდიის სახე მივეცით ლადო მესხიშვილის სახ. თეატრის სცენას, დარბაზს. იმ პერიოდში ადგილზე ვიდუო ფირზე ჩანერის საშუალება არ გავაჩნდა, ჯერ კიდევ სათანადო ტექნიკის უქონლობის გამო. ამიტომ, პროგრამების დირექციის დახმარებით, ყოველი გასვლითი ღონისძიების ჩატარებისას, მოსკოვს ვთხოვდით ნება მოეცათ გვესარგებლა სარელეო, სატრანსლაციო ხაზებით, (საქართველოს ფერცერთი კუთხიდან ვერც ერთ გადაცემას ვერ ჩაინერდი მოსკოვიდან ნებართვის გარეშე. მათ ხელთ ეპყრათ ყველა სატრანსლაციო რადიო-ტელე ანუ სარელეო ხაზები.) რომელსაც მხოლოდ დღის საათებში გვითმობდნენ. ამასთან, ქუთაისიდან, სოხუმიდან, ბათუმიდან, სხვა ადგილებიდან ხმასა და გამოსახულებას

ვანვდიდით თბილისს. მხოლოდ თბილისის ცენტრალურ სააპარატოში ხდებოდა მისი ჩანერა. ცხადია ეს დიდ სიზუსტეს, დროის ეკონომიას, დაბაბულ შემოქმედებით პრომას მოითხოვდა. შორი მანძილიდან სარელეო ხაზებზე ერთ პატარა შეცდომას შეეძლო მთელი ნაშრომის წყალში გადაყრა.

ასეთი რთული ტექნიკური პირობების მიუხედავად, რედაქციის, ტექნიკის მომსახურე პერსონალის შეხმატკბილებული მუშაობა, რაც მთავარია, საქმის სიყვარული, ერთუზიაში ყველა დაბრკოლებას გვაძლევინებდა. ხუმრობა როდი იყო ონიდან, ამბროლაურიდან, ცაგერიდან, საჩხერიდან, ტყიბულიდან, თერჯოლიდან, წყალტუბოდან, ბაღდადიდან, ჭიათურიდან, ხარაგაულიდან, ზესტაფონიდან, სამტრედიიდან მონვეული კოლექტივების ასეულობით მონანილესთან მწყობრი-რიტმული, გააზრებული მუშაობით მიზნის მიღწევა?! საბედნიეროდ, რედაქციის მცირე შემოქმედებითი ჯგუფი, შესანიშნავი ინჟინრების, ოპერატორების თანადგომით ყველაფერი კეთდებოდა დაძაბული, უხმაურო შრომის ფასად. მათ ამგვარი მუშაობისათვის მილიონობით ტელემაყურებელთა და საქ. ტელერადიო კომიტეტის თანამშრომელთაგან მაღლობის მეტი რა ეთქმოდათ.

ერთ-ერთი დღი, სერიოზული სამუშაოს ჩატარება მოგვიხდა 1967 წლის 27 დეკემბერს, ქართული მუსიკალური კულტურის ამ მართლაცდა ღირსსახსოვარ დღეს, როდესაც ერის ძირძველი კულტურული წარსულის მქონე, „მეორე დედაქალაქად“ წოდებულ ქუთაისში იხსენბოდა მე-2 საოპერო თეატრი. შემოქმედებითი ჯგუფი: რეჟ. უ.დარჩია, ხმის რეჟისორი ნ.ძნელაძე, ტელეოპერატორები ზ.დობორჯგინიძე, ჯ.გრიგოლაშვილი, გ.ვაშაკიძე, ამ სტრიქონების ავტორის ხელმძღვანელობით, რამდენიმე დღით ადრე ჩავედით ქუთაისში. ჩვენთან ერთად ჩამოვიდნენ კომიტეტის ტექნიკური სამმართველოს უფრ. გოგი გაბისკირია, „მსს“-ს უფროსი ინჟინერი შალვა მანჯგალაძე. მათი მიზანი იყო თეატრის სახურავზე გადამცემი ფარის დადგმა-მონტაჟი. ტელევიზიას, სათანადო უწყებებთან შეთანხმებით, დაგეგმილი გეკონდა ამ დიდი ეროვნული კულტურის ზეიმის მეორე საოპერო თეატრის გახსნის პირდაპირი საეთერო რეპორტაჟი ქუთაისიდან. ღია ეთერში თითქმის სამი საათის განმავლობაში ფრიად მნიშვნელოვანი საქმე გახლდათ. ხიბლი იმ წუთში მომხდარი ფაქტისა, როდესაც რესპუბლიკის მოსახლეობა პირდაპირი მონანილე გახდებოდა ამ დიდი კულტურული მოვლენისა – გვამხნეებდა, გვაამაყებდა, ენერგიას გვმატებდა. ამ განწყობით ვესწრებოდით ოპერის რეპეტიციებს, საორგანიზაციო თათბირებს. რეჟისორ-ოპერატორები ინიშნავდნენ მიზანსცენებს, სპექტაკლის მოქმედებისა და მათი შუალედური შესვენებების ქრონომეტრაჟებს. ერთი სიტყვით ჩვენც ვცხოვრობდით იმავე

ციებ-ცხელებით, რითაც ცხოვრობდნენ თეატრის მესვეურები; ზ.ფა-
ლიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის თბილისის აკადემიუ-
რი თეატრის დირექტორი ბ-ნ დ მჭედლიძე, ქუთაისის საოპერო ფილი-
ალის დირექტორი მ.მეძველია, „აბესალომ და ეთერის“ ქუთაისში დამ-
დგმელი ტელევიზიის მუსიკალური გადაცემების რეჟისორი გ.გაჩეჩი-
ლაძე, სპექტაკლის მხატვარი ვ.ასკურავა და გამნათებელთა, სცენის
გამგებელთა მთელი კოლექტივი. ჩვენს სურვილი, რომ სპექტაკლი უფ-
რო მეტად განათებულიყო, რათა რესპუბლიკის ტელემავურებლებს
სრულფასოვანი გამოსახულებით ეხილათ ქუთაისური დადგმის „აბე-
სალომ და ეთერი“, გარკვეულწილად მიღწეული იყო. ჩვენი სურვილე-
ბი განათების დამატებითი ნყაროს შესახებ გაიზიარა წინა დღით, 26
დეკემბერს ქუთაისში ჩამოსულმა საქ. კულტურის მინისტრმა, კომ-
პოზიტორმა ოთ.თაქთაქიშვილმაც. ჩვენთვის ასე საგულდაგულოდ და-
მუშავებული სპექტაკლის ტრანსლაციის სქემა გახსნის დღეს, 27 დე-
კემბერს სულ თავდაყირა დადგა. საქმე მარტივი, მაგრამ ზემდგომთა
თვალში მავანთა მილაქუცების სინდრომი აქაც ამოქმედდა. ცნობამ,
რომ სპექტაკლს დაესწრებოდნენ საქ. ცეკას პირველი მდივანი ვ.მყა-
ვანაძე და მთავრობის თავმჯდომარე გ.ჯავახიშვილი მინისტრიან დამ-
დგმელ ორგანიზატორებთანად ყველა ააფორიაქა. დაიწყეს ზედმეტი,
უაზრო ფათა-ფუთი, სპექტაკლის გახსნის დალაგებული საქმეების ხე-
ლახლა გადაკეთება. უფრო მეტიც, ვილაცას წასცდა: „მოდო, დღეს ტე-
ლეტრანსლაციას ნუ მივცემთ“. ამიდიოტურ წინადადებას ლამის მი-
ნისტრმაც დაუჭირა მხარი. აქ კი ველარ მოვითმინე და ცოტა მკვახედ
განვაცხადე: – ბატონებო, ჩვენ აქ თვენთან ერთად ვიყოფთ ახალი
თეატრის გახსნის ჭირსაც და ლხინსაც. ამოაგდეთ თავიდან ტელეტ-
რანსლაციის მოხსნა, თვეზე მეტია რესპუბლიკის გაზეთებისა და კო-
მიტეტის მაუნყებლობის „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი“ პროგ-
რამებში დაბჭდა ამ ტრანსლაციას მაუნყებელი სარეკლამო ცნობები.
თუ თქვენ სერიოზულად ფიქრობთ ამ საზიგომ გახსნისა და სპექტაკ-
ლის მოხსნას, მე ჩემი ხელმძღვანელობიდან უკვე მივიღე ნებართვა
აქედან, თეატრიდან გაუსვლელად მთელ ქვეყანას ვამცნო სპექტაკ-
ლის ჩამშლელთა გვარ-სახელები და მთელი პასუხისმგებლობა დაგა-
კისროთ თქვენ“!..

ამ მტკიცე განცხადებამ და იმის შეგნებამ, რომ მთელი რესპუბ-
ლიკის წინაშე მათ თავი მოეჭრებოდათ, გონზე მოიყვანა ზოგ-ზოგნი.
თანდათან ჩაცხრნენ. ტრანსლაცია უნდა მოხდესო-თქვეს. მხატ. ვ.ას-
კურავამ ბრძანა, შუქს ველარ დაგიმატებთო. ამ დათმობა-არდათმო-
ბის საუბარშიც გაილია დრო და ოპერის გახსნამდე დარჩენილ დროში
ჩვენ ჩვენს საქმეს მივუბრუნდით.

ნამყვანი ჯულიეტა ვაშაყმაძე სპეციალურად მისთვის განათებულ

ლოჯაში მოთავსდა. მე ოპერატორებთან და ტელე-რეჟისორთან იქვე, დარბაზში ჩუმი თათბირი გავმართე. მივუთითე პარტერში მარჯვენა ცენტრალური კარის შესასვლელთან სკამი, სადაც მე ვიჯდებოდი. იქიდან უნდა მენიშნებინა ელექტრო გამნათებლისათვის, გამოსახულების უკმარისობის შემთხვევაში თვალყური ედევნებინათ ჩემი ხელის აწევის, თითების მოძრაობისათვის. თითოეულ თითის გაშლა ნიშნავდა დარბაზში, ლოჯებში, იარუსზე განლაგებული ტელეპროექტორების თანდათან, შეყოვნებით შუქფარების ანთებას. თქმა არ უნდა ეს მოქმედება გამოიწვევდა თეატრის ხელმძღვანელთა გულისწყრომას. მაგრამ, მე მათზე მეტად მიღირდა სრულფასოვანი გამოსახულებით ეთერში წასულიყო ოპერის საზეიმო გახსნა, სპექტაკლის ტრანსლაცია. ერთად-ერთი დირჟორი თეიმურაზ კობახიძე იყო თავიდანვე თანახმა – საორკესტრო ადგილსამყოფელის ნორმალურად განათებისა და უნდა ითქვას, რომ ასეთი მკაფიო სურათისა ეკრანზე, როგორც ორკესტრს ჰქონდა, თბილისშიც არა გვექნია.

ოპერის გახსნის უკანასკნელი ნუთები ილეოდა. ელექტრონით გაჩახახებულ დარბაზში შემოდინა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები. კამერები ჩართულია, ეთერში მიდის ხალხის მათდამი მისალმება. ვსარგებლობ თავისუფალი ნუთით და დარბაზში შესასვლელებში მდგარ უშომპროების წარმომადგენლებს ვეუბნევი: – დარბაზის კარებების დახურვის შემდეგ შიგ ალარ შემოემკვით არც ერთი დაგვიანებული, თეატრის არც ერთი ხელმძღვანელი თუ სპექტაკლის დამდგმელი. რაიმე ხმაურის, ხმამალალი შეძახილის შემთხვევაში, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, გაეყვანათ თეატრიდან. ჩემის მხრიდან, ეს იყო წინდანინ მოფიქრებული, ვინაიდან ვიცოდი მხატვ. ვ.ასკურავა ან რომელიმე დამდგელთაგანი, როგორც კი ტელეპროექტორების ჩართვას შეამჩნევდა, უეჭველად პროტესტს განგვიცხადებდნენ. ეს მართლაც მოხდა. საზეიმო გახსნის მცირე მილოცვისთანავე დაიწყო სპექტაკლი სცენის მიმართულებით ჩვენი შუქფარების სხივებმა იმატეს. ჩემთან ახლოს მდგარ მცირე ეკრანის საკონტროლო გამოსახულება ჩინებულ სურათით გვიჩვენებს ეთერში გასულ კადრებს. დერეფნიდან რამდენჯერმე გაისმა ვ.ასკურავას ხმა: „ლაფაურო, ვიცი სადაც ზიხარ. ჩააქრობინე თქვენი შუქი“ ... მალე ვ.ასკურავას ხმა შეწყდა. პირველი მოქმედების დასრულებისას გავედი სარეჟისორო ოთახში, სადაც დამხვდნენ სპექტაკლის ყველა დამდგმელ-ორგანიზატორნი. ყველას უხაროდა სპექტაკლის წარმატებით დაწყება. მეც მივულოცე. ვ.ასკურავამ ნაიბურდელთა: „მაჯობე ლაფაურო! ჩემი თავი მილიციას გადაყვანიე, მაგრამ არაუშვას პირველ მოქმედებას თქვენს ავტობუსიდან ვუყურე. ჩინებულად მიდისო“. ” ჰო, და მომილოცია, ჩემო ვანო, ეს ხომ ჩვენი საერთო გამარჯვებაა. აბა წარმოიდგინე, შენს სპექტაკლს დარ-

ბაზში რამდენიმე ასეული კაცი უყურებს. ჩვენს სპექტაკლს კი მილიონები შესცქერიან. - ვიყოთ ბარი ბარში მეთქი. გავუნოდე ხელი, მოვეფერეთ ძველებური მეგობრობით ერთმანეთსა და „ასე ტკბილად დამიბერდი“ დავცილდით. აბესალომის მე-2 მოქმედება გაჩირალდნებული ქორწილია და იქით გვთხოვდნენ თეატრის ხელმძღვანელები შუქის დამატებას.

ბევრჯერ შეგვხვედრია გადაცემისა თუ ტრანსლაციის დროს მსგავსი დაძაბული ეპიზოდები. მაგრამ, უმალ გვავეინყდებოდა წყენა-დაღლილობა მათი ეთერში გასრულების შემდეგ.

ქუთაისის ახლად გახსნილ საოპერო თეატრში ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის“ დადგმამ, მისმა ტელერეჟორტაჟმა, უნდა აღინიშნოს, უდიდესი მონონება გამოიწვია. რა იყო ამის მიზეზი?! პირველი და მთავარი ჩემის აზრით, ის იყო, რომ იმ პერიოდის უკანასკნელი ათეული წლები ისე გადიოდა, რომ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახ. აკადემიურ თეატრში ხალხის საყვარელი ოპერა აღარ იდგმებოდა. თეატრი და მსმენელი ვეღარ ზეიმობდა სეზონის გახსნის პირველი დღის სიხარულით, რომელიც ტრადიციულად „აბესალომ და ეთერით“ უნდა დაწყებულიყო. ზედიზედ ჩაუვარდა თეატრს „აბესალომისა და ეთერის“ ცდა განახლებული სახით წარმოედგინა ხალხისათვის ესოდენ საყვარელი ქმნილება. დადგმები ჩაუვარდათ ცნობილ რეჟისორებს არჩილ ჩხარტიშვილს, გიგა ლორთქიფანიძეს, სხვებსაც.

ტელემაცურებლებმა და ქუთათურებმა კი იხილეს პატარა ნიუანსებითა და სადადგმო ელემენტებით ორიგინალურად გააზრებული და ფრთაშესხმული სპექტაკლი. რეჟისორი გივი გაჩეჩილაძე, მხატვარ ვ. ასკურავა არ გაიტაცა „ახალი იზმების“ მიმდევრობამ. ხალხის უკვდავი თქმულებისთვის, რომელიც ასევე უკვდავი მუსიკალური ხორცშესხმით გვაზიარა გენიალურმა ზ. ფალიაშვილმა, დამდგმელებმა აირჩიეს სწორი ხაზი. ალ. ნუნუნავასა და შ. აღსაბაძის გზა. ამ დიდი ქართველი რეჟისორებიდან აიღეს დეკორაციულ-სცენური ხორცშესხმის ტრადიცია, მას შესძინეს ახლებური ელემენტები და წარმატებამაც არ დააყოვნა.

ვიმეორებ, თითქოს „აბესალომ და ეთერის“ ე.წ. განახლებულ დადგმებს თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში რალაცა ჯადოსნური წრე შემოუფარგლეს, თითქოს ვილაცას სურდა „აბესალომ და ეთერის“ დემილის ფონზე სხვათა მუსიკის აღზევება.

ქუთაისიდან 1967 წ. 27 დეკემბრის „აბესალომ და ეთერის“ დადგმით ქვეყანას ეუწყა პატარა ქვეყნის დიდი კულტურის დიდი პერსპექტივა და პოტენციალი. ვთქვი და კვლავაც ვიმეორებ თეატრალური კულტურის უმაღლესი სინთეზია საოპერო ხელოვნება. მისი არსე-

ბოზა ერის მაღალი კულტურის მანიშნებელი იყო და იქნება მომავალშიც. აქ მინდა მოვიყვანო დიდი კოტე მარჯანიშვილის სიტყვის აზრი თბილისის საოპერო თეატრში ზ.ფალიაშვილის ოპერა "აბესალომ და ეთერის" პირველი დადგმის გამო. – მან დიდ ეროვნულ ზეიმს ღირსსახსოვარი მოვლენა, ქართული მუსიკის ამ შევენებას ევროპისაკენ სარკმლის შეღება და ევროპელთა სულიერი ყოფის მომავალი განახლების, „მესიანობა“ უწინასწარმეტყველა. ეს პროცესი უკვე გასული საუკუნის 80-იან წლებში აკი დაინყო კიდევ, „დაისის“, „აბესალომ და ეთერის“, „მინდას“ მოგ ზაურობით ევროპის ქვეყნებში. ბოლოს და ბოლოს მან მხრებით გაარღვია რუსეთის საზღვარი და მოხიბლა გერმანიის, ჩეხეთის, პოლონეთის ბევრის მნახველი საზოგადოება. ევროპის ქვეყნებში ქართული ოპერების ტრიუმფალური სვლა ისევ ქართველების მეორე ბაზალეთის, თბილისურმა ხოცვა-ყლეტამ შეაფერხა. საქართველოს ანარქიისა და განუკითხაობის პერიოდი დაუდგა – მეოცე საუკუნის მიწურულს. ჯერხნობით არც ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისი წლებია ჩვენი მრავალჭირნახული ხალხისათვის სასუკე ვარი გზის საწყისი. ათასობით ხელოვანი, განსაკუთრებით ერის სხვალინდელი იმედი – ახალგაზრდობა, თავშესაფარს ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში პოუვებს. არ მეგულებოდა საქართველოს მსგავსი ქვეყანა და თავით დედაქალაქიც, ვისთვისაც იწერებოდა ასობით სახოტბო სიმღერა, ლექსი. ეს ყოველივე გადაფარა „ქართველ მამულიშვილთა“ ფულის შოვნის ეგოისტურმა სიხარბემ. გაიხრწნა სული ჩვენი. თავკომბალას დაემსგავსა ქურდებით გაძეძგილი სამთავრობო სტრუქტურები. მათი შემხედვარე ქვეყნის ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობა ეიფორიაშია. აქ დარჩენილთა უმეტესობა ერთმანეთს პარავს რისი მოპარვაც კი შეიძლება. საქართველოში პატიოსანი კაცი და ქალი სანთლით საძიებელი ვახდა. ამ სამგლოვიარო, საჭირისუფლოდ გამხდარ ქვეყანაში დახმარებისათვის მოსული უცხოელი, ხედავს როგორი გულმოდგინებით დასევიან საძიძენად თავის ხალხსა და „ტკბილ მამულს“, უკვე თავადაც მითვლიან დიდ ულუფას. სადღეგრძელოები?! ეს განთქმული თამადობა ქართული?! უკვე ყელს ზევიდან ომახიანად ნათქვამი „მამულის“ ქება?! ო... ეს არათუ ხელუხლებელი, უფრო ახალი ელვარებით შეიმოსა. გმინავს დაშლილი, დაქუცმაცებული „ლეთისმშობლის ნილხვედრი“ მინა და ხალხი. თავის დროზე თბილისის „ბოპემის“ მომღერალი ი. გრიშაშვილი კინალამ დაახრჩვეს ლექსისათვის „ძველი თბილისი“. „ე, სადღა ნახავ ელამ მიკიტანს“ კი არა, უკვე მთელი ხალხი ჩივის, ნუნუნებს, მოსთქვამს, ღმერთს საყვედურობს გარეწისათვის.

ამიტომ, როდღია გვიკვირს ქართული კულტურის თანდათან დაკნინება, მისი სიკვდილის პირამდე მისვლა, მისი „მესიანობის“ ფუნქცი-

ების მოშლა. რას ვიზამთ?! ადამიანი წარსული მოგონებებით ცოცხლობდა ყოველთვის და ამ მოგონებებში მომავლის შორეულ ქრილში მობჟუტავე იმედის ვარსკვლავსაც ხედავდა. ჩვენც გვინდა ამ იმედის ნოტაზე გადავერთოთ და ისევე საქ. ტელემუსიკალური მთავარი რედაქციის განვლილ ნაღვანს დავუბრუნდეთ.

ქუთაისის საოპერო თეატრის საზეიმო გახსნა, მართლაც ზეიმური იყო. „აბესალომ და ეთერი“ მართლაც მშვენიერი სპექტაკლი გამოვიდა. მუსიკისმცოდნე ანტონ ნულუკიძე, რომელიც იმჟამად კულტურის სამინისტროს თეატრების სარეპერტუარო განყოფილებას განაგებდა, მაღალ შეფასებას აძლევდა მსახიობების, გუნდის, ორკესტრის ანსამბლურ ჟღერადობას, მათ საშემსრულებლო ტექნიკის დახვეწილობას.

ვინაიდან შორი გზით მოსული მოძრავი სატელევიზიო სადგურით უახლოეს ხანებში ქუთაისს ველარ ვენვეოდით, ამასთან ტექნიკა უკვე განლაგებული იყო ოპერის თეატრში, გადაწყვეტილი გვექონდა დარჩენა და მეორე დღეს მ.ბალანჩივადის ოპერის „დარეჯან ცბიერი“ ვიდუოფირზე ჩაგვენერა. ინტერესს იწვევდა „აბესალომ და ეთერზე“ განული დიდი შრომის შემდეგ, თეატრის ძალები როგორ წარმოაჩენდნენ მეორე პრემიერას. ამასთან, ეს ოპერა უკვე ათეული წლებია რაც აღარ იდგმებოდა თბილისში და ურიგო როდი იქნებოდა მისი შეთავაზება ტელემაყურებლებისათვის.

ჩვენდა გასახარად „დარეჯან ცბიერი“, (დამდგ. რეჟ. გ.გაჩეჩილაძე, მხატ. ვ.ასკურავა) არანაკლები წარმატებით იქნა განსახიერებული. შესანიშნავად ჟღერდნენ სოლისტები, გუნდი, ორკესტრი. მშვენიერი იყო დადგმა, მიზანსცენები, მხატვრობა. ასე ხალისიანად დავტოვეთ სავარდო ქუთაისი და დავთქვით, რომ თეატრის დადგმებს პერიოდულად გავაშუქებდით. ქუთაისში ოპერის გახსნა მნიშვნელოვანი იმითაც გახლდათ, რომ მან სტიმული მისცა თბილისს ქუთაისში სახ. კონსერვატორიის ფილიალის დაარსებას. ეს აუცილებელი იყო ორკესტრის მსახიობების, გუნდის მომლერლების ადგილობრივი კადრებით შევსების მხრივაც. ცხადია, განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა სოლო სიმლერის კათედრის არსებობას.

მუსიკალურმა რედაქციამ 1968 დაწ. მესხიშვილის სახ. თეატრში მოაწყო თავისი ტრადიციული ციკლის „მუსიკალური შეხვედრები“, რომელიც მიედგნა ქუთაისის მუსიკალურ ცხოვრებას. მასში მონაწილეობა მიიღეს ოპერის სოლისტებმა, კულტურის სახლის ქალთა ანსამბლმა, მოცეკვავეთა კოლექტივმა, პ.ბასილადის ხელმძღვანელობით კონსერვატორიის ფილიალის სტუდენტებმა, ქალაქის სხვა კოლექტივებმა (რედ. ს.ლაფაური, რეჟ. უ.დარჩია).

მაღე ქუთაისის ოპერას დაემატა საბალეტო დასიც. ბალეტმაის-

ტერუბად სხვადასხვა დროს დადგმებზე ინვევენდენ მ.ლავროვისკის, ალ.ჭიჭინაძის, ბ.მონაწარდისაშვილს, ვლად.ივანკინსა და სხვ. სულ რა-ღაც ათიოდე წელიწადში ქუთაისის ბალეტის ახალგაზრდულმა დასმა დადგა ა.ბალანჩივადის „მთების გული“ (დამდგ. ბ.მონაწარდისაშვილი) შტრაუსის მიხედვით „შტრაუსიანა“, გერტერის „ამაო სიფრთხილე“ (ბე-ბია და შვილიშვილი), მინ.კუსის „დონ კიხოსის III მოქ. დ.შოსტაკოვიჩის „ქალიშვილი და ხულიგანი“, შ.დავიდოვის (დავითაშვილი) „ვეფხვი და მოყმე“, „ზვიადური“, ვ.აზარაშვილის „ხევისბერი“, რიმსკი-კორსაკო-ვის „კაპრიჩო“, იგორ სტრავინსკის „ცდომილი შვილი“, ცინცადის „პო-ემა“ (მე-3 სიმფონიის მიხედვით), ჩაიკოვისკის „ფრანჩესკა და რიმინი“, გერშვინის „რაფსოდია“, ასაფიევის „ბახჩისარაის შადრევანი“.

საქ. ტელევიზიის მუსიკალური პროგრამების მთ. რედაქცია შე-საძლებლობის მიხედვით მხარში ედგა ქუთაისის ახალგაზრდულ ბა-ლეტს. ვიდეოფორზე ინერდა ბალეტებს, ცალკეულ სცენებს და გა-დასცემდა ეთერში ცალკე სპექტაკლებს, შექმონდა ცალკეული სცე-ნები თავის ყოველდღიურ პროგრამებში.

ასევე ითქმის ქუთაისის საოპერო დადგმებზე, ჩვენ კურსი გვექონ-და ალბეზური იმ გეზით, რომ უფრო დიდი ადგილი დაგვეთმო იმ ქარ-თული ოპერებისათვის, რომელიც დიდი ხანია აღარ იდგმებოდა თბი-ლისის საოპერო სცენაზე. ქუთაისის ახალ თეატრს საოპერო თუ საბა-ლეტო სპექტაკლების ჩასანერად ტელე-რადიო კომიტეტი უხდოდა სა-თანადო თანხას ტელეგადაღებების დროს მომსახურების, ელექტრო-ენერგიის ხარჯვისა თუ სპექტაკლის მთლიანად შექმნის მიზნით, მისი ტელევიზიანტად გადამუშავების გამო. ძირითადად ზემოთქმულ სა-მუშაოს ვენეოდით ამ სტრიქონების ავტორი, რეჟისორები გ.გაჩეჩი-ლაძე და უშ.დარჩია.

1967-79 წლებში ქუთაისში ჩავენერეთ მ.ბალანჩივადის „დარეჯან ცბიერი“, შ.მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა“, ო.თაქთაქიშვილის „მინდია“, დ.თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალი“, ვ.დოლიძის „ქეთო და კოტე“. ზ.ფალიაშვილის „დაისი“. აქვე დავასახელებ საკმაოდ კარ-გი ხმების მქონე მომღერლებს, ლირიკულ-დრამატულ ტენორს ვაჟა კუბლაშვილსა და მის ვაჟს, ასევე ლირიკულ ტენორს, ანატოლი ჭურ-ლულიას, რომელთა მხრებზე გადადიოდა ოპერის სანყისი წლების სიმ-ძიმე. ნაყოფიერი იყო დირიჟორების თ.კობახიძის, რ.ხურცილავას, ქორ-მაისტერების ავთ.მაჭავარიანისა და ა.განუგრავას საქმიანობა.

ქუთაისის საოპერო დასმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა საოპერო კლასიკის დადგმებითაც: აქ იდგმებოდა ვერდის, პუჩინის, ჩა-იკოვისკის, ოპერები. ქუთაისის საოპერო თეატრის თავდაპირველი კურსი აეჟღერებინათ ძირითადად ქართველი კომპოზიტორების ნა-წარმოებები, საზოგადოების მხრიდან და პირადად ჩვენი მთავარი რე-

დაქციიდანაც მხარდაჭერასა და თანადგომას იწვევდა. რედაქციის მხარდაჭერის მაგალითებს აქ აღარ დავასახელებ, საკმარისია მკითხველის ყურადღება მივაქციო ზემოთ უკვე თქმულს, სადაც ნათლად იკითხება ტელევიზიის დამოკიდებულება მათდამი.

სამწუხაროდ, ქუთაისის ოპერისა და ბალეტის უკვე სახ. თეატრად გარდაქმნის რამდენიმე წლის შემდეგ ქუთათურები წინ ველარ მიდიოდნენ. ამის მიზეზი კულტურის სამინისტროშიც უნდა მოგვეძებნა. ერთ დროს ეროვნულ ნიადაგზე რეპერტუარის მაძიებელი თეატრის ერთი ადგილის ტკეპნის გამო ამ სტრიქონების ავტორმა ქუთაისის 1989 წ. 22 თებერვლის საქალაქო გაზეთში გამოაქვეყნა გულისტკივილით აღვსილი წერილი, სათაურით – „რამ დამაფიქრა“. მინდა მკითხველის სამჯავროზე გამოვიტანო იგი უცვლელი სახით:

...“ერის კულტურა, მისი სულიერი ცხოვრება წარმოუდგენელია მუსიკალური ხელოვნების გარეშე. თუ ერის მუსიკალურ აზროვნებას აგვირგვინებს ისეთი განვითარებული, მაღალპროფესიული მუსიკალური-თეატრალური სინთეზი, როგორიცაა ოპერა, მაშინ ასეთ ერზე ამბობენ ნიჭიერი და კულტურული ხალხიაო. ერთი ნუთით წარმოვიდგინოთ 1937-58 წლებში მოსკოვში მოწყობილი ქართული ხელოვნების დეკადა ოპერისა და ბალეტის თეატრის მონაწილეობის გარეშე და თვალსაჩინო გახდება მუსიკალური თეატრის როლი საზოგადოების ყოფაში. ამიტომაც გამორჩეულად გვიყვარს ჩვენი თეატრი, ზაქარია ფალიაშვილის სახ. აკადემიური თეატრი, მუსიკით გაუხლენთილი მისი თაღები, ჩემი თაობის პირველი პაემანის ადგილ-სალოცავი...

საოპერო თეატრისადმი ჩვენი ასეთი გრძნობა არაა მხოლოდ თბილისელთა კუთვნილება. იგი საყოველთაოა, ქართველი ხალხის საერთო გენის ნაწურია. ამიტომაც დაუმკვიდრდა უცხოელთაგან საქართველოს ეგზოტიკური, მოფერებითი სახელი „სიმღერის ქვეყანა“, მართალია, ამ სახელის დამკვიდრებაში ძირითადი წვლილი საოცარი აღნაგობის ხალხურ სიმღერა-გალობას მიეკუთვნება, მაგრამ ერის სამუსიკო აზროვნების, მისი „სიმღერის ქვეყნად“ განსაზღვრაში საოპერო ხელოვნებისადმი ჩვენი ხალხის ბუნებრივ სიყვარულსაც უღვევს დიდი წილი.

ამიტომაც აღარ გვიკვირს რატომ იდგმებოდა საოპერო სპექტაკლები ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, გორში, თელავში. ამიტომაც უცხო ქვეყნის წარმომადგენლებს თუ ანცივიფრებთ მცირერიცხოვანი ერისათვის ორი საოპერო თეატრის არსებობა, ჩვენმა ხალხმა სრულიად კანონზომიერად ჩათვალა საქართველოს მეორე დედაქალაქად აღიარებულ ქუთაისში ოპერისა და ბალეტის მეორე თეატრის გახსნა. იგი

ზატარია ფალიაშვილის სახ. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახ. აკადემიური თეატრის ფილიალად დაემკვიდრა. ეს იყო 1969 წლის 27 დეკემბერი, ჩვენი ერის წინა საახალწლო მუსიკალური საჩუქარი ქუთათურებისადმი, სრულიად საქართველოს ყველა მამულიშვილისადმი. ამის ხორცშესხმა ქუთაისის საზოგადოების დიდი ხნის ოცნება იყო. XX საუკუნის 70-იანი წლების ჩვენი ხალხის კულტურული ყოფის საუკეთესო ფურცლებად ჩაინერება, რომელსაც კიდევ უფრო დააფასებს მომავალი თაობა. ახლახანს კი კიდევ ერთმა სასიხარულო ცნობამ გაგვახარა და მუსიკისმოყვარულთა გულის სიმებს შეეხო საქართველოს მთავრობის გადანყვეტლებამ. ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დამოუკიდებელ სახელმწიფო თეატრად გარდაქმნის შესახებ. ესარგებლობ შემთხვევით და ჩემს ქუთათურებს, საქართველოს ყველა მშრომელს, ერსა და ბერს ვულოცავ ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მყარ ნიადაგზე, საკუთარ ფეხზე დადგომას.

ბევრი, ძალიან ბევრი საინტერესო მოგონება მაკავშირებს ქუთაისის მუსიკალურ ყოფასთან. თეატრის არა ერთი სპექტაკლი ჩავინერეთ, ვანყობდით „ქუთაისის მუსიკალურ სატელევიზიო საღამოებს“, ცალკეულ კონცერტებს, გადაცემებს თეატრის მომღერლებზე, მხატვრულ კოლექტივებზე.

ახლა კი თუ მკითხველი არ გადავლალე, მინდა შევეხო თეატრის წინაშე მდგარ ზოგიერთ დღევანდელ და სამომავლო საკითხებსაც. ესარგებლობ იმით, რომ ვიცი ჩემს დიდ სიყვარულში, გულწრფელობაში ქუთათურებს ეჭვი არ შეეპარებათ და მეც ეს მათამამებს. სჯობს აქვე აღვნიშნოთ: შესაშური ენთუზიაზმით, ნამდვილი შემოქმედებითი აღმაფრენით დაიწყო თეატრმა ცხოვრება. ზ.ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ ჩინებულ დადგმას მეორე დღეს მ.ბალანჩივაძის ოპერა „დარეჯან ცბიერის“ მშვენიერი დადგმა მოჰყვა; ამკარად ჩანდა მთელი თეატრის, მისი ხელის შემწყობთა დიდი, ღრმა ნამუშევარი. არ დამევიწყებდა დამდგმელი დირიჟორის თ.კობახიძის ენით უთქმელი ღვანლი, როგორიც დასახელებული სპექტაკლების მომზადებაში, ასე საერთოდ ქუთაისის მუსიკალური ცხოვრების წინაშე. ასევე ითქმის დამდგმელ რეჟისორზე, დამდგმელ მხატვარზე, ქორმაისტერებზე და ქორეოგრაფიაზე. ჩემის აზრით დადგა დრო ქუთაისის საოპერო ხელოვნებას, ამ შესანიშნავი, კოლორიტული ქალაქის მუსიკალური წარსული და დღევანდელი ყოფა წიგნად იქცეს.

თეატრის პირველი ფრთაშესხმა, შემართება კარგა ხანს გაგრძელდა. ამის წყალობით მივიღეთ ზ.ფალიაშვილის „დაისი“, ე.დოლიძის „ქეთო და კოტე“, შ.მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა“, ა.კერესელიძის „ბაში-აჩუკი“, დ.თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალი“. თეატრმა არც

მცხოვანი კომპოზიტორი ა.ანდრიაშვილი დაივინყა, ახალი რედაქციით დადგა მისი ოპერა „კაკო ყაჩალი“. თეატრმა პირველი დადგმის უფლებით ააუღერა გ.ჩლაიძის, შ.ჯოჯუას ოპერები. ასევე პირველად აქ დაიდგა შ.დავიდოვის ბალეტები „ვეფხი და მოყმე“, „ზვიადური“, ე.აზარაშვილის ბალეტი „ხევისბერი გოჩა“, ახალი რედაქციით დაიდგა ა.ბალანჩივაძის ბალეტი „მთების გული“, ს.ცინცაძის „პომეა“. ასევე წარმატებით განხორციელდა რუსული და ევროპული კლასიკური და თანამედროვე ოპერები, ბალეტები. მათი რიცხვი უკვე იმდენია, ჩამოთვლასაც კი ალარ ექვემდებარება. ამიტომ სპექტაკლების დადგმის აკკარგიანობაზე კონკრეტული საუბარი აქ უადგილოდ მიმაჩნია. ეს მით უფრო, რომ ცალკეულ დადგმებზე, როგორც საოპერო, ისე საბალეტოზე, ხშირად გამოქვეყნებულა კვალიფიციური რეცენზიები ნამყვანი სპეციალისტების მიერ. აქ მე მინდა აღვნიშნო ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთელი შემოქმედებითი კოლექტივის, განსაკუთრებით პირველ პერიოდში, ინტერესი ეროვნული საოპერო, საბალეტო რეპერტუარის შექმნისადმი. ეს იყო მისასაღმებელი, სამაგალითო გზა, ეროვნული მუსიკალური ხელოვნების აღორძინება-განვითარების გზა. სამწუხაროდ, ამ გზიდან კარგა ხანია გადაუხვია ზ.ფაღიაშვილის სახ. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახ. აკადემიურმა თეატრმა. ქართულ თეატრს ქართული სიტყვა და მუსიკა თუ არ ამშვენებს, ისე შენობა წმინდა სიონის ტაძარზედაც რომ დააშენო ეროვნული თეატრი გვაქვსო, ვერ ვიტყვით.

სამწუხაროდ, ამ ბოლო პერიოდში ქუთაისის თეატრმაც შეანელა კარგად დანყებული საქმე. არადა, საკითხავია რატომ არავინ არნალვლობს ქართულ ოპერებზე და მათ შორის საბავშვო სპექტაკლებზე?! თბილისში პრობლემა გახდა შაბათ-კვირას სად წაიყვანო მოზარდი. მარტო გულზე მჯიხის ცემა ან „საჯარო საუბრები“ გიყვარდეთ მუსიკა, იგი ადამიანს ზნეობრივად, ესთეტიკურად ამალღებსო“ უკვე დემაგოგიურად უღერს. თუ თბილისში ამას ვწუნუნებთ, რალა უნდა ვთქვათ ქუთაისზე?!”

ყველაზე დიდი საფიქრალი მუსიკალური თეატრის რეჟისორის პრობლემიდან მოდის. გასული წლის 13 დეკემბრის გაზეთ „სახალხო განათლებაში“ მუსიკალური აღზრდის სხვა პრობლემატურ საკითხებთან ერთად უმთავარრეჟისოროდ დარჩენილი ქუთაისის საოპერო თეატრიც ვახსენე. მართალია, ახლა იმდენი კრიტიკული წერილები ინერება, გამგებელი აღარაა, მაგრამ, ჩემის აზრით, იმიტომ არსებობენ მაღალი ინსტანციები, რომ ყურად იღონ საღად გამოთქმული აზრი და გაატარონ ყველა ღონისძიება ნაკლის გამოსასწორებლად. ამ შემთხვევაშიც ურეჟისორო, უბალეტმეისტერო მუსიკალური თეატრი ანეგდოტად გამოადგებათ მომავალ თაობას. უფლება არა აქვს! სამინისტროს,

სათანადო ზემდგომ ორგანიზაციებს, თეატრის დირექციას მშვიდად დაიძინონ, როდესაც თეატრებში ასე გვიჭირს. ეს პრობლემა ახალი არაა. 60-იანი წლებიდან განსაკუთრებით მძაფრად იგრძნობა ურეჟისორობა. არა მგონია მონდომებულ კაცს ამ ხნის მანძილზე რესპუბლიკაში ვერ აღმოეჩინა ათიოდე ნიჭიერი მუსიკოსი ან მისი მოყვარული და სარეჟისორო ფაქულტეტზე მიზნობრივ ჯგუფებში არ აღგვეზარდა. ასევე ითქმის ბალეტის მსახიობებზეც. ბოლოს და ბოლოს, იტალია და ამერიკა აღარ დაგვრჩა სხვადასხვა სტაჟირებაზე გასაგზავნად, მუსიკოს-რეჟისორმა რალა დაამავა?! რეჟისორების, ბალეტმეისტერების ასეთ შიმშილში ვინ მოგვცა უფლება მაქსიმალური ხელშეწყობით არ გამოვიყენოთ გ.გაჩეჩილაძე, უ.დარჩია, დ.ნიკოლაძე, თ.აბაშიძე, ბ.მონავარდისაშვილი და სხვები?! მე არა მგონია მომავალმა თაობამ გვაპატიოს მსოფლიოში უდიდესი ბალეტმეისტერის ვ.ჭაბუკიანის ათეული წლობით ძალით თეატრიდან მონყევტა. თუ თბილისის თეატრში არ შეუძლიათ რატომ ქუთაისში ერთხელ მაინც არ მივინვიეთ?! არც ცნობილ რეჟისორ ვ.ტაბლიაშვილს, ბალეტმეისტერებს მ.ლავროვსკის, ქუთაისის მკვიდრს ალ.ჭიჭინაძეს, ბ.მონავარდისაშვილსა და სხვებს ვიყენებთ სათანადოდ.

ქუთაისში ოპერის გახსნიდანვე ჩაეყარა საფუძველი საბალეტო დასს. თუ არ ვცდები, იქ უკვე თექვსმეტამდე ბალეტი დაიდგა. მიუხედავად ამისა, საბალეტო დასი სათანადო სოლისტებით ვერა და ვერ დაკომპლექტდა. ვინც თეატრში მივიდა, მალევე მიატოვა. ამ დროს, ქალაქის პარტიულ ხელმძღვანელობა ძალიან ბევრს ცდილობს ბალეტის მსახიობთა საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა. მამ რამია საქმე?! ჩემის ღრმა რწმენით ახლად ჩამოსულ მსახიობთან, რეჟისორთან თუ ბალეტმეისტერთან ურთიერთობაში გარდა მატერიალურისა, მორალურ-ზნეობრივი ფაქტორებიც მოქმედებენ. როგორი გულისხმიერებით ვხვდებით მათ, როგორი პროფესიული ურთიერთობა დავამყარეთ მათთან. აქსულ მცირე უსულგულობა, ტრადიციული, ბიუროკრატიული აზროვნება ყველაფერს წყვეტს.

ჩემის ღრმა რწმენით თბილისისა და ქუთაისის თეატრებს შორის სოლისტების ხშირი გაცვლაც გარკვეულად შეუწყობდა ხელს მათი ოსტატობის ზრდას, პოპულარობას.

აქვე მინდა გავიხსენო: გასული წლის გაზაფხულზე ქართული ოპერების ვიდეო ფირზე საფონდოდ ჩასანერად ქუთაისის ვენიეთ მოძრაივი სატელევიზიო სადგურით. წინასწარ სათანადო, ოფიციალური მოლაპარაკების მიუხედავად თეატრი, განსაკუთრებით მისი ორკესტრი ამ დიდი და სამვილიშვილო საქმის განსახორციელებლად სასურველ დონეზე მობილიზებული არ დაგვხვდა. ოდესღაც დადგმული მ.შველიძის „დიდოსტატის მარჯვენა“ და გ.თორაძის „ჩრდილოეთის პატარ-

ძალი“ ფაქტიურად ჩვენი იქმუშაობის პერიოდში აღადგინა ცნობილმა რეჟისორმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა; გაიგეს თუ არა, რომ ვინერდით საოპერო სპექტაკლებს თბილისიდან თეატრის დასახმარებლად საკუთარი ხარჯით ჩამოვიდნენ ბატონი ვახტანგი და მუსიკის მცოდნე ანუ ლუკიძე. რატომ?! ხომ იცოდა თეატრმა, რომ ტელევიზია სპეციალურად მათთან ჩადიოდა სამუშაოდ?!

მე გულზე მომხვდა ვ.ტაბლიაშვილის ნათქვამი თეატრის ხელმძღვანელობისადმი: „დღეს კი არა, როდესაც საჭირო ვიქნები, გამაგებინეთ. მე მზად ვარ უსასყიდლოდ ჩამოვიდე, განვაახლო თითქმის დაშლილი სპექტაკლები“. რატომ არ ვიყენებთ ასეთ პატრიოტულ შემთავაზებებს?! ჩემთვის ყოველივე ეს გაუგებარია და ამამივე დავინახე გულგრილობის ბატილა, რომელიც თეატრში მოსულ ახალგაზრდა ბალერინების განთესვას ეხება. სათქმელს რა გამოლევს, მთავარია გამგებმა გაიგოს და საქმეს მიეხედოთ.

იმდენად მივეჩვიეთ ორგანიზაციებს, მხატვრულ კოლექტივებს აუცილებლად უნდა ერქვას ვისიმე სახელი, რომ ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ამ საკითხის გარშემოც უკვე მიმდინარეობს აქტიური სჯა-ბაასი. ჩემის აზრით შემდეგ რომ ახალი განსჯა არ დაგვჭირდეს მიკუთვნებული სახელის ხელახალი გარდაქმნისათვის, საერთო დაფიქრება გემართებს. მიცვთ ხალხს მსჯელობისა და უკეთესთა შორის უკეთესი წინაპრის სახელის ამორჩევის უფლება. დაე, ხალხმა გადანყვიტოს ვისი სახელობისად მონათლოს ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი. ჩემის მხრიდან კი აქვე დაეძინდი. ღირსია ხშირად იხსენებოდეს მე X საუკუნის უდიდესი მგალობელი და მოღვაწე მიქაელ მოდრეკილი. სწორედ მისი გენიის მადლიც გვაცხია მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა, რომ შექზარის განუმეორებელ ქართულ სიმღერა-საგალობლებს. „საქართველო სიმღერის ქვეყანაა“ ამბობენ ჩვენზე. ამ ლამაზი უპითეტიტ ჩვენი მამულის შემკობაში მიქაელ მოდრეკილსაც ღლომის წილი უდევს. გაანათლოს ღმერთმა მისი სახელი.

ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი – ამაყად უღერს იგი. ეს მით უფრო სახოვანია თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოს რიგ თვალსაჩინო ქვეყნებს ორი კი არა, არც ერთი ასეთი თეატრი არა აქვს. ეგება ცხადდება დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის ნათქვამი 1919 წლის 21 თებერვალს ზ.ფალიაშვილის ოპერა „აბეჯალომ და ეთერის“ პირველი აუღერების გამო თბილისის საოპერო თეატრმა: „დიდი დღესასწაულია! სარკმელია ევროპისაკენ! მელანდება და მგონია, ხორცს ისხამს ჩვენი მესიანობა ხელოვნებაში, მსოფლიო ხელოვნებაში მწამს საქართველო, ორი დიდი დამოუკიდებელი კულტურის საზღვარზე მდგარი – თავის არსებაში ამყნობს ამ

ორ კულტურას და ოდესმე მისცემს ქვეყნიერებას იმპულსს ხელოვნების აღორძინების ახალი ეპოქის შექმნისათვის, ახალი ვითარებისა და ალალი აზრით აღვსილობისათვის"... გულთამხილავი და წინასწარმეტყველურია დიდი კოტეს აზრი. ეს სიტყვები დღეს ახლებურად აღიქმება, როდესაც გერმანიაში, ამერიკაში, იაპონიაში, ავსტრიაში მღერიან ქართულ ხალხურ სიმღერებს ქართულსავე ენაზე... ამის შემყურეს ხელების დაკაპინება გემართებს თავაუღებელი შრომისათვის, ისე არ გამოგვივიდეს ქართველები ქართული სიმღერის შესასწავლად და ყადრის გასაგებად უცხო ქვეყნებში მისაველიანებლები გაეხდეთ!

;
;
;
;
;
;
;

აფსაზეთი ტელეეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის დაბადებიდანვე ამ მცირერიცხოვან კოლექტივზე ბევრი საქებარი ითქვა. კიდევ ბევრია სათქმელი. ეს მარტო მუსიკალურ გადაცემებს როდი ეხება, მაგრამ მოგეხსენებათ ყველას თავისი გზა და სათქმელი აქვს. არც მე ვარ გამონაკლისი, მით უფრო, რომ აფსაზეთთან, მისი რაიონების მშრომელებთან, მრავალი შეხების ნერტილი მქონია. გავიხსენებ რეჟ. ზ. კაკაბაძის მიერ კინოს ფართო ფირზე გადაღებულ გალის რაიონის მხატვრულ თვითშემოქმედებას. მართალია, ჩემი გვარი ფილმ-კონცერტის ტიტრებში არა სჩანს (რაც ესოდენ დიდი სანწყინი იყო ჩემთვის) ეს მით უფრო, რომ გალის მაშინდელი პარტიული ლიდერი ამირან ქავთარაძე მე დამიკავშირდა. მოვილაპარაკეთ, დავგეგმეთ. ბ-ნ კარლო გარდაფხაძის დახმარებით ნავიყვანე გალში რადიოს ხმისჩამწერი მიკრო ავტობუსი „ტონვაგენი“. რეპერტუარი შევარჩიეთ, ჩემთან ერთად იყავნენ ახალგაზრდა ლოტბარი ანზ. ერქომაიშვილი, ხმის რეჟ. კომპოზიტორი ი. ბობოხიძე. მოვიარეთ სოფლები, მოვისმინეთ კოლექტივები და გალის კულტურის სახლში ჩავინერეთ მათი ხმები კინოზე გადასაღები ფონოგრამების მოსამზადებლად. ასე შემორჩა მომავალ თაობას კინოფირზე გადაღებული ფილმ-კონცერტი „კოლხური სუიტა“.

დასაწყისშივე ვახსენე ჩვენი პირველი წლების პატარა კოლექტივის დიდი საქმეები. განვაგრძობ მასზე საუბარს.

საქ. ტელემაუწყებლობის დაწყების პირველ წლებში, უკვე ითქვა და ვიმეორებ, ჩვენი გადაცემები აღმოსავლეთ საქართველოს იქით არ ვრცელდებოდა. მთელი დასავლეთ საქართველო მოქცეული იყო მოსკოვის ცენტრალური ტელევიზიის არეალში. საქართველოს სატელევიზიო გამამცემის სიმძლავრე სუსტი იყო. მცხეთისა და სხვა ტელეანტენები მაშინ არც არსებობდა და არც ჩქარობდნენ მშენებლობის დაწყების დაფინანსებას. დასავლეთ საქართველო ისმენდა და უყურებდა მოსკოვის ცენტრალური ტელევიზიის მხოლოდ რუსულ გადაცემებს. მათთვის მოკლებული იყო ქართული სიტყვა. აი, სწორედ მაშინ დაგვებადა აზრი რაღაცა ლონით მიგვეწვდინა ხმა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისათვის. ამის გაკეთება შეიძლებოდა მხოლოდ

მოსკოვის ნებართვით, სოჭის ტელევიზიით, კვირაში ორჯერ მაინც მოგვეწყო ქართული გადაცემები. დაინერა დასაბუთებული წერილი ცენტრალური ტელერადიო კომიტეტის ხელმძღვანელთა სახელზე. იმჟამად კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ ქართველი ხალხისადმი კეთილგანწყობილი, ი.ბ.სტალინის დროს სსრ განათლების მინისტრი ს. კაფტანოვი. მისი გადაწყვეტილებით სოჭის ტელევიზიის გადაცემების ბადეში გამოიყო 30 წ. საქართველოს ტელევიზიისათვის. მოგვხსენებათ ტელე-რადიოში თითოეულ წუთს თავისი ფულადი ღირებულება ახლავს. ჩვენ 30 წ. დამატებითი თანხა არ მიგვიღია, მისი მომზადების ხარჯები დაგვეკისრა რედაქციებს. საქ. ტელევიზიის ხელმძღვანელობის თათბირზე უკვე დადგა საკითხი პირველი რომელი რედაქცია წარსდგებოდა სოჭიდან დასაავლეთ საქართველოსათვის. მე შევეთავაზე აფხაზეთის, კერძოდ სოხუმის მხატვრული კოლექტივებიდან შეგვეჩრია და მათი ცოცხალი მივლინებით მოგვეწყო საცდელი კონცერტის გადაცემა.

ასეც მოხდა. კმაყოფილებას ახლაც ვერ ვმაღავ, რომ მე დამევალა ამ პროგრამის მომზადება. ჩავედით მივლინებით სოხუმში მე და რეჟ. ნ. გარსევანიშვილი. მუსიკალური კოლექტივების მოსმენის შემდეგ, არჩევანი შევაჩერეთ „აფხაზსოუს“ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლზე, რომელსაც ვ. სიჭინავა ხელმძღვანელობდა. საკონცერტო პროგრამის ვიზირებული ტექსტით სოჭში ჩავიდნენ დიქტორი ლია მიქაძე და რეჟ. ნ. გარსევანიშვილი იქვე ჩავიდა „აფხაზსოუს“ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი“. სოჭელი ტელევიზიის თანამშრომლები გულთბილად შეხვდნენ ჩვენგან წარგზავნილებს. მათ უკვე საკუთარი სურვილით შეგვთავაზეს ხშირად ჩავსულიყავით მათთან, გვესარგებლა მათი ეკრანიდან საქართველოს მოსახლეობასთან სასაუბროდ, მათთვის ქართული ხმის მისაწვდენად.

მას შემდეგ მრავალი გადაცემის ეთერში გაშვება მოგვიხდა სოჭიდან, რის გამო არაერთ მადლიერებით აღსავსე წერილსაც ვიღებდით, რუსი მაყურებლებიდანაც.

ასე დაიწყო მუსიკალური პროგრამების მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა აფხაზეთთან.

მოდრავი სადგურის მიღებისთანავე მალე ვენვიეთ სოხუმსაც. იქ ბევრი ჩემი მეგობარი მოღვაწეობდა ზ. ფალიაშვილის სახ. ნიჭიერთა მუსიკალური ათნლედისა და ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის კონსერვატორიაში სწავლის პერიოდიდან. მრავალთაგან გამოვეყოფ მუსიკის-მკოდნე სვეტლანა ქეცბას, კომპოზიტორ მამია ბერეკაშვილს, რაჟდენ გუშმას, არდამან ავიძბას.

მამია ბერიკაშვილი მრავალი წლის მანძილზე მოღვაწეობდა აფხაზეთის ფილარმონიის სამხატვრო ხელმძღვანელად, სვეტლანა ქეც-

ბას ყოველთვის თავისი ორგანიზატორული ნიჭისა და პროფესიონალიზმის წყალობით გარკვეული წვლილი შეჰქონდა აფხაზეთის მკვიდრი მოზარდების მუსიკალურ აზრდაში. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა სოხუმის დ.არაყიშვილის სახ. მუსიკალურ სასწავლებელს, იყო აფხაზეთის კულტურის მინისტრის მოადგილე, საქ. კომპოზიტორთა კავშირის აფხაზეთის ფილიალის განყოფილების თავმჯდომარე. რაჟდენ გუმბა, ვასილ ცარგუშთან ერთად ნაყოფიერად იღვწოდა საგუნდო მუსიკის სფეროში. კარგი კონტაქტები მქონდა საოლქო კომიტეტის მე-3 მდ. ხვარნკიასთან. კულტურის მინისტრ ნ. კიუტისთან და მის მოადგილე შ.აბუთიძესთან, ქორეოგრაფებთან ვიკი და ვენერა ჩახაევთან, ლუდმილა ჩიხრაძესთან, მასწავლებელთა სახლის დირექტორ ვალერიან ჯაჭვლიანთან, აფხაზეთის ფილარმონიის დირექტორ კონსტანტინე ჩალმაზთან, მის მოადგილე ოთარ დარაბველიძესთან, გაზ. „საბჭოთა აფხაზეთის“ თანამშრომლებთან თამაზ ჩოჩუასთან, ხუტა ახალაიასთან, მომღერლებთან, მწერლებთან, მხატვრებთან და მრავ. სხვებთან. მათთან ურთიერთობით მოვაშადადე გადაცემები: „მუსიკალური სოხუმი“, „აფხაზური ხმები“, „ერთი დღე მუსიკალურ სასწავლებელში“ და ა.შ.

გადაცემა „მუსიკალური სოხუმი“ ერთ საათს გრძელდებოდა. პროგრამაში პროფესიონალ მომღერლებთან ლუდ. ლოგუასა და არდ. ავიძბასთან ერთად მონაწილეობდა ქალთა მშვენიერი ანსამბლი „გუნდა“, კამერული ორკესტრი, სიმებიანი კვარტეტი, საგუნდო და ქორეოგრაფიული კოლექტივები.

იმ პერიოდში სოხუმიდან პირდაპირ თბილისს (დღის საათებში, მოსკოვიდან აღებული ნებართვით, სარელეო ხაზების მეშვეობით) თბილისის ცენტრალურ სააპარატოს ვანვდიდით ხმასა და გამოსახულებას. იგი ეთერში გასვლის გარეშე ვიდეოფირზე იწერებოდა. ამის შესახებ ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ თუ რა სიძნეეების დაძლევა გვიხდებოდა და აქ აღარ გავიმეორებ.

ღირს ცალკე საუბარი „მზიური აფხაზეთის ხმების“ შესახებ. ეს მოხდა 1967 წ. 3 მარტს. იგი პირდაპირ ეთერში მიდიოდა 2 საათის განმავლობაში სოხუმის ჭანბას სახ. სახელმწიფო თეატრიდან. მისი სცენა და სცენის მიმდებარე „ჰოლი“ გამოყენებული იყო, როგორც ერთიანი სტუდია. „ჰოლში“ გამოყენილი იყო სოხუმში მოღვაწე მხატვრების ნამუშევრები, აქვე საუბრობდნენ პოეტები, მწერლები. სცენაზე კი განლაგებული სიმფონიური ორკესტრი ვ. შუბლაძის დირიჟორობით. ეთერში პირველად აჟღერდა მცირე ფორმის ადგილობრივი კომპოზიტორებისა თუ მსოფლიო კლასიკის ნიმუშები. სცენაზევე იყო მოწყობილი დანადგარები საგუნდო კოლექტივების, მოცეკვავეთა ანსამბლების, სოლისტების, საესტრადო ჯგუფების გამოსასვლელად. ლოყა ნარმო-

ადგენდა სადიქტორო კუთხეს. მქონდა აუცილებლობის შემთხვევაში მათთან ოპერატიული კავშირის საშუალება. წამყვანი ჯულიეტა ვაშაყმაძე, როგორც ყოველთვის, თავისი მონოდეების სიმალლეზე იდგა, გათავისებული ჰქონდა მთელი საღამოს სცენარის პროგრამა მოსალოდნელი ცვლილებებითაც კი. იგი გადაცემის მსვლელობის დროს, როდესაც მის მიერ გამოცხადების შემდეგ სცენაზე რომელიმე მხატვრული კოლექტივი გამოდიოდა, ჯულიეტა სტოვებდა „სადიქტორო ლოჟას“ და გადიოდა „პოლში“, ე.წ. „მეორე“ სტუდიაში მონვეული კულტურისა და ხელოვნების დარგში მოღვაწე მწერლებთან, პოეტებთან, მხატვრებთან სასაუბროდ. ზემოთაც ვახსენე და აქაც გვინდა, ხაზი გავუსვათ, ორი საათის ხანგრძლივობის გადაცემები პირდაპირ ღია ეთერში გადაიცემოდა და ჩვენი სიფრთხილის შედეგად, რაიმე ექსესების აღსაყვეთად ყველაფერი გათვალისწინებული გვექონდა. ამის საბაბი კი უდაოდ გვექონდა. ჩვენი გადაცემის პარალელურად ფილარმონიაში, სულ რაღაცა ორასიოდ მეტრის დაშორებით მიმდინარეობდა აფხაზ ექსტრემისტთა აქცია, სადაც საქ. კბ. ცეკას მდივან-დ.გ.სტურუასაც კი სიტყვაში გამოსვლის საშუალება არ მისცეს. ამიტომ ჩვენი გადაცემის რეჟისორის ვაჟა ფარულაას, რეჟ. ასისტენტის ცირა ამამუკელის, რეჟ. თანაშემწის ბელა გაბუჩიას, ხმის რეჟისორის ირაკლი გიგაურის, ხმის ოპერატორის იური მანელაშვილის, ტელეოპერატორების ვაჟა ოძელაშვილის, ზაურ საგინაძის, გურამ ვაშაკიძის, გამნათებლის შალვა კახიშვილისა და მიშიკო მარადაშვილის, მოძრავი სადგურის მთელი პერსონალის, გიული დონდუას, ინჟინერების შალვა მანჯგალაძის, ლ.სლდორიანის ხელმძღვანელობით აბსოლუტურ მზადყოფნაში ვიყავით, რათა გადაცემა ისე დაგვესრულებინა, ეთერში რაიმე უსიამოვნო ამბავი არ გაგვეპაროდა.

და, აი მოახლოვდა დრო საქართველოს ღია ეთერში პირდაპირი გასვლისათვის. დარჩა 10 წუთი. ჩატარებულია რამდენიმე რეპეტიცია. ამდენად, ჩვენი შემოქმედებითი კოლექტივის სრული მზადყოფნით ვუცდით იმ ათიოდ წუთის გასვლას. ყველანი თავთავიანთ ადგილებს იკავენენ. სცენაზე აფხაზეთის კაპელა მოვიხმე მათთვის განკუთვნილი ადგილების დასაკავენებლად. ჯულიეტა ვაშაყმაძე თავის ლოჟაშია და მისთვის ჩვეული ყურადღებებიანობით „იზუთხავს“ სცენარს.

ამ დროს სცენაზე შემოდის კაპელის ადმინისტრატორი აჯოპუა და გვიცხადებს: „კაპელამ სცენა უნდა დატოვოსო“. საქმის გარკვევის დროს აღარ იყო: განკარგულება გავეცი, რომ ერთ წუთში კაპელას და მის ხელმძღვანელს სასწრაფოდ დაეტოვებინათ თეატრი. მე მათ ვაიძულებდი სირბილით გასცლოდნენ იქაურობას. ამასთან, „ყოველშემთხვევისათვის“ თეატრის ერთ-ერთ ოთახში „გადამალული“, სოხუმში მოღვაწე მასწავლებლის სახლთან არსებული სვანური ანსამბლი გა-

მოვიხმე ვალერიან ჯაჭვლიანის ხელმძღვანელობით და განვალაგე კაპელის ნაცვლად. მათთვის წინასწარ ოთხი ნომერი მქონდა შერჩეული. რევაზ ლალიძის „სიმღერა მეგობრობაზე“, აფხაზური „ურმული“, მ. მილორაჯას სიმღერა საქართველოზე და „ლილე“. ჯ. ვაშაყმაძეს გადავეცი ანსამბლის პროგრამა და დაიწყო კიდევ გადაცემა.

სცენა კარგად მომზადებულ რეჟისორის ასისტენტებს გადაეაბარე და ფრთხილად გავედი თეატრიდან. იქ რამდენიმე ფორმაში გამოწყობილი კაპელის წევრი დამხვდა. შევხედე მოძრავ-სადგურის საეთერო ეკრანს. ყველაფერი კარგად, ნათელი გამოსახულებით მიდიოდა, ჩინებულად უღერდა ანსამბლის შესრულებული სიმღერები. მსს-ს კარებთან იდგნენ და ცოტა დაღონებით უმზერდნენ მათ ადგილზე გამოსულ ვაჟთა ანსამბლს კაპელის წევრი ქალები. იქვე იდგა კაპელის ხელმძღვანელი, ქართველი ახალგაზრდა დირიჟორი ვეზდენ ოკუჯავა. მისი თქმით: „კაპელის დირექტორმა არ ისურვა ჩემი, როგორც ქართველის დირიჟორობით, ტელევიზიით აფხაზეთის ახლად ფორმირებული კაპელის პირველი გამოსვლა. ისინი ყოველ დღე ურეკავდნენ მოსკოვში დირიჟორ ვინმე ივანოვს რათა ჩამოესწრო ტელეგადცემისათვის და მისი ხელმძღვანელობით გამოსულიყვნენ. მე მას ვანუგეშე, „არაუშავს, ნიჭიერი ახალგაზრდა ხარ, ჩვენ სხვა დროსაც შევხვდებით ერთმანეთს“... და აკი ერთი წლის შემდეგ, გალის ანსამბლის კონცერტის გადაცემისას, მართლაც შევხვდით ერთმანეთს, მაშინ მის მართ არ დავიშურე კეთილი სიტყვები.

თეატრში კი მხოლოდ დიქტორისა და სიმფონიური ორკესტრის ხმა ისმოდა. გადაცემაში 200-მდე ადამიანი მონაწილეობდა. მათ შორის ბევრი აფხაზიც გვერდში გვედგა, იცავდა ნესრიგს, მშვიდად უცდიდა საკუთარი გამოსვლის რიგს.

სოხუმში ზღვის ნისლიან ბინდ-ბუნდში ჩაიძირა. ეს ურთულესი ტექნიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დატვირთული მრავალყანროვანი გადაცემა, ლექსებით, ინტერვიუებით, სიმფონიური, კამერული, საგუნდო სიმღერებით დასრულდა. ეს საღამო ეკრანზე წავიდა უზუსტესი ქრონომეტრაჟით, მაღალმხატვრული ხმოვანებით, ტექნიკური სრულყოფით. უკვე ძირს, მსს-სთან შეკრებილნი ერთმანეთს ვულოცავდით შემოქმედებით და ტექნიკურ გამარჯვებას. მსს-ს სატელეფონო ზარით, რომელიც პირდაპირი ხაზით იყო დაკავშირებული თბილისთან, საქტელერადიო კომიტეტის ხელმძღვანელობა გვილოცავდა. თეატრის შესასვლელში მიხმეს ტელეფონთან. მოპასუხე აღმოჩნდა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. კობახიას თანაშემწე. მან მთხოვა ვნეოდი კობახიას, „ოგი კაბინეტში გიცდისო“. „ძალიან გახლავართ გადაღლილი, სასტუმროში მივიღივარ დასასვენებლად. ვერ მოვალ, ბოდიში მომხადეთ“, - იყო ჩემი პასუხი.

დალოცვილს, სამჯერ მაინც ვენვიე ჩემი იქ თითქმის ათი დღის ყოფნის დროს ვერც ერთხელ ვერ მოიცალა მცირე აუდენციისათვის, რათა იგი გამერკვია რისთვის ვიყავი ჩასული. მხოლოდ მე-3 მდივანი ხურცკია იყო, რომელიც გასაჭირის დროს ყოველთვის გვეხმარებოდა.

როგორც მსს-ში საქტელერადიო კომიტეტის ხელმძღვანელთაგან ტელეფონით შევიტყვეთ, აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანთან და ტელერადიო კომიტეტის ხელმძღვანელებთანაც, გადაცემის დამთავრებისთანავე დაურეკია საქ. კპ. ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვასილ მუავეანძეს: „აი, ასეთი გადაცემები გვინდაო“ და მადლობა უთქვამს ორივესათვის. ამიტომაც გავახსენდით თურმე კობახიას.

„მსს-ს“ ტექნიკა თეატრში დავეტოვეთ. მას, ნინასნარ შეთანხმებით, მილიციის დაცვა მიუჩინეთ და ჩემს კოლეგებთან და მასპინძლებთან ერთად მახლობელ შენობაში განთავსებულ სოხუმის მასწავლებელთა სახლში, მისმა დირექტორმა და შესანიშნავმა მომღერალმა ვალერიან ჯაჭვლიანმა ლამის სერობაზე მიგვიწვია.

ბევრ ჩემს კოლეგას ტელერადიო კომიტეტში, განდიდების მიზნით, მოსწონდა ჩამწერ, გადამღებ ჯგუფთან განცალკევებით პურის ჭამა დიდჩინიან პარტოკრატ თანამდებობის პირებთან. შემოიძლია თამამად ვთქვა, რომ მსგავსი შემთხვევა ჩემს სამსახურებრივი მუშაობის პერიოდში არა ჩამიდენია. „მსს-ს“ ტექნიკური მომსახურე ინჟინერ-პერსონალთა რაოდენობა 25 კაცს აღწევდა. ამ გადამცემ თუ ჩამწერ სადგურთან ერთად გადასერილი მაქვს საქართველოს ყველა კუთხე, ქალაქი, სოფელი. ჩემთვისაც შემოუთავა ზებიით გამოვყოფოდი მეგობრებს ცალკე, ზემდგომთათვის განკუთვნილ „მაგარ“ პურმარილზე წასასვლელად. ვიმეორებ, მე ეს არ მიკისრია. სადაც პატარა თანამდებობის გამნათებელი ან მეკაბელე იყო, ყოველთვის მათთან ვარჩევდი ლუკმის გაყოფას. შეიძლება ზოგჯერ ჩემს ამ საქციელს ზურგსუკან აქილიკებდნენ კიდეც, მაგრამ მე ჩემი პრინციპი მქონდა: „არ არსებობს დაბალ-მაღალი ნოდებრივად დანათლული, არსებობენ ადამიანები შემჯდარნი დროებით სკამზე“. ამიტომაც, ჩვენი კოლექტივის საპატივსაცემოდ ვ.ჯაჭვლიანისა და მისი მეგობრების მიერ მოწყობილ მცირე ვახშამზე ჩვენ ყველა ერთად ვიყავით. სუფრას ქართველებთან ერთად აფხაზებიც ესწრებოდნენ. იქ ბევრი კარგი და გულსატკეცი ითქვა. მე ერთხანს გარინდული ვიჯექი. იმ მომენტში მხოლოდ გონების თვალთ დაექროდი საქართველოს ბედუკუღმართ ისტორიამი. ვიგონებდი საქართველოში შემოკედლებულ სხვათა შვილთაგან ჩვენი ერის სიყვარულისათვის თავდადების მაგალითებს. აბო ტფილელისა და რამოდენიმე სხვა ადამიანის მეტი ვერ აღმოვაჩინე წარსულის ლაბირინთებში. ამ ფიქრსა და ნუხილში ერთი პატარა, უპ-

რეტენზიო ლექსი შევთხზე და თანამესუფრეთ წაუკითხე. მე მას „ძმობის უღელი“ ვუწოდე.

ძმობის უღელი მძიმე
მხრებზე სინდისად გვანევს,
ვინც სიყვარულზე ფიქრობს
უღელს მხოლოდ ის გასწევს...
საუკუნეთა გზებზე
ერთად ვანთებდით სანთელს,
ერთი ოცნება გვქონდა
ძმაო აფხაზს და ქართველს:
ერთ ჭაპანს ერთად ვწევდით,
ერთ ჭირს ვებრძოდით ერთად,
ამირანი თუ ნართთა
მკერდს გვედო გულის ფეთქვად.
ერთად მოგვირწყავს სისხლით
ზურმუხტი მთა და ბარი,
ღია გვქონია მუდამ
სახლის და გულის კარი...
ძმობის უღელი მძიმე
მხრებზე სინდისად გვანევს,
სავალი ერთად გვიწევს,
ძმაო აფხაზს და ქართველს.

ლექსი მოწონათ. იგი მაშინვე გადაინერეს აფხაზებმა. იქ მოღვაწე კომპოზიტორმა მამია ბერეკაშვილმა თქვა: "ამაზე სიმღერას დავწერო".

მეორე და მესამე დღეს სოხუმის თეატრიდან დაგვეგმილი გვქონდა აფხაზეთის ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახ. ანსამბლის ორგანყოფილებიანი კონცერტის პროგრამისა და აფხაზეთის თვითმოქმედი ანსამბლების ვიდეო ჩანერა.

გათენდა მეორე დღე. სოხუმის თეატრის სცენაზე სათანდო რეჟეტიციის შემდეგ ათწუთიანი შესვენება გამოვაცხადეთ. კარგი, მზიანი დღე იდგა. ზღვას მონატრებული თბილისელები მის სანაპიროზე თავს იქცევდნენ. გამნათებელი მ. მარადაშვილი პურით უმასპინძლდებოდა თოლიებს და კმაყოფილი ღიმილით შესცქეროდა მათ მიერ ჰაერში პურის ნატყებების დაჭერას. ყოველთვის მომწონდა მისი თავაზიანი მოქცევა. თავისი მოქმედებით იგი ყველანაირი შეხვედრების ღირსეული მონაწილე იყო. ზოგიერთივით არასოდეს ზედმეტად არ ჩაეჩხირობოდა მასზე უფროსთა საუბარში.

წინა დღეს კი, როდესაც ახაზეთის კაპელის ხელმძღვანელთა საუბრისათვის მოეკრა ყური: „ტელეგადაცემა ჩაეშლებათ თუ მისი დანყე-

ბის წინ კაპელას სცენიდან გავეყვანთო“ – მ. მარადაშვილი მომვარდა, დაძაბული, ხელით უბეში რალაცას მაჩვენებდა. ბ-ნო სოლომონ, ტექნიკის ყველა თანამშრომელი მზადყოფნაში ვართ, მარტო გვითხარი და მაგ ინტრიგანებს უთქვენოდ გაუუმასპინძლებითო. მაღლობა ვუთხარი და დავსძინე მაგდენი არ დამჭირდება მეთქი.

აფხაზეთის სახ. სიმღერისა და ცეკვის სახ. ანსამბლის კონცერტის ჩანერა ის იყო უნდა დაგვეყო. მის მონაწილეებს უკვე სცენისკენ ვუხმობდით, როცა გზაში ჩვენსკენ მომავალი წინა დღით სცენიდან წასული კაპელის მონაწილენი შევნიშნეთ. ისინი უკვე ჩაცმულ-დახურულნი გახლდნენ. მე მათ თეატრში შესასვლელი კარი გადავუღობე. დღეს ვინ დაგიბარათ?! თქვენ გუშინ უნდა მიგელოთ მონაწილეობა – მივმართე მათ. გუშინ დირიჟორმა ივანოვმა ვერ ჩამოგვისწრო. დღეს იგი აქ არის და ის გვიდირიჟორებსო. ივანოვიც წარმომიდგა ფრაკში ჩაცმული. აჯოპუამ განაცხადა – „ჩვენ კობახიას კაბინეტიდან მოვდივართ. მან გვითხრა ჩემი სახელით მიდით და გადაგიღებენო. კობახიას თუ აქვს დიდი კაბინეტი მეთქი, ვუთხარი. კი თეატრის დარბაზის ხელასო. პო და იქ მიდით, თეატრში თქვენ ველარ გადაგიღებთ. კობახიასთან დაელოდეთ. მართლაც გაბრუნდნენ საოლქო კომიტეტისაკენ. ფართო მისაღებაში კაპელის წევრთა მძაურზე კობახიას ამბავი გამოუკითხავს და გამწყრალს იქიდანაც დაუფრენია ისინი. ეტყობა მიხვდა კაპელა რატომ გავუგზავნე უკან.

მესამე დღეს დაგვემილი ერთსაათიანი პროგრამაც ჩავინერეთ და მომავალ შეხვედრის სურვილით დავცილდით სოხუმელ მეგობრებს.

1967, 1979 წლებში, თითქმის ყოველწინურად, მინიმუმ ორ-სამ გადაცემას ვუძღვნიდით აფხაზეთის ხელოვნებას. ჩემს არქივში შემორჩენილია ამ კონცერტებისა და თემატური გადაცემების ტექსტები, პროგრამები. ვფიქრობთ მათი აქ მოტანა საჭირო არაა.

1970-იან წლებში, ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახ. აკადემიურ თეატრში ჩატარდა ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური დათვალიერება. მთავრობის მიერ მოწყობილი თითქმის ყველა ფესტივალისა და დათვალიერების ჟიურის წევრი გახლდით. საქ. ტელერადიოს კომიტეტის ხელმძღვანელობა ყოველთვის მხარს უჭერდა ჩემს წინადადებას მაქსიმალურად ჩაგვეწერა ვიდეო ფირზე ისეთი რაიონებისა და ქალაქების მხატვრული კოლექტივები, რომელთა ჩამოყვანა თბილისში დიდ პრობლემას წარმოადგენდა, სათანადო ფულადი სახსრებისა და სასტუმროში ადგილების უქონლობის გამო. ასეთი პრიორიტეტი ჩვენს მიერ ყოველთვის ენიჭებოდა აფხაზეთიდან, აჭარადან, ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან ჩამოსულ კოლექტივებს. ასე იყო ამჯერადაც.

ტრადიციის მიხედვით, ჟიურის წევრები ვესწრებოდით მხოლოდ საღამოთი, სარეპერტუარო ჯგუფის მიერ შედგენილი პროგრამის მი-

ხედვით მონყობილ კონცერტს. იმის გამო, რომ ზოგჯერ “რეპეტიომს” უიურში მჯდომი რომელიმე კომპოზიტორისათვის ესიამოვნებინა, პროგრამაში შექტონდა მათი სიმღერები და პროგრამის გარეშე სტო-ვებდნენ უნიკალურ ხალხურ მარგალიტებს. ამის გამო ანსამბლების მოსმენას დილითაც ვესწრებოდი იმ დღეს მონანილე კონცერტის გა-სინჯვა-რეპეტიციებს. ეს ჩემგან დიდ ენერგიას მოითხოვდა და ამას ვასრულებდი ერის უნიკალური საუნჯის ეთერში გადაცემის მიზნით.

ასე იყო მაშინაც. ისინჯებოდა აფხაზეთიდან ჩამოყვანილი ოლიმ-პიადამი მონანილე კოლექტივები. ვიჯექი პარტიერის წინა რიგებში, ჩემს თანამშრომელთან ერთად და შერჩეული გუნდებით, ხალხური საგანძურის პოპულარობის სურვილით ასევე შერჩეული რეპერტუა-რით ვაგზავნიდი ტელევიზიაში. იქ უკვე დიდი სტუდია მომზადებული ელოდა მათ ვიდუო ფირზე ჩასანერად და შემდგომ ჩვენს ტელეპროგ-რამებში გამოსაყენებლად. ამ ღონისძიების გატარებით ორ კურდღელს ვიჭერდით. გვეზოგებოდა სამივლინებო ხარჯები, დრო. ამდენად ოლიმპიადა – დათვალიერების დღეებში ჩვენი კომიტეტის გარჯას უდავოდ დასაფასებელი მნიშვნელობა ჰქონდა.

საოლიმპიადო მუშაობის დანყების ერთ-ერთ დღეს, როდესაც აფხაზეთის კოლექტივები გამოდიოდნენ, მე და ჩემი კოლეგები ჩვეუ-ლებრივ სამუშაოს ვასრულებდით თეატრის დარბაზში. მომესმა ლა-ფაურის გვარის ხმამაღალი ხსენება. მივიხედე. ჩემსკენ მოემართე-ბოდნენ დეპუტატის სამკერდე ნიშნიანი ხუთი თუ ექვსი მამაკაცი. მათ შორის ვიცანი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, პოეტი ბაგრატ შინკუბა, კულტურის მინისტრი კიუტი და ნამოვდექი შესახ-ვედრად.

მათ მითხრეს – მოვდივართო თქვენი კომიტეტის თავმჯდომარის კ. გარდაფხაძიდან, მან გამოგვაგზავნა თქვენთან, რათა ტელევიზია-ში ჩასანერად შეარჩიოთ ჩვენგან შეთავაზებული მხოლოდ ორი სოფ-ლის, კვიტოულისა და ბესლახუბას ანსამბლები. უკვე არ მესიამოვნა მათი გამყლავნებული სურვილი – ეკრანის გარეშე დამერჩინა გალისა და გუდაუთის სარაიონო საუკეთესო ანსამბლები. სამაგიეროდ სურ-დათ ჩამენერა სოფლების შეუმღერებელი, დაბალი გემოვნებით შეს-რულებული ანსამბლები. ისინი ასრულებდნენ დაბალი ხარისხის აფხა-ზურ სიმღერებს. ეს ის სოფლები გახლდათ გუდაუთის რაიონიდან, სა-დაც ყველა აფხაზი ექსტრემისტი იყრიდა თავს, სადაც იმართებოდა ქართველთა წინააღმდეგ ასამებდრებელი კრებები. დიდი ერეკლესი არ იყოს „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიარ“ და მეც წინააღმდეგობა აღარ გამინევი. ოღონდ ამ კოლექტივებს ჩასანერად უკან მივაყოლე გუ-დაუთისა და გალის სარაიონო კულტსახლების შესანიშნავი ანსამბლე-ბი. შევატყვე ჩემი გადაწყვეტილება მათ ჭკუაში არ დაუჯდათ. ისინი

ნანყენი ტონით, ერთმანეთში აფხაზურ ენაზე ჩუმი ლაპარაკით ნაკიდნენ ტელევიზიაში!

მე გუმანმა მიგრანო, შესაძლოა სტუდიაში რაიმე უსიამოვნება მომხდარიყო. ამიტომ მეც გავეშურე სამსახურში. სტუდიაში მისვლისთანავე თვალში მეცა რედაქციის პასუხისმგებელი რედაქტორის ბადრი ჩადუნელის, რეჟ. თამაზ ელიაფას, უშანგი დარჩიას და სხვათა შემკრთალი სახეები. მითხრეს – „ძალაზე არიან. გინდა თუ არა ჩვენ მხოლოდ კვიტოლისა და ბესლახუბას ანსამბლების ჩანერა გვინდაო და შენობიდან გარეთ ვრეკებიან გუდაუთისა და გალის კოლექტივებს. ამის გაგონებაზე გუდაუთელ აფხაზებს ხანჯლებზე ხელი გაეკრათ. „ჩიჩბა უნდა მოვკლათ, იგი იქაც გვირევეს საქმეს და აქაც არ გვანებებს, ეგ ერთ-ერთი ნამქეზებელია აფხაზეთში საქართველოს წინააღმდეგ გამოსვლებისო“. რაც შემეძლო დავამშვიდე კოლექტივები. ყველას დავპირდი სტუდიაში შეყვანას. ჩემი თხოვნით, დაცვამ ისინი გაატარა სტუდიაში შესასვლელად. ჩემს ხალხს ვთხოვე ჩასანერად გუდაუთის ანსამბლი შეეყვანათ და მათ მიერ შესასრულებელი სიმღერების გამოსაცხადებელი სადიქტორო ტექსტი გადაეცეცა.

ისინი ახალხური სიმღერიდან ორ ქართულს მღეროდნენ, რაჟდენ გუმბას ხელმძღვანელობით. ასევე გადაეცეცა ბესლახუბასა და კვიტოლის ანსამბლებისათვის გამოსაცხადებელი ორ-ორი სიმღერა. ამაზე კი სტუდიის მახლობელ პატარა ოთახში სადაც პროგრამებს ვადგენდი, ატყდა კომპოზიტორ ალიოშა ჩიჩბას ხრინწიანი ხმით ყვირილი: „ლაფაურის მიერ შედგენილი პროგრამის მიხედვით აფხაზეთზე მონყობილ გადაცემაში ქართული სიმღერებიც შესრულდებაო“. მისი ეს ნათქვამი ვაჟა ეზუგბაიამ მომითარგმნა ჩუმად. ვეღარ მოვითმინე ა.ჩიჩბას შუბლში თითი ვკარი: „შენ ვინა ხარ მუშაობის საშუალებას არ იძლევი-მეთქი“. „მე კომპოზიტორი და აფხაზეთიდან ჩამოყვანილი კოლექტივების სამხატვრო ხელმძღვანელი ვარო“ – მომიგო. „ალიოშა ჩიჩბავ, შენ კომპოზიტორი კი არა იდიოტი ხარ – გამასწარი აქედან, სანამ ფეხზე დგებარ“. ბ.შინკუბას კი „შინკუბო“ ვუნოდე იმისათვის, რომ პოეტი კაცი ჩიჩბასანიერებს აჰყოლოდა და უსმენდა. ამ გაცხარებულ გულზე ვიყავი, ოთახში კომიტეტის დაცვის უფროსი გივი თინიკაშვილი შემოვიდა და მითხრა: „მე ინაურს (მაშინდელი კკბ-ს უფროსი) ველაპარაკე. ვუთხარი აფხაზები აქაც არ ისვენებენ, ყვირიან და ლაფაურს ხელს უშლიან მუშაობაში“. მან კი მიბრძანა „თუ ძალიან გაახურეს, შინკუბა კი არა ვინც გინდა იყოს, აიყვანეო“. ამას ყური მოჰკრეს იქ მდგომმა აფხაზეთის წარმომადგენლებმა და სათითაოდ გაიპარნენ. ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთეთ. მათი ჩანერის შემდეგ ბ.ნ. კ.გარდაფთაძე მუუბნევა: „მე თხოვეს მათი საუბრის ჩანერა, შემდეგ კი იმ საუბარს კონცერტი მიებმებოდა, ჩაგენერა რაც უნდოდათ და მორჩე-

ბოდირო". არ დავთანხმდები, იმითი საუბარი შეგნებულად არ ჩავინერე. მე პასუხს არ ვაგებდი არც აფხაზურ ენაზე საუბრის შინაარსზე და არც იმ სოფლების გუნდების მიერ ძალიან დაბალი დონის შესრულებისათვის".

ასე დამთავრდა ჩვენი ეპოპეა აფხაზეთის წარმომადგენლებთან. ჩემის მხრივ საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეს არ მოჰკლებია არც მოფერება და არც შრომა. ზემოთ ვახსენე სოხუმიდან დიდი, პირდაპირი ტრანსლაციის დროს „აფხაზური ხმები“-ს დასასრულს ვლ.ჯაჭვლიანმა და აფხაზმა მეგობრებმა ჩვენს კოლექტივთან ერთად ვახშამზე მოგვიწვიეს მეთქი. იქ ღვინის სასმელად არავინ იყო. ჩვენთან ერთად აფხაზებიც სწუხდნენ მათი მხრიდან ქართველი ხალხის წინააღმდეგ გამოსვლებისათვის. ბ-ნმა ხვარნკიამ ბრძანა: ჩვენი რესპუბლიკის მთავრობა ბევრ უპრინციპობას იჩენს. აქამდე არ უნდა მიეყვანათ საქმე. ხომ ხედავენ, ერთი მუჭა აფხაზები თანამდებობიდან თანდათან ხსნიან ქართველებს და მათ ადგილზე აფხაზებს და სომხებს ნიშნავენ. იმათ კი საქმის გაძლოლა არ იციან. საქმის გასაძლოლად მოადგილეებად ისევ ქართველებს უნიშნავენ. აიღონ და ადრინდელი ვით პირველი კაცი ქართველი დაგვინიშნონ. ის ყველას საჭირო დიპლომატიური თუ პოლიტიკური ავგამუშავებსო". ვერაფერი ვუთხარი. მან სიმართლე ბრძანა. 17 პროცენტი აფხაზების 50 პროცენტი ქართველებზე გაბატონების სინდრომს, ისევ ქართველების წაყრუებით შეეწყო ხელი. ვიმკით ჩვენს დათესილს და გვიკვირს, საიდან გამოურია სარეველა.

საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სახ. კომიტეტი ზრუნევა-სა და ყურადღებას არ აკლებდა აფხაზეთს. ამ ზრუნვის შედეგად სოხუმში აშენდა და დამონტაჟდა ადგილობრივი ტელემუშუყელობა. დიდი ღვანლი დასდეს რესპუბლიკის ტელერადიო კომიტეტის ხელმძღვანელობამ სოხუმის სტუდიის ტექნიკურ უზრუნველყოფას. თავმჯდომარის მოადგილის ოთარ კაკაბაძის ხელმძღვანელობით მთელ თვეებს იქ ატარებდნენ, მოძრავი სადგურის, ვიდეო გადამღების, სამონტაჟოს ინჟინერ-პერსონალი. მალე მათ შეუერთდა კომიტეტის შემოქმედებითი ჯგუფიც მთ.რედ. მედეა ლორთქიფანიძის, მთ.რეჟ. მერაბ ჯალიაშვილის შემადგენლობით. რეჟისორი თამაზ პაიჭაძე ხომ თავისი იქ ხანგრძლივი მივლინების გამო კინალამ „გადაავინყდათ“ თბილისელ კოლეგებს.

1980-იან წლებიდან უკვე შესაძლებელი გახდა საქ. ტელერადიო-კომიტეტისა და აფხაზეთის ტელევიზიას ერთობლივად მოგვემზადებინა გადაცემები სოხუმიდან და ოლქის სხვა რაიონებიდან. ამასთან ხშირად ვიყენებდით საშუალებას გვესარგებლა ერთმანეთის ვიდეო ფონდით. ჩემი სოხუმში ჩასვლა მარტო მუსიკალურ გადაცემებზე მუშაობით არ შემოიფარგლებოდა. ხშირად მიეყაველი იქაურ ნაცნობ-ამ-

ხანაგებს საკუთარი ხელმძღვანელობით არსებულ მუსიკალური კოლექტივების მოსასმენად, საკონსულტაციოდ. ასეთი შემოქმედებითი ურთიერთობა ნაყოფიერ კვალს სტოვებდა ჩვენს მოღვაწეობაზე. ამასთან, ჩემს პირად არქივში ინახება გაზეთში „საბჭოთა აფხაზეთი“ (1988 წ. 23.11) გამოქვეყნებული წერილი სათაურით „მეგობრობა, თანამობა“ ... იგი ეხებოდა საქ. ტელევიზიისა და პირადად ჩემს ურთიერთდამოკიდებულებას აფხაზეთთან, ამ კუთხის ხელოვნებასთან. აფხაზეთში დატრიალებულ მოვლენებს მიუძღვენი გულისტკივილით აღვსილი „წერილი აფხაზ მეგობრებს“. იგი დაიბეჭდა გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში“ (1989 წ. 14 სექტემბერი) სადაც სიყრმის მეგობრებს სვეტლანა ქეცბას, რაუდენ გუმბას შევახსენებდი განვლილ ურთიერთპატივისცემას, შემოქმედებით ურთიერთობას.

ჩემამდე მოაღწია ს.ქეცბას ნათქვამმა: “როგორღა შეეხედოთ სოლომონს თვალებშიო”. რას ვიზამთ, სიყრმის წლებში ანთებული პატივისცემის ლამპარი თურმე ჭარმაგობის დროსაც არა ქრება. მე ამ წიგნშიც თბილად ვიგონებ მისი დირექტორობის წლებში სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის დარბაზში, მთელი პედაგოგიური კოლექტივის ჩემთან შეხვედრის საღამოს. „კაფე-შეხვედრაზე“ ბევრი სიტკბო და სითბო ჩაიღვარა ჩვენს გულებში. ითქვა ჩვენს წმინდა ურთიერთობაზე, საქმის სიყვარულზე, ღვანლზე...

რამდენი შესანიშნავი ამხანაგი შევიძინე იმ ტკბილ საღამოს. რამდენმა მე მიგულვა მათი თბილისში ჩამოსვლისას დასაყრდენად. დაე, ჩვენმა შვილებმა მაინც კვლავ იარონ სამეგობრო გზებით.

მზიური აჭარა და ტელევიზიის მუსიკალური რედაქცია

თავიდანვე ვთქვათ, ბათუმში, საქართველოს ერთ-ერთ თვალმარგალიტად ნოდებულ ქალაქში, ყოველთვის მიგვიხაროდა ჩასვლა მეცა და მთელ ჩვენს კოლექტივს. ბათუმში, ქობულეთში, ხელვაჩაურში, ქედაში, ხულოში ყოველთვის იგრძნობდი ქართული სინამინდის ძირძველ სურნელებას. მე პირადად, აქ უხუცესთა შორის საუბარში, სოფლებში ყოველთვის ვგრძნობდი უძველეს მესხურ-ჯახავახურ ე.წ. „ზანურ“ ტოპონიმებთან, გამოთქმებთან კავშირს. ამ კავშირის ჯაჭვს ვხედავდი აჭარული სიმღერების კილოკავებში და მეგონა, მათი ხმებით ძველი მესხების სუნთქვაც მესმოდა.

აჭარის მუსიკალურ ცხოვრებასთან მჭიდრო ურთიერთობა ყოველთვის მქონდა. ეს ურთიერთობა ტელევიზიის გარიჟრაჟზე დაიწყო. ზემოთ აღვწერე, როგორ ვცდილობდით თავიდანვე სტუდიური სივინროვის, ტექნიკური სილარიბის პირობებში, გვეპოვა საშუალებები ტელევიზიის მწირ, კინოფილმებიდან ამოკრეფილი მუსიკალური ნიმურებისათვის თანდათან შეგვენაცვლებინა ცოცხალი ხმა პატარა ჯგუფების გამოსვლით. ამ გზაზე გასვლას მეორე და მთავარი მიზეზიც, ტელეეკრანზე მეტი ეროვნული პროგრამის შეტანაც გვიბიძგებდა. მოსკოვიდან გაცვლითი გზის მეოხებით შემოსული მუსიკალური კინოფირები მხოლოდ რუსული გახლდათ. ამას ზედ ერთვოდა ცენტრალური ტელევიზიის არხით მონვდილი ე.წ. „სავალდებულო“ პროგრამების ჩართვა. ამის გამო იყო, რომ ჩემს მშობლიურ თელავის რაიონის სოფ. კისისხვეში ჩასვლისას, გლეხები საყვედურით მეუბნებოდნენ: „ჩვენი ტელევიზორი უნდა გადავაგდოთ, რუსული გამოდგა, არაფერი გვესმისო“.

ქართულ ტელევიზიაში ეროვნული პროგრამის შექმნა, ჩვენს მაშინდელ პირობებში ძალზე ძნელი იყო. მიუხედავად ამისა, უკვე არაერთხელ ვთქვი, აქაც ვიმეორებ, ტელევიზიის პატარა კოლექტივი შესაძლებლობის მიხედვით, ამას უდაოდ ართმევდა თავს.

ჩვენს მუშაობაში პრიორიტეტად ქცეულმა ეროვნული პროგრამის ძიებამ შემახვედრა აჭარიდან მონვეულ ქობუ-

ლეთის ვოკალურ ინსტრუმენტულ ანსამბლთან. მას ხელმძღვანელობდა თავისი კუთხის ფოლკლორის ჩინებული მცოდნე, ჩონგურზე დაკვრის დიდოსტატი ამირან ბერაძე. ასევე ითქმის ანსამბლის წევრებზე იუსუფ ვერულიევილზე, სულიკო მამულიევილზე. ანსამბლში შუაში ეჯდათ, ჩონგურს ბრწყინვალედ ფლობდა და მღეროდა პატარა, ლამაზი გოგონა ზანული კოპლატაძე. ამ გოგონას ხმა, მუსიკალობა მომენონა. გავესაუბრე. ვურჩიე მის მშობლებს, რომლებიც თან ახლდნენ თბილისში, მიეყვანათ ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში საგუნდო სადირიჟორო განყოფილებაზე. ეს ასეც მოხდა. მოგვიანებით ზ. კოპლატაძე შემხვდა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტის სტუდენტად. იგი უკვე წარჩინებით ამთავრებდა უმაღლეს მუსიკალურ ცენტრს. შემდეგ კი მას ვხვდებოდი ბათუმში, ქობულეთში შესანიშნავ გოგონათა ანსამბლების ხელმძღვანელად. ამირან ბერაძის მიერ შექმნილმა ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა ფუნიკულიორის სტუდიიდან ხუთი სიმღერა შეასრულა.

მაღე მათ მონაწილეობა მიიღეს მცირე შემადგენლობის პირველ სატელევიზიო დათვალიერებაში და წარმატებით გამოსვლის ნიშნად ოთხი სიმღერა გადავიღეთ ფართე კინოფირზე. გადამღებ ობიექტად გამოვიყენეთ კავშირგაბმულობის სახლის მე-5 სართულზე არსებული რადიოს ერთადერთი სტუდია, რომელშიც დღის საათებში რეპეტიციებს გადიოდა და რადიოს საფონდო ჩანაწერებს აკეთებდა კომიტეტის სიმფონიური ორკესტრი.

ამავე დათვალიერების დროს კინოფირზე გადავიღეთ გამოჩენილი ოზურგეთელი ხალხური სიმღერის შემსრულებელი დიდოსტატები არტემ, ელადიმერ და ანანია ერქომაიშვილები. ამ ორივე ჯგუფის მაშინდელი შესრულებით შემორჩა მუსიკალური ფონდის არქივს: „სახუმარო სიმღერა“, ჩონგურზე შესრულებით „ხორუმი“, „აბა დარუჯან“, „ხალხური მელიდიები“, „სიმღერა ბულარა მამალაძეზე“, ერქომაიშვილების შესრულებით „შავი შაში“, „ლილინი“ და სხვ.

ამავე პერიოდში მოხდა საქ. სიმღერისა და ცეკვის სახ. ანსამბლის ახალგაზრდული ჯგუფის კონცერტი და შემდეგ რადიოს სტუდიაში საკონცერტო ნომრებიდან კინო გადაღება ილია ფალიანის (ჭუნირზე), მ. თარბნიშვილის, მ. ხატელიშვილის ვოკ. კვარტეტისა და სხვ.

განსაკუთრებული შემოქმედებითი ურთიერთობა გექონდა აჭარის მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ საზოგადოების პრეზიდენტის თავმჯდომარესთან ალ. ჯიჯიევილთან, შემდეგ ნ. საგინაძესთან, აჭარის ხალხური შემოქმედების საოლქო სახლის დირექტორ გურამ თურმანიძესთან, მასთან მომუშავე ყველა ადამიანთან, არჩილ და სოსო მიქელთაძეებთან, ენვ. ხაბაძესთან, დირიჟორ გულნარა ნოლაიდელთან,

მუსიკალურ სასწავლებელთან, პოეტ ფრ. ხალვაშთან, მსახიობებ ნი-
ნიკო და მანუჩარ შერვაშიძეებთან. გამოვეყოფ აჭარის კულტურის მი-
ნისტრ ლამარა ბოლქვაძის ყოველთვის ყურადღებიან, საქმიან დამო-
კიდებულებას. სწორედ ეს კეთილსასურველი ურთიერთობა, რომელ-
შიც სამსახურებრივი და პირადი ამხანაგური შეხვედრები განაპირო-
ბებდნენ ჩვენი საერთო საქმის წარმატებებს ემსახურებოდა.

მიუხედავად ამისა, მაინც მქონდა აჭარასთან შეხების ერთი უსია-
მოვნო ფაქტი, რომელიც არ შემქმნლო კრიტიკულად არ აღმეკვა. ეს
ასეც მოხდა, როდესაც ტელეეთერში გადავეცი ვრცელი ფელეტონი
„უთაო 40 წლის იუბილე“.

1960-იანი წლებია. საქ.ტელერადიოს თავმჯდომარის მოადგილე
ქ-ნი ივლიტა მესხიშვილი თავისთან მიხმობს და ჩვეული ღიმილით გად-
მომცემს მოსანვევ ბარათს. იგი გამოგზავნილი იყო აჭარის ხალხური
შემოქმედების სახლის მაშინდელი დირექტორის ხელმოწერით (ჯ.ჩხე-
იძე).

ქ-ნი ივლიტას ჩვეულ ღიმილში უჩვეულობაც იყო. იგი გააკვირვა
მოსანვევ ბარათში ჩემი გვარსახელის გვერდით მსხვილი შრიფტით
მინანერმა – „სადილზე მიწვევით“.

ცოტა არ იყოს შეეშხდი. ვინ არის, რა დონის კაცია ამის დამწერი,
როდის იყო სადილ-ვახშამზე მიწვევის ეშხით მომღერალთა გუნდის
კინოგადაღებას გვთხოვდნენ?! ქ-ნი ივლიტაცა და მეც ვიღიმოდით,
მაგრამ მასში უკვე ვხედავდით მავანის მოკლე თვალთა თუ ვინრო
გონების ხედვას.

რას იზამ, წადი ბათუმში, ნახე, რა იუბილეს უმართავენ ხალხური
სიმღერის სასიქადულო ოსტატს არტემ ერქომაიშვილსო – დასძინა.
მატარებელი დილა უთენია შეგრიალდა ბათუმის სადგურში. მე და ჩე-
მი კინოოპერატორი დ.თარალაშვილი მატარებლის კარ-ფანჯრებიდან
ვათვალიერებდით დამხვდურთ. არავინ დაგვხვედრია. საკმაოდ მძი-
მე გადამღები აპარატურით დავადექით სასტუმრო „აჭარის“ გზას.

სასტუმროს ადმინისტრატორმა „ძია საშამ“ (ასე ვეძახდით ხალ-
ხური პოეზიის მოყვარულ ადმინისტრატორს) მისთვის ჩვეული ღიმი-
ლით მიგვიღო. თქვენთვის ადგილებზე არავის გაუფრთხილებივარ,
მაგრამ ნომერს გაგიხერხებთო. მოვეწყვეთ სასტუმროში. ჯერ ისევ
ადრეა, ალარც დაწოლა მინდა. დროის მოსაკლავად ისევ ზღვის სანა-
პიროზე გასეირნება ვარჩიეთ. მოგვიანებით ხალხური შემოქმედების
სახლში დავრეკე, არავინ პასუხობს. უკვე ათი საათია და მასპინძელ-
თაგან ასეთი სიჩუმე გულზე კარგად არ მომხვდა. მე და დავით თარა-
ლაშვილი ხალხური შემოქმედების სახლში წავედით. მის პირველივე
სართულის დერეფანში დავინახეთ ოცდაათოდე სამგზავრო ჩანთა-
ჩემოდნებზე ჩამომსხდარ ადამიანებში დავინახეთ ოზურგეთიდან

სპეციალური ავტობუსით დანიშნულ იუბილეში მონაწილეობის მისაღებად ჩამობრძანებულები. მათ შორის ძმები არტემი, ლადიკო და ანა-ნიაც შევიცანი. გაგვიხარდა ერთმანეთის დანახვა. „როგორ, თქვენც შენუხდით ჩემი გულიზა?“ მითხრა ძია არტემმა და ყაბალახმოგდებულ მკერდში ჩამიკრა. ურთიერთ სალამ-ქალამის შემდეგ ვიკითხე რატომ სხედხართ დერეფანში და არა ხართ დარბაზში?! არტემმა ბრძანა, „ბათუმის პორტის ანსამბლის 40 წლისთავის იუბილეს ემართავთ და აუცილებლად ჩამოდიეთ. ის ანსამბლი მე ჩამოვაყალიბე. კაი გვა-რიანი რეპერტუარი მოვიხვეთ. ემართავდით კონცერტებს. დიდი სახელიც მოვიხვეჭეთ. აქ მყოფთა დიდი ნაწილი იმ ანსამბლში მღეროდნენ. ყველა ნამომყვა, შენი ანსამბლის იუბილეში ჩვენც უნდა მივი-ლოთ მონაწილეობაო და ა, აქანეა ყველა. მომწყობნი კი არავინ სჩანს“. მოხუცი, დამსახურებული მოღვაწის განხილვებულ ხმაში ბზარი იყო გარეული. ძია არტემი ვანუგეშე და დავინყე ტელეფონის ნომრების მოძიება. ერთ-ერთი თანამშრომელი სახლში დავიჭირე, „შენუხდა, ახლავე მანდ ვიქნებითო“, აღმითქვა. მალე აქ მომსახურე ყველა თანამშრომელი შევყარე. დირექტორიც მობრძანდა. კარგად ვერა ვართ მომ-ზადებულნი, მაგრამ ჩავატარეთ იუბილეო. დღე სცენის მონყობაში გაილია. გუნდის ყოფილ მონაწილეებს ფორმა ვერ უმოვნეს. ვუთხარი, არაუშავს უმაგისოდ იოლას გავიდეთ. მომხსენებელი ვინაა-მეთქი. დირექტორმა ჯ.ჩხვიძემ ტექსტი მომანოდა. საკმაო მყვირალა სიტყვე-ბის რახა-რუხით იყო დანერილი. მე ვუთხარი, ტრიბუნიდან ამ ტექ-სტის ნაკითხვის დროს, „კარგი იქნება ხელების ჰაერში ხშირი მოძრა-ობა, – ეფექტურად გამოჩნდები ეკრანზე“. ოპერატორი დ.თარალაშ-ვილი ჯერ ვერ მიმიხვდა ნათქვამს. გამიხმო და მითხრა დარბაზში ხალ-ხი უფრო ცოტაა, ვიდრე სცენაზე დგანან, ხელების ქნევა ზედმეტიანო. მას განუშარტე: დავით, ხედავ ამ საცოდავ გუნდის ყოფილ ნევრებს? ზოგს იმდროინდელი კიტელი, ხალათი, პიჯაკი აცვია. ერთ-ორს სახ-ლში შემორჩენილი ფორმაც მოუტანია. იყვნენ ასე ჭრელად. სწორედ მათი პანორამა, გადამიღე მათი ზურგიდან დარბაზში აქა-იქ მჯდომი ადამიანების მოწყენილი სახეები, მათ ფონზე კი გამომსვლელის ხე-ლების ქნევითა და რიხიანი ხმით გადაღებული სინქრონული კადრები – ფელეტონის „გმირად“ გამოიკვეთება. ეს იქნება მძაფრი, გროტეს-კული გამოსახულება ტექსტის უაზრობასთან შეხამებული.

ოპერატორმა ყველაფერი გაიგო, მიხვდა. მე ვიცი, როგორ კად-რებს გადავიღებო, და მე მის საქმეში აღარ ჩავრეულვარ. დ.თარალაშ-ვილმა ცარიელ დარბაზში გადაღება დაიწყო. საღამო ჩატარდა. პრე-ზიდენტის სიამოვნებით იჯგიმებოდნენ ანსამბლის დაარსების 40 წლის თავის მომწყობი საორგანიზაციო კომისიის წევრები. ვხედავდი გამომ-სვლელი და ისინი როგორ კეკლუცობდნენ კამერის მიახლოებისას.

იუბილე დასრულდა. აეკრიფეთ მიკროფონ-კაბელები. ბ-ნი ლადი-კო ერქომაიშვილი მომიხსლოვდა და ჩამწურჩულა: „ნანყენი ხარ ხომ ჩვენი ასე გამასხარავებისათვის“. „რას ვიზამთ ბიძია. განა ყველა ადამიანს თავი რომ აბია, ტვინიც აქვს? მაგას ტვინის ნატამალი რომ პქონოდა ასეთ მოსანვევესა და ასეთ სალამოს როგორ მოანყობდა, ანდა როგორ გადაგვალებინებდა?! ეს ხომ თავის მოჭრა იქნება ამ „შემოქმედებითი სახლის“ მთელი კოლექტივისათვის?!

ტელეოპერატორი და მე იმავე სალამოს თბილისში ნამოვედით. „გავგაგებინეთ, როდის იქნება გადაცემაო“, – მოგვაძახა რომელიღაც მასპინძელთაგანმა. აღვუთქვით, პირდაპირ საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ვაცნობებთ, რათა ბიუროს ყველა წევრმა ნახოს მეთქი.

მალე ტელეეკრანიდან წავიდა გადაცემა სათაურით „დამსახურებული იუბილე“. მას მეორე წარწერა წაეფინა ორმაგად. „ბათუმური სახუმარო“ ამ გადაცემის დღე და საათი მართლაც ვაცნობეთ ნინასწარ საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს, კულტურის სამინისტროს. გადაცემა მეხის გავარდნას ჰგავდა. დიდხანს ისმოდა მასზე ლაპარაკი ჩვენთან, აჭარაში და სხვაგან. იგი ჭკუის სასწავლებელი იყო ყველა-სათვის. საქმის ზერელედ, აგდებულად კეთება არავის არ უნდა ეპატოს. ბათუმური მკვახე ფელეტონის შემდეგ, „მზიური აჭარის ხმები“-ს მოსამზადებლად ვენწვიეთ ბათუმს უკვე მორაგე სადგურით. ზღვის-პირას მდებარე საზაფხულო თეატრის სცენაზე, მის შემოგარენ სკვერებში ვიდეოფირზე გადავიღეთ პროფესიული მუსიკის, მხატვრული თვითმოქმედი ანსამბლების სიმღერები, ცეკვები, ქალთა ანსამბლი „ოპოი, ნანო“, სოლო და საესტრადო სიმღერები. დასახელებულ გადაცემაზე მუშაობა მთავრდებოდა, როცა ჩემთან მოვიდა საქ. ტელევიზიის პროპაგანდის რედაქციის ახალგაზრდა რეჟისორი თამაზ პაიჭაძე და გადმომცა კომიტეტის თავმჯდომარის დანაბარები: „იდიდე მარად ჩემო სამშობლოს“ გადაცემათა ციკლიდან, რომელიც რესპუბლიკის ცალკეულ რაიონებს ეძღვნებოდა, მექანიკურად გამოგერჩენია შუახევის რაიონი რედაქციებზე გადასანაწილებლად. გთხოვთ, დარჩეთ და მოამზადოთ...

მანამდე სულ ერთხელ ვიყავი შუახევის რაიონში ნამყოფი. რეჟისორი, ოპერატორი და მე ვენწვიეთ რაიონულ ხელმძღვანელობას, გაუხარდათ ჩვენი სტუმრობა და ყველა პირობა შეგვიქმნეს სამუშაოდ. შევხვდით რაიონის სოფლების საინტერესო ადამიანებს, გადავიღეთ მათი სამეურნეო ყოფა, ჩავინერეთ მათთან საუბრები, ხელგარჯილობის პროცესი და სულ რაღაც ერთ კვირაში ეთერში წავიდა იგი. როგორც სარეცენზიო თათბირზე აღინიშნა, „შუახევის რაიონზე ოპერატიულად მომზადებული გადაცემა გამოირჩეოდა ქმედითობით, აქტიულობით.“

ყველაზე მეტად დასამახსოვრებელი იყო „მუსიკალური შეხვედრების“ რუბრიკით მომზადებული დიდი გადაცემა ბათუმზე. მისი ვიდეოგადაღება გადამწყდა ციხისძირის, ზღვაში ბურჯჩამჯდარი უძველესი ციხის ნანგრევებზე. ბრწყინვალე გამოსახულება ციხის ბუნებრივი ამფითეატრონიდან, ტყეპარკით შემორკალული გარემო, ზღვის სივრცე ზღაპრულ ხედვით გამოსახულებას იძლეოდა. გადაცემაში მონაწილეობდნენ აჭარის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები. მწერლებთან და პოეტებთან საუბარს ცნობილი პოეტი ფრ. ხალვაში უძღვეოდა. მრავლად ითქვა ლექსები სამშობლოზე, შესრულდა კლასიკური, ხალხური სიმღერები და ცეკვები.

“ბათუმის მუსიკალური შეხვედრები” ერთ-ერთი საინტერესო გადაცემა გამოვიდა, რაც აღინიშნა კიდევ კომიტეტშიც და საზოგადოებაშიც. ეს გადაცემა იმითაც დამამახსოვრდა, რომ მასზე მუშაობის დროს ჩატარებული რეპეტიციის შემდეგ, მე და ჩემი ბათუმელი ორი მეგობარი, მახლობელ მთის ბორცვზე განლაგებული სკამებიდან გადავყურებდით ლურჯად მოლივლივე ზღვას და ვტკბებოდით მისი მშვენიერებით. იქვე ჩამოჯდა მაღალჩინოსანი ორი რუსი ოფიცერი და განაგრძობდნენ თავიანთ საუბარს.

ჩვენი აღშფოთება გამოიწვია ერთ-ერთი მათგანის უკვე ხმამაღლა ნათქვამმა: „დადგა დრო, მთავრობამ აქ ჩამოასახლოს რუსი ხალხი და ქართველებს ციმბირის ტაიგაში მიუჩინონ ადგილი. ამათ (ე.ი. ქართველებს) ეყოთ ამ სამხრეთულ სიმშვენიერები ცხოვრება, ახლა ციმბირიც ინვინიონ“. ამის მოსმენა და მოთმინება აღარ შეიძლებოდა. შეკამათებას მოჰყვა მათი სკამის გადაბრუნება და სხვა. მომხდარი ამბის გამო შევწუხდი, მაგრამ არ მინანია. დასანანი იყო მხოლოდ, რომ იძულებული გავხდით იქაურობას გავცლოდით. ისინი არ ვიცი, მაგრამ „ძმანი“ მისნი უეჭველად შეეცდებოდნენ ჩვენს მოძებნას. მოგვიანებით აკი გვითხრეს კიდევ ჩვენებმა სასტუმროში, რა უყავით რუს გენერლებს? შეიარაღებული პატრულები გეძებდნენო.

შრომატევადი სამუშაო გვქონდა ხალხური შემოქმედების პირველი სატელევიზიო ფესტივალის ბათუმის ზონალური გადაცემების მონაწილას. ბათუმის ბენზინგადამამუშავებელი ქარხნის კულტურის სასახლეში დავიდეთ მოძრავი სადგურით ბინა. სხვა ზონებისაგან განსხვავებით, სარელეო ხაზებს თუ მოსკოვის ცენტრალურ ტელევიზიის ვთხოვდით, ბათუმიდან სატრანსლაციოდ ხაზების აღება შეიძლებოდა მხოლოდ მოსკოვის თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

ეს ურთულესი პროცესი იყო და მაშინ სხვა გზა არა გვქონდა. სარელეო ხაზები გვჭირდებოდა სულ მცირე 5 დღე. როგორც იქნა, საკითხი მოგვარდა. საფესტივალო გამოსვლებისათვის ჩავინერეთ ბათუმის, ქობულეთის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ხელვა-

ჩაურის, შუახევის სიმღერისა და ცეკვის (სარაიონო, სასოფლო) ან-სამბლები. ეს იყო 5 საათის ხანგრძლივობის ვიდეოჩანაწერები, რომელიც კვირაში სამჯერ გავიდოდა ეთერში.

სამწუხაროა, რომ ვიდეოფირის უქონლობის გამო ისინი გადაცემისთანავე იშლებოდა და მათზე ახალი პროგრამა იწერებოდა. ასე ხდებოდა მანამდეც, ვიდრე ვიდეოფირი სულ არ მოძველდებოდა და უფარგისი არ გახდებოდა ახალი ჩანერისათვის. სიღარიბეს რა უყოს კაცმა, თორემ იმ ვიდეო ფირებზე მრავალი ისეთი საინტერესო ანსამბლი, მომღერალი, პიროვნება იყო ჩანერილი, რომელიც დღეს უცხოეთში აუქციონზეც კი გაიყიდებოდა.

უნდა აღვნიშნო აჭარის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების ჩვენთან ერთობლივი თანამშრომლობის კარგი მაგალითი. ტელემუსიკალური გადაცემების ციკლიდან „მუსიკალური ოჯახები“ მოამზადა და მშვენიერი საღამო-კონცერტი მიუძღვნა, რომელშიც 20-ზე მეტმა ოჯახმა მიიღო მონაწილეობა. ჩვენ იგი ჩავინერეთ ვიდეოზე და საათი და 20 წუთიანი გადაცემა მივეცით ეთერში. ეს საზოგადოების თაემჯდომარის ნოდარ საგინაძის მიერ გატარებული კარგი ღონისძიება იყო, როდესაც ტელეეკრანზე დაბადებული ციკლი ხალხში ჰპოვებდა ცხოვრებისეულ გაგრძელებას. ეს ხომ ჩვენი მიზანი, ჩვენი გადაცემების ზეგავლენის, ქმედითობის უტყუარი ბეჭედი გახლდათ.

ცალკე შემოქმედებითი პორტრეტები მომზადდა ღვანლმოსილ აჭარელ ხელოვან ოსტატებზე: თოფაძეზე, ალ.ჯიჯეიშვილზე, ერვენ ხაბაძეზე, „სოფ. ალამბარის თვითმოქმედებაზე“. ასევე ცალკე აღვნიშნეთ ბათუმის პროფესიული საგუნდო კოლექტივის „კაპელის დაბადება“. მისი სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი გახლდათ სოსო მიქელთაძე. კაპელა შესანიშნავად ჟღერდა. მის ძირითად რეპერტუარს ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები შეადგენდა.

ბადაცემები

- მეგობრობის ფრთებზე

მუსიკალური გადაცემების მთავარ რედაქციაში გენამდა: მუსიკის, როგორც მსოფლიოს ხალხთა საერთაშორისო ღონისძიებათა ენას, სჭირდება მხოლოდ ადამიანის ყური, გული და მოსმენის კულტურა. ლესინგი ამბობდა: - იქ, სადაც სიტყვა უძღურია, მუსიკას ძალუძს მისი ნაკლის შევსებაო". მუსიკაზე, ადამიანთა შორის ამ მართლაც და უდიდეს მაორგანიზებელ ძალაზე ბევრი საინტერესო აზრია გამოთქმული, რომელიც ღირს ცალკე ნიგუნადაც გამოიკვს. მუსიკის უდიდესი აღმზრდელი მნიშვნელობა, მისი ზეგავლენა ადამიანებზე ცნობილია და აქ ამ აზრების მოტანას არ ვაპირებ. მუსიკალური რედაქცია ამ ჭეშმარიტებაზე დაყრდნობილი დღენიდაც ცდილობდა მის ასახვას თავის გადაცემებში. გასახსენებელია ამ მხრივ გადაცემათა ციკლები: „მუსიკალური მეგობრობა“, „მეგობრობის კონცერტი“, „ეკრანი იკრებს მეგობრებს“ (ცენტრალური ტელევიზიის ციკლი, რომელსაც ჩვენც ვამზადებდით რუსეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების ტელეეკრანზე გადასაცემად), „მოდმე ხალხების ხელოვნება“, „რაც მტრობას დაუნგრევია“, „მუსიკა გვახსენებს“, „მეგობრობის ფრთებზე“, „ჩვენი სტუმრები“, „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“, „გამოჩენილი კომპოზიტორები“, „დიდი ადამიანების მუსიკალური ცხოვრება“, „სანკტ-პეტერბურგის მუსიკალური ცხოვრება“, „მოდმე რესპუბლიკების მუსიკალური ფილმების ფესტივალი“, (რედაქციის მიერ ორგანიზებული), რომელსაც მიეძღვნა 10-მდე გადაცემა, „დიდი ქალაქების მუსიკალური ცხოვრება“, „მუსიკალური თეატრები“ და მრ.სხვ.

1981 წ. 6 ნოემბერს ეთერში გავიდა გადაცემა „მეგობრობის კონცერტი“ (ავტ. ს.ლაფაური, რეჟ. უ.დარჩია). ამ კონცერტი - შეხვედრის ორგანიზატორი ჩვენი რედაქცია გახლდათ. მასში მონაწილეობის მისაღებად მოვიწვიეთ ამიერკავკასიის რესპუბლიკების - აზერბაიჯანის, სომხეთის და, რა თქმა უნდა, ქართველი ხელოვნების ოსტატები. ესენი იყვნენ: (სომხეთიდან) სსრკ სახალხო არტისტი, სახ. პრემიის ლაურეატი, სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის სოლისტი ნარ ოვანესიანი (თბილისში

გაზრდილი), ამავე თეატრის სოლისტი ელადა ჩახოიანი, სომხეთის ხელ.დამსახ. მოღვაწე ედვარდ აბრამიანი (თბილისში გაზრდილი), ბაქოდან – ახუნდოვის სახ. ოპერისა და ბალეტის სახ. აკადემიური თეატრის სოლისტები, რესპ. დამსახ. არტ. რუმია ქერიმოვა, რესპ. სახ. არტ. ლუტფიარ იმანოვი, აზერბაიჯანის სახ. ფილარმონიის სოლისტი, ბაქოს კონსერვატორიის დოცენტი რაფიკ კულიევი, მათი ქართველი მასპინძლებიდან სტუდიაში იყვნენ ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახ. აკადემიური თეატრის სოლისტი, სსრკ სახ. არტისტის ზურაბ ანჯაფარიძე; რესპ. სახ. არტისტები – ცისანა ტატიშვილი, ნოდარ ანდლულაძე, რესპ. დამსახ. არტ. ელდარ ისაკაძე, საერთაშორისო კონკურსების მრავალგზის ლაურეატი ლიანა ისაკაძე. (გადაცემის რედ. გულნარა გრიგოლია, წამყვანი ირინე მათიაშვილი) ჩინებულად გაფორმებული სტუდიის ფონზე სავარძელში კარგად მჯდომი გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებლები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ შესრულებაში, წამყვანის მიერ შესრულების წინ აღებულ ინტერვიუში საოცარი სიტოთი აღნიშნავდნენ საქ. ტელევიზიის მიერ თბილისის სტუდიაში მათი მონვევის ფაქტს. სიამოვნებით აღნიშნავდნენ, რომ „თბილისს და მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ამგვარი გადაცემების მოწყობა, ორგანიზება, უღრმესი მადლობა ამისათვის“. მსგავსი შეხვედრები ადრეც გვექონდა. 1980-იანი წლების შემდეგ წელიწადში ერთხელ მაინც ვანყობდით ასეთ ღონისძიებებს.

კავკასიის სამი რესპუბლიკის ტელევიზიები ხშირად ვუცვლიდით ცნობილ მუსიკოს-შემსრულებლებზე, კომპოზიტორებზე გადაცემებს. ერთხანს ჩვენმა რედაქციამ სპეციალური საკონცერტო პროგრამა მოამზადა, რომელიც მახაჭკალის, გროზნოს, ვლადიკავკაზის საოლქო სტუდიებითაც გადაიცა.

დასახელებული მუსიკალური შეხვედრებიდან უნდა გამოვყო, საქ. ფილარმონიის დიდ დარბაზში ჩვენი მთავარი რედაქციის მიერ ორგანიზებული გრანდიოზული სალამო (ავტორი ს. ლაფაური და რედაქტორი (დასახელებული შეხვედრის შესახებ საუბარი მქონდა საესტრადო განყ. უფრ. გ. ანჯაფარიძესთან. მას გასტანდარტებული გადაცემების მომზადება უფრო ეხერხებოდა. ეწინააღმდეგებოდა საქართველოსა და სომხეთის ტელერადიო კომიტეტების მხატვრული კოლექტივების შეხვედრის რთული საორგანიზაციო მუშაობის გამო. საქმეში ჩაერთო ქ. ნი. ი. მესხიშვილი, იგი ხომ ყოველგვარი სიახლის მხარდამჭერი იყო. ამჯერადაც ასე მოხდა). რომელიც ორსაათნახევარი გრძელდებოდა. იგი მოეწყო დასახელებით – „მეგობრების ფრთებზე“. დიდ დარბაზში შევხვედრეთ სომხეთისა და საქართველოს ტელერადიო კომიტეტში არსებული მხატვრული კოლექტივები. ეს იყო 1986 წლის თებერვალში, ამ, მართლაც და უჩვეულო სალამოს, პირველად

მოენყო ორი კომიტეტის მუსიკალური კოლექტივების შეხვედრა, უფრო სწორედ პაექრობა, რადგანაც ორი ქვეყნის მუსიკალურ ცხოვრებაში მომხდარ ამ პირველ შეხვედრას, სპორტული პაექრობის ინტერესი ახლდა. დარბაზში ჩვენს მიერ მოწვეული ათასობით მსმენელი თუ მილიონობით ტელემყურებელი ამ საღამოს სწორედ პაექრობად აღიქვამდა. აი, რას ნერდა გაზეთი „თბილისი“ (1986 წ. 21 დეკემბერი): „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახ. კომიტეტი ბევრს აკეთებს ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთდაახლოებისათვის. ამის ნათელი მაგალითია ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული გრანდიოზული საღამო-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ კომპოზიტორები, საესტრადო-სიმფონიური ორკესტრები, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები, ცალკეული შემსრულებლები.

ხალხთა მეგობრობის ჭეშმარიტ ზეიმად იქცა თბილისში სომხეთისა და საქართველოს ტელერადიო კომიტეტების მხატვრული კოლექტივების შეხვედრა. გადაჭედილი დარბაზი ოვაციებით ხვდებოდა ყველა შემსრულებელს. ამით საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ საინტერესო ტრადიციულ შეხვედრებს. ნოემბერში კი ერევნის სპორტკომპლექსის დიდ დარბაზში ორ დღეს მიმდინარეობდა ასევე კომიტეტების შემოქმედებითი კოლექტივების საპასუხო საღამოები. გამოვიდნენ სიმფონიურ-საესტრადო ორკესტრები, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები „ჯადოსნური გზები“, „თეატრონი“, ქალთა ტრიო, მომღერლები, კომპოზიტორები. გულითადი შეხვედრები მოენყო ფაბრიკა-ქარხნებში, წარმოება-დანესებულებებში“. ამ საღამოებს ათიათასობით მაყურებელი ტაშით ეგებებოდა სტუმარ-მასპინძლებს... და სხვ.

დასახელებულ ციკლებს უნდა დაემატოს უამრავი საინტერესო გაცვლითი გადაცემების, საღამო კონცერტების ტრანსლიაციები თბილისის საკონცერტო დარბაზებიდან, ცენტრალური ტელევიზიიდან. და მკითხველი წარმოიდგენს ტელეეკრანის მეშვეობით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მსოფლიოსავე მნიშვნელობის მქონე რამდენ ხელოვანს გაეცნო.

ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში საქართველოს ტელევიზიის მუსიკალური პროგრამების მთავარი რედაქციის განყოფილებები, ცალკეული შემოქმედებითი ჯგუფები, ასევე ინტენსიურად ვიღწვოდით ქართული მუსიკის, ქართველ შემსრულებელთა ხელოვნების წარმოჩენას რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. ცენტრალური ტელევიზიის არხებით ასამდე გადაცემის, კონცერტის გატანა მოგვიხდა როგორც ქვეყნის, ისე ევროპის არხებით. საქართველოს ტელევიზია აქტიური მონაწილე გახლდა ცენტრალური ტელევიზიის მიერ ყველა ციკლში. მათ შორის იყო „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“. ეს იყო ცენტრალური ტელევიზიის საკავშირო სატელევიზიო ფესტივალი, რომელშიც ყვე-

ლა რესპუბლიკა მონაწილეობდა. ერთ-ერთი ტური ჩატარდა მაშინდელ ლენინგრადში. იქ წარგზავნილმა ქართული ესტრადის ახალბედა შემსრულებელმა მერაბ სეფაშვილმა პირველი ადგილი აიღო და მართლაც რომ მისი სახით ახალი ტალანტი შეეძინა ქვეყანას.

საინტერესო იყო საკავშირო ტელევიზიით ნამონყებული გადაცემათა ციკლი „ეკრანი იკრებს მეგობრებს“. ეს იყო თავისებური გადაძახილი ჩვენი რესპუბლიკებისა და ე.წ. „მომხე სოციალისტურ“ ქვეყნებს შორის. ჩვენ მოგვიხდა მომზადება გადაცემისა, ანუ ტელეხიდი „თბილისი-ვარშავა“. ეს ის პერიოდია, როდესაც ქართველი მუსიკოსების, კერძოდ ჯ. კახიძის მიერ უკვე პოლონეთის ქალაქ ლოძში დადგმული იყო ზ. ფალიაშვილის ოპერა „ახესალომ და ეთერი“. ასევე განხორციელებული გახლდათ საქ. საოპერო თეატრის გასტროლები პოლონეთში. გადაცემაში „თბილისი-ვარშავა“ ფართეთ აისახა პოლონეთისა და საქართველოს კულტურული ურთიერთობა, ჩვენი ხალხების ტრადიციული მეგობრობა.

მაშინდელი სსრკ-ის მასშტაბით უდიდესი გამოხმაურება ჰხვდა ჩვენს მიერ მომზადებულ გადაცემას „რუსული რომანსის საღამო“, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ ქართველი შემსრულებლები (ავტორი და ნამყვანი მერაბ თაბუკაშვილი). ამ გადაცემის შემდეგ რედაქციამ ასობით მაღლიერებით აღსავსე წერილი მიიღო რუსეთისა და სხვა რესპუბლიკების მშრომელთაგან.

ჩემთვის დაუვიწყარია 1968 წ. 5 ოქტომბრის გადაცემა „წყარო“, რომელიც ცენტრალური ტელევიზიის საშუალებით გადაიცა ინტერვიზიის არხებზე. ერთსაათიან გადაცემას ევროპის ბევრი ქვეყანა უყურებდა. გადაცემა აგებული იყო უძველეს ქართულ სარიტუალო ფერხულ-სიმღერებზე, ევროპის ყველაზე მაღალი მთიანი სოფლის – უმგულში გადაღებული ნაღდი ქორნილი თავისი ნეს-ჩვეულებებით. „წყაროში“ ადგილი ჰქონდა დათმობილი უძველესი ქართული ხალხური საკრავების „ჩანგის“, ჩონგურის, სალამურის ისტორიას. ლეგენდას, თქმულებებს, მონაწილეობდა ქართული ხალხური საკრავების ორკესტრი ო. კელაპატრიშვილის ხელმძღვანელობით (ავტ. ს. ლაფაური, რეჟ. უ. დარჩია, მხატვ. თენგიზ სამსონაძე). გადაცემის თვით სათაური „წყარო“ იძლეოდა საშუალებას მასში ჩაგვედო ჩვენი ერის სულიერი კულტურის შორეული წარსულის მარგალიტები, რომლითაც დღესაც იკვებება დღევანდელიობა. ჩვენს სიხარულს სახლევარი აღარ ჰქონდა, როდესაც გადაცემის დასასრულსავე არ შეწყვეტილა სატელეფონო ზარი, როგორც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთაგან, ისე ცენტრალური ტელევიზიიდან. ორიოდე დღის შემდეგ კი რედაქციაში ჩემთან შემოვიდა კოლეგა, რუსული გაცვლითი გადაცემების მთავარი რედაქტორი ლევან მაჩაიძე და გულითადად მომილოცა ინტერვიზიით გადა-

ცემული „ნყაროს“ უდიდესი წარმატება. ბ-ნი ლ.მაჩაიძე კომიტეტში ფლობდა ჩვენთვის გასაიდუმლოებულ ნყაროებს. ამდენად, მის მიერ მოლოცვას მეტი ფასი ჰქონდა. ამასთან მან გამომინოდა ტელეგრამა, მოსული ფინეთიდან, რომელსაც ხელს აწერდა ფინეთის პირველი პიროვნება – პრეზიდენტი ურხო კეკონენი. მე თვალებს არ ვუჯერებდი, როდესაც ლ.მაჩაიძემ გამომინოდა ტელეგრამა და ალბათ ათჯერ ნავიკითხე იგი, ფინეთის მთავრობა გვთხოვდა ჩვენი გადაცემის „ნყაროს“ კინოასლის შექენას. რა იცოდნენ ფინელებმა, რომ მათ მიერ მონონებული გადაცემა ცოცხლად, კინოჩანართებით მიდიოდა სტუდიიდან და გადაცემის დამთავრებისთანავე იგი აღარ არსებობდა. მაშინ სად გვქონდა იმის ფუფუნება ფერად კინო თუ ვიდუოფირზე გადაგველო მსგავსი გადაცემები, რათა შემდგომ ისინი კომერციული შემოსავლის ნყაროდ გამხდარიყვნენ?!

ფინეთიდან მიღებული ტელეგრამა რედაქციაში შემოტანამდე ლ.მაჩაიძეს უკვე გაეცნო საქტელერადიო კომიტეტის ხელმძღვანელობისათვის. უ.კეკონენის მიერ გამოგზავნილი ტელეგრამა გაეცნო ტელევიზიის ტრადიციულ სარეცენზიო თათბირის მონაწილეებსაც. ყველა გვილოცავდა ალიარებას, გამარჯვებას.

ლ.მაჩაიძეს კონტაქტი ჰქონდა მაშინდელ უშიშროების შეფებთან. „მათთვის ფინეთიდან მიღებული ტელეგრამის გაცნობა მინდაო“ და უკანვე გამომართვა. შემდეგ რამდენჯერაც ვთხოვე დაებრუნებინა ჩემთვის იგი, ყოველთვის „მაღე მოგიტანო“ ამბობდა. საბოლოოდ მესი ტელეგრამა აღარ მიმიღია და ამიტომაც აქ ვერ მომყავს ნათქვამის დასტურად.

საქართველოს ტელევიზია საერთოდ და კერძოდ, მუსიკალური გადაცემების მთ.რედაქცია ხშირად აწყობდა გასვლით, ღია კონცერტებს ცნობილი მუსიკოს-მემსრულებლების მონაწილეობით. ამ საღამო – კონცერტებისათვის შემოსული თანხიდან დარბაზის მფლობელთ ვუხდიდით ქირას. დანარჩენ თანხას კი უკლებლივ გადავირცხავდით საქართველოს ისტორიული ძეგლების აღდგენის ანგარიშზე. ჩემს სოფელში ნმ-ზე მეტი ეკლესია-ციხე-კოშკები ინგრევა. მის დაცვის საჭიროებაზე არაერთხელ გავამახვილე ყურადღება გადაცემებში, თუ პრესაში გამოქვეყნებული წერილებით. ვთხოვდი ძეგლთა დაცვის სამმართველოს უფრ. ბ-ნი ირაკლი ციციშვილს ამ უნიკალური ძეგლებისადმი ყურადღებას. ასევე საქმის კურსში ვაყენებდი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უნმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს. იქნებ ღვთისმშობლის ერთი საოცრად ლამაზი, გუმბათოვანი ეკლესია მაინც შეკეთებულიყო, გახსნილიყო და ამით გადაგვერჩინა დანგრევი საგან. ეს ძეგლი მე-ს საუკუნით თარიღდება. ჩანს რამდენჯერმე აღუდგენიათ, მიუშენებიათ მისთვის მთ.ანგელოზის სახელზე საყდარი. მის აღსადგენად სოფლის შემნახველ სალაროში გავხსენი ანგარიში და სა-

კუთარი შესანიშნავი ვაგროვები თანხას. სავალალოა, რომ საქართველოს დღევანდელი „დემოკრატიული“, „დამოუკიდებელი“ მთავრობის უმაძღარმა ჩინოვნიკებმა ეკლესიის აღსადგენი თანხაც შეინარეს და ჩემთვის საჭირისუფლოდ დანაზოგი თბილისის შემნახველ სალაროში „დაუნჯებული“ თანხაც. ბოდბის ვუხედი მკითხველს, თუ ამ მცირედი გადახვევით თქვენს გულისტკივილს ჩემიც მივამატე.

ზემოთ უკვე მქონდა საუბარი ტელევიზიის ადრეულ წლებში გადაცემული პროფესიული საგუნდო მუსიკის კომპოზიტორ ნ. სულხანიშვილის სიმღერების შესახებ. პროგრამაში შეტანილი გექონდა რამდენიმე საგალობელიც. ვახსენე აგრეთვე სახ. კაპელის ჯგუფის მიერ (ხელმძღვ. ჯ. ბალიაშვილი) გამართული კონცერტი, მისი პროგრამა მთლიანად შედგებოდა უძველესი ქართული საგალობლებისაგან. მაშინ ამ გადაცემებმა ტელემედიუმებელთა შორის ფართო გამოხმაურება გამოვეს. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ქართული პროფესიული საგუნდო მუსიკის სათავეები 1936 წ. საქ. კაპელის (დირიჟორები მ. კუხიანიძე, ნ. შარაბიძე, ვალ. ცაგარეიშვილი) დაარსებითა და მისი პირველი საჯარო კონცერტის გამართვით კი არ უნდა შემოვფარგლოთ, არამედ მისი სანყისი ფესვები შორეულ IX-X საუკუნეებში უდიდესი ქართველი მუსიკოსის მიქაელ მოდრეკილის შემოქმედებაში და უფრო ადრეა საძიებელი.

განა პროფესიულ საგუნდო მუსიკის უაღრესად მაღალ განვითარებულ დონეზე არ მიგვანიშნებს IX საუკუნის საგალობლების სანოტო სისტემის შემუშავების ორიგინალური ცდები ე.წ. „ნეემების“ სახელწოდებით?! განა ქართველი მუსიკოსების მაშინდელ პროფესიონალიზმზე არ მეტყველებს მათი ცდა „ნეემების“ შემუშავებით შეექმნათ და შთამომავლობისათვის დაეტოვებინათ საგალობლები?! განა ამ „ნეემებით“ არა მღეროდნენ მაშინ გუნდები, რომელთა ხმებშიაც ცოცხლდებოდა ეს ჩანანერები?!

განა ყურადსაღები არაა ექვთიმე და გრიგოლ ხანძთელეების მოღვაწეობა საქართველოში და ათონის წმინდა მონასტრებში?! ხომ ცნობილია, რომ გრ. ხანძთელმა საქართველოში მოკრიფა ნიჭიერი ბავშვები. განვრთნა ისინი გალობაში და წაიყვანა ათონზე. გზად მიმავალმა კი ბიზანტიის კეისარს მოასმენინა ქართველი ბიჭუნების მიერ შესრულებული საგალობლები და აღფრთოვანებულმა კეისარმა „ღვთიური ხმები“ უწოდა იმ საგალობლებს. „ღვთიური ხმები“ – რა იმალდა ამ გამოთქმაში?! მასში ჩაქსოვილია ქართული საგალობლების სიდიადე, მრავალხმიანი პოლიფონიურობა, კილო-ინტონაციის, ჰარმონიის ის თავისებურებები, რითაც ისინი არ ჰგავდნენ არც ბერძნულ ერთხმიანსა და არც სხვა რომელიმე ქვეყნის ხალხის სიმღერებს. ცნობილია, რომ ქართველი ბიჭუნების გუნდის მიერ შესრულებული საგალობლებით აღფრთოვანებულმა კეისარმა ისინი დიდძალი „ოქროთი და ვერცხლით

დასაჩუქრა". აი, სწორედ ეს კითხვები მიტრიალებდა ყოველთვის, როდესაც კი დაფიქრებულვარ ჩვენი ერის წარსული პროფესიულ თუ ხალხურ მუსიკაზე. ამ ფიქრმა მაიძულა ტელევიზიით მომენყო უძველესი ქართული საგალობლების საღამო. სტუდიაში მოვიწვიე იმ პერიოდში კონსერვატორიაში სტუდენტების მიერ შექმნილი ვოკალური ჯგუფი: თემურ ქვეზიშვილის, ბადრი თოიძის, გომარ სიხარულიძის, თამაზ პავლოვის, ალბერტ დანელიანის, მიხეილ მცურავიშვილის, თამაზ ანდლულაძის შემადგენლობით. მათთან ერთად შევარჩიე პროგრამა: „ქრისტეს შობის საგალობელი“, „ღმერთი უფალი“, „ჟამთა და წელთა“, „ღვთისმშობლის საგალობელი“, „შენ ხარ ვენახი“, „რომელნი ქერუბიმთა“, „თამარ დედოფლის საგალობელი“ და „ალილია“.

ვიცოდი, რომ საგალობლებს, ერის კულტურის ამ ძვირფას საგანძურს ბევრი მტერი ჰყავდა ზემდგომ პარტიულ თუ ქვემდგომ კარიერისტთა შორის, რომლებიც იდეოლოგიურ საჭეს „ამაგრებდნენ“. ამიტომ საგალობლებზე გადაცემა შევიტანე წლის პერსპექტიულ, კვარტლის, თვის, კვირის გეგმებში. ყველა ისინი დამტკიცდა კომიტეტის კოლეგიაზე და ამით გზა გავიკაფე ეკრანისაკენ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საგალობლების აკრძალვით ერს ავიწყებდნენ საკუთარ უდიდეს კულტურულ წარსულს. წარსულს, რომელსაც მრავალი ქვეყნის მუსიკალური წრეები თუ ხალხი ინატრებდა.

გადაცემის ჩანერის დროს სტუდიაში შემოვიდა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გიგოლაშვილი და გამახსენა დერეფანში მის მიერ ჩემთვის ნათქვამი სიტყვები: „შეეშვი საგალობლებსო“. სტუდიაშიც მომმართა: „შენ მაინც არ იშლი შენსას?! იცოდე უსიამოვნება შეგემთხვევაო“, თქვა და გავიდა სტუდიიდან. ვინც კი ყური მოჰკრა გ.გიგოლაშვილის ნათქვამს, ყველას გაუკვირდა. მე არ გამკვირვებია, ვიცოდი მისი და მისი მსგავსი ადამიანების უცნაური შიშით შექმნილი ერთგულება „პარტიულ ელიტასთან“.

განვაგრძეთ საგალობლების ჩანერა (ავტ. ს.ლაფაური, რეჟ. კოტე სურმაჯა). უაღრესად სასიამოვნო სამღერ-სანახავეი 30 წუთიანი პროგრამა გამოვიდა. მალე „გეგმიურად“ გადაიცა ეთერში. მეორე დღის დილის 9-საათზე სამსახურში მოსვლისას, კადრებში დამიბარეს და უკვე გამოცემული საყვედურის გამოცხადების ბრძანებაზე ხელისმონერა მთხოვეს. განვცვიფრდი, ხელს როგორ მოვუნერდი? დილის თათბირზე ბ-ნ კ.კარდაფხაძეს ვკითხე თუ იცოდა „საგალობლების“ მომზადების გამო ჩემთვის საყვედურის გამოცხადების შესახებ“. არც მან და არც ქ-მა ი.მესხიშვილმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. მათ ჩემგან პირველად გაიგეს. ასე უთენია როგორ შესძლო გ.გიგოლაშვილმა საყვედურის გამოცხადება, როგორი ოპერატიულობით გადასცა კადრებს, თათბირის ყველა მონაწილეს გაუკვირდა. ბ-მა კ.კარდაფხაძემ და ქ-

ნმა ივლიტამაც მითხრეს: „არა ღირს ამაზე ნერვიულობა, თავი გაანებე, უხერხულია მოადგილის მიერ გამოცემული ბრძანება ბრძანებითვე გააუქმოთ. მეც მეტად არ შევწუხებულვარ. თუმცა, ჩემთვის გამოცხადებული ბრძანების ასლი ეხლაც არ ვიცი ვინ გაიტანა კომიტეტიდან. ამაზე მწერალთა კავშირში დიდი ხმაური ატეხილა ჩემს დასაცავად. მალე კ.გარდაფხადისათვის „ნიანგი“-დან დაერეკათ – „კარლო, საქმეს უშველე, თორემ, თქვენს კომიტეტზე და გიგოლაშვილზე ისეთი ფელეტონია მომზადებული, მოთხრილი ხართო!“ ბ-ნ კარლომ „ცეკას“ მეშვეობით მართლაც ამოელებინა „ნიანგის“ სასიგნალო ნომრიდან ფელეტონი. აქ დავამთავრებდი საუბარს ამ თემაზე, რომ ამავე გადაცემის ეკრანზე გამოვრებისას კვლავ ბრძანებით საყვედური არ გამოეცხო გ.გიგოლაშვილს – „ბრძანების დაუმორჩილებლობისათვის“. ამ ფაქტმა კი მართლაც გამაღიზიანა. ასევე შეწუხდნენ კომიტეტის თანამშრომლები, რომლებმაც საერთო თათბირზე გააკეთეს ბრძანების დამწერის მიმართ კრიტიკული შენიშვნები.

1982 წლის 17 მაისს უკვე ხალხური შემოქმედების მთ.რედაქციით, გურჯაანის ფოლკლორული საღამოს გადაცემის დროს, მასში ხანდაზმული გურჯაანელები სხვა ხალხურ სიმღერებთან ერთად ასრულებდნენ „ალილოს“ ერთ-ერთ საინტერესო ვარიანტს. მაისს, მეორე დღეს დაემთხვა შობის რელიგიური დღესასწაული (გადაცემაზე მუშაობდნენ რ.ურუშაძე, დ.კვაჭაძე, გ.დოლიძე, ვახ.კოტეტიშვილი, ალ.ჭინჭარაული, რეფ. რ.ჭელიძე). ერთსაათიანი და 15-წუთიანი გადაცემა საინტერესო და მრავალფეროვანი იყო. მიუხედავად ამისა, კომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ გ.ენუქიძემ გამოსცა ბრძანება, რითაც მანამდე ტელემაყურებლებისაგან და თვით კომიტეტის ხელმძღვანელობის მიერ საქებარი რედაქციის ზემოთ დასახელებულ ჯგუფს გამოეცხადათ საყვედურები. მიზეზი?! „ჯგუფმა ადგილზე ვერ გამოიჩინა საკმაო პრინციპულობა და პროგრამის შერჩევასი სოფ. შაშიანში ხანდაზმულ მევენახეთა ანსამბლის შესრულებით ეთერში გაუშვა რელიგიური სიმღერა „ალილო“. იგი საინტერესოა ფოლკლორისტისა და შესრულების თვალსაზრისით, მაგრამ არ შეესაბამებოდა დღის პროგრამის ხასიათს“. ანუ ხელმძღვანელთა აზრით საშობაო დღეს. რა გაეწყობა, ასეც ხდებოდა!

თითქმის ანალოგიურ შემთხვევას, ოღონდ სხვა ასპექტში ჰქონდა ადგილი რამდენიმე წლით ადრე კომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ გ.ენუქიძემ ბრძანებებს, რითაც ამ სტრიქონების ავტორს ასევე გამოეცხადა საყვედური. მიზეზი?! ერთ შესანიშნავ სუფრულ სიმღერაში – „შემოდახილი“ – არის სიტყვები: „ვიმღეროთქმებო, ვიმღეროთ, ერთი ქართული მითხარო, ან მომეც ბარი, ნიჩაბი სამარე ამოვითხარო“... სიმღერა „შემოდახილი“ შედიოდა კომიტეტთან საზოგადოებრივ

სანყისებზე ჩემი ხელმძღვანელობით არსებულ ეთნოგრაფიული ან-სამბლის პროგრამაში, რომელიც ვიდეო ფირზე გახლდათ ჩანერილი, სათაურით „მღერის ეთნოგრაფიული გუნდი“. ზემოთ ნახსენები სიტყვები, რომელიც სიმღერის შუა ნაწილშია მოქცეული, თურმე უნდა ამომელო იმის გამო, რომ კონცერტის გადაცემის დღეებში მთავრობის სახლის წინ მიმდინარეობდა ხალხმრავალი მიტინგები, სსრკ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების გამო, რითაც ოფიციალურად უნდა დაკანონებულიყო ქვეყანაში ისედაც გაბატონებული რუსული ენა, ანუ რესპუბლიკების სახელმწიფო ენად მხოლოდ რუსული ენა გამოცხადებულიყო, თურმე ნუ იტყვიან, ჩვენი უძველესი სუფრული სიმღერა „შემოძახილის“ სიტყვები „ცეცხლზე ნავთს უსხამდა მომიტინგეებს“. ნეტავი მართლაც ასე ყოფილიყო, სიამოვნებით ვატარებდი გულზე მიბნეულ იმ ბრძანებას რუსთაველის პროსპექტზე მომიტინგეთა შორის, რომლის მონაწილე მეც ვახლდით.

ძალიან ბევრი მუსიკალური გადაცემა დარჩება ამ კრებულში შეტანის გარეშე. წელიწადში 300-350-ზე მეტი პროგრამა მზადდებოდა. ვცდილობდით რესპუბლიკის მუსიკალური ცხოვრების არცერთი მცირე ნიუანსი არ დარჩენილიყო ტელეეკრანის გამოხმაურების გარეშე. იგივე ითქმის საკონცერტო დარბაზებში თუ თეატრების სცენებზე მონყობილი კლასიკური, აკადემიური, საესტრადო, საოპერო, საბალეტო, საოპერეტო, სიმფონიური, კამერული, საფორტეპიანო კონცერტებისა და სპექტაკლების შესახებ. ტელემაყურებლებს არ მოჰკლებიათ ეკრანიდან ტკობა პერუელი მომღერლის იმა სუმაკის, ინგლისელი ბალერინის ბელილ გრეის, ბულგარელი უზუნოვის, რუმინელი ხერლიას, იტალიელი დომინგოს, პავაროტის, ქართველი ბურჭულაძის კონცერტების სპექტაკლების ჩვენებით. ბოლო წლებში განსაკუთრებით გახშირდა ვიდეო კასეტებით შემოტანილი ევროპისა და ამერიკის დიდ საოპერო სცენებზე თუ ღია ცისქვეშ გადაღებული საოპერო ქმნილებების, კონცერტების გრანდიოზულ სანახაობათა ჩვენება. ამ კეთილშობილური მისიის შესრულებაში რედაქციის თანამშრომელთა აქტივობის გარდა, თვით შემსრულებლებიც გვინწყობდნენ ხელს, რაც ასე ალამაზებდა და მიმზიდველს ხდიდა საქართველოს ტელეგადაცემებს.

ჩვენ ადრე გვექონდა საუბარი, რომ ზ.ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ 1970-იან წლებში რამდენიმე ცდის მიუხედავად ვერა და ვერ იქნა სცენაზე განახლებული დადგმით წარმორჩენილიყო. ამ დროს ჩვენთვის ცნობილი შეიქმნა, რომ კიევში შევჩვენეს სახ. ოპერისა და ბალეტის სახ. აკადემიურ თეატრში ბრწყინვალედ განხორციელდა „აბესალომი და ეთერი“. ჩვენი წინადადებით კომიტეტმა მიიღო ყველა ზომა ამ ქართული ოპერის ვიდეოჩანერის ჩამოტანისათვის. კი-

ევში მივაკლინეთ შემოქმედებითი კოლექტივი: რედ. გ.ანჯაფარიძე-ნესტერენკო, რეჟ. ი.არაყიშვილი, ვიდეო საამქროს უფროსი ინჟინერი რ.დაბაგოვი. ამასთან ვიდეოჩანერის (და არა გადაწერის) ტექნიკურად უზრუნველსაყოფად. წინასწარი მოლაპარაკებების შედეგად კიევის ტელერადიო ტექნიკის სახლის ანგარიშზე გადაირიცხა სათანადო თანხა. ოპერის ვიდეოჩანანერი, ჩამოტანილი კიევიდან 1972 წ. 8 ივნისს გავიდა ეთერში. მე-2 დღიდანვე კომიტეტში ზღვა წერილები მოვიდა, ზოგს ხელითაც კი მოჰქონდათ. კიეველთა მიერ დადგმული ქართულ კლასიკურ ოპერას მაღალი შეფასება მისცა საქართველოს მთავრობამ. ამიტომ „აბესალომ და ეთერი“ გამეორდა იმავე თვის 14 ივნისსაც. უკრაინელთა მიერ დადგმულ „აბესალომის“ ტრიუმფი ქართულ ტელეეკრანზე ამით როდი დამთავრდა. კიევი დადგმულ პრემიერას ესწრებოდნენ ქართველი მუსიკოსებიც. მათი თბილისში დაბრუნებისთანავე, სტუდიაში ტელემაცურებელთა წინაშე წარვადგინეთ მუს.მცოდნე ანტ.ნულუკიძე, რომელმაც მოკლედ დაახასიათა ოპერის მთ. გმირთა შემსრულებლები, მხატვრის, რეჟისორის, დირიჟორის ნამუშევარს მისცა უმაღლესი შეფასება, რის შემდეგ, 1972 წ. 3 ივლისს კვლავ გადაიცა ოპერა. საინტერესოა, რომ „აბესალომი და ეთერი“ მეოთხედ 1972 წ. 12 სექტემბერსაც გადაიცა საქართველოს რუსთაველის პრემიების სახ. კომიტეტის სურვილით. მეხუთედ ოპერა ეკრანზე გავიდა 1973 წლის 4 მარტს, რომლითაც უკრაინელი მუსიკოსები, დირიჟორი, მხატვარი დაჯილდოვდნენ რუსთაველის პრემიით. დაგვეთანხმებით, რომ „აბესალომ და ეთერის“ უკრაინელთა ჩინებულ დადგმას, რომ არა საქ.ტელევიზიის ძალისხმევა, ჩვენი მაყურებელი მას ვერ იხილავდა. ვერ გამოინვევდა იმ რეზონანსს, რომელიც მას ხვდა. ეს გარემოება კიდევ და კიდევ ხაზს უსვამს ტელევიზიის უდიდეს მაორგანიზებელ ძალას. ამასთან, ანგარიში უნდა გაენიოს რას როგორ გადავცემ. ეკრანზე გაფრენილ ყოველ სიტყვას, გამოსახულებას ადამიანთა მასებში შეუძლია შეიტანოს აღმაფრენაცა და დათრგუნვაც, სულის ამაღლებაც და გახრწნაც. ერთხელ საქართველოს ტელევიზიის პირველი ფრთაგაშლის წლებში ნამოჭრილი კამათის დროს, რომელსაც ქებათა ქება არ აკლდა მის ჯადოქრულ გამოგონებას. ითქვა კიდევც: „ყოველივე ის იგავმიუნვდომელი, შენს ოჯახში შემონათებული ჯადოსნური სარკეა, რითაც სიკეთის მთესველ, თავის ხალხზე შეყვარებულ ადამიანებს შეუძლია თაობები აღზარდოს, აზიაროს საკაცობრიო ცივილიზაციას და შეუძლია აგრეთვე ვინრო შუბლიანებმა იგი გადააქციონ ადამიანთა მასობრივი გამოყვეჩების, გახრწნის საშუალებად“.

რამდენი სიფრთხილია საჭირო, როდესაც მავანი ეკრანზე, მოზარდი თაობის თვალწინ, მხოლოდ „სექს-ფილმების“ და მის მსგავს ამორალურ სურათებს ატრჩალებს... ყოველთვის მქონდა მიზანი, მელვანა ჩე-

მი ერის სულის სიდიადისათვის, ეკრანისათვის ეროვნული ელფერით შემოსვისათვის. ღმერთმა მოგვკითხოხო ჩვენი სინდისის საზღაური...

მიჭირს ზღვა მასალიდან მთავარის ამორჩევა, მასზე შეჩერება, მაგრამ არ შემიძლია არ ვახსენო ბევრი ჩემნაირის აღმზღელი მუსიკის მცოდნე პავლე ხუჭუა. იგი დღიდან ტელევიზიის დაბადებისა ყოველთვის იდგა რედაქციის გვერდით. ვთავაზობდით და თავადაც გვთავაზობდა გადაცემებს. მრავალთა შორის აქ ვახსენებ ციკლს „სიმფონიური მუსიკა და მისი საკრავები“. ამ გადაცემების მიზანი იყო ტელემსმენელი ეზიარებინა ცალკეული ინტსტრუმენტის შესაძლებლობებს, მის მიერ მუსიკის გამოსახვის საშუალებებს; შეძლების ფარგლებში გაენია დახმარება მსმენელისათვის ჩასწვდომოდნენ სიმფონიური მუსიკის სიღრმეს. ამ ციკლის გადასაცემად ვიყენებდით, როგორც კომიტეტის სიმფონიურ ორკესტრს, ისე ტრანსლიაციებით ჩანერილ მსოფლიოში სახელმძღვანელო ორკესტრების მიერ შესრულებულ ნაწარმოებებს. რედაქცია ამ ციკლის მაღალ დონეზე გადაცემებისათვის თანამშრომლებს აგზავნიდა პეტერბურგში, მოსკოვში, ბალტიისპირა რესპუბლიკებში. მათი ტელეფონიდან ვინერდით ვიდეოფირზე ბახის, ჰენდელის, მოცარტის, ბეთხოვენის, ვაგნერის, ბერლიოზისა და მრავალ სხვა სიმფონიურ, საფორტეპიანო ქმნილებებს მსოფლიოში აღიარებული ორკესტრების, დირიჟორების, პიანისტების, ვიოლინოზე შემსრულებლების საუკეთესო ქმნილებებს. ამგვარი საშუალებებით წლების მანძილზე, თვეში ორჯელ ტელემთარგმნელებს შეეძლოთ მოესმინათ ბ-ნ პ. ხუჭუას ენაწყლიანი საუბრისათვის. ზოგს, მათ შორის, ჩვენს კომიტეტშიც, ეგონათ, რომ სიმფონიურ ჟანრში მომზადებულ გადაცემებს მსმენელი არ ჰყავდა. ამის გამო, პროგრამების დირექცია დღის საათებში უფრო გეგმავდა ამ ჟანრის გადაცემებს. მიუხედავად ამისა, რედაქციაში შემოსული ფოსტა ყოველთვის ეხმაურებოდა ჩვენს გადაცემებს. ბევრი ტელემთარგმნელის თხოვნას „მუსიკალური ფოსტის“ რუბრიკით მომზადებული კონცერტებით ვაკმაყოფილებდით.

ზემოთ ვახსენე და ვიმეორებ, რომ მარტო 1970 წელს 352-ზე მეტი მუსიკალური გადაცემა წავიდა ეთერში. ამას ემატებოდა ჩვენს სტუდიაში ახლად გახსნილი ფერადი გადაცემების მთავარი რედაქცია (მთ. რედ... ა. გაჩეჩილაძე. რეჟ. მ. თურმანიშვილი და ტ. კურცხალია), რომელიც ძირითადად კონცერტებს (მოგვიანებით დადგმებსაც) ამზადებდნენ. ასევე იყო სატელევიზიო ჟურნალი „იავნანა“ (რედაქტორი ნუნუ ხავთასი), რომლის ერთ-ერთ სიუჟეტად აუცილებელი მუსიკალური გვერდი გახლდათ. თუ გავითვალისწინებთ საბავშვო, ახალგაზრდულ და სხვ. რედაქციებსაც, მაშინ ნათელი შეიქმნება ტელევიზიის ცისფერი ეკრანიდან აქტურებული მუსიკის მნიშვნელობა.

1969 წლებიდან მოკიდებული შემოვიღეთ ციკლი „მუსიკალური

ოჯახები". რამ განაპირობა?! ჩვენი ცხოვრების ისტორიულ ლაბირინთებში განსაკუთრებით კი ხელოვნების სფეროში ჩახედულ ადამიანებს თვალში გეცემოდა წარსული საუკუნეების მანძილზე ქალაქად თუ სოფლებში არსებული საოჯახო საღამოები, რომლებშიც ფართო ადგილი ეკავა საკრავების, შემდგომ კი თანდათან კლავიშებიანი ინსტრუმენტების თანხლებას, ვერ შეხვდებოდით ოჯახს, საიდანაც საღამო ყამს არ მოგესმინათ მშობლიურ ჰანგთა ლილინი. მე-20 საუკუნემ, ტექნიკის, ატომის საუკუნემ თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყანაში თან მოიტანა ხალხთა ურბანიზაცია, ადამიანთა ეროვნული სახის თანდათან გასხვიება. ჩვენ, ჩვენი პატარა შესაძლებლობებით მინც შევეცადეთ შევჭიდებოდით ქართულ ოჯახებში სიმღერის, სიტბოს, სიყვარულის კვლავ დაბრუნების ურთულეს საქმეს. ერთ-ერთი საშუალება სიმღერის, მუსიკის საოჯახო ახმინება დავისახეთ. ბოლო პერიოდში ძეობა, ქორწილი, თვით ტირილიც ხომ უცხო შემოჭრილი მუსიკით მიმდინარეობს!

ამიტომ ავახმინათ „დები იშხნელები“, „ჩიქოვანები“, „აბესაძეები“ (ტყიბული), „გუგუშაშვილები“, „ისაკაძეები“, „ამირანაშვილები“, „ანდლულაძეები“, „ერქომაიშვილები“, „თარხნიშვილები“, „ქალდანები“, „დები გუგაძეები“, ძმები ნინოშვილები და სხვ. უკვე გვქონდა საუბარი რომ ჩვენმა ცდამ უნაყოფოდ როდი ჩაიარა. ოჯახების ერთად აყურებით, შესაძლებელი გახდა დიდი საახალწლო საღამო მოგვეწყობა. შესაძლებელი გახდა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში საოჯახო ანსამბლების უკვე დიდ დარბაზებში დიდი საღამო-კონცერტების გამართვა. ღონისძიების ნაშრომნი და შემდგომაც ავტორ-ორგანიზატორი ამ სტრიქონების ავტორი გახლდათ და ვამაყობ ამით. ვფიქრობ, საქართველოს ტელევიზიამ კვლავინდებურად უნდა განაგრძოს ამ მიმართებით მუშაობა. ეს იოლი საქმე არაა. იგი თავისით არ მოვა, არც მოგეძალება თუ თბილი გული და ხელი არ შეაშველე. სხვა მხრივ ეროვნული ტელევიზია გვაქვსო ვერ დავიქადნით.

თამამად შემძლია ვთქვა: საქ.ტელევიზიაში მისვლისთანავე მიზნად დავისახე სულიან ხორციანად მუსიკა, მსოფლიოს ხალხთა ენაზე „მოლაპარაკე“ ეს ჟანრი ეროვნულ სიმებზე ასხმული ყოფილიყო. ამიტომ, გადაუდებელი ამოცანა გახლდათ რედაქცია ეროვნული, პროფესიონალი კადრებით შევსილიყო. ამას ყვირილი კი არა, ზომიერი ნაბიჯით გადადგმული საქმე უნდოდა. შემდგომ მართლაც გახდა შესაძლებელი მუსიკალური რედაქციის ძირითადად პატრიოტი ახალგაზრდებით და კომპოზიტორთა. მკითხველს ახსოვს, მუსიკალურმა რედაქციამ 5-ოდე კაცი დავიწყეთ გადაცემები. დროთა სვლამ, ტექნიკურმა (ყველაფერი შედარებითია) ზრდამ, მაუწყებლობის გაფართოებამ რედაქცია ერთ-ერთ ძლიერ შემოქმედებით ბირთვად ჩამოაყალიბა. მის რი-

გებში სხვადასხვა დროს გაჩნდნენ შესანიშნავი პროფესიონალი მუსიკის მცოდნეები მზია რამიშვილი, ირინე რობიტაშვილი (სიყვარულით ვეძახოდით ნახევარწინილას), თინა ჩოკოიძე, ნანა გურგენიძე, ნანა ძიძიგური (უდროოდ დაგვწყვიტა გული) იგი ნიჭიერი, მცოდნე, საქმის ერთგული იყო. ეთერ ცინცაძე, გულნარა გრიგოლია, ეთერ ეზუგბაია, ლია კოდუა, ირმა სოხაძე, თემურ ცაგურია, ომარ ჩიტაია, ბადრი ჩადუნელი, მერაბ ოდიშარია, სიმონ ცინცაძე, გია ჭირაქაძე (მთ.რედაქტორებად ერთხანს აქ მუშაობდნენ ე.მაჭავარიანი, თ.ჩოჩუა), რეჟისორები: უშანგი დარჩია, გივი გაჩეჩილაძე, გუგული სებისკვერაძე, ვანო გელაშვილი, ნოდარ გარსევანიშვილი (ჭყეტელა), დალი კახიანი, თამაზ ელიავა, თემურ ფალავანდიშვილი, მცირე ხანს კოტე სურმაევა, ბორის მარგველაშვილი, ლუიზა შაკიაშვილი, ავთანდილ იმნაძე, ელიზბარ გედევანიშვილი, გოგი ვასაძე, იგორ არაყიშვილი, დალი გურგენიძე, თინათინ ჭაბუკიანი, რეჟისორის ასისტენტები: ნიკო ჩხეტიანი, ლევან ლეონიძე, გაიოზ გოგოლაძე, უშანგი მჭედლიძე, გია ჩიტალაძე, თამაზ გუდკოვი (უჭირდა რუსული), ბადრი აბრამიშვილი, ზეინაბ ლულუნიშვილი, მედეა გაბისონია, ჟენია მარგიშვილი, მიხეილ მანდღარი, მანანა ცხომელიძე, ბელა გაბუჩია, მანანა მჭედლიშვილი, ნანა კობერიძე, მანანა უკურაშვილი, მარინე თვაური და სხვ. მრავალი მათგანი გადაცემებს დამოუკიდებლადაც ამზადებდა.

აი, ამ ადამიანებით კეთდებოდა სატელევიზიო გადაცემები, კონცერტები, შეხვედრები სტუდიაში თუ რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში. მზადდებოდა ტრანსლიაციები თეატრებიდან, საკონცერტო დარბაზებიდან, კულტურისა თუ სპორტის სასახლეებიდან. მზადდებოდა საახალწლო თუ სხვა სახის საზეიმო გასართობი პროგრამები. თავს ბედნიერად ეთვლი, რომ გვერდში მედგა შესანიშნავი პროფესიონალი მუსიკისმცოდნე და ორგანიზატორი მზია რამიშვილი. იგი ნანა გურგენიძესთან ერთად წარმართავდა განყოფილებების საქმიანობას. აი, ამ ნიჭიერი ადამიანებით იქმნებოდა ჩვენს გადაცემებზე საზოგადოების აზრი და კლიმატი. მათ ნესიერებაზე, სუფთა ხელებზე იყო დამოკიდებული, როგორც მთავარი რედაქციის, ისე მთლიანად კომიტეტის ავტორიტეტი.


მუსიკალური ფესტივალი – „ქება ვაზისა“, რომელიც თელავში ტრადიციული გახადა ქართული პიანიზმის მშვენივალ მელისო ვირსალაძემ, ისეთი პოპულარული ვერ გახდებოდა, რომ არა მ.რამიშვილის, ლ.კოდუას, რეჟ. დალი გურგენიძის მონდომებით ამავე სახელწოდებით მომზადებული ციკლური გადაცემები. განა „გორის საგუნდო მუსიკის ფესტივალი“, „ქუთაისის საოპერო მუსიკის ფესტივალი“ ასიათასობით ადამიანს რომ ალაფრთოვანებდა, შესაძლებელი იქნებოდა ნ.გურგენიძის, გ.გრიგოლიას, უ.დარჩიას, გ.გაჩეჩილაძის, ნ.გარსევანიშვილის, ნ.ძიძიგურის, თ.ჩიკოიძის ღვანლის გარეშე?! ცხადია, არა!

სტუმრები ამერიკიდან. მიუნხენიდან...

საქართველოს ტელევიზიას სრულიად მართებულად ჰქონდა მოპოვებული მაღალი ავტორიტეტი ცენტრალურ და ევროპის ქვეყნების ტელევიზიებს შორის. როგორც კი „ცეტეს“ პროგრამებში განხლებოდა გადაცემები საქართველოდან, მას თავიანთ პროგრამებში სვამდნენ გერმანიის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სკანდინავიის ქვეყნების ტელევიზიები. ამიტომაც ყველა სტუმარს სსრკ-ში ჩამოსვლისას უეჭველად სურდათ საქართველოში, თბილისში ჩამოსვლა, ჩვენთან კონტაქტების დამყარება. სამწუხაროდ, ამ საკონტაქტო ურთიერთობებს მაგარი ჯაჭვებით აბამდა მოსკოვი თავის ლუზაზე და ხშირად კარგად დანყებული საქმე იმლებოდა მოსკოვის მიზეზით. ცენტრალური ტელევიზია ჩვენსა და საზღვარგარეთელი კოლეგების მიერ შედგენილ ერთობლივ ვიდეო ფილმ-კონცერტების გადაღებაში დიდ თანხებს მოითხოვდნენ, რაც პროექტების ჩაშლას იწვევდა.

ამის მაგალითად მოვიყვან მიუნხენისა და ალიასკის ქალაქების გაერთიანებული ტელევიზიების სურვილს ჩვენთან ერთობლივად მოემზადებინათ ვიდეო ფილმ-კონცერტები, რომლებიც ზემოთქმული მიზეზებით ველარ განხორციელდნენ.

მიუნხენის ტელევიზიის წარმომადგენელი ბ-ნი დოქტორი ვენინგერი გვეწვია (რა თქმა უნდა, რუსეთის წარმომადგენელთან ერთად). შევხვდით ჩვენი რჯულ-ჯილაგის მიხედვით. ბ-ნი ვენინგერის გეგმა იყო ჩვენთან ერთად გადაეღო უძველესი ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები. მე იგი კახეთში, სვანეთში, გურიაში და სამეგრელოში წავიყვანე. აქ უკვე წინასწარ შევატყობინე ვინ და რისთვის ჩავდიოდით და როდის. თქვენ თვითონ წარმოიდგენთ როგორ დაგვხვდებოდნენ მასპინძლები. იყო ქართული ხალხური სიმღერა – ფერხულ ცეკვების ზეიმი. გაოგნებული ბ-ნი ვენინგერი გაოცებას ვერ მალავდა თუ ქართველმა ხალხმა აურაცხელ მტერთან ბრძოლის მიუხედავად როგორ გადაარჩინა, შემოინახა უკვდავი მრავალსაუკუნოვანი კულტურა. მან ჩაინიშნა მისთვის საჭირო ყველა ნომერი, აკრი-



ფა მასალა და შემპირდა, რომ სცენარს წინასწარი გაცნობისათვის და შენიშვნებისათვის გამომიგზავნიდა. ეს ასეც მოხდა. გულდასმით გავეცანი სცენარს. შევიტანე ცვლილებები, დამატებები იმ ადგილებში, სადაც მისეულ ტექსტში ქართული სულის, ადათნების გაგება ვერ შესძლო. მე მას ჩემი ვარიანტი გავუგზავნი უკან. ჩვენ ამ ურთიერთობამ მჭიდროდ დაგვაკავშირა. შემდგომ მწერდა, რომ დიდი მადლიერებით მიიღო ყველა ჩემი შენიშვნა. მთხოვდა თანხმობას სცენარის თანაავტორად გაემხდარიყავი. ამასთან მწერდა, რომ ფილმ-კონცერტის გადაღების შემდეგ ჩვენ ერთად აუცილებლად მოგვინევდა მიუნხენში ჩასვლა ფილმ-კონცერტის პრემიერაზე. ცხადია, ბ-ნი ვენინგერის ეს სურვილი რუს ტელეცენტრალებს მხედველობიდან არ გამოორჩენიათ, „უჩემოდ ვინ იმღერეთ“ უთქვამთ და მზა სცენარს იმხელა „ბაჟი“ დაადეს მიუნხენის ტელევიზია ახლოსაც ველარ გაეკარა და გემილ გადალებას. როგორც წესი, ჩვენი კულტურა რუსეთს უნდა გაეყიდა, ჩვენ მათ გარეშე ევროპისა თუ სხვა ქვეყნებთან რაიმე კონტრაქტის დადება, თვით უშუალო ლაპარაკიც კი არ შეგვეძლო. ამაზე ქვემოთაც მოვასხენებთ. ბ-ნი ვენინგერი მაინც ახერხებდა ჩემთვის რუსეთში, მათი საელჩოს მეშვეობით, წამლების და წერილის გამოგზავნას. მაშინ შეიღო მძიმე ავადმყოფი მყავდა, დაავადებული ანემიით. იგი სისტემატურად მიწვდიდა დახმარების ხელს ძვირად ღირებული წამლებით. რა დამავიწყებს მის უანგარობას?!

როგორც ბ-ნი ვენინგერი მოგვიანებით მწერდა: „რუსებმა შემთავაზეს თქვენი ჩამოშორება და სამაგიეროდ თავიანთი წარმომადგენლის თანაავტორად გახდომა“. ცხადია, როგორც ყოველთვის, დასახელებული ფილმ-კონცერტის კეთილად დაგვირგვინების შემთხვევაშიც საქართველოს ტელევიზია ერთ კაპიკსაც არ მიიღებდა.

კიდევ ერთი ფაქტი: ალიასკის (აშშ) ტელევიზიების გაერთიანებული მხატვრული პროგრამების იმპრესარიო გვენეია. მათი მიზანი იყო გადაეღო ფილმ-კონცერტი ნიწუთის ხანგრძლივობით. გეგმაში ჰქონდა ოც-ოცი წუთი დაეთმო ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის. როგორც საუბრიდან გაირკვა, უკვე შემოველო აზერბაიჯანი, სომხეთი. დაგვეგმეთ თბილისის, გორის, ჩოხატაურის, მესტიის, ზუგდიდის მხატვრული კოლექტივების დათვალეიერება. თბილისში ორდღიანი მოსმენების შემდეგ ცრემლმორეულმა მთხოვა გავყოლოდი კავშირგაბმულობის სამინისტროში, რათა ტელეფონით ესაუბრა „შეფთან“ – ალიასკის ტელევიზიების პრეზიდენტთან. უკვე გვიანი იყო. გადავრეკე კავშირგაბმულობის მინისტრთან ბ-ნ ვაშაქიძესთან. საბედნიეროდ იგი ადგილზე დამხვდა. მთხოვა სტუმრის მასთან მიყვანა. ნელში გავიმართე, ჩვენი ტელეფონების გადაამკიდე ბ-ნმა მინისტრმა ჩიხიდან მიხსნა. მალე მივედი. მინისტრმა კეთილად მიგვიღო, სადღაც გადა-

ულაპარაკა, სულ მალე ზარი გაისმა. ხაზზე ალიასკა იყო. იმპრესარიო თვალთაგან ცრემლ ჩამომდინარე ელექტრაკებოდა თავის ხელმძღვანელს და ემუდარებოდა გადაედო ყველაფერი, ჩამოსულიყო და საკუთარი თვალით ენახა ქართველი ხალხის საოცარი ხელოვნება. ყურმილი დადო, ცრემლი შეიმშრალა. სახეგაბრწყინებულმა შემოგვხედა და გვითხრა: „ზეგ დილით შეფი თავის 15 წლის ვაჟთან ერთად, საკუთარი თვითმფრინავით ჩამოფრინდება. თქვენი ნათქვამი „უკეთეს კოლორიტულ მრავალფეროვნებას ვიხილავთ დაგეგმილ რაიონებშიო, მინდოდა ჩემ შეფსაც ენახა. მას ძალიან უყვარს ხალხური ხელოვნებაო“. მივიღეთ ზომები მაღალი სტუმრის დასაბინავებლად. მეორე დღე შეფის მოსვლამდე დასვენებად გამოვაცხადეთ. მესამე დღეს, დილით მე და იმპრესარიო აეროპორტში დავხვდით ალიასკის ტელევიზიების პრეზიდენტს და საქ.ცეკას სპეც.სასტუმრო მანქანით ვენვიეთ თბილისს.

დალლილობის მიუხედავად მან მაშინვე ისურვა მესტიაში გადაფრენა. ვერტმფრენი დაქირავებული ჰყავდა. მოვანერხე დავკავშირებოდი ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს უფროსს ბ-ნ მიხეილ ჩიკვაიძეს. ვთხოვე მათი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მოსმენა ორი დღით გადაგვენია. ავუსხენი სიტუაცია და ისიც მოვახსენე, რომ ზუგდიდში არ დაერჩებოდით, რომ იქ საქ.ცეკას „სასტუმრო ზიმი“ დავხვდებოდა და უეჭველად მანქანით წამოვიდოდით.

მცირე შესვენებისა და საუზმის შემდეგ ვერტმფრენმა კურსი სვანეთისაკენ აიღო. კარგი, მზიანი ამინდი იდგა. სტუმრები თვალს ვერ სწყვეტდნენ ილუმინატორებს. ვერტმფრენი დაბლა მიფრინავდა, ხელისგულივით სჩანდა კავკასიონის ქედები, საქართველოს სოფლები, ქალაქები. სტუმრები შეძახილებს ვერ იკავებდნენ ნახულით. ვერტმფრენის მფრინავმა იცოდა ვინ, რისთვის მივდიოდით და მაქსიმალურად დაბალი ფრენით, რაც შეეძლო აჩვენებდა ამერიკელებს. აი, მივუახლოვდით სვანეთს. წრე შემოუარა ციხე-კოშკებში ჩაფლულ უშგულს. თარჯიმანის საშუალებით გაიგეს, რომ უშგული ყველაზე მაღალი სოფელია (ზღვის დონიდან 2000 მეტრზე მეტი) ევროპაში, რომ დღემდე აქ თითქმის უცვლელად ინახება ჩვენი ერის დიდი წარსული. დავეშვით მესტიაში. ჭარბად დავგვხვდნენ ჩვენი გულლია სვანები. ბევრი მათგანი უკვე ანსამბლის ფორმაში იყო გამონყობილი. მცირე შესვენება და მესტიის განაპირას, ზვიადი უშბას ფონზე, გაიმართა კონცერტი. რა ვქნა, კვლავ მიხდება გულაჩუყებული ამერიკელების აღფრთოვანების გადმოცემა, როცა გუგუნებდა „ლილე“, როცა „თამარ დედოფალ“, „ყანსაჲ ყიფიანი“, ქუნირზე სევედიანი „მირანგულა“, „მიცბილ-მაცბილ“ და სხვ. მოისმინეს, რომ ამ კუთხის შვილი იყო „კლდის ვეფხვი“ – მიხეილ ხერგიანი. მასპინძლებმა როგორც კი გაიგეს სვა-

ნეთს მალე დაეცოვებდით, ვინაიდან უკვე ზუგდიდში გველოდნენ იქვე მინდორზე, საოცარი სისწრაფით გაძალეს პურ-მარილი. ენა ვერ აღწერს სტუმრების გაოცებას, სიხარულს. ანსამბლისა და უშბის ფონზე იღებდნენ სამახსოვრო სურათებს.

დავემშვიდობეთ სვანეთს. მალე ზუგდიდში ჩავფრინდით. თვითმფრინავთან რაიონის ხელმძღვანელი ივლიანე თოდუა, კულტურის განყოფილების გამგე საშა ეგუტია, ქორეოგრაფი რეზო ბულია, ანსამბლ „ჩელას“ მონანილენი, რაიონის სხვა ხელმძღვანელები დაგვხვდნენ. კონცერტი ვნახეთ საგანგებოდ მომზადებულ თეატრში. მრავალი მუსიკალური, ქორეოგრაფიული ნომერი ჩაინიშნეს სტუმრებმა. ჩასვლით კი ჩავედით ზუგდიდში, მაგრამ ცოტა არ იყოს, გაგვიჭირდა მეგრული სტუმართმოყვარეობიდან თავის დაღწევა. არაფრით არ გვიშვებდნენ, არ გასჭრა ახსნამ, რომ ალიასკის ტელევიზიების პრეზიდენტი შვილითურთ დღეს დილით საკუთარი თვითმფრინავით გვეწვია და დასვენებას საჭიროებდნენ: „მით უფრო არ გაავიკებთო“- გვითხრა ივლ.თოდუამ და დადიანების ზღაპრულ პარკში, გედებით მოცურავე ხელოვნური ტბის პირას ფაცხაში შეგვიძღვა. საოცარი სითბო, ქართული სტუმართმოყვარეობა, სუფრასთან გაგრძელებული კონცერტი ალაფრთოვანებდა სტუმრებს. როგორც იქნა თავი დავაღწიეთ მასპინძელთა „ტყვეობას“. ჭიშკართან ცეკვას „სასტუმრო ზიმი“ გველოდა. გეზი თბილისისაკენ ავიღეთ. მანქანა სწრაფად მიჰქროდა. სტუმრები ნანახისაგან განცდილ შთაბეჭდილებებს გვიზიარებდნენ. უკვირდათ: „გვეგონა საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკები ისე იყვნენ გათქვეფილნი, მათში ეროვნულობის ნასახი ცალარ იქნებოდა. ნანახმა ყოვეგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ღრმად დავრწმუნდით ქართველი ხალხის ისტორიული კულტურის სიძლიერეში“.

ჩემთვისაც მოულოდნელად მცხეთის ე.წ. „პომპეუსის ხიდთან“ „შლანგაუმმა“ გზა გადაგვიკეტა. ინსპექციის წარმომადგენელმა მანქანიდან გადმოსვლა გთხოვა. რას ვიზამდით, გადმოვედით, სტუმრებიც და ჩვენც მხრებს ვიჩქვავდით. მოულოდნელად ღიმილიანი ნაბიჯებით მოგვიახლოვდნენ ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს მმართველი, ჩემი საუკეთესო უფროსი მეგობარი, უსაყვარლესი ადამიანი მიხ.ჩიკვაიძე და მისი თანმხლები პირები. „ბ-ნო მიხეილ მივხვდით თქვენი ოინებია - მეთქი“ და გადავხევიეთ ერთმანეთს. სტუმრებს დამხვდურნი გავაცანი. ხვალ ამათ საინტერესო თვითმოქმედი კოლექტივების სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს ვისმენთ და აქ ეს სიურპრიზი დაგვხვდა მეთქი.

მასპინძელთა თხოვნით ცეკვას მანქანა „ხვალამდე“ გავუშვით. ჩვენ კი ბატონმა მიხეილმა თბილისამდე ახალი ტრანსპორტით მგზავრობა შემოგვთავაზა. სტუმრებმა, სხვა რა გზა ჰქონდათ, გადმოალაგეს თა-

ვიანთი სამგზავრო პორტფელები და უკვე ღამის ჩაძირულ სვეტიცხოველს ვენვიეთ. სანთლებით გაჩირაღდებული ტაძარი მართლაც ზღაპრული სანახავი იყო, მლოცველები ჯერ კიდევ იყვნენ შერჩენილნი. ჩვენ ყველამ კელაპტრები დავანთეთ. ალიასკის ტელევიზიების პრეზიდენტმა ბრძანა: „თქვენ ამ ერთ დღეში უკვე არაერთი საოცრება მაჩვენეთ, კავკასია უშგულითა და უშბით, მესტიისა და ზუგდიდის ანსამბლები, ამ ზღაპრული ტაძრის ნახვის შემდეგ რაღას გვიპირებთო“.

ტაძრიდან გამოსულები დავეშვით მტკვრისა და არაგვის შესართავთან. სტუმრებმა სურათები გადაუღეს ღამით პროექტორებით განათებულ სვეტიცხოველს, ღამეში სილუეტად ატყორცნილ ჯვრის მონასტერს. მტკვრის პირზე ჩასვლისას მიხ.ჩიკვაიძემ მართლაც და ზღაპრული სიურპრიზი დავვახვედრა. მტკვრის პირზე მომდგარი იყო ვეება ტივი, ზედ მწვადებით მოშიშხინე მაყალით, ბანტ-ჩაბმული ყოჩით, ძველი თბილისელი ყარაჩოღელების ფორმაში ჩაცმული მოცეკვავეებითა და ტივის ცენტრში მაგნოლიის ყვავილივით გადაშლილი ვეება საზამთროთი, შამპანიურებითა და სხვა სასმელებით. ჩვენი სტუმრები სურათებს იღებდნენ. ტივი ნელა დაიძრა. ნიჩბების მოსმით მტკვრის ტალღების ტყლაშუნ-დუღუნში შევექცვოდით ყველაფერ ნუგბარს. ასეთი ეგზოტიკით შევეცურეთ თბილისში. გაეძვერით მუხრანის ხიდის ქვეშ. აღფრთოვანებული, გაოგნებული სტუმრები კეთილ სიტყვას არ იშურებდნენ მასპინძლებისა და ქართველი ხალხის მისამართით. ტივი მიადგა მეტეხის ქვემოთ პატარა ყურეს მისადგომს. ახლა იქ დაგვახვედრეს პურ-მარილი, ხილეული, შამპანური. ამერიკელები გვიან, თითქმის გამთენიისას მივაცილეთ სასტუმრო „თბილისში“ და დილაამდე დავემშვიდობეთ.

გათენდა, სასტუმრო „თბილისში“ მივაკითხე სტუმრებს. მითხრეს: „ისეთი ღრმა შთაბეჭდილებებით ვართ აღვსილნი ჩოხატაურში წასვლა გადაღების პერიოდისათვის გადავდოთ. დღეს თბილისით შემოვიფარგლოთ“. შევთანხმდით. „ტეტეუს“ ანსამბლი დილიდან გველოდებოდა. ამასთან ორი საათიდან პიონერთა სასახლეც მზად იყო ჩვენს მისაღებად. ანსამბლის მოსმენა თერთმეტ საათზე დავიწყეთ. პროგრამის შემცირებით ერთ საათს დავყავით. იქვე კულტურის სახლში, შესანიშნავი ყავით, ხაჭაპურებით გაგვიმასპინძლდნენ. „ძალიან მოგვენონა „ჩაკოულო“, „მრავალჟამიერი“, ცეკვები და თითქმის ყველა ნომერი“, – დასძინეს სტუმრებმა. ისინი სასტუმროში მივაცილეთ. გადანწყვეტილი ჰქონდათ დღის ბოლოს მოსკოვში გადაფრენა. თვითმფრინავის სანავიით შეესების შემდეგ კი აუცილებლად სამშობლოში ჩავალთო. ვისარგებლე შუალედური შესვენებით, ცეკას მანქანით ნავედი სახლში ჩავალაგე ჩემი ვენახის ნაჟური წითელი საფერავი და

თეთრი. ავიტანე ფუნჯულიორის რესტორანში იქ ჩემი რედაქციის თანამშრომლები ბ. ჩადუნელი, თ. ელიავა, ნ. ძნელაძე, ე. ვეგიტაშვილი უკვე ამზადებდნენ სტუმრების გასაცილებელ სადილს. მშვიდად დავებრუნდი სასტუმროში და მათთან ერთად ვენჯივით პიონერთა სასახლეს. სარკებიან დარბაზში სტუმრებს ყვავილებითა და ინგლისურ ენაზე გულთბილი მისალმებით შეხვდნენ ნორჩები. სასახლის ცეკვის ანსამბლის, მომღერალთა გუნდის ნახვით, მოსმენით აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ: „ეხლა ვხედავთ რარიგად უფრთხილდებით ეროვნულ ხელოვნებას, მსგავს ფოლკლორულ ბავშვთა ანსამბლებს დასავლეთში ვერ შეხვდებითო“ – ბრძანეს. მალე ფუნჯულიორს ვენჯივით. იქიდან გადახედული თვალით ნანახმა დედაქალაქმა, მისმა პანორამამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. შევედით მხატვარ კოკა ინგატოვის მოხატულ მე-2 სართულის სტუმართათვის განკუთვნილ საბანკეტო დარბაზში. თანახმად შეთანხმებისა იქ უკვე დაგვხვდნენ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ქ-ნი ივლიტა მესხიშვილი და რამდენიმე კოლეგა ტელევიზიიდან. სათანადო გაცნობა-წარდგინების შემდეგ მივიწვიეთ მრგვალ მაგიდასთან. ალიასკის ქალაქების ტელევიზიების პრეზიდენტი და იმპრესარიო ქ-ნი ივლიტას, სხვა ამხანაგებს უზიარებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს. უდიდეს შეფასება მისცეს ნანახისა და მოსმენილის მხატვრულ „სპექტაკლებს“, (მათ ასე აღიქვეს) მის ორგანიზაციულ მხარეზე და პირველივე ჭიქით შესვეს ჩემს მიმართ სამადლობელი. სადილმა სიმღერების თანხლებით ჩაიარა. „ტელევიზიის მუშაკებიც ასე მღერითო“? – გაუკვირდათ. ქ-ნი ივლიტამ ჩემზე ხუმრობით მიუთითა, სულიკოს შემყურემ, ლამის მეც ვიმღეროო“.

პრეზიდენტს ისე მოეწონა ჩემი შრომით მოყვანილი საფერავი, რომ დაინტერესდა წელიწადში რამდენ ლიტრს ვაყენებდი, სად მქონდა ვენახი და ა. შ. სტუმარმა მიიღო ამომწურავი პასუხი. მან იქვე შემთავაზა წელიწადში ერთი ტონის შეძენის კონტრაქტის დადება. რა იცოდა სტუმარმა, ეს ჩვენთვის კაცებესაგან აკრძალული ხილი იყო. რამდენიმე ბოთლი საფერავი მის ვაჟს ჩანთაში ჩავუღაგე. დიდი მოფერებითა და სიყვარულით გავაცილე სტუმრები. აეროპორტში, კონცერტის გადაღების მათ მიერ დაგეგმილი 20 წუთიანი ქრონომეტრაჟი თავადვე ჩვენს თვალწინ გადაშალეს. მარტო პიონერთა სასახლის ბავშვებისათვის ცალკე დაგეგმეს 50-წუთიანი კონცერტის გადაღება. ასევე 2 საათი დაიგეგმა დიდი ანსამბლების ფილმ-კონცერტის გადაღება.

ველოდით ქართულ მზიან შემოდგომას. ვემზადებოდით გვადამლები ჯგუფის ჩამოსვლას. გვიან, შემოდგომის მინურულს, გვაცნობეს: „ძალიან ძვირი თანხა მოგვთხოვა მოსკოვმაო“, და, კიდევ ერთხელ ჩაიშალა „უფროსი ძმების“ მეცადინეობით ჩვენი ხელოვნების სსრკ

საზღვრებს გაღწევის, ანუ ამერიკის კონტიგენტზე გახშიანების საუკეთესო მომენტი. რას იზამ, მე მათ უფროსს კი არა, ყოველთვის „ბევრ მძებს“ ვეძახდი.

აქვე მოვიყვან კიდევ ერთ საინტერესო ამბავს. ბ-ნ კარლო გარდაფახაძემ მითხრა, „ხვალ თბილისში ჩამოდიან ამერიკის შეერთებული შტატების გაზეთების მთავარი რედაქტორები, აშშ-ს პრესის პრეზიდენტის მეთაურობით. შეარჩიე სახ.ანსამბლიდან შენი კარგი მეგობარი მომღერლები, სასწრაფოდ მოიტანიე მათი სურათები კადრებში. უნდა ჩვენი თანამშრომლობის ნიგნაკები დაფურიგოთ და ტელე-რადიო მუშაკებად გავაცნოთო. იმავე დღეს გავამზადეთ პირადობის მონობები. დათქმულ დღეს, საღამოს 5 საათზე ფუნიკულიორზე ვუცდიდით სტუმრებს. მალე მოვიდნენ. თოთხმეტ ამერიკელს მოსკოვიდან ახლდა სსრკ ყურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე ირაკლი ჩხიკვიშვილი და სსრკ-ს კაგებეს ცხრა წარმომადგენელი რომელიღაც გადაცემული გენერლის მეთაურობით. ცხადია, ყოველი მათგანი „ცენტრალური ტელევიზიის, რადიოს, პრესის წარმომადგენლები იყვნენ“. სტუმრები ჩქარობდნენ. სულ ორი საათი ჰქონდათ დაგეგმილი ფუნიკულიორზე გასასეირნებლად. რუსულ „პეზე“ განყოფილ მაგიდასთან აშშ პრესის პრეზიდენტმა, ირაკლი ჩხიკვიშვილმა და საქ.ცეკას მდივანმა დევი სტურუამ დაიკავეს ადგილები. ყოველ ორ ამერიკელს შუა კაგებეს წარმომადგენელი იჯდა. ჩემს გვერდით მოხვდა კაგებეს ერთ-ერთი მაღალი ჩინოსანი. დაიწყო სერობა, ცოტა არ იყოს დაძაბული, გულგაუხსნელი. თამადად ი.ჩხიკვიშვილი გახლდათ. ორი სადღეგრძელო პოლიტიკურ „მშვიდობაზე“, „ხალხთა მეგობრობაზე“ დაილია. მე ბატონ დევის მივმართე: „თუ ღვინოს სიმღერა არ შევეუთამაშეთ, ეს ხალხი ასე გაჭიმულ-დაძაბულები იხსდებიან“. გაეცინა და დამთანხმდა. „გრძელი კახური“ ჰ.გონაშვილმა და ილია ზაქაიძემ წამოიწყეს, ბანი არ აკლდა ჩვენგან. სიმღერის შესრულებისას მათ ირაკლი უხსნიდა ტექსტის შინაარსს. „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“ – დამთავრდა სიმღერა. მის სიტყვებს იწერდნენ სტუმრები. გაჩაღდა ნაღდი ქართული ქეიფი. იცლებოდა სადღეგრძელოები, ჟღერდა სიმღერები. შუა ღვინოს დროს მე და რამდენიმე მართლა მომღერალს გავვისინჯეს პირადობის მონობები. ჩემმა მთავარი რედაქტორობის პირადობის მონობამ თითქმის ყველა მათგანის ხელში შემოიარა. მომღერლებზე გაცემული ნიგნაკები უკვე გაცრეცილი, ნახმარი იყო. კაგებემ აქაც თავისი სიფრთხილე გამოიჩინა, ეჭვი რომ არ აეღოთ, ძველი ნიგნაკები, ახლად ჩაკრული სურათებით იყო დამუშავებული. ჰკვირობდნენ, მაგრამ რას იზამდნენ, დაგვჯერდნენ, რომ საქ.ტელერადიოს მუსიკალურ გადაცემათა მთავარ რედაქციამ ყველა ასე მღერისო. თავი შეიქო ბატონმა კ.გარდაფახაძემ. ღვინომ და

სიმღერამ ჩვენს შორის ცივი ყინული გააძლია. აღფრთოვანებულმა სტუმრებმა და მასპინძლებმა გული გადავხსენით. ვინც ვისთან ახლოს იჯდა ყანნებით ვახტანგური შევსვით. ყანნები მათ საჩუქრად გაატანეს. ჯორჯიის შტატის გაზეთის რედაქტორმა მოისურვა სადღეგრძელოს თქმა. მან წმინდა რუსულით დაიწყო. „მეც ქართველი ვარ, ჯორჯია ხომ ამერიკის ერთ-ერთი შტატია და მეც იქიდან გახლავართო. გაუმარჯოს საქართველოს, მის ხალხს, მის ასეთ მომღერალ რედაქტორებს“!..

ალავერდი კ. გარდაფხაძესთან გადავიდა. ყველამ ერთხმად აიტაცა სადღეგრძელო. „ჩაკრულო“ შემოვძახეთ. სტუმრები უკვე აღარ დაგიდევდნენ თამადის „რეჟიმს“. ისინი სათითაოდ მოდიოდნენ, გვეხვეოდნენ, უკვე მერამდენედ სვამდნენ ჩვენს სადღეგრძელოს. ჩემს გვერდით მჯდომი მაღალჩინოსანი „კაგებეშნიკი“ ნერვიულობას ვერ ფარავდა. ლანძლავდა რუსულ და ზვერვას, რომლებსაც სათანადოდ ვერ „გაეშიფრათ“ აშშ-ს პრესის მუშაკები. მათი ცნობით, „არც ერთმა ამთგანმა რუსული არ იცისო“. ჯორჯიის შტატის რედაქტორმა კი ბრწყინვალე რუსულით დაგვლოცა. მაღალ „ჩინოსანს“ სწორედ ეს ანუ-ხებდა. მისი თქმით: „ესენი ვამოგზაურეთ ლენინგრადში, გავასიონინეთ ნეეაზე, ვოლგა-დონზე. არსად გული არ გადახსნეს. ვერ ვიგებდით რაიმე მოსწონდათ თუ არა. ამის გამო ჩვენ გვარიანი რუსული ლანძღვით ვამკობდით და აჰა, თურმე რუსულიც სცოდნიათ, მოლბენაც. ჩვენ რაღას გამოგვაცოლეს ამდენი კაცი თბილისში. ყველა ქართველი პოლიტიკოსი ხართ. კიდევ კარგი თქვენი წყალობით მაინც დაიშიფრა მათი რუსული ენის ცოდნა – ჩავალ მოსკოვში და ყველა რეზიდენტს გამოვიხმობ, პასუხს ვაგებინებო“. ვიდრე რუსმა თავისი მუქარა და სათქმელი არ დაასრულა, არ მომეშვა, „რას იზამთ ყველაფერი ხდება მეთქი“ ვუთხარი და მეც ვერანდაზე გავემუერე, სადაც სიმღერა-ფერხული ჩაებათ. ჩემს მეგობრებს შევეუერთდი. ანზორ კავსაძეს ვთხოვე ორპირული გუნდით გვემღერა რაჭული „დალიე“. დამწყებნი სხვადასხვა მხარეს ჩავდექით. მე და ჯ. ცხვედიანს გვიწევდა მუხლის მობრუნება. ცეკვა-თამაში გახურდა, წრეში ყველანი ვიდექით. შეძლებისდაგვარად მოგვევებოდნენ ამერიკელებიც. შორიდან მოგვჩერებოდნენ დაბოლმილი რუსები. თურმე სტუმრებს საქართველოში გამოფრენის დროსაც არ აკლებდნენ ჩვეულ სამკაულს - „რუსულ გინებას“. ჟურნალისტები ხარობდნენ, ილხენდნენ, გადაჰყურებდნენ ელექტრონის მუქით გაბღვილებულ თბილისს. სტუმართა შორის იყო ცნობილ კორესპონდენტს ჯიმ რესტონი. იგი არ ტოვებდა არცერთ საინტერესო დეტალს და იღებდა სუფრასა და თბილისის ლამის ხედებს. შემდეგ გავიგეთ, აშშ-ში დაბრუნებისას ყანნებით ვახტანგურის სმა და თბილისის ხედებიც დაებეჭდათ. ჩვენამდე ვინ მოიტანდა?!

კომიტეტის მხატვრული კოლექტივები

საქართველოს რადიოში, თვით ძნელბედობის ჟამსაც, როდესაც მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა, მუშაობდა სიმფონიური ორკესტრი (დირიჟორები სხვადასხვა დროს იღვწოდნენ: შ.აზმაიფარაშვილი, ალ.ნასიძე, ზ.ხუროძე, ჯ.გოციელი, ლილე კილაძე, გა.აზმაიფარაშვილი, სპარტ.კორკოტაშვილი, ვ.შუბლაძე, ტ.დუგლაძე, ზაზა აზმაიფარაშვილი), სახ.კაპელა – სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი, კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო კათედრის გამგე დოც. გიორგი ხახანაშვილი, ლოტბ. გოგი კაპანაძე; ხალხის მეხსიერებაში დღემდე ცოცხლობს ქალთა საგუნდო-ინსტრუმენტული ანსამბლი აექსენტის მეგრელიძის ხელმძღვანელობით. მე შევესწარი ქალთა საგუნდო-ინსტრუმენტულ სახელმწიფო ანსამბლს ალექსანდრა ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით, ასევე მარიამ არჯევანიშვილის ხალხური საკრავების ორკესტრს. ისინი მაღალმხატვრული კოლექტივები იყვნენ. მაგრამ სულ სხვა ბგერა, ხმათა სხვა დახვენილობა ჰქონდა ა.მეგრელიძის რადიოანსამბლს.

რადიოს სახელმწიფო კაპელა გიორგი ხახანაშვილის ხელმძღვანელობით იყო ლაბორატორია, სადაც მუშავებოდა ქართველ კომპოზიტორთა საგუნდო სიმღერები. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ საქართველოს მსოფლიო იცნობდა „საგუნდო მუსიკის ქვეყნად“ და პირველი თაობის ქართველი კომპოზიტორებიც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს საგუნდო ლიტერატურაზე მუშაობას უთმობდნენ. იწერებოდა მცირე და დიდი ფორმის საგუნდო სიმღერები, კანტატები, ორატორები. რადიოს სიმფონიური, საგუნდო კოლექტივები მათი პირველი შემსრულებლები იყვნენ. კარგად მახსოვს, გიორგი ხახანაშვილმა (მე მაშინ ათარბეგოვის ქუჩაზე, ზ.ფალიაშვილის სახ. ენ. „ნიჭიერთა ათნლედში“ ვსწავლობდი) სახ.კონსერვატორიაში გამატანა კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის საგუნდო სიმღერა „საქართველოს ჰიმნი“. მასში ლურჯი და წითელი მსხვილი ფანქრით გ.ხახანაშვილის ხელით ჩასმული იყო აკორდები, რომელთა ჟღერადობა წმინდა ქართული საგალობლებისათ-



ვის დამახასიათებელი კვარტ-კვინტულ ხმოვანებას და მელოდიას ზე-
ანულ ცონუსს აძლევდა. გ.ხახანაშვილის სურვილი იყო ენახა ეს აკორ-
დები კომპოზიტორს და თუ იგი თანახმა იქნებოდა, შეიტანდა ხმის
პარტიებში კაპელის მიერ საქართველოს ჰიმნის ახალი ვარიანტის ჩა-
სანერად. ო.თაქთაქიშვილმა გამომართვა საკუთარი გუნდის ნოტები,
ააულერა როიალთან და მოწონების ნიშნად უკან გამატანა რადიოს კა-
პელაში მისი ახალი რედაქციით შესასრულებლად. საინტერესოა, რომ
შემდგომ ო.თაქთაქიშვილი, როგორც კონცერტმეისტერი, კარგა ხანს
მუშაობდა რადიოს კაპელაში, შემდეგ კი საქ. ფილარმონიის სახ. კაპე-
ლაში. მას იმთავითვე იზიდავდა გუნდებთან, ვოკალთან მუშაობა, რა-
მაც დიდად შეუწყო ხელი კომპოზიტორის საგუნდო ნაწარმოებებისა
და ოპერების შექმნაში. ყველა მისი ორატორიები, კანტატები, გუნდე-
ბი, სათავეს იღებენ კაპელაში მუშაობით მიღებული პროფესიონალიზ-
მიდან.

პირველი სატელევიზიო ოპერა-ნოველის „გამზრდელის“ მომზა-
დებაში საქ.ტელერადიო სიმფონიური ორკესტრის დიდ მნიშვნელო-
ბაზე, დირიჟორ ლილე კილაძისა და გივი აზმაიფარაშვილის ღვაწლზე
საკმაოდ აღვნიშნეთ. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ორკესტრი ასევე პირ-
ველი შემსრულებელი გახლდათ ქართველ კომპოზიტორთა სიმფონი-
ური ნაწარმოებებისა.

ახალი ნაწარმოებების აულერებას ყოველთვის თან ახლდა სიმფო-
ნიის პარტიტურაში კირკიტი. ცალკეული საორკესტრო ხმების ჩასწო-
რება მის ავტორთან ერთად, ჩვენი ორკესტრის დირიჟორების პროფე-
სიული მოთხოვნილება იყო. კომპოზიტორის მიერ ახალი, რთული პარ-
ტიტურის შემოთავაზებას დირიჟორები ყოველთვის კეთილმოსურნე-
ობით ხვდებოდნენ. ამასთან, ისინი ყოველთვის უკმაყოფილებას გა-
მოხატავდნენ ორკესტრის დაბალი საშემსრულებლო შესაძლებლობე-
ბის გამო, რაც გამონვეული გახლდათ ცალკეული ხმების სიღარიბით,
ორკესტრის სიმცირით, საკრავიანი ინსტრუმენტების სიძველით.
პრობლემები იქნებოდა კონსერვატორიიდან დაბალი პროფესიული
საორკესტრო კადრების გამოშვების გამო. მათი ნუხილი საცხებით გა-
საგები იყო. მხარდამჭერი, თანამდგომი კი ნაკლებად ჰყავდათ. არ ჩა-
ტარებულა საქ. კომპოზიტორთა კავშირის არც ერთი შემოქმედებითი
პლენუმი, ყრილობა, რომლის საკონცერტო პროგრამის მძიმე ტვირთი
ჩვენს ორკესტრს არ ეზიდოს. მოგეხსენებათ, კომპოზიტორთა პლე-
ნუმებზე, ყრილობებზე, კონცერტები რამდენიმე დღეს გრძელდებო-
და, ძირითადად მხოლოდ ახალი სიმფონიები ჟღერდა. ამ ურთულეს
შრომას ორკესტრი და მისი დირიჟორები ყოველგვარი ნუნუნის გარე-
შე ეწეოდნენ. ჩემთვის ყოველთვის დაუვიწყარი იქნება მუსიკალურ
რედაქციასთან ერთად სიმფონიური ორკესტრის გასვლითი, ე.წ. ღია

კონცერტების ჩატარება თბილისის 31-ე ქარხანაში, ჩარხმშენებლებში, საგარეჯოში, თელავში, გურჯაანში, რაჭაში და სხვ. ყველა ამ გასვლით კონცერტებს გარდა, მსმენელთა აღზრდისა, ხალხის წინაშე თავისებური თვითანგარიშის ნიშნებსაც იძენდა. მუსიკალური გადაცემების რედაქცია ყოველთვის მხარში ედგა სიმფონიურ ორკესტრს გასვლითი კონცერტების სრულყოფილად ჩატარების ორგანიზაციაში. ისინი ხომ ჩვენს ინტერესსაც შეიცავდნენ, რომ ეთერში წასულიყო მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებული სიმფონიური ქმნილებები. ამ კონცერტების ვიდეო ჩანერისა, ანდა პირდაპირი ტრანსლაციების დროს მცირე შრომას როდი ენეოდნენ მუსიკალური რედაქციის თანამშრომლები.

ი.რობიტაშვილს მინდობილი ჰქონდა საბალეტო ჟანრი და უნდა ითქვას რეჟისორ ლუიზა შაკიაშვილთან ერთად ჩინებულადაც უძღვებოდა. მე მაინც დამამახსოვრდა რეჟ. ლ. შაკიაშვილთან ერთად სტუდიაში დადგმული „გარსია ლორკა“, სადაც გადაცემის მთავარი გამჟღავნებელი ლერი რაველის „ბოლეროს“ საბალეტო დადგმა ვახლდათ, რომლის ბალეტმეისტერი იყო რესპ. საპ. არტ. ზ. კიკელიძევილი, ასევე აქტიურად თანამშრომლობდნენ ბალეტმეისტერები მახათელი და მონაევარდისაშვილი.

კამერულ-სარომანსო მუსიკას განაგებდა თინა ჩიკოიძე, უჩუმა-რი, უპრეტენზიო პიროვნება, რომლის ნაყოფიერ მოღვაწეობას ფრთები ეკვეცებოდა საოჯახო მდგომარეობის გამო. კლასიკური მუსიკის ჟანრში მასობრივ-სანახაობით კონცერტებს, ტრანსლიაციებს უძღვებოდა განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ნანა გურგენიძე. მისი უშუალო ავტორობით გადაიცემოდა „შემოქმედებითი პორტრეტები“, „სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან და ა.შ. უკვე ვახსენეთ ნარმოება-დანესებულებებში, რაიონებში გასვლითი კონცერტების ჩატარების შესახებ, რომელსაც გულნარა გრიგოლია უძღვებოდა. ამ ორივე განყოფილების გარჯით ეცნობოდა ტელემაყურებელი ევროპის, რუსეთის თუ მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების მოღვაწეებს.

ცალკე სათქმელია საესტრადო-საკონცერტო განყოფილების როლის შესახებ. (განყოფილება. გალინა ანჯაფარიძე). ახალგაზრდობის წლებში საესტრადო ხელოვნების ინტერესი სულ უფრო იზრდებოდა. საქ. ტელევიზიის მუსიკალური პროგრამების მთავარი რედაქცია შეუძლებელს აკეთებდა ქართველი ახალგაზრდა მსმენელის ეკრანისაკენ შემოსაბრუნებლად. ჩვენ ადრე აღვნიშნეთ თბილისი-ერევანის საესტრადო ორკესტრების, ცალკეული ანსამბლების, სოლისტების შეხვედრებზე. თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ერევანში საპასუხო საღამოების შესახებ რაზდანის აპორტულ კომ-

პლექსში და აქ მასზე აღარ მივაქცევ თქვენს ყურადღებას. ერთი კი უიდა აღინიშნოს, მსგავს შეხვედრებში თუ გასვლით კონცერტებში ასევე სრული დატვირთვით იყო ჩაბმული კომიტეტის საესტრადო ორკესტრი, რომლის ხელმძღვანელები სხვადასხვა დროს იყვნენ გივი გაჩიჩილაძე, ალექსანდრე (სამა) რაქვიაშვილი, ბებიკა ჯაიანი, გოგი კალანდაძე, – ისინი სათანადოდ აესებდნენ ჩვენს პროგრამებს ახალ-ახალი ქართული საესტრადო სიმღერებით.

საესტრადო განყოფილებით გადაიცემოდა ცენტრალურ ტელევიზიაზე ათობით კონცერტი. გამოჩენილი ქართველი ესტრადის კოლექტივების, სოლისტების, ვოკალური ანსამბლების მონაწილეობით. ვიდრე რესპუბლიკის საზღვრებს გადალახავდნენ, სწორედ ამ გზით გაეცნო რუსეთი „დიელოს“, „ორერას“, „ივერიას“, „ბერიკონის“ და სხვა ანსამბლების ხელოვნებას.

რედაქცია აქტიურად იყო ჩართული საერთო საკავშირო კონკურს-ფესტივალებში: „ახალგაზრდული ხმები“, „მეგობრობის ფრთებზე“, „საესტრადო პანორამა“ და ა.შ.

საზღვარგარეთის მსტრალა ჩვენს ეკრანზე

ამ წიგნში ვახსენებ და ხაზგასმით აღვნიშნავ, საქართველოს ტელევიზია უჩვეულებდა საზღვარგარეთულ შოუ-პროგრამებს, რომელსაც თვით ცენტრალური ტელევიზიაც ვერ გადასცემდა. საქართველოს ცეკა გვაიძულებდა, განსაკუთრებით რელიგიური დღესასწაულების დღეებში, რათა „ახალგაზრდობა არ დასწრებოდა“ საეკლესიო ლიტურგიებს, გადაგვეცა კონცერტები, რომელთა დემონსტრაციისათვის, სხვა შემთხვევაში (სამნუხაროდ), სამსახურიდან მოხსნა ან, უკეთეს შემთხვევაში, საყვედური განადღებული გექონდა. ამასთან, ეკრანზე თანდათან შევაპარეთ მსოფლიოს საესტრადო ხელოვნების უნიკალური ნიმუშები, შოუ-სანახაობები, რომელთა შესახებ წარმოდგენა ჩვენს ახალგაზრდობას არ ჰქონდა და სჯერდებოდა ყოვლად დაბალი საესტრადო გემოვნების ყურმოკრულ მუსიკას. ამისათვის შემოვიტანეთ ციკლი „ესტრადა და თანამედროვეობა“. რამდენიმე გადაცემის შემდეგ, რომელიც ბ.ჩადუნელმა, ამ სტრიქონების ავტორმა და თ.ელიავამ მოვაზადეთ, იგი „გადაელოცა“ საესტრადო განყოფილებას, რომლის წამყვანად იმხანად მუშაობდა მუსიკისმცოდნე, საამო მოუბარო ევგენი მაჭავარიანი და დიდი პოპულარობაც მოიპოვა საზოგადოებაში. ჩვენ უკვე ადრეც ვახსენეთ, რომ ე.მაჭავარიანი ნაყოფიერად მოღვაწეობდა ტელევიზიის მუსიკალური პროგრამების მთ.რედაქტორად. იგი საინტერესოდ უძღვებოდა ისეთ გადაცემებს, რომლებიც მეტ იმპროვიზაციას ითხოვდნენ წამყვანისაგან.

საეკლესიო რელიგიური დღეები ვახსენებ და იმ დღისით გადაცემული უნიკალური გამოსახულებით დადგმული შოუ-კონცერტები (აკვამლებული ღია მოედნები, ვება საკონცერტო დარბაზები და ა.შ.). სად ვშოულობდით?! ადრეც ვახსენებ და ვიმეორებ, რომ თვით ცენტრალური ტელევიზია მათ ვერ გადასცემდა, ისინი ძვირი ღირდა, მის თანხას ვერ უხდიდნენ კონცერტის დადგმული ქვეყნის ტელევიზიებს. ამიტომ, თვით ცენტრალური ტელევიზიის წარმომადგენლებს უკვირდათ ჩვენი „გალალებული ცხოვრება“ ეკრანზე. იმას კი ვერ ხვდებოდნენ – ეს ვიდუო-მასა-



ლა ჩანერილი იყო თვით მოსკოვში, ცენტრალური ტელევიზიის სააპარატოებში, სადაც ინჟინრებთან ჩვენი ფარული „საარყო“ გარიგებები გეჟონდა. აკი მუზუნებოდნენ კიდეც: „განა რამდენ ჭაჭას ხდი შენი ყურძნიდან კახეთში, რომ მოსკოველებს უგზავნიო“. რას იზამთ, ხშირად ჩემი ბევრჯერ გადაპყლია გადაღმა, როცა გადმოდმა არა მისარგებლოა.

ახალგაზრდულ საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტი შეგვექმნა. ხშირად გაიგონებდით ქუჩებში დიალოგს: „დღეს ბზობაა, მალე მივიდეთ სახლში, კარგი ესტრადა იქნება ეკრანზეო“. და, ეს მართლაც ასე იყო...

საესტრადო გადაცემების სული და გული მაინც იგორ არაყიშვილი იყო. (ცნობილი ქართული კლასიკური მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის დიმიტრი არაყიშვილის შვილიშვილი) მას არ სჭირდებოდა ვიდეო საამქროში სპეც.მემონტაჟეები, ინჟინრები. იგი მართო აკეთებდა ყველაფერს. „ვიდრე ინჟინერს გავაგებინებ დასამონტაჟებელ კონცერტში, საიდან რა ნომერი მჭირდება, დრო გადის, ისეე მიჩვენია ჩემი საქმე მე ვაკეთოო“ – იტყოდა ხოლმე ცხონებული, რომელიც ავარიში დაიღუპა და უდიდესი ტკივილი დაგვიტოვა ყველას.

შეიძლება ითქვას, მან თავისი მუშაობის სტილი შექმნა რედაქცი-აში. მისი მუშაობა, ტელეოპერატორებთან სტუდიაში თუ ნატურაზე კონცერტების გადაღების დროს მაგალითი იყო რეჟისორების, ასისტენტებისათვის. მას შეეძლო რამოდენიმე ტელეკამერიდან შესაშური კადრის შერჩევა, მონტაჟი. აკი მისი ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ შემცვლელი რეჟისორის მოძებნა კომიტეტში კი არა მის ფარგლებს გარეთაც გაგვიჭირდა. ამიტომაც არავის გაჰკვირვებია, რომ მისი ადგილი მისივე გვერდით გაზრდილმა რეჟისორის ასისტენტმა თამაზ გუდუკოვმა დაიკავა, რომელსაც მხარს უზავდნენ ზეინაბ ლუნიშვილი, ბადრი აბრამიშვილი.

აქვე ვახსენებ გადაცემას ციკლიდან „მუსიკალური ფოსტა“. იგი სამივე განყოფილებაში შემოსული ტელემაყურებელთა წერილების მიხედვით მზადდებოდა. მას უძღვებოდა რედაქტორი ეთერ ცინცაძე.

ტელემაყურებელთაგან შემოსულ უამრავ თხოვნას მათთვის სასურველი მუსიკალური ნომრის მოსასმენად. შემსრულებელთან შეხვედრის სურვილი მაქსიმალურად კმაყოფილდებოდა. გადაიცემოდა თვეში ორჯერ და უანრობრივად მოიცავდა მუსიკის ფართო სპექტრს.



სოლომონ
ლაშაური რედაქციაში



1959 წ.
ლიტ.რედაქტ.ნიკო
ლეონიძე, მუს.რედ.
ს.ლაშაური


1962 წ/III

ახლად მიღებული მოძრავი სადგურით პირველად მოვანყეთ დარბაზისა და სტუდიის კომბინაციით მასშტაბიანი გადაცემა. „თელავის კულტურის საღამო“. ორგანიზაცია რუსთაველის სახ. თეატრის მცირე დარბაზიდან, პირდაპირი გადაცემა ფუნიკულიორზე სტუდიის გამოყენებით.



1963 წ. 30 იელისი, სატელევიზიო გადაცემა ციკლიდან „შრომისა და სიმღერის ადამიანები“ – თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს დეპოს ეზოდან. ტელეოპერატორი: რობერტ თარგამაძე.

1963 წ. 30 იელისი. გადაცემა „შრომისა და სიმღერის ადამიანები“ – ტრამვაი-ტროლეიბუსების დეპოს ეზოდან. ქორეოგრაფი ბუხუტი დარახველიძე რეპეტიციის დროს (მარცხნივ, სცენასთან).





1963 წ. აპრილი
კომპოზიტორი
ა.ანდრიაშვილი და
ს.ლაფაური (რედაქციაში)

1963 წ. 25 სექტემბერი,
ხელოვ. მუშაკთა
სახლი, დები
იშხნელების
შემოქმედებითი
საღამო. მომხსენებელი
სოლომონ
ლაფაური.
ნინა კლანზე,
მარცხნიდან
მეორე:
1. უურნალ
„საბჭოთა საქართველოს“
მთ.რედაქტორი
ოთარ
ეგაძე.
2. მეორე რიგში
პირველი –
მოქანდაკე
ნ.კანდელაკი



1964 წ. 18 ოქტომბერი
შ. მშველიძის დაბადები-
დან 60 წლისთავისადმი
მიძღვნილი გადაცემის
მომზადებისას
ს. ლაფაური და შალვა
მშველიძე



1965 წ/III
ს. ლაფაური და რეჟისორი
ნოდარ გარსევანიძე



1966 წ.

სტუდიაში სამეგრელოს ერთ-ერთი სოფლის თვითმმართველების ჩანერა



1966 წ. 11 მაისი, თელავი

„ვაზაფხულის დღესასწაულზე“. ავტორი ს. ლაფაური, ოპერატორი მარლენ სოსელია



დუშეთი,
 შეხვედრა შ.
 მშველიძესთან
 1966'VI
 ტრიბუნაზე: შ.
 მშველიძე, ს.
 ლაფაური, მუს.
 მც. ანტონ
 ნულეკიძე და
 დუშეთის რაიკომ-
 ის I მდ.
 ა. შადური



1966 წ. VI-13
 კომპოზიტორი ოთარ თევდორაძე და ს. ლაფაური (რედაქციაში)

1969/II

ტელე. მუს.
რედაქცია
ზის: რედაქტ.
ეთ. ცინცაძე
დგანან:
ს. ლაფაური,
მზია რამიშვი-
ლი, ნინო
ქართველიშვი-
ლი, ლია
ზანგურაშვილი



1970 წ. 13 თებერვალი. წყალტუბოს ანსამბლი სტუდიაში სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ): რეთ. გივი გაჩეჩილაძე, კომპოზიტორი მიხეილ ჩირინაშვილი, ს. ლაფაური, წყალტუბოს კულტ. სახლის დოქტორი და ქორეოგრაფი რ. გუმბერიძე



ტელევიზია მუს. რედაქცია,
70-იანი წლები, მთ.რედ. ს.ლაფაური რეჟ. დალი გურგენიძე, განყ. უფრ. მზია
რამიშვილი და რედ. ომარ ჩიტაია.



1972 წელი, 26 ივნისი

რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ჩატარდა საქართველოს
ხალხური ცეკვების IV რესპუბლიკური კონკურსი 1972 წლის 26 ივნისს. თიურის
შემადგენლობა (მარცხნიდან მარჯვნივ): ბ.სვანიძე (საქ.კულტ.დამსხხ.მუშაკი),
ლ.გვარამაძე (საქ.სახალხო არტისტი), ს.ლაფაური (საქ. ტელევიზიის მუსიკალურ
გად.რედაქციის მთ. რედაქტორი), ბ.საჯაია (საქ. სსრ დამსახ. არტისტი), ი.სუნიშ-
ვილი (საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი), გ. გრიგოლიშვილი (ხელოვნების
დამსახ. მოღვაწე), ჯ.ბაგრატიონი (საქ.სახალხო არტისტი), ვ. ყუფარაძე (საქ.სა-
ხალხო არტისტი), მ. კობეშვიძე (ხელოვნების დამსახ.მოღვაწე).



19/XI/1973 წ.
ს.ლაფაური,
რედ. ნ.კობალაძე



1973 წ., თებერვალი,
სტუმრად სოხუმში. I
მუს. სკოლა, დირექტო-
რი ლანა ქეცბა.
მხცოვან პედაგოგთა
გაცილება



1975 წ. 26
ნოემბერი,
შეხვედრა I
სტუდიაში მე-6
საკავშირო
ტელეფესტივა-
ლის მონაწილე-
ებთან





1975 წ., მაისი,
ს. ლაფაური, კომპოზიტორთა კავშირის მდივანი მერი დავითაშვილი,
კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე გ. ორჯონიკიძე, რედაქტორი
გ. გრიგოლია



1975 წ., დეკემბერი,
ტელეფილმების ფესტივალის დასკვნითი საღამო | სტუდიაში

19-21.X.75 წ.
 სტუდიაში სსრკ სახ.
 არტ. კომპოზიტორი ა.
 მ. ბალანჩივაძე
 დირიჟორობს თავის
 II სიმფონიას



1975'V ფესტივალ „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის“ გახსნის წინ
 სტუდიაში არიან კომპოზიტორები (მარცხნიდან):

1. ნ.მამისაშვილი,
2. გ.ორჯონიკიძე,
3. ო.თაქთაქიშვილი,
4. ს.ლაფაური (კომპოზ. კავშ.მდ.) (კომპოზ. კავშ. თავმჯდომარე)
 (რესპ. სახ. არტ. (ტელევიზ. მუს. მთ. რდ.)



1975 წ. 26
 ნოემბერი,
 VI - სატელევი-
 ზიო ფესტივა-
 ლის დახურვის
 შემდეგ. სტუდია
 N1-ში შეხვედ-
 რაზე. ჩემს
 მარჯვნივ
 (მცინარი)
 ცენტრ. ტელე-
 ის მუს. რედ. მთ.
 რედ. ა. შალაშო-
 ვი, ნინა პლანზე
 რუჯ. ასისტ.
 მედეს
 გაბისონია

სატელევიზიო
 ფილმების
 ფესტივალის
 ბოლო დღე.
 ი. მესხიშვილი და
 ს. ლაფაური
 სტუმრებთან
 ერთად



1975 წ. დეკემბერი
 ანსამბლი „რუსთა-
 ეი“, ზურგით
 ანზერქომიშვილი,
 ცნობ. მოცეკვე-ფრი-
 დონ სულაბერიძე,
 რესპ.დამს. არტ.პამ-
 ლეტ გონაშვილი,
 სოლისტი ირაკლი
 მათიკაშვილი, ბადრი
 თოიძე, სოლომონ
 ლაფაური



შეხვედრა – ზეიმი სტუდიაში მრეწველობის მუშაკებთან – მე-9 ხუთწლედის
 გეგმის შესრულების გამო. 1975 წ. დეკემბერი. დიქტ. თ.ნათაძე და ს.ლაფაური

ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქცია



ჩემი მრავალნაირი შრომაც და თქვენ წარმოიდგინეთ, ბრძოლაც, პირად შეხვედრებში, ცისფერი ეკრანიდან თუ პრესის საშუალებით გრძელდებოდა ვაყენებდი საკითხს-აუცილებლად შექმნილიყო ტელევიზიის მუსიკალურ რედაქციასთან ცალკე ხალხური შემოქმედების განყოფილება.

„ხალხური სიმღერით, ცეკვებით, ხალხური კულტურის სხვა ფორმებით ისეთ მდიდარ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, აუცილებლად უნდა შექმნილიყო ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქცია. ქვეყანაში, არსებობენ: კულტურის სამინისტრო, მასთან არსებული საკლუბო დაწესებულებათა სამმართველო, ხალხ. შემოქმედების რესპუბლიკური სახლი, საქ. მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოება, კომპოზიტორთა კავშირი, იყო რესპუბლიკის პროფკავშირების ხალხური შემოქმედების საკავშიროთაშორისო სახლი მეცნიერებათა აკადემიის ფოლკლორის განყოფილება, მსგავსი პროფილის კათედრები უმაღლეს სასწავლებლებში და ა.შ. და მაინც ხალხური, განსაკუთრებით მუსიკალური ხელოვნება სათანადოდ ვერ ვითარდებოდა. ამდენი ძიძის ხელში სულს ღაფავდა, ხელის შემშველბელი, გეზის მიმცემი, მომთხოვნი თითქმის არ იყო რესპუბლიკაში. იყვნენ თითო-ორი-ლა ინიციატივიანი ადამიანები, აქა-იქ რალაცას ნამოიწყებდნენ. მაგრამ, უფრო მეტი იყო ფუსფუსი, ვიდრე საქმე. უფრო მეტი იყო პირადი გამორჩენის სურვილი, ვიდრე სამუდამო დაკარგვისათვის განწირული ერის საუკუნოვანი საგანძურის უანგარო ხელის შემშველება. ნათქვამის დასტურად უამრავი ფაქტი მაქვს. ალბათ მკითხველს თავს მოვაბეზრებ აზრის, სიტყვის გამეორებებით, მაგრამ ბოდიშის მოხდით მინდა აქ უცვლელად მოვიტანო ზემდგომ ორგანოების სხვადასხვა ინსტანციებში გაგზავნილი ჩემი წერილის ასლი:

ქართული ხალხური სიმღერების ღაცვისა და მათი შემდგომი პოპულარიზაციის ღონისძიებები

საქართველოს საგუნდო მუსიკის ქვეყანაა. ეს ისტორიული ფაქტია და ახალს არაფერს ვამბობ. ჩვენ ყველას გვახარებს, გვაამაყებს, როცა ვისმენთ, ვკითხულობთ მსოფლიოში გამოჩენილ ადამიანთა მაღალ შეფასებას ჩვენი ეროვნული საგუნდო განძის შესახებ. და, მით უფრო სამნუხაროა, რომ მის დაცვაზე, აღორძინებაზე (დიახ, რომ სწორედ აღორძინებაზე, ჩვენ არ უნდა შეგვაშინოს ამ ჭეშმარიტმა სინამდვილემ) ძალზე ნაკლებად ვზრუნავთ.

დღეს უკვე სხვა ეპოქაა... აღარ გამოდგება თითო-ოროლა პატრიოტი ლოტბარის იმედით ვიყოთ. ისინიც დღითი-დღე გვაკვლდებიან და თან მიაქვთ ათეული წლობით ნასწავლი ხალხური სიმღერები. ამ სიმღერების ჩანერის, ფიქსაციისა და კრებულებად დასტამბვა დიდი სახალხო საქმეა. მაგრამ, ამ კრებულებს მცოდნე, პროფესიონალი ლოტბარი – კვლავ წამკითხი და ამყდრებელი უნდა. ხალხური სიმღერის ნოტებით წამკითხავი, მცოდნე ლოტბარები კი ერთეულები არიან. ბუნებრივად ისმება კითხვა, მაშ რა ვქნათ?! ჩემის აზრით, საჭიროა შემდეგი: 1. გადასასინჯია სახ. კონსერვატორიაში საგუნდო-სადირიჟორო კადრის აღზრდის პრინციპი. საგუნდო დირიჟორები კონსერვატორიას ამთავრებენ ისე, რომ თუ ოჯახიდან არ მოსდგამს ხალხური სიმღერის ცოდნა – მასზე წარმოდგენა არა აქვთ. ლოტბარები კი ესოდენ საჭიროა სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სარაიონო და სასოფლო კულტურის სახლებში. იქ უმეტესწილად მოღვაწეობენ არაკვალიფიციური პედაგოგები – ლოტბარები. მათი შევსება-შეცვლა აკისრია კონსერვატორიას. თვითმოქმედ წრეებში კი ახალგაზრდა ლოტბარებს არ გამოუდით მუშაობა. იქ ისინი ვერ სძლევენ შეასწავლონ ბახის, ჩაიკოვსკისა თუ სხვა კლასოსთა საგუნდო ლიტერატურა. ხალხური სიმღერის ბუნებას კი ისინი ვერ სცნობენ, არა აქვთ სისხლში, ბუნებაში გამჯდარი, შედეგიც სახეზეა.

2. ვინრო წრეებში ვნუხვართ, რომ ჯაზმა წაღუკა წამდვილი ხალხური, წამდვილი ჯანსალი შემოქმედება. უცხო-

ეთის ჯაზური მუსიკით გატაცება მოდური გახდა. ჩვენს ზოგიერთ ახალგაზრდას თუ მაღალ ჩინოსანს, ხშირად ავიწყდება, რომ ყველამ თავისას უნდა მოუაროს, მოუაროს იმას, რაც სისხლში და ხორცში აქვს გამჯდარი, რითაც საუკუნეებს გაუძლო და დღემდე მოაღწია, რითაც კაცობრიობის ხელოვნების ისტორიაში ჩვენი გენის ნაწიური ხალხური სიმღერაცაა ჩადულაბებული.

ამიტომაც თავიდანვე კურსი ავიღეთ ხალხურობისაკენ. პირველივე წლებში მოვანყვეთ პირველი სატელევიზიო დათვალეირება. ბევრ წარმოება-დანსებულებაში ჩვენი დაბეჯითებით შეიქმნა ანსამბლები, რომლის შეფობა ვიკისრეთ ჩვენ. სხვათა შორის, მაშინდელი ტელესტუდიის (ფუნიკულიორზე) სიმცირის გამო შეეცადათ დიდი ანსამბლების ბაზაზე შეგვექმნა მცირე შემადგენლობის ვოკალური ანსამბლები, ჯგუფები. შემდეგ ანსამბლის ეს მცირე ფორმა მოდად გახდა. ასე შეიქმნა კახიძის „შვიდკაცა“, „გორდელა“ და სხვ. მსგავსი ორგანიზაციული მუშაობა ტელევიზიით კვლავაც გრძელდებოდა, პროპაგანდა ენოდა ყველა კარგ ნამონყებას. მაგალითად, ქ.მახარაძის ხალხური სიმღერის შემსწავლელთა სკოლა და სხვა, მაგრამ ეს ყოველივე ზღვაში წვთი იყო. იმის მაგივრად, რომ შექმნილიყო ხალხური შემოქმედების რედაქცია, რომელიც გულთან მიიტანდა სამეტიანში-ლო, ეროვნულ საქმეს. ჯერ ესტრადის რედაქცია შეიქმნა 7-სამეტაო ერთეულით. შემდეგ კი კომიტეტში დაარსდა ჯაზი და ამით მოვჭერიით ის სულთმობრძევი ხე, რომელზეც ჩვენ ვიდექით და ეროვნულს ვეძახდით. კომიტეტის მიერ მოენყო საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ჩვენი მუშაობის გაუმჯობესების სურვილით და იქ ყველა პიროვნების წერილში ერთბაშადაა დასაბუთებული, რომ ტელევიზიას უნდა ჰყავდეს არა გუნდი, არამედ შერეული თუ ერთგვაროვანი გუნდები. ეს იქნება დიდი საშვილიშვილო საქმე და მადლს გვეტყვის მომავალიც. რაც დრო გავა, სულ უფრო გაგვიჭირდება ხალხური სულიერი ყოფის აღდგენა. შემდგომ ჩვენი ვაი და ვიში გვიანლა იქნება. დიდი ქართველი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი ერთ-ერთ თავის წერილში წერდა: „ქალბატონი გიტარისტები ისე მოედო ქვეყანას, რომ ხალხურთან ერთად პროფესიულ მუსიკას ნალეკვით ემუქრებო“. ახლა ვინლა ჩივის „ქალბატონ გიტარისტებზე“.

3. რესპუბლიკაში, თითქმის ყველა რაიონში გვაქვს ათობით მუსიკალური სკოლა, სასწავლებელი. ხალხური სიმღერა იქაც უნდა ისწავლებოდეს, ზოგად სკოლებშიც და საბავშვო ბალებშიც. ქართული ხალხური სიმღერის ნყობა მეტად სპეციფიური და რთული დასაძლევია. მერნმუნეთ, უფრო რთული, ვიდრე საესტრადოა. ამიტომ, ხალხური სიმღერის შესწავლა უნდა გახდეს სისტემად, სავალდებულოდ. ზოგად საგანმანათლებლო სკოლებში ბავშვებს თითქმის არ ასწავლიან

ხალხურ პანგებს. მაგალითად 62-ე საშუალო სკოლაში ჩემმა ვაჟმა ისე დაამთავრა V- კლასი, სიმღერის გაკვეთილი თითქმის არ პქონიათ. ეს იმიტომ, რომ თვით პედაგოგმა არ იცოდა ხალხური სიმღერა!

ამ დროს, რესპუბლიკის ზოგად საშუალო სკოლებში შექმნილია მუსიკალური ჯგუფები. ფაქტიურად მათ მიიღეს რალაც „მუსიკალური ათნლედების“, „შვიდნლედების“ სახე. სამწუხაროდ, პროფესიონალი პედაგოგიური კადრები სახელმწიფო მუსიკალური სასწავლებლებისთვისაც კი არაა საკმარისი. იბადება კითხვა ვინ ასწავლიან და რას ასწავლის მილიონობით მოზარდებს?! ვფიქრობთ, სკოლებში თუ სამხატვრო განყოფილებები იქნებოდა ეგრეთ ნოდებული მუსიკალური ჯგუფების სანაცვლოდ, ისინი შესძლებდნენ აღედგინათ ძველი სკოლების ის ჯანსაღი ტრადიციები, სადაც იდგებოდა საბავშვო ოპერები, იმართებოდა საგუნდო საღამოები, დილები, ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციები. რომ გადავხედოთ ცნობილ მუსიკოსთა ბიოგრაფიებს დავრწმუნდებით, რომ ისინი პროფესიონალი მუსიკოსები გახდნენ და აღიზარდნენ მომღერალთა გუნდებში. ამით მოზარდებში გავაღვივებდით სულიერ სილამაზეს, ავუმალლებდით ესთეტიკურ გრძობებს, შევძენდით კოლექტივში-ანსამბლებში კულტურულ ჩვევებს და არ ვამყოფებდით ფორტეპიანოზე დაკვრის ტყვეობაში, რომელიც მშობელთა იძულებითობაზე, ნამხსდურობაზე და ძალდატანებაზეა დამყარებული.

ჩემის აზრით, ეს და სხვა ქმედითი ღონისძიებები ხელს შეუწყობს ხალხური სიმღერის უკვდავებას, მისი ჰუმანური ბუნების კვლავ დაბრუნებას. და თუ ეს ასე მოხდა, ჩვენი რესპუბლიკა ყოველთვის მზად იქნება ყოველგვარი სახალხო დღესასწაულების სათანადოდ ჩატარებისათვის. ამ მიძიმე უღლის განევას კი პატრიოტული სულის მატარებელი ტელევიზიაში ხალხური შემოქმედების რედაქცია იქნება (1966 წ. გაგზავნილი საქ.კპ. ცეკაში, მინისტრთა საბჭოში).

ესა და სხვა არაერთი თხოვნა მტკიცება იგზავნებოდა ჩვენს მიერ ზემდგომ ინსტანციებში. მართალია დასახელებულ პრობლემებს ნაწილობრივ ვეხმიანებოდით მუსიკალური რედაქციის ფარგლებში, მაგრამ რომ იტყვიან „მარტოხელა კაცი ჭამაშია ც ბრალიაო“. მარტო ერთი გულშემატკივარი რას გავხდებოდით?!

და აი, 1979 წელი. ყურმილით თავისთან მიხმობს თავმჯდომარე ნუგზარ ფოფხაძე. მეუბნება: „შენ პატრიოტი კაცი ხარ. ბევრი ზრუნავ ხალხურ ხელოვნებაზე. რამდენადაც ვიცი, დიდი ხანია აყენებ საკითხს ხალხური შემოქმედების რედაქციის შექმნაზე. ეხლა რას იტყვიო?!“

– ეხლაც იმასვე გავიმეორებ, რასაც 1960-იანი წლებიდან მოვტიორი. აუცილებელია ასეთი რედაქცია, უამრავი თემა და პრობლემები რჩება ჩვენი შეხების გარეშე. ხალხური შემოქმედება ზოგს მხოლოდ

სიმღერა და ცეკვა ჰგონია. სად არის პოეზია, თქმულებები, ლეგენდები, ზღაპრები, მეთუნეობა, ქსოვა, თელვა, ხელგარჯილობა, მხატვრობა და ათასი სხვ.

- თუ ამდენი რამ არ გვიკეთებია, აბა რას ვშერებოდითო. - თქვა ბნეუზარამ.

- მუსიკალური გადაცემების მთავარ რედაქციასთან ერთი განყოფილება მაინც რომ შექმნილიყო, კარგი იქნებოდა.

- რატომ განყოფილება? შევქმნათ მთავარი რედაქცია. ოღონდ კადრებს გარედან ვერ მოვიყვანთ. წარმოადგინე სია, ტელევიზიიდან და რადიოდანაც, ვინ გამოგვადგება ამ რედაქციაში სამუშაოდო. მითხრა თავმჯდომარემ და დავცილდით. დავინწყე რედაქტორ, რეჟისორ, ასისტენტების შერჩევა. კომიტეტში ხმა დავარდა ს.ლაფაური ხალხური შემოქმედების მთავარ რედაქციას ჰქმნისო. ბევრი მსურველი მომანყდა. ცხადია, ყველას ვერ გავახარებდი. საბოლოოდ კი ხალხური შემოქმედების მთავარ რედაქციაში ჩემს მოადგილედ ინფორმაციის მთავარი რედაქციიდან გადმოვიდა შესანიშნავი ჟურნალისტი, პატრიოტი, კალმოსანი რევაზ ურუშაძე. მუსიკალური გადაცემების მთავარი რედაქციიდან: ცნობილი რეჟისორი უშანგი დარჩია, მთ.რეჟისორად თამაზ ელივა, სამეცნიერო პროგრამების მთავარი რედაქციიდან ცნობილი თეატრალური და სატელევიზიო სპექტაკლების დამდგმელი რეჟისორი ვაჟა ფაჩულია, პმგ. მდივანად დაინიშნა სხვადასხვა ორგანიზაციებში ნამუშევარი, გამოცდილი პიროვნება ქ-ნი ქეთევან ჭილაძე.

სახვითი, პოეზიისა და გამოყენებითი ხელოვნების განყოფილებას სათავეში ჩაუდგა რადიოს ლიტერატურულ-დრამატული რედაქციიდან გადმოყვანილი რედაქტორი, განათლებული, მოაზროვნე ფილოლოგი თამაზ ტყემალაძე. შემდეგ იგი ტელევიზიის ლიტ.დრამატული რედაქციის მთ.რედაქტორად დანიშნურდა. მის ნაცვლად სახალხო მეურნეობის მთ.რედაქციიდან გადმოვიდა გამოცდილი ჟურნალისტი დელა კვაჭაძე, ჟურნალ „თვალთაის“ უძღვებოდა კინოსცენარისტი, შესანიშნავი პიროვნება ნუკრი მამულაშვილი, ხალხური პოეზიას განაგებდა ნიჭიერი, პატიოსანი მწერალი ვანო ბერიძიაშვილი, რეჟისორებად გადმოვიდნენ როდამ ჭელიძე, ბორის მარგველაშვილი, კინოსტუდიიდან მოვიდა რეჟისორი თემურ ფალავანდაშვილი, მუსიკალური რედაქციიდან – რეჟისორი ვანო გელაშვილი, მუსიკისმცოდნე რედაქტორი მარინე თაყაიშვილი, ცნობილი საესტრადო და ხალხური მომღერალი გოგი დოლიძე, ასევე ზურაბ ლოლაძე, თემურ ჭკუასელი (მუსიკალური რედ. განყოფ. უფროსი), რეჟისორის ასისტენტები მიხეილ მანდარია, გია არგანაშვილი, მანანა მჭედლიშვილი, ნანა კობალაძე.

ხალხური შემოქმედების მთავარმა რედაქციამ ბინა დაიდო ახლად აგებული მე-2 კორპუსის მესამე სართულზე და გაიშალა დიდი ხნის

ნაოცნებარი მრავალფეროვანი ხალხური ხელოვნებისადმი მიძღვნილ გადაცემებზე მუშაობა. იყო კოლექტივის ერთსულოვნება. რომ იტყვიან, ხელების დაკაპინებით დავინყუთ გადაცემების მზადება, ვცდილობდით მეტი მრავალფეროვნება შეგვექმნა ჩვენთვის, მშობლიური ქართული ტელევიზიის ცისფერი ეკრანისათვის. თქვენ წარმოიდგინეთ, სულ მოკლე ხანში ჩვენმა გადაცემებმა უკვე მიიპყრო რესპუბლიკის საზოგადოების ყურადღება. ის კი არაა, როდესაც ტელევიზიის დედა კორპუსში ჯგუფურად გადავიდიოდით თუ უკან ვბრუნდებოდით (საკომიტეტო თათბირები პროგრამების განხილვა, დაგეგმვა და ა.შ.), მოყვასის შურით შემოგვცქეროდნენ კოლეგები. თამაზ ტყემალაძემ კი მაშინვე შექმნა ლექსის კუპლეტი, რომელსაც ჩვენმა ბიჭებმა მელოდია მიუსადაგეს და თანამშრომლების თვალწინ ასე სიმღერით გადავიდიოდ-გადმოვიდიოდით კორპუსიდან კორპუსში:

**„სმენა გვაქვს გადასარევი,
დაცქვეტილი გვაქვს ყურები,
ეროვნულ საქმეს ვაკეთებთ
პატარა ლაფაურები..“**

ყოველივე ამ ერთუზიანზე გამართლება უნდოდა. ამიტომ გადაეწყვიტეთ მაყურებელთათვის შეგვეთავაზებინა სატელევიზიო ყოველთვიური ჟურნალი, რომლის სათაურის შერჩევის შიდა სარედაქციო მინი კონკურსში გაიმარჯვა რ. ურუშაძემ. მისი შერჩეულია ჟურნალის სათაური „თვალთაი“, რაც საბასა და კ. გამსახურდიას განმარტებით ნიშნავდა „ძვირფასი თვლების საკრებულოს“. მის მთავარ ტიტრ-ნაწამძღვარად შეირჩა და დაემკვიდრა მხატვარ ფოჩხუას ბზის ხეში კვეთილი ჩანგის გამოსახულება, მასზე ორმაგად ნაფენილი მეფე თამარის გულსაბამი ჯვრის სახე, რამაც ცეკაში ბევრი „წვრილფეხა“ შეაფოთა და არაერთხელ მოგვთხოვეს ეკრანიდან თამარის ჯვრის მოხსნა. ჩვენ ეს ჯიუტად არ ვქენით. იგი ბოლომდე ამშვენებდა „თვალთაი“.

რაც კი რამ კარგი თუ სუსტი გადაცემა კეთდებოდა, ეს ადამიანები გახლდით ეკრანის თქვენი მასპინძლები. აქ არ შეიძლება არ აღვნიშნო გადაცემათა ციკლები: „საქართველოს ხეობები“, „გვაქვს უთვალავი ფერთა“ და სხვ. რომელსაც რევაზ ურუშაძე სხვა გადაცემებთან ერთად უძღვებოდა. მის მიერ მომზადებული შემეცნებითი ხასიათის გადაცემებიდან დამამახსოვრდა – ბორჯომის თორელების საგვარეულო ნასოფლარი „თორეს ხეობა“, იქიდან დანახული მზის საოცარი პირველი სხივის ამობრწყინება. ასევე ითქმის აჭარიდან „სხალთის ხეობა“ და მრავალი სხვ. რევაზ ურუშაძე ჩვენთან ერთად ასევე აქტიურად მონაწილეობდა სახალხო დღესასწაულების, ფოლკლორის საღამოების სცენარების შექმნასა და დამუშავებაში.

ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქცია თავის გარშემო იკრებდა სახალხო მიქმელებს, კომპოზიტორებს. მათი ხელოვნების დემონსტრაცია სათანადო ესთეტიკურ ზეგავლენას ახდენდა ტელემაყურებლებზე. ერთხელ ზემდგომი პარტიული მუშაკი, როდესაც გაეცნო ხალხური შემოქმედების მთ.რედაქციის თემატიკას, მის გადაცემებს, აღნიშნა: „ადრე სად ხდებოდა აღნიშნული საკითხების გაშუქებაო?!“ არსად! გამონაკლის შემთხვევებში რომელიმე რედაქცია, გაკერით თუ შეეხებოდა. ხალხურმა რედაქციამ სისტემაში მოიყვანა თემები, პრობლემები. დაიწყო მათი გეგმაზომიერი ტელეეკრანზე ჩვენება. მრავალგზის ითქვა და ვიმეორებ, ჩვენს მიერ დასმული საჭირობოროტო საკითხები მაშინვე ხვდებოდა პრესის ფურცლებზე. ასე შემორჩა მრავალი ნარკვევი, პრობლემური საკითხი თუ რეცენზია გაზეთის ფურცლებზე. მაგ. 1984 წ. 25.VI გაზ. „თბილისმა“ დაბეჭდა ჩვენი ერთ-ერთი სიუჟეტი სატელევიზიო ჟურნალ „თვალთაიდან“, სათაურით, „თბილისის დამშვენებდა ფოლკლორული მალაზია“.

მასალის დაბეჭდვის აუცილებლობა განაპირობა მთელი რიგი ორგანიზაციების დაინტერესებამ საკითხისადმი. საქ. პროფსაბჭოს მდივანმა ქ-ნმა ზ.კვაჭაძემ მთხოვა დეტალურად გამეცნო მისთვის საკითხის არსი. მომყავს შემოკლებით გაზ. „თბილისში“ დაბეჭდილი ნერილი:

„ქართული ხალხური შემოქმედება მუდმივი ზრუნვის საგანია. შეიქმნა ხალხური სიმღერისა და ცეკვის რამდენიმე სახელმწიფო ანსამბლი, რაიონებში ამოქმედდნენ მომღერალთა გუნდები, რომელთა საშემსრულებლო დონე არსებითად არ ჩამოუვარდება პროფესიონალებს. ამასთან, შეინიშნება რომ ყველა უნარი სათანადოდ ვერ ვითარდება. ასეთია, კერძოდ, ხალხური საკრავიერი მუსიკა. მისი შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია მაღალპროფესიულ, მეცნიერულ დონეზე შექმნილი საკრავები.

ყოველივე ამის თაობაზე 1981-1982 წლებში საქ. ტელევიზიის ხალხური შემოქმედების მთავარმა რედაქციამ მოაწყო გადაცემების ციკლი „ხალხური მუსიკის უკვდავება“. საქმის ცოდნითა და გულშემატკივრობის პოზიციიდან იყო მსჯელობა, რა გველონა უძველესი ხალხური საკრავების აღორძინებისათვის.

გადაიდგა პირველი ნაბიჯებიც. თბილისის პროფტექნიკურ სასწავლებელში, სახ. კომიტეტის თავმჯდომარის ბ-ნ ს.რიგვას თაოსნობით შეიქმნა ჯგუფი, რომელშიც ალიზრდებოდნენ ქართული საკრავების დამამზადებელი კვალიფიციური ოსტატები. ამასთან, თბილისის ძველ უბანში აღდგა ხალხური საკრავების დამამზადებელი სახელოსნო-ლაბორატორია. რესპ. დამსახ. არტისტის ომარ კელაპატრიშვილის ინიციატივითა და ამ უნარის დიდი მოჭირნახულის ბ-ნ კირილე

ვაშაკიძის კონსულტაციით ჩამყალიბდა სკოლა შემსრულებელთა აღ-
საზრდელად. მუსიკალური კლავიშებიანი სარკავების ქარხანაში შე-
იქმნა სპეციალური საამქრო. ამ სასიკეთო საქმეების თაობაზე სატე-
ლევიზიო გადაცემას ათობით სამადლობელი წერილი მოჰყვა. მაშინვე
დაგეგმადა აზრი თბილისის ძველ უბანში შექმნილიყო ფოლკლორული
მალაზია, ამ წინადადებას მხარი დაუჭირა ვაჭრობის სამინისტრომ, რო-
მელმაც თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს სთხოვა ძვ. ქალაქის
უბანში სათანადო შენობის გამოყოფა. სამინისტრო მის გახსნას ვარა-
უდობდა 1983 წლის ოქტომბერში. სამწუხაროდ, კარგ წინადადებას
ხორცი ვერ შეესხა...

არადა თუ ხელი დროზე არ შევაშველეთ და საქმე არ განვაგრძეთ,
ჩვენებური საკრავი თანდათან ქრება ისევე, როგორც ძალზე ცოტა
გყავას მასზე კვალიფიციური დამკვერელიც.

საქართველოს რესპუბლიკა ტურიზმის ქვეყანაა. მსოფლიოს კულ-
ტურული საზოგადოებრიობა უაღრესი ინტერესით ხვდება ჩვენი ერის
მრავალ საუკუნოვან ხელოვნებას. საქართველოდან ბევრი მათგანი
სიამოვნებით წაიღებს „ფოლკლორულ მალაზიამ“ შექმნილ კვალიფი-
ციური ოსტატის ნახელავ სალამურს, ჩონგურს, ფანდურს, ჩანგს, და-
ირას, დოლს, სოინარს, გუდასტიკირს, ჭიბონს, ხალხური რენვის ნიმუ-
შებს – ქუდებს, წინდებს, პაჭიჭებს და ა.შ. ასევე მალაზიაში თავს მო-
იყრის ქართული ხალხური მუსიკის საკასეტო ჩანაწერები, ხანგრძლი-
ვი დაკვრის ფირფიტები...

ამ საქმის კეთილად დაგვირგვინება აღკვეთდა ბაზრობების, ვაგ ზლე-
ბის, ავტოსადგურების და სხვ. მომრავლებული ე.წ. „ჩამწერ სტუდიებს“,
რომლებიც უკონტროლოდ სწერენ და ასაღებენ დაბალი გემოვნების,
უხამს „ქმნილებებს“. ამ უმსგავსობაზე არაერთხელ გადავეცით კრიტი-
კული ფელეტონი, რამაც მაშინდელი საყოფაცხოვრებო სამინისტროს ლი-
დერის ქ-ბ ფათუშა დუმბაძის დიდი რეაქციაც გამოიწვია.

აი, მკითხველო, ჩვენს მიერ კეთილად წამოწყებული საქმე სადამ-
დე მივიდა და მაინც ვერ ჰპოვა საბოლოო ხორცმესხმა. განა დღეს ეს
ჩვენი მოზარდი თაობის სწორი აღზრდის ერთ-ერთი პრობლემა არაა?!
განა საქართველოში ჩამოსულ ტურისტებს ვთავაზობთ კულტურულ
ფორმებში იმას, რისი შეთავაზებაც შეგვიძლიან?! არა!

ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მიმდინარეობდა
საქ.კ.მ. მე-26 ყრილობა. მის ტრიბუნიდან ქვეყნის „გადაყვავების“ კო-
რიანტელის ტრიალებს. ამ ტყუილ-მართალის ბულში არც მუსიკალური
ხელოვნების მებაირახტრენი ჩამორჩენილან. მაშინდელი კომპოზი-
ტორთა კავშირის მდივანი ბ-ნი გივი ორჯონიკიძე ტრიბუნიდან აცხა-
დებს: „თუ დღეს ასეა აღზევებული ხალხური ფოლკლორი, ამაში უდი-
დესი დამსახურება კომპოზიტორთა კავშირს მიუძღვის“.

მუსიკისმცოდნე გ.ორჯონიკიძე თავისი საქმის ბრწყინვალე მცოდნე, ავტორიტეტი გახლდათ. ვ სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორიაში იგი ერთხანს მეც მიკითხავდა ლექციებს რუსული მუსიკის ისტორიაში. შესანიშნავი დედა ჰყავდა, კონცერტმეისტერი ნინო ლაფერაშვილი. ასაკის მიუხედავად ქ-ნი ნინო უშურველი ენერგიით გვიმზადებდა სარომანსო საღამოებს. თვითონ გ.ორჯონიკიძე უფრო აქტიურად რადიოში თანამშრომლობდა. „ტელეხედვა ჩემს ფიზიკურ ნაკლს უფრო ფართეთ აჩვენსო“ – მეტყოდა ხოლმე გულდანყევებითა და მეც ველარ ვაძალებდი ხშირად ეავტორა ჩვენთან. ამასთან ბრწყინვალე მუსიკისმცოდნეობის მიუხედავად, მას თავისი აღზრდით, ინტერესთა სფეროთი, არასოდეს არ ჰქონია ხალხური ხელოვნების შესწავლის სურვილი. საქ. კვ. 26-ე ყრილობის წინა დღეებში – ჩინებულმა ფოლკლორისტმა, კონსერვატორიის ხალხური ფოლკლორის კათედრის ყოფილმა გამგემ ბ-ნ კუკური ჭოხონელიძემ მართლაც მოაწყო ხალხური სიმღერის საღამო კომპოზიტორთა პლენუმისათვის. იმ საღამოზე მინვეულის იყვენენ უკვე ცნობილი, მოქმედი ანსამბლები. ისე ნუ გამიგებთ, ვაკ-ნინებდე კომპოზიტორთა პლენუმისათვის განკუთვნილ კ.ჭოხონელიძის მიერ ორგანიზებულ კონცერტს. არა, იგი მართლაც ჩინებული იყო, მაგრამ, უკვე ე-ნ. „აპრობირებულნი“, მრავალჯგზის ჩვენს მიერ გამოყვანილი საქ. ტელევიზიის, ცენტრალურ და ინტერვიზიის ეკრანებზე. ვიმეორებ, კომპოზიტორთა კავშირისათვის ორგანიზებულ ამ შესანიშნავ კონცერტს შესაძლოა მართლა ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა პლენუმზე მონვეული უცხოელ კომპოზიტორთათვის, ასევე ბევრი ქართველი კომპოზიტორისათვისაც რათა კიდევ ერთხელ ჩაღრმავებოდნენ ეროვნული სულის საღაროს, ამ ღონისძიებას, თუნდაც რამოდენიმე მის მსგავეს ღონისძიებებს, არამც და არამც არა ჰქონია მორალური საბაბი პარტიის ყრილობიდან გ.ორჯონიკიძეს ეთქვა: „თუ ვინმეს აქვს პრეტენზია ხალხური ფოლკლორის აღზევებაზე, ეს ჩვენ ვართ კომპოზიტორთა კავშირიო“ ეს მეტი თუ არა, იმ დარბაზში დამსწრე, საქმეში ჩაუხედავი გულუბრყილოთათვის თვალეებში ნაცრის შეყრა გახლდათ.

გ.ორჯონიკიძის დასახელებულ ყრილობაზე გამოსვლის გამო, ვრცელი კრიტიკული წერილი-პასუხი გამოვაქვეყნე ყურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“. მე მზად ვიყავი ყველანაირი დონის პაექრობისათვის დასახელებულ საკითხზე. ერთხელ ბ-ნ გ.ორჯონიკიძე მხვდება და მითხრა: „ხალხური შემოქმედება ჩემი ინტერესების სფეროშიც შემოვიდაო“. მაღლობის მეტი არა მითქვამს თუ კი იგი თავის კალამს ხალხური ხელოვნების აღმავლობისთვისაც გამოიყენებოდა.

ხალხური ხელოვნების აღორძინებას მრავალი კუთხიდან ვუჭერდით მხარს. ეს იყო გადაცემები: „ხალხური მუსიკის“ მრავალ-

რიცხოვანი კონცერტები, „სოფლის თვითმოქმედება“, „შრომისა და სიმღერის ადამიანები“, „სატელევიზიო ფესტივალები“, „მუსიკალური ოჯახები“ – და რომელი ერთი?! აქ გზადაგზა ბევრ მათგანზე შევაჩერე თქვენი ყურადღება. სათქმელი, გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტია.

„მუსიკალური ოჯახებზე“ მომზადებულ გადაცემებს, რომელიც ასობით ოჯახს მიეძღვნა, დიდი ინტერესით ეხმაურებოდა ტელემყურებელი. რამდენჯერ უთქვამთ ჩემთვის, პირადად თუ ოფიციალურ შეხვედრებზე, „თქვენ ამ ჟანრში ისე დაბეჯითებით იღწვით, ლამის შვილთან ერთად სასიმღეროდ მოვიდე თქვენთანო“ – მითხრა ხუმრობით თბ. ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის პროფესორმა, აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ. და აკი მართალსაც ამბობდა. ჩვენი ფოლკლორული საღამოების აქტიური მონაწილე იყო მისი ქალიშვილი, პროფ. მზექალა შანიძე. განა მცირე როლი შეასრულა ექიმ-ფსიქიატრის ზურაბ ჩიქოვანის ოჯახის პოპულარულ მუსიკალურ ანსამბლად ფორმირებაში საქ. ტელევიზიამ?! ხომ ფაქტია, რომ ჩიქოვანების ნიჭიერ, მუსიკალურ ოჯახს თავისებური „მორცხეობის“ სინდრომის გადალახვაში სწორედ ტელევიზიამ შეუწყო ხელი. არ დამაინყდება, როცა ზ.ჩიქოვანმა მიმინვია ოჯახში, მოვისმინეთ სიმღერები, „ხომ არ შეერცხვებითო“ – მითხრეს.

ზ.ჩიქოვანი ერთხანს საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებაზე სწავლობდა. შემდეგ თვალთაგან გაქრა და ფსიქიატრიის ინსტიტუტის დირექტორად მოგვევლინა. სიმღერისადმი სიყვარული კი დღენიადაგ გულში უტრიალებდა. ბრწყინვალე მეუღლე, მეოჯახე, სამი შვილის დედა, ექიმი და... ღვთით მომადლებული მუსიკის ნიჭი. მათი საოჯახო ანსამბლის პირველსავე გაუღერებამ ცისფერ ეკრანზე საზოგადოების ინტერესი გამოიწვია. მალე „ჩიქოვანების კონცერტი“ ცენტრალური ტელევიზიითაც გაუღერდა. რუსეთის რომელი ქალაქებიდან არ ვიღებდით წერილებს?! ისინი გვთხოვდნენ ზ.ჩიქოვანის ოჯახზე ცნობებს, მათი შესრულებით სიმღერების მაგნიტურ ფირზე ჩანანერებს. შესაძლებლობის ფარგლებში ვაკმაყოფილებდით მათ სურვილებს. აი, ამ ფაქტებისა და სხვ. ასობით მაგალითის გამო, ტელევიზიამ მართლაც უნდა იამაყოს მაშინდელი ქართული, საშვილიშვილო საქმეებით:

დავითგამთ ხალხური მუსიკის საუნჯე

ბევრი თქვენგანი დაგვეთანხმება, რომ სხვის ხელეში შემყურე პატარა ქვეყანას ყოველთვის უჭირდა. ეს დღეს უფრო მეტად ითქმის მსოფლიოს დიდი ქვეყნების ურბანიზაციის პერიოდში.

ერი, რომელიც მეტად შეინახავს საკუთარ მატერიალურ და სულიერ კულტურას, მით უფრო დიდხანს იარსებებს ციქვეშეთში. ვისაც ეს პრობლემები გათავისებული არა აქვს, ის მხოლოდ პირადი ცხოვრებით ცხოვრობს. ასეთ ადამიანებს საქმე არ უნდა ჰქონდეს ისეთ ორგანიზაციებში, სადაც ქვეყნის სამომავლოდ მცირე რეცეპტები მაინც იწერება. ტელევიზია კი ამ მხრივ, ყველა მოლოდინს აჭარბებს. მას თავიდანვე აქვს თანდაყოლილი საოცარი „ჯადოსნური სარკის“ თვისებები, რომელიც გიზიდავს, გატყვევებს, გახვევს უხილავი ბაბაჭუის აბლაბულის ქსელში. ამიტომაც ხშირად მახსენდება ჩემთვის პირველი თავმჯდომარე ბ-ნი ანტ. კელენჯერიძე. მან იცოდა: „აგერ დამატებით მივიღეთ მუსიკალური (ან სხვა დარგის) რედაქტორის საშტატო ერთეული. გავიკითხოთ, ნიჭიერი ახალგაზრდა მოვძებნოთ, კალამიც უჭრიდეს და პიროვნულადაც კეთილზნიანი იყოს. მოიყვანეთ, გავესაუბროთ, მივცეთ საგამოცდო დრო და ისე ავიყვანოთ შტატშიო“. ამ გზას ყოველთვის განაგრძობდა ქ-ნი ივლიტა მესხიშვილიც. მომიტევეონ და სხვა შვიდი თავმჯდომარიდან რაღაც ვერც ერთ მსგავს ფაქტს მე ვერ ვიხსენებ. მამულობილები, პატრიოტები, ანგარებას მოკლებული ადამიანებია საძიებელი მილიონებთან სალაპარაკოდ. ასეთი ღრმა, სერიოზული პრობლემები დღენიადაგ ძიებას გვაიძულებდა. ასე დაიბადა მრავალთავან კიდეე ერთი ციკლი „დავიცვათ ხალხური საუნჯე“. პირდაპირ, გამიზნულად, პირუთვნელად ამზადებდა ამ ციკლის გადაცემებს. მომყავს თითქმის ყველა იმ ათობით გადაცემის მთავარი ლეიტთემა, დედა აზრი: „ღმერთმა ნუ ჰქნას დაგვექცეს სვეტიცხოველი, ალავერდი, გელათი – ეს სამინელება იქნება.“

დაინვა ოპერისა და ბალეტის სახ.აკადემიური თეატრი, ეს უბედურება იყო. მაგრამ, ერისკაცები ამ სამინელ ნგრევას უშველიან. შემორჩენილი ნახაზებით, სურათებით, გა-

ზომეებით მათ ადგილზე უსათუოდ ააგებენ ქვეყნის სულის დასაყენებლად უკეთეს ტაძრებს. ასედაც აიგო ხანძრით დაფერფლილი ოპერისა და ბალეტის სახ. აკადემიური თეატრის შენობაც. ეს წითელზოლად გასდევდა ჩვენს გადაცემებს. ჯერ კიდევ 1960-იანი წლებიდან შეეუძახებდით პროფ. იასე ცინცაძის სიტყვებს, ჩვენთვის მონერილს ტელევიზიის გარიჟრაჟზე. ზემოთ მისი ღრმა, დამაფიქრებელი სიტყვები არაერთხელ მოვიყვანე. ყოველთვის მახსოვდა და მემახსოვრება პროფესორის, მამულზე შეყვარებული კაცის შემოძახილი: „მარად დამუნჯებული, მენახოს თურქი, ლეკი, მონღოლი, სპარსი ქართველური ტომების სულიერი დამონებისათვის“.

„დავიცვათ ხალხური საუნჯე“ – ამუქებდა სრულიად საქართველოს ქალაქის, რაიონის, სოფლის სულიერ ცხოვრებას. მრავლგზის ვახსენე ჩემი პირადი წერილები რაიონის, სოფლის პირველ კაცებთან. ვწერდი, რომ სულით დაბეჩავებული ადამიანების მომავალი სასიცოცხლო გზები ძალიან მოკლე იყო და ახალ საუკუნეებში გადასახედად აღარ გამოდგებოდა. შედეგ ზედაც ბევრი ვილაპარაკეთ თუ ნ. ყოჩიაშვილმა, როგორ ჩაუყარა საძირკველი სოფელ „ჯაფარიძის“ სულის აღზევებას. როგორ აგუგუნდა ყვარლის გუნდის მიერ „შერმაზანი“, „ხეურო“, როგორ ახშიანდნენ სხვა სოფლებში გუნდები, ცეკვის ანსამბლები და მაინც, იგი ზღვაში წვეთი იყო და ახლა მით უფრო.

ერთხელ, მთელი კომიტეტი მოიცვა ზემდგომთა საპატაკოდ შემოღებულმა ციკლმა „იდიდე მარად, ჩემო სამშობლო“. მოსამზადებლად შემხვდა „ლაგოდების“, „თეთრი წყაროს“, „ნალენჯიხის“ რაიონები. გადაცემები მომზადდა. მათ კარგი შეფასება დაიმსახურეს, მაგრამ გულს მღრღინდა თბილისიდან არც თუ შორს მყოფი თეთრი წყაროს რაიონის სოფლებში თვალთ ნანახი. მთავრობა ზარზემით აღნიშნავდა ქვეყნის აყვავებას, არნახულ წინსლვას ეკონომიკის, კულტურის ყველა სფეროში. მე კი ე.წ. „მთავრობისათვის სატყუარა“ გადაცემაზე მუშაობის პარალელურად ვიღებდი (რეჟ. ნ. გარსევანიშვილი) ისტორიული სოფლების კარდახშულ, ბაბაჭუების მიერ აბლაბუდეებით დახლართულ, იატაკზე დაყრილ, დაბინძურებულ ბიბლიოთეკებს, ფოტოზე ან კინოვიწროფირზე აღვებქდავედი სოფ. ოძელაშვილების „კულტურის სახლს“, რომელიც ვინმე გენერალ (ნიკოლოზის დროინდელი) საგინაშვილის კარის პატარა ეკლესია იყო. შიგნით კი ქვებზე გადებული ფიცრები ასრულებდნენ სკამების მოვალეობას. თვით რაიონის ცენტრშიც არ იყო კულტურის სახლი. მის ფუნქციას ასრულებდა, ძველი ფიცრული ნაგებობა, ნიკოლოზის ოფიცერთა ყოფილი საკრებულო. მის შემომპალ ფიცრებზე გაკრული, თეთრად გადაღებული ლითონის ფირნიში გვაუნწყებდა, რომ იგი იყო ოფიცერთა საბანქო ოთახი, სადაც „ძაღლებისა და ჯარისკაცების შესვლა სასტიკად აკრძალუ-

ლი“ ყოფილა. სამაგიეროდ უხვად გადავიღეთ მასალა, როგორც ცენტრში, ისე სოფლებში – მასზე ასახული ორსართულიანი, ტუფით ნაგები სასახლეები. ისინი ეკუთვნოდათ მხოლოდ ხელმძღვანელ ელიტას. მოვიყვან იმ გადაცემებიდან მცირე ნაწყვეტს: „რაიონის ცენტრში და სოფლებში დადიხარ, ორი გრძნობა გიპყრობს: ერთი სიკეთე, რითაც სარგებლობენ მხოლოდ თანამდებობის პირნი და მეორეა სულიერად გამოფიტული ადამიანების მასა. გრჩება შთაბეჭდილება ამ უღამაზეს კუთხეში გზის გადაღმა მალაღი ჩინოსანი არც ავლილი უნახავთ, არც ჩავლილი. თუ დაადგები „ასფალტით“ მოკირწყლულ გზას, იგი არსაით არ გადაუხვევს, უეჭველად მავანი დიდი კაცის ჭიმკართან მიგიყვანსო“. ხომ სავალალოა ჩემო მკითხველო?! ისიც სავალალოა, რომ მეფის რუსეთის პერიოდში, აქ თეთრწყაროში, ოფიცრებს დაუდგამთ ბორტიანსკის ერთაქტიანი ოპერაც. ეკრანზე ვაჩვენებთ ფოტო კადრები, მასზე ასახული თბილისელი ინტელიგენციის წარმომადგენლებით. ისინი თეთრწყაროში ჩასულან ოპერის მოსასმენად(?!). ამას მოჰყვა ჩვენი კრიტიკული გადაცემა „ყურადღება სოფელს“. მან შედეგი გამოიღო. რაიკომის „სასახლის“ აღმოსავლეთით მალე დაიწყო თეთრწყაროს კულტურის სასახლის მშენებლობა. დასრულდა იგი ორიოდენელში. თუმცა მარტო კედლები როდი შველიან საქმეს!

ხალხური სიმღერის უკვდავება

„ხალხური საუნჯის“ პირდაპირი მემკვიდრე გახლდათ გადაცემები ციკლიდან „ხალხ.სიმღერის უკვდავება“. იგი ყოველმხრივ აგრძელებდა წინამორბედი ციკლის დედა-აზრს იმ განსხვავებით, რომ გადაცემებში თითქმის თავისებურად ჯამდებოდა უკვე მიღწეული.

ადრინდელ გადაცემებში ხშირად ვინვევდით რესპუბლიკის თვალსაჩინო მეცნიერებს, პოეტებს, მუსიკოსებს. მაგალითად, აუცილებელი სტუმრები გახდნენ პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, ხელოვნებისმცოდნეობის დოქტორი ვახტანგ ბერიძე, მუსიკისმცოდნე, ფოლკლორისტი გრიგოლ ჩხიკვაძე, კომპოზიტორები გრ.კოკლაძე, ოთარ გორდელი, ვაჟა აზარაშვილი, ახარღვაზრდა საგუნდო დირიჟორი ანზორ ერქომაიშვილი და სხვ.

„ხალხური სიმღერის უკვდავება“-ში ვინვევდით უძველესი აღმოჩენილი და აღდგენილი სიმღერების შემსრულებლებს. განსაკუთრებული აქცენტი გვექონდა გადატანილი მოზარდ თაობაზე. თუკი სადმე ყურს მოვკარავდით პატარების ანსამბლს, რომლებიც ძველ ხალხურ სიმღერებს ასრულებდნენ, უეჭველად მოგვეყავდა სტუდიაში. პირველივე გადაცემებით გამოგვეხმაურნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან. გვატყობინებდნენ, რომ აღადგენდნენ მივიწყებულ სიმღერებს. სამწუხაროდ, ასე როდი უდგებოდნენ სხვა უწყებები. მაგ. სამთავრობო ხალხური შემოქმედების ოლიმპიადებზე, ფესტივალებზე თუ სხვ. ამ სახის ღონისძიებების დროს ყიური პრიორიტეტს არ აკუთვნებდა მივიწყებული სიმღერის ამღდგენ კოლექტივს, მის ხელმძღვანელს. ეს კი ჩვენი რუდუნებით მოპოვებული ნაყოფის წყალში გადაყრას უდრიდა. ამიტომაც ვახსენე ზემოთ, რომ „საჭირო იყო ხალხური ხელოვნების მართვის ერთი სისტემა, ერთ ხელში მოქცევა. გასაკვირი არ იყო, რომ მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ საზოგადოების, კულტურის სამინისტროს პლენუმ-თათბირებზე ბევრი იყო წუნწინი: „მიდიან სიმღერის ძველი ოსტატები და აღარ ჩანან მათი შემცვლელი“. ნავიდნენ თარხნიშვილები, კავსაძეები, ლოლუები, ჯილაურები, პაჭკორიები, შელეგიები, ბერძე-



ნიშვილები, ჩაღვლიშვილები, ერქომაიშვილები, დედას ლევანები, მჭედ-ლიშვილები, ამუზაშვილები, ლომიძეები, ირემაშვილები და ა.შ. შემცველი მომავალი თაობა?! ისინი არ ჩანდნენ!

სამსახურში მუშაობისას დამირეკა და შესაუბრა რესპ. მხატვრული აღზრდის სახლის დირექტორი ქ-ნი ნათელა ჯილაური. მან მთხოვა: „ბ-ნო სოლომონ, უნდა დამეხმაროთ. მომიძებნეთ ისეთი ხელმძღვანელი, რომელიც ჩემთან შექმნის პატარების საესტრადო ანსამბლს. ყველაფერს გავაკეთებ – „მზიურს გადაუჯოჯოკროთო“. ვთხოვე ჩემთან მოსვლა. არ დაუყოვნებია. ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ. ძლივს დავარწმუნე, რომ „მზიური – უკვე ევროპაში მოგზაურობდა. ეს პიონერთა სასახლის ისეთი „თაიგული“ იყო, რომელიც ათ წელიწადში ერთხელ ბედნიერი ჩნდება. ის უკვე პირველია. მას ბაძავენ, გამოუჩნდნენ მიმდევრები ჩვენთან „ნერგები“, მოსკოვში „მატროშკა“ და, მაინც „მზიურის“ დონეზე ვერავინ ავიდა. შენ და შენი ანსამბლი ვერასოდეს გახდებით პირველები, პირველები უკვე არიან.

ნ.ჯილაურს შევთავაზე ბავშვთა ფოლკლორული გუნდის შექმნა. იუარა. „ამ მოძველებული სიმღერებისთვის ვინ მომივაო“. მენყინა ნ.ჯილაურის დამოკიდებულება ერის საუკუნოვანი საგანძურის მიმართ. რა გაეწყობოდა, საუბრის ბოლო მაინც კეთილად დამთავრდა. მე აღვუთქვე ხელმძღვანელის გაგზავნასა და ტელევიზიის შეფობას. ამან გასჭრა. ხელმძღვანელად მაშინვე შევთავაზე რამინ მიქაბერიძე. შემდგომში იგი ანზ. ერქომაიშვილმა მიიწვია ანსამბლ „რუსთავეში“ და ჰამლეტ გონაშვილის პარტნიორად დამკვიდრდა, როგორც პირველი ხმა.

საქმე ასე იყო: ჩემთან მოვიდა რ.მიქაბერიძე. მომითხრო საკუთარ გაჭირვებაზე. სახ. კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელობიდან გურამ ბაქრაძე გადაიყვანეს საქ. სიმღერისა და ცეკვის სახ. ანსამბლში. მოგეხსენებათ რესპუბლიკის მუსიკალური პრაქტიკაში დამკვიდრდა ყოველ შემოქმედებითს კოლექტივში, თუ გნებავთ თეატრშიც, ახლად მოვლენილი დირექტორი, დირიჟორი შლის ძველს (თუ თეატრია, ინყებს სარემონტრო სამუშაოებს) და თავიდან ინყებს ახლის აწყობას. ძალიან ნიჭიერებს ეს გამოუდით (მაგ. ანზორ კავსაძეს). მაგრამ, ჩვეულებრივნი ამას ნლობით ვერ აკეთებენ. ანსამბლის დაშლა, მისი ხელახალი აწყობა ვიმეორებ, მიმაჩნია მავნე ნაბიჯად. ჯერ ერთი, ანსამბლი კარგავს პირვანდელ სახეს. ნყდება ის აუცილებელი ჯაჭვი, რომლითაც ესა თუ ის გუნდი იყო ცნობილი და ტრადიციულად გადმოიჭმონდა საკუთარი არსებობით შემუშავებული წინამორბედთა კულტურული მემკვიდრეობა. ძველად ანსამბლების ჭკვიანი მოაზროვნენი ანსამბლის ხმებში ე.წ. მცოცავად აპარებდნენ ცალკეულ ახალგაზრდა ძალებს და ამგვარი მცოცავი ტექნოლოგიით ინარჩუნებდნენ გუნდის მიერ წარსულში შე-

ძენილ საშემსრულებლო კულტურას, საშემსრულებლო ტრადიციას, რეპერტუარს.

რ.მიქაბერიძეც ხელმძღვანელის „დაუდევრობის“ მსხვერპლი შეიქმნა. მართალია, მას მხედველობა ცოტა აკლდა. მაგრამ ამას იგი ანაზღაურებდა ხმის სილამაზით, ნიჭიერებით. რამინი საქართველოს ყველა კუთხის სიმღერებს ზედმინეწით ფლობდა, ასრულებდა მათთვის დამახასიათებელი კოლორიტით. ეს ფაქტია და მისმა უმუშევრად დარჩენამ მაფიქრებინა, რომ გავაკეთე სწორი არჩევანი. ორიოდე დღეში ნ.ჯილაური მოვიწვიე სტუდიაში, გავმართე მასთან დიალოგი და ტელემეაყურებელს ვაცნობეთ – მხატვრული აღზრდის რესპუბლიკური სახლის გადანივციტილება, შექმნილიყო ბავშვთა ფოლკლორული გუნდი. გადაცემის მეორე დღესვე დაიწყო თბილისელთა წერილების შემოსვლა, ტელეფონით დარეკვა. ასევე იყო მხატვრული აღზრდის სახლშიც, იქ უკვე რიგები იყო დამდგარი გუნდში მიღების სურვილით. ტელევიზიაში შემოსულ ყველა წერილს გადავცემდით ნ.ჯილაურს. განცხადებებმა 500-ს მსურველს გადააჭარბა. აქედან კონკურსით შეირჩა 30-მდე ბიჭუნა და ერთი გოგონა. (რ.მიქაბერიძის ქალიშვილი, მშვენიერი მოკრიმანჭული). ...დაიწყო მუშაობა. რალცა თენახევარში რ.მიქაბერიძემ მთხოვა მეცადინეობაზე დასწრება. უკვე მოესწროთ ხუთი სიმღერის მომზადება. მალე ცისფერ ეკრანზე გაჩნდა ახალი ციკლი „სიმღერის უკვდავება“.

ვიდრე ქვეყანა თავის მომავალ თაობებს აღზრდის თავისი ისტორიის, სულიერების მაღალი იდეალებით, მას გადაშენება არ უწერია. სამწუხაროდ, ყველას როდი ესმის ეს უბრალო, მაგრამ ღრმა ჭეშმარიტება.

სტუდიაში მოვიწვიეთ გამოჩენილი ადამიანები: ვახ.ბერიძე, ირ.აბაშიძე, გრ.კოკილაძე, გრ.ჩხიკვაძე, ანზ.ერქომაიშვილი, რესპ.მხატ. აღზრდის სახლის დირექტორი ნ.ჯილაური. მოვასმენინეთ რამოდენიმე სიმღერა. ვთხოვეთ, პირადაპირ ეთერში გამოეთქვათ თავიანთი პირუთვნელი აზრი. საუბარში ჩანდა, რომ ტელევიზიის ინიციატივით ჩაეყარა საძირკველი გრანდიოზულ, საშვილიშვილო მოძრაობას, ეროვნული სიმღერის უკვავებას. მრავალგზის მიხდება საუბარი ტელემეაყურებელთა რეაგირებაზე, მათს აქტივობაზე. დასახელებული ციკლის პირველსავე გადაცემამ კიდევ უფრო გაზარდა ჩვენი ქომაგების რაოდენობა. ამდენად ჩვენს ერთობლივ წამოწყებას უდიდესი შეფასება მისცეს სტუდიაში მონვეულობა საზოგადო მოღვაწეებმა.

„ხალხური სიმღერის უკვდავების“ მეორე გადაცემაში ტელემეაყურებელს შეეთავაზეთ შეერჩია ბიჭუნების ანსამბლისათვის სახელი. უამრავი წერილების შეჯამებისას გადაწყდა ანსამბლს შერქმეოდა „მართვე“.

ნ.ჯილაურმა და რ.მიქაბერიძემ უკვე მეორე გადაცემის შემდეგ მთბოვეს მივსულიყავი ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელად. „იცი სოლომონ, თვალთ კარგად არა მაქვს საქმე. მე არ შეგარცხვენ, ვიშუშაოთ, გამიკაფე გზაო“. მითხრა რამინ მიქაბერიძემ. უარი ვუთხარი. ჩვეული არა ვარ სხვამ საქმე აკეთოს, მე მივიკედლო. ჩემი ტელევიზიაში სამსახური „არანორმირებულია“. ათასი შეფერხებები გველობება, როდის დაფიქრდები საქმეს არ ვიცი. ამ მიზეზითაც ვერ მივიღებ თქვენს კეთილ წინადადებას. მეორე გადაცემის დამთავრებისას ჯერ კიდევ სტუდიაში იმყოფებოდნენ მისი მონაწილენი. ვთხოვე ანზ.ერქომაიშვილს ახლოს მოსვლა. აღმოჩნდა, იგი არ იცნობდა რამინს. გავაცანი. ვუთხარი: ძმობილო, მარტო ნუნუნი, გუნდის მომღერლები მალე აღარ გვეყოლებიანო, საქმეს ვერ შევლის, ჩაუდექი სათავეში და გასწიეთ უღელი. ეს ასეც მოხდა.

„მართვე“ უმაღლესი ხალხის ყურადღების ცენტრში. ანზორის მისვლამ კიდევ უფრო ასწია პატარების საშემსრულებლო დონე. ამასთან, რამინი ანსამბლ „რუსთაველი“ მიიწვია და ამით ჩინებული პირველი ხმა ამოუყვანა ლეგენდარულ ჰამლეტ გონაშვილს.

დასახელებული ციკლიდან გადაცემები მიუძღვნით ი.ჭავჭავაძის სახ. მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების კულტურის სასახლესთან ახლად შექმნილ ბავშვთა ანსამბლს, ბადრი ტულუშის ხელმძღვანელობით. ბადრი ტულუშის მამა-პაპანი ძველი მგალობლები იყვნენ. ამიტომაც „მავანთა“ ფარულად მანც ახერხებდა პროგრამაში საგალობლების შეპარებას. ცხადია, გადაცემაში ჩვენგან დიდი თანადგომა, მხარდაჭერა ჩავაქსოვეთ.

არც ხალხურ ინსტრუმენტებს ვივინყებდით. გამოგვყავდა პატარა ნორჩები – შერმადინ დარჩიაშვილის, ომარ კელაპტრიშვილის, დამა კანდელაკების, იზოლდა ფუტკარაძის და სხვათა ხელმძღვანელობით. ამკარად იგრძნობოდა „მართვეს“ ნაყოფიერი ზეგავლენა. გაბშირდა რაიონებიდან (ოზურგეთი, ლანჩხუთი, ზუგდიდი, ბათუმი, თელავის რაიონი სოფ. აკურა, გურჯაანი, ლაგოდეხი, ქუთაისი და სხვ.) ქალაქებიდან მიწვევა – მოგვესმინა ბავშვთა გუნდები – შესაძლებლობის მიხედვით ვცდილობდით ყველგან ხელის განვდენას ეკრანზე მათ აფლერებას, ეს ნანატრი პროცესი ხალხური ხელოვნების მოზარდებში შემობრუნებისა – არ უნდა შეჩერებულიყო. საჭირო იყო ძალების მოკრეფა, ნაკადულის დინების კვალდაკვალ მიყოლა.

გამოვაქვეყნე წერილები გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (1983 წ. 2 სექტემბერი) „სახალხო განათლებაში“ (1988 წ. 12 დეკემბერი). ვწერდი: „დიდმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ ადამიანის აღზრდის ფასი. ამიტომაც ისინი წინა პლანზე აყენებდნენ (ფიზიკა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, ასტრონომია) მუსიკის შესწავლასაც. ძველ

გიმნაზიებში გალობის შესწავლა სიმკაცრით მოითხოვებოდა. დღევანდელ სკოლებში კი სიმღერის გაკვეთილები ხშირ შემთხვევაში სხვა საგნის მასწავლებელთა ხელფასის დანამატად იყო გადაქცეული. გაზ. „სახალხო განათლებაში“ კრიტიკული სტატია არ ვაკმარე და ფაქტუბით „გამდიდრებული“ წერილი ვაახელ განათლების მინისტრს ბ-ნ ო.ქინქლაძეს.

„ქართველთა ბუნებრივ მუსიკალურ ნიჭიერებაზე „ძველთაგანვე თქმულა და დანერილა. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული ტალანტების „დეფიციტს“ არასოდეს განიცდიდა ჩვენი ერი. საუბედუროდ, უგონო მტერთა საუკუნოვანი, ბარბაროსული თავდასხმებით თვითგადარჩენაზე ზრუნვა საშუალებას არ გვაძლევდა ეროვნული ნიჭიერება ლალი, ბუნებრივი დინებით განვითარებულიყო. ამავე მიზეზებმა შეაფერხა ჩვენი ხალხი დანინაურებული ევროპული სამუსიკო ხელოვნების ზიარებას. ევროპაში პროფესიულ სამუსიკო დამწერლობამდე ადრე ქართველებმა საკუთარი ნოტები ანუ ე.წ. „ნევმები“ შექმნეს ჯერ კიდევ IX-X საუკუნეებში. მას დიდი მგალობელთ უხუცესი მიქაელ მოდრეკილი ედგა სათავეში.

აქ აღარ შეუვადგები XII-XIII საუკუნეების შემდგომი პერიოდის ერის მუსიკალური ცხოვრების აღწერას. მის სიღრმეებში ჩაიძირა პროფესიონალიზმზე ოცნება. ამის სანაცვლოდ ისევე ხალხმა, ხალხურმა ხელოვნებამ არ ჩამოყარა ფრთები. ხალხის სულის ძლიერებამ შეიყვარა უნიკალური სიმღერა და თავისი კალთით ატარა დღემდე. თვით რუსეთთან შეერთების საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ერი იბრძოდა ჩრდილოეთის ორთავიანი არნივის კლანჭებიდან გამოხსნისათვის. მაგრამ ამოდ! თეთრი კირით გადაგვიღესეს ხატად ქცეული ტაძრები, ეკლესიები. რუსული გალობა და ენა მიაძალეს აქ-აქ სამადლოდ გახსნილ სკოლებში, გიმნაზიებში. ქართველთა ნიჭიერებას მხოლოდ ჩრდილოეთის არნივის ფრთებქვეშეთში შეეძლო გაშლა. აკი მიუძალენენ კიდევ. მოსკოვის უნივერსიტეტის დამაარსებელთა შორის საპატიო დაფაზე ადრე ქართველის პორტრეტიც კიაფობდა. დიდი რუსი ქიმიკოსისა და კომპოზიტორის ალ. ბოროდინის გვარი თავად გედევანიშვილად, მის სისხლად და ხორცად ითვლებოდა. პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართველი ქიმიკოსები, ისტორიკოსები, გეოგრაფები თავის სიტყვას ამბობდნენ, დადგა დრო რუსეთის კალთაში მონობის შემდეგ „სამმობლოს მთებზეც „ეფიქრათ. და... ილია, უკუდავი ილიას სიტყვები: „საერო სიმღერა თვითნაჩენია თავიანთ, თავისითმყოფია“.

ილიას მიერ ქართული ხალხური სიმღერის თვითმყოფადობის აღიარებამ, არაერთ რუს მკვლევარს შეუკრა მადა, იგი ელიარებინა ვილაცის „დინამატ“ ხელოვნებად. ილიას სიტყვები ერმა აიტაცა. დაიწყო დაკარგულის, დაეინყებულის აღდგენა. ჩვენ აქ იმიტომ მოვიტანეთ

ძუნნი ცნობები, რომ ქართველი მიხვდეს, გაიაზროს მისი დღევანდელი მდგომარეობა, რომ ენასთან ერთად სიმღერასაც უსათუთესი გაფრთხილება, მოვლა სჭირდება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ქართველთა სულიერი სილატაკის, ზნეობის დაცემისათვის კვლავ აუარება ფარული თუ „აშკარა“, ბევრი „წერილი“ თუ „მსხვილი“ მტერი გვირეკია. არადა, ღვთით მოცემულ ისტორიულ შანსს „ჩვენი თავი, ჩვენადვე გვეყუდნებოდეს“ – ხელიდან გვიქრება გახლენილი ერის ერთმუშტად შეუკვრელად. ამ დიდ საეროვნო საქმეში ხალხის სულიერ ნადულს, ხალხურ ხელოვნებასაც შეუძლია დიდი საქმის გაკეთება. ხელს ნუ შევუშლით, თანაუდგეთ, მოვეფეროთ ისეთებს, როგორებიც იყვნენ გოგი სალუქვაძე (ოზურგეთში) საშა ეგუტია (ზუგდიდში) რევაზ თედორაძე (ჩოხატაურში), გოგი ოყროშიძე (გურჯაანში) ბუტიკო მიქაია (ჩხოროწყუში) და მრავალი სხვები. ყველა ზემოთ ნახსენები პიროვნება როდი იყო მუსიკოსი, მათ სხვა პროფესია ჰქონდათ. სამაგიეროდ ისინი ყოველთვის გვერდში გვედნენ, ტელევიზიის ყოველ ახალ ნამოწყებას მხარს უბავდნენ, საქმეს აკეთებდნენ.

გ.სალუქვაძემ კი იმდენი უკირკიტა ოზურგეთის რაიონის ხელმძღვანელობას, ვიდრე იქ ხალხური სიმღერის აღმდგენი-შემსწავლელი, სალოტბარო სკოლა არ გახსნა. რაიონის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, სოფლებიდან მიავილინეს ნიჭიერი ახალგაზრდები... მათ კოლმეურნეობებისა თუ მეურნეობების კულტურული ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხებიდან დაენიშნათ სტიპენდიები. 4 წლიან სალოტბარო სკოლაში ყველა მსმენელი უკრავდა ჩონგურზე, მღეროდა შესასწავლი სიმღერის ყველა ხმას. ამრიგად, რაიონის სკოლების სიმღერის მასწავლებლებით უზრუნველყოფის საკითხი ოზურგეთელებმა თავადვე ჩინებულად გადაჭრეს.

გ.სალუქვაძის ნამოწყებული საქმე, ცისფერი ეკრანიდან ბიჭუნების ანსამბლების: „მართვეს“, „დარიალის“, „საგალობლის“ და სხვათა „ხალხური სიმღერის უკვადვების“ რუბრიკით გადაიცემოდა. მან უკვე სულ სხვა სიღრმე და შინაარსი შეიძინა. ოზურგეთელთა ახალ ნამოწყებას ვრცელი 60 წუთიანი გადაცემა მივუძღვენით. მასში სიმღერის შესწავლის გ.სალუქვაძისეული მეთოდი – სხვადასხვა ხმებში ერთმანეთთან შენაცვლება – სიმღერის მსვლელობის დროს, ვაჩვენეთ.

ვისაუბრეთ მუსიკალურ სასწავლებლებში, კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლებში, სახ. კონსერვატორის საგუნდო-სადირიურო კადრების მომზადების დაბალ დონეზე. ვთქვით, რომ პროფესიულ სასწავლებლებში მომზადებულ საგუნდო სპეციალისტებს ცალმხრივად ანვითარებდნენ. ასწავლიან მხოლოდ ძველსა და თანამედროვე კომპოზიტორების სიმღერებს. მათს სასწავლო პროგრამებიდან ამოღებულია ქართული ხალხური სიმღერები, ხალხური ინსტრუმენტები. და-

ვაყენეთ საკითხი სახ. კონსერვატორიის საგუნდო კათედრის წინაშე შეესწავლათ მათ მიერ გამოშვებული ასზე მეტი სპეციალისტის შემდგომი ბედი, რომელთა დიდი ნაწილის ხელი არსად არ იგრძნობოდა.

ეკრანზე ვსაუბრობდით და ცოცხალ მაგალითებსაც ვუჩვენებდით, თუ რომელ რაიონში როგორი მდგომარეობა იყო მოზარდი თაობის მიერ ხალხური მუსიკის შესწავლის თვალსაზრისით. ვახერხებდით საბავშვო ბაღებში შეღწევას, განაპირა რაიონების ზოგადსაშუალო სკოლებში შესვლას. ზემდგომი ორგანოების წინაშე დავაყენეთ საკითხი მეტი ხალხურობა დანერგილიყო სპეციალურ მუსიკალურ სკოლებში, სასწავლებლებში.

დაბეჯითებულმა, მიზანმიმართულმა შრომამ შედეგი გამოიღო. მუსიკალურ ტექნიკუმებში, სპეც. მუსიკალურ სკოლებში გზა გაეხსნა ხალხური სიმღერების, საკრავების შესწავლას, ერთ-ერთი პირველი გამოგვეხმაურა თბილისის მე-3 სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი ქ-ნი ქსენია ჯიქია, რომელიც ცნობილი იყო თავისი მომთხოვნელობით, სიახლისადმი ინტერესით. საერთო სიხარული გამოიწვია კულტურის სამინისტროს გადანყვეტილებამ თბილისის 28-ე სამუსიკო სკოლაში გახსნილიყო საგუნდო სიმღერის განყოფილება. სკოლის დირექტორი თამაზ ანდლულაძე, ცნობილი „გორდელას“ (თავდაპირველად კონსერვატორიის სტუდენტთა ვოკ. ჯგუფი) წევრი, პროფესიით საგუნდო დირიჟორი გახლდათ. დიდი ხნის მანძილზე იგი საკითხს აყენებდა 28-ე სამუსიკო სკოლა საგუნდო სიმღერის კერად გამხდარიყო. მისი იდეის ხორცშესხმას უდაოდ ხელი შეუწყო საზოგადოებაში ჯანსაღი კლიმატის გაბატონებამ, როგორც მცირედი როლი როდი შეასრულა ჩვენმა ძალისხმევამ.

„ხალხური სიმღერის უკვადვების“ რუბრიკით არაერთი გადაცემა მიეძღვნა ზემო დასახელებულ სკოლას. დღეს ამ სამუსიკოს სკოლაში უკვე თაობები იზრდებიან. მოზარდებთან ჩინებულად მუშაობენ თ. ანდლულაძე (სკ. დირექტორი) ანზ. ერქომაიშვილი (კონსულტანტი), პედაგოგები: დურმიშხან გოდერძიშვილი, გალობის შესანიშნავი სპეციალისტი თ. ერქვანიძე, არჩ. უშვერიძე და სხვ.

რესპუბლიკაში სახელი განიდიდა თბილისის 28-ე სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა გუნდმა – „ბიჭები“. მათ რეპერტუარში უამრავი საგალობელი (რომლის გადაცემის გამო არაერთხელ მიმიღია საყვედურები) და ძველი ხალხური სიმღერაა. ამ „ბიჭებში“ ჩემი სისხლი და ხორცი, შეიღობილი დავით ლაფაურიც იზრდება. სკოლის „ბიჭების“, „მართვის“ და სხვ. ანსამბლების გამოჩენა, მათი მოსმენა სიხარულს მგვრის. ვიცი, რომ ჩვენი საზოგადოება ველარ შეეგუება უკანა წლებით სიახლეს. მთავარი საქმე?! მთავარი მიზანი მქონდა მეელო წინ, საუკუ-

ნეთა ლაბირინთებში მომეძია და XXI საუკუნეში კვლავ გამომებრწყინა მიეინყებული, ჯერ ისევ მტვერდაყრილი, ასახმიანებელი ხალხური სულის სიდიადე სიმღერა. ცისფერ ეკრანზე მოძალებული ყველა თაობის საგუნდო კოლექტივებს ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდათ სამუშაო, საძიებელი. უკვე პოპულარულად გადაქცეულ სიმღერებს სხვა უწყებებიც მიეპატრონებოდნენ. საჭირო იყო ძიება სიღრმეებში. ამის საშუალება უფრო მეტად ჩვენს კომიტეტს ჰქონდა. ეს საფიქრალი დიდი ხანია მიფორიაქებდა გონებას. და... მივედი დასკვნამდე – აუცილებლად შემექმნა ტელერადიო კომიტეტთან არსებული „ეთნოგრაფიული გუნდი“.

მკერის მთნობრაფიული გუნდი

თითქმის ვთქვი მიზეზი, რამაც მაიძულა მთავარ რედაქციაში ისედაც თავზე საყრელი საორგანიზაციო სამუშაოს პატრონს, საზოგადოებრივ სანყისებზე შემექმნა ტელევიზიის ეთნოგრაფიული გუნდი. თავს არ ვიქებ. თუ ვინმე, მსოფლიოს ქვეყნების ტელევიზიებში, აღმოაჩენს ერთ პიროვნებას მაინც, რომელიც მთელი დღის მომქანცველი მუშაობის შემდეგ, დადგეს და უხელფასოდ ჩამოაყალიბოს, უხელმძღვანელოს მომღერალთა გუნდს, უარს ვიტყვი ყველა ჩემს ნაამაგარზე. ბევრიც ეძებოთ, ასეთს ვერ იპოვით, მათ შორის ჩვენთანაც. მიზეზი?! თავად უნდა გააკეთოს დასკვნა მკითხველმა. რაც ვთქვი, იმისიც მერიდება!

განუვარძოთ ანსამბლის შექმნის მიზეზთა თხრობა. პირველი: ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, სადაც კი ახმინდნენ გუნდები, დიდად არ განირჩეოდნენ რეპერტუარით. ამიტომ, რაც შეიძლებოდა ახალი საკონცერტო პროგრამის ძიება გახლდათ საჭირო. მეორე: ხშირად მინდოდა, ცისფერ ეკრანზე მხატვრული ფორმებში დამედგა „ქართული ლხინი“, „ძეობა“, „ქორნილი“ და სხვ. მსგავსი სცენარები, რათა ტელემყურებელთა აზროვნება შემომებრუნებინა დიდ წინაპართა მიერ საოცარი რედუნებით ჩამოყალიბებული ქართული საოჯახო, მუზიციურული, თეატრალური სანახაობის მსგავსი ტრადიციებისაკენ. არადა, ხომ ფაქტია, რომ ქართული ოჯახი გამოიფიტა. იქ დღესაც იშვიათად თუ ნახავთ ნამდვილ ლხინს, კარგი გაგებით. დღეს გამეფებულია დოლ-კლარნეტის, დაბალი დონის ესტრადის უფრო დაბალი დონის ცალ ხმაზე ყვილით.

მესამე: ეთნოგრაფიულს სწორედაც და არა მხოლოდ მომღერალთა გუნდს, უნდა აღედგინა ძველი სიმღერები და თავის ქურაში გამოვლით გადაეცა ეკრანზე. ვიცოდი ამას უეჭველად მოჰყვებოდა სხვა გუნდებში გადატანა ჩვენი შესრულების შემდეგ. მეოთხე: რადიოს არსებობის ხანგრძლივი წლების მანძილზე, მის ფონდსაცავეებში დაუნჯებული იყო ასობით, ათასობით ძველი ჩანანერები, რომლებიც სწორედ თავიანთი სიძველის, იმდროინდელი დაბალი ტექნიკური აპარატურის გამო და მრავალ სხვათა „გამო“, აღარ გადაიცემოდა რადიოს ეთერში.

ამ უნიკალური სიმღერების შემსრულებლები იყვნენ

თავის დროზე ასევე უნიკალური ნიჭით აღვსილი მომღერლები, ლოტ-ბარები. მარტო ამ ვარიანტების არქივიდან ამოღება, ძველი „მონოდან“ „სტერეოზე“ გადატანა, ამასთან ამ სიმღერების ეთნოგრაფიულ გუნდში გაშიფრა – ნოტებზე გადატანა, ერის სულიერი საგანძურის კრებულებად გამოცემა – მსოფლიოს მუსიკალურ წრეებს შეატორტმანებდა. დიდი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის ნათქვამი „ქართული კულტურის „მესიანობის“ შესახებ ევროპაში ხორცშესხმულ სინამდვილედ იქცეოდა.

მკითხველო, ღირდა თუ არა ჩემს წვალებად?! თქვენ თვითონ განსაჯეთ! მგონია ღირდა და შევქმენი კიდეც. მოვინვიე თბილისში გაფანტული საქ. სახ. „სიმღერისა და ცეკვის“ თუ სხვა ანსამბლებში სხვადასხვა დროს ნამღერი, შემდეგ კი ზოგჯერ ხელმძღვანელთა უზიაკობით ან თვით ზოგიერთი მომღერლის მოუნესრეგებლობის გამო უსიმღეროდ დარჩენილი სიმღერის ოსტატები. მათ შორის იყვნენ ჩემი მეგობრებიც, რომელთა საშემსრულებლო ხელოვნებას დიდ პატივს მივაგებდი, ჰქონდათ რესპ. დამსახ. არტ. საპატიო ნოდებები. ასეთები გახლდნენ: ა. სარაჯიშვილი, მ. კოვზირიძე, ა. კ. ლანდია, მ. გომაძე, უ. გორგაძე, რ. დრიავეი, თ. ნაცვლიშვილი, დ. ტაბატაძე, ჯ. გუგავა, შ. ბადურაშვილი, ვ. ფოცხვერაშვილი, ბ. სვანიძე, თ. გარდაღუბაძე, ბ. კაჭკაჭიშვილი, თ. ბერთნიშვილი, გ. ტაბუცაძე, გრ. ლოლაბერიძე და სხვ.

ყველა მართგანმა იცოდა, რომ შრომის საფასურად ზოგჯერ, რედაქციის საშუალების მიხედვით, შეიძლებოდა გამოგვეწერა ფილარმონიული განაკვეთების მიხედვით მცირე თანხა. მათი შემდგომი ეთნოგრაფიულ სახელმწიფო ანსამბლად შექმნა ბედს მივანდეთ და შევეუდექით მუშაობას. ჩემი მიზანი, როგორც ხელმძღვანელისა, გახლდათ – ანსამბლს ჰქონოდა საკუთარი ბგერა, სიმღერის შესრულების სტილი, ზოგიერთი მომღერლის ხანდაზმულობის მიუხედავად, ხმათა ანსამბლში მაინც მივალნიე სასურველ ბალანსს. იყო სიმღერები, რომელთაც მე მათგან ვსწავლობდი, ვაზუსტებდი. ასე დაეხვეწეთ, ოცდაათამდე უნიკალური სიმღერა და დადგა ტელეეკრანზე გაჟღერების დრო. ინტერესით ველოდი ტელემეყურებელთა რეაქციას. პირველი გამოხმაურებამ, გამოსულამ დაგვანახა შედეგი. ჩემთვის უხერხულია იმ სიტყვების მოტანა ტელემეყურებელი რომ გვენერდა. მაგრამ ფაქტია და მხოლოდ მათ სტრიქონებს მოვიშველიებ:

„მიმდინარე წლის 28 ივნისს დიდი გულისყურით მოვისმინეთ ეთნოგრაფიული ანსამბლის კონცერტი, რამაც უდიდესი სიამოვნება მოგვანიჭა. ანსამბლში გაერთიანებული მომღერლებისათვის ჩვენ სხვა დროსაც მოგვისმენია, როცა ისინი სხვადასხვა ანსამბლებში მღეროდნენ. მაგრამ, სულ სხვა იყო ამჟამად, მათი ხმები ერთად წარმოგვიდგა და ბრწყინვალედ ასრულებდნენ ტკბილ ქართულ სიმღერებს. ვისურ-

ვებთ უფრო განმტკიცდეს ფესვები ამ ყოველმხრივ საინტერესო და საჭირო ანსამბლისა, რათა მომავალში თაობამ არ დაკარგოს ერის სა-
უნჯე. ველოდებით სხვა მრავალ გამარჯვებებს. მადლობას გიხდით
ხელმძღვანელობას ამ ღამეზე და შინაარსიანი საღამოსათვის.

ქ.თბილისის ოქტომბრის რაიონის აღმასკომის საფინანსო განყო-
ფილების თანამშრომლები, 1977 წ.

„შესანიშნავი საქმე გაკეთდა. ტელევიზიაში ჩამოყალიბდა ეთნოგ-
რაფიული ანსამბლი! მისი კონცერტები აუღელვებლად ვერ მოვისმინ-
ნეთ. კარგია თუ ეს საშვილიშვილო საქმე მომავალში არქივს არ ჩაბარ-
დება. მიიღეთ ჩვენი მადლობა და მილოცვა ამ სახალხო საქმის დანყე-
ბისათვის ტელემაყურებლები: მ.კიკნაველიძე, ო.მეტრეველი, რ.ტრა-
პაიძე, გ.სოლოლაშვილი.

„თბილისის სამკერვალოს მრავალრიცხოვან კოლექტივში დიდი აღ-
ფრთოვანება გამოიწვია ახალი, ეთნოგრაფიული ანსამბლის პროგრამამ. დიდი
მადლობა ძველი ხალხური სიმღერების აღდგენისათვის. იმედი გვაქვს კელა-
ვაც ბევრს გააკეთებთ ხალხური სიმღერების პოპულარიზაციისათვის.

ფაბრიკის კოლექტივის სახელით – დ.მაჭავარიანი და მ.არომიძე,
მუშა-მკერავი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი პისარევა, საქ. უმაღლე-
სი საბჭოს დეპუტატი ციციავი“.

„დიდი სიხარული მომგვარა თქვენი გუნდის მოსმენამ. კარგად არის
შერჩეული მისი შემადგენლობა. მათი ტკბილი და საამური ხმით შეს-
რულებული სიმღერები დასამახსოვრებელია განსაკუთრებით მათ-
თვის, ვისაც ძველი ხალხური სიმღერების გაგების უნარი აქვთ. მე მუ-
სიკის დიდი მცოდნე არა ვარ, მაგრამ ბევრი სიმღერა მახსოვს პირვე-
ლი შესრულებით და როცა იმ სიმღერებს ეხლა ვისმენ სინანულს გან-
ვიცდი. მაგ: ძმები სალუქვაძეების მიერ გამოთქმული და შესრულებუ-
ლი „გურულების ოთხი ნაწილი“ დღეს იმდენჯერ ვითომ „შეასწოროს“, რამ-
დენმა გუნდმაც იმღერა. ამიტომ მან დაკარგა პირვანდელი სურნელე-
ბა, სახე და მოსმენის სიამოვნებაც.

გთხოვთ კიდევ მოგვასმენინოთ ტელევიზიით თქვენი ეთნოგრა-
ფიული გუნდის ტკბილი და საამური სიმღერები. დავით გობრონიძე,
ქ.მახარაძე“.

„ჩვენს მიზანს არ შეადგენს თქვენი ეთნოგრაფიული გუნდის კონ-
ცერტის მნიშვნელობის შეფასება. ვფიქრობთ ახლო მომავალში მასზე
სპეციალისტები იტყვიან უფრო მეტს.

როგორც მოგეხსენებათ, ქართველმა ხალხმა, მიუხედავად მძიმე
ისტორიული ბედისა და კულტურული აღმავლობის შემაფერხებელი
ეროვნული ჩაგვრისა, შექმნა უმდიდრესი მრავალსაუკუნოვანი ხალ-
ხური სიმღერა. მისი შენახვა-განვითარების აუცილებლობა კი დიდი
ხანია დადგა დღის წესრიგში.

ზაქარია ფალიაშვილის, მამულის ამ დიდებული შვილის უდიდესი დამსახურება ისიც არის, რომ ხსენებული მუსიკალური კულტურა პროფესიონალიზმის ნიადაგზე დააყენა. ახლა კი თქვენი თაოსნობით შექმნილმა ეთნოგრაფიულმა გუნდმა გაგვიმტკიცა რწმენა მისი მარადისობისა. იმედი გვაქვს კვლავ ომახიანად იყურებს ძველი ხალხური სიმღერები. აი, ერთ-ერთი ნიმუში ახალი გარდაქმნებისა, რასაც ჩვენს რესპუბლიკაში ყოველი პატიოსანი მოქალაქე მხარს უჭერს.

ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი ვაჟა ჩინჩა-ლაძე”.

„პატივცემულო რედაქციავ! ქართული ხალხური სიმღერები ჩვენი ერის საუნჯეა. საუკუნეების მანძილზე მისი გმირული შრომისა და ბრძოლის გამოხატულებაა. თუკი რომელიმე ერს შეუძლია იამაყოს თავისი საუნჯით, მათ შორის უკანასკნელი არც საქართველოა.

ვკითხულობთ ვახტანგ ჭელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკებს“, ვუსმენ თქვენს გუნდს და ადამიანს გაოცება გიპყრობს, როდისღა მოიცალა ჩვენმა ხალხმა იმ შავზნელ საუკუნეებში, გაუთავებელ ჭირსა და ვარამში შეექმნა, შთამომავლობისათვის დაეტოვებინა ხალხური შემოქმედების ეს მარგალიტები. ალბათ ხალხის თავდადებული შრომა და თავისუფლებისათვის დაუოკებელი ბრძოლა იყო ის სამჭედლო, სადაც ეს მარგალიტები იქმნებოდა. ვუსმენთ თქვენს „ჩაკრულოს“ და თვალწინ ვიდგას სისხლისაგან დაცლილი საქართველო. ამ სიმღერაში ერის ამოკვნესასთან ერთად, მომავლისადმი ოპტიმიზმიცაა გადმოცემული:

„მაცალე ერთი გავლესო ხმალ-ხანჯალ, როგორც ნესია,
სულ წმინდად მოგამკვივინო, რაც ჩემთვის დაგითვისია“.

მარტო „ჩაკრულო“?! „შენ ხარ ვენახი“, „ლილე“, „მრავალუამიერი“, გურული კრიმანჭულები? სევდიანი მეგრულები? რომელი ერთი?!

განა ამის შემდეგ ცოდვა არ არის, რომ ჩვენი ხალხური შემოქმედება თითო-ოროლა პროფესიონალ მომღერალთა შემოქმედება გახდეს?! შემოიარეთ დიდი ნაწილი საქართველოში, შედით სოფლებში, ოჯახებში, დაინტერესდით რას მღერიან, რით იკმაყოფილებენ ესთეტიკურ მოთხოვნილებებს. თქვენს გაოცებას საზღვარი არ ექნება, როდესაც ყველგან მოისმენთ ვაიმუსიკოსებს, მათ რეპერტუარს... ზოგჯერ შეხვდები ერთ კაცს, რომელიც ცდილობს ხან პირველ-მეორეთი, ხან ბანით რაიმე წამოიწყოს სუფრასთან, ლხინში, მაგრამ ამოად! მას მხარს ვერ უბავენ ახალგაზრდები. მომავალი თაობის ასე მასობრივ გადაგვარებაში უნდა დავადანაშაულოთ უხეიროდ შედგენილი სასკოლო პროგრამები, სახელმწიფო, ოჯახები. დედები შვილებს აკვანაში აღარ უმღერიან „ივენანას“. მათ დაავეინყდათ ი. გოგებაშვილის „ივენანამ რა ჰქნა?!“ დაივინყეს დედებმა, რომ „უნინ მამულსა უზრდიდა

შვილსა". დიახ. ქალი ქალობას, დედა დედობას ივინყებს. ახალი თაობის გადაგვარების ძირიც აქაა საძიებელი.

იმედი უნდა ვიქონიოთ თქვენი გარჯისა, რათა სულ არ გაქრეს ჩვენი ერის წარსული განძის სიღიადე".

პატივისცემით ავთანდილ დათიაშვილი.

გურჯაანი, სოფ. ველისციხე".

„თქვენ უდიდეს ძალისხმევას ეწვეით. არ ვიცი ამ დიდ შრომას ვინ დაგიფასებთ. ამისათვის ჩვენ გიხდით მადლობას. ამასთან ვსვამთ საკითხს: რას აკეთებენ ე.წ. „მეთოდ კაბინეტები“?! რატომ არ ჰქმნიან საბავშვო ბაღებისათვის, სკოლებისათვის ხალხური მულოდინების კრებულებს?!

გთხოვთ, თქვენმა ეთნოგრაფიულმა ანსამბლმა მანაც ხშირად იმღეროს".

ვ.ნადირაშვილი,

თელავის რაიონი.

„როდესაც ეთნოგრაფიული გუნდის კონცერტს ვისმენდით, მე ჩემს უფროს ძმასთან გახლდით. 75 წლისაა იგი და როდესაც კონცერტი დაიწყო, ყველანი გააჩერა, დიდიც და პატარაც. თითქოს სურდა შთანთქა ტელევიზორიდან გადმოღვრილი მულოდინები, გაფაციცებით შესცქეროდა მომღერლებს. თბილისიდან მასთან სტუმრად მყოფმა შვილიშვილმა, მე-6 კლასელმა ლევან ტულუშმა ბაბუას უთხრა: ისეთი ინტერესით უსმენ ამ მომღერლებს, თითქოს საეცტრადო კონცერტს გადმოსცემდნენო... ჩემმა ძმამ სინანულით ჩაილაპარაკა, ეჰ, რა მომღერლები წავიდნენ ამ ქვეყნიდან. ესენიც გაიკრიფებიან და... ჩვენი ბრალია, ჩვენი მიზეზითა გვაქეს, რაც გვჭირს, ჩვენ მიგიშვით თვითდინებაზე. თავიდანვე ვერ გაგასინჯეთ ერის სიბრძნის ჭაშნიკი. ახლა რალა გითხრათ, ჩაილაპარაკა და ზურგი აქცია შვილიშვილს.

შალვა ჩემია, პედაგოგი.

გულრიფშის რაიონი"

„დასანანია, რომ ეს ანსამბლი აქამდე არ არსებობდა. მსგავსი გადაცემები უნდა გახშირდეს. იგი სჭირდება ახალგაზრდებს, რათა შეიგრძნონ ქართული ჰანგების მაგიური ძალა და შეიყვაროს ისინი, როგორც წინაპართა ფასდაუდებელი და უწმინდესი განძი – დანატოვარი".

ბ. კირტავა, იურისტი, პროფესორი, თბილისი.

ჩემს პირად არქივში მრავალი მსგავსი წერილია შემონახული. უფრო მეტი ალბათ კომიტეტის სხვ. თანამშრომლებთანაც იქნება. ვისაც სათქმელი აქვს, იტყვის.

გვირდა რამდენიმე სიტყვა ანსამბლის ეკრანის მიღმა არსებულ ამბავზედაც მოგახსენოთ, როგორც პირველმა წყარომ.

ეთნოგრაფიული ანსამბლით უმაღ დაინტერესდა საზოგადოება,

მიგვიწვიეს სხვადასხვა შეხვედრებზე. მისი პირველი საჯარო გამოსვლა ცხადია ტელეეკრანის გარდა, თეატრად ქცეულ მეტეხის ტაძარში მოეწყო, რომელსაც საქ. კომპოზიტორთა კავშირის პლენუმზე მონეული უცხოელი მუსიკოსებისათვის გაიმართა. ანსამბლის გამოსვლას კოლოსალური წარმატება ჰხვდა. ეთნოგრაფიულ ანსამბლს ცალკე სხვადასხვა დროს მოუსმინეს ბერლინის მუსიკალური გადაცემების მთ. რედაქტორმა და მიუნხენის ტელევიზიის წარმომადგენელმა. ისინი გაცემებს ვერ ფარავდნენ. თავიანთი აღტაცება ასე გამოხატეს: „ეს ხელოვნება მართო თქვენ არ გეკუთვნით, ქართული სიმღერები მსოფლიო ხალხთა საგანძურია. თქვენი ანსამბლი აუცილებლად უნდა გაიცნოს ჩვენმა ხალხმა“...

მსურდა ანსამბლში პერიოდულად მომენვია ცნობილი ლოტბარები, ძველი მომღერლები რესპუბლიკის რაიონებიდან. იგი ხელს შეუწყობდა ანსამბლის კიდევ უფრო კარგ შემსწავლელ და აღმდგენ ლაბორატორიად გადაქცევა. თავიდან კი გვერდში ამოვიყენე ხალხური სიმღერის ჩინებული მცოდნე, მომღერალი და ლოტბარი ოთარ ბერძენიშვილი. სწორედ მან მოიტანა და აღადგინა მამამისის ლაღი კო ბერძენიშვილის მიერ ანდოქსად მისთვის დანატოყვარი სვანური საქორნილო მაყრული "ქვერნილი", რომელიც მურზაყან დადემქელიანის შემდეგ აღარავის უმღერია. ასევე აღვადგინე კახური „შემოძახილი“. ეს ბრწყინვალე სუფრული სიმღერაც აღარსად ისმოდა. ამ სიმღერების კონცერტში ჩართვამ და იმის გაგებამ, რომ ისინი ეთნოგრაფიული ანსამბლის ენა-პირით დიდი ხნის დუმილის შემდეგ აუღერდნენ, ტელემაყურებელთა ისეთი ქება-მონონება დაიმსახურა სიხარულით ცას ვენედიით. მალე ლენტეხიდან გვეწვია ცნობილი მომღერალი, ლოტბარი ჯოკია მეშველიანი. „ჩვენ ვიცოდით, რომ „ქვერნილი“ უკვე გამქრალი იყო. იგი ვერსად მოვიძიეთ. მადლობა თქვენ, მისი ახმინებებისათვის“. გადანიერა ჩვენი ნამღერი და ნაილო სვანეთში აღსადგენად. ასევე გვეწვია შესანიშნავი მომღერალი ილო ნათიძე. მან რამდენჯერმე მოისმინა „შემოძახილი“ და შემდგომ თავის ჯგუფში აღადგინა. ეს უკვე მიზნის მიღწევა იყო. წინ გველოდა მომავალი გამარჯვებები.

დასახელებული ეთნოგრაფიული გუნდის კონცერტის დაწყების წინ ყოველთვის ვაცხადებდი – საზოგადოებრივ სანყისებზე არსებული და ა.შ. მისთვის ყურადღება მოუქცევია მაშინდელ საქ. ფინანსთა მინისტრს ბ-ნ ფარნაოზ ანანიაშვილს. მეორე დღის დილით ტელეფონით დამირეკა. მომილოცა კონცერტი და მთხოვა, შევხვედროდი. ეს უკვე უამბო საქმედ არ მიჩვენა და მაშინვე ვეახელი.

ბ-ნ ფ. ანანიაშვილს მინისტრამდე ვიცნობდი. მუსიკოსად იყო დაბადებული. ძლიერ უყვარდა ხელოვნება. ფინანსთა სამინისტროს მაღალჭერიან ფართო დერეფნებში, დარბაზებში, რომელიც ჭერზე მუ-

შით იყო გადახურული, ყოველთვის იყო ცნობილ მხატვართა ტილოები გამოფენილი. წელიწადში რამდენჯერმე თანამშრომელთა და მათი ოჯახებისათვის ე.წ. გალა კონცერტებსაც მართავდა, მას ამ საქმეში მხარში ედგა ჩვენი რედაქცია.

ბ-ნი ფარნა მარტო დამხვდა, ვრცელი, ნათელი კაბინეტის სიღრმეში როიალს მისჯდომოდა. ზეპირად უკრავდა შოპენის პოლონეზს. გამიხარდა, გულში გავიელ; აი, როგორი ადამიანების ხელში უნდა იყოს ქვეყნის ბედ-იღბალი. დაკერას თავი მიანება. როიალი დახურა და ღიმილით შემეგება. კარგა ხანს ვისაუბრეთ. ჩვენი რედაქციის ბევრი გადაცემა დამისახელა. ძალიან შეაქო თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის მომზადებული გადაცემა: „მღერის პაატა ბურჭულაძე“, რომელშიც ჩართული იყო სცენები „ნაბუქოდან“ (მილანში დადგმული) და თბილისური დადგმიდან „დონ-კარლოსი“. „მსოფლიოს ბევრ ქვეყანას არა ჰყავს მსგავსი ტალანტებიო“ – ბრძანა. მეგონა ბ-ნ ფარნას დაავიწყდა რისთვის დამიბარა. თითქოს მიმიხვდა ნაფიქრს და მკითხა: „შენ რა, მართლა საზოგადოებრივ სანყისებზე მუშაობო?! გამონვლივით გამომკითხა ყოველივე. ეთნოგრაფიული გუნდის რამდენიმე წინა გადაცემაც, როგორც ბ-ნმა ფარნამ ბრძანა, ერთად ენახათ მთავრობის თავმჯდომარის ბ-ნ ზურაბ პატარაძესთან ბინაზე. მასაც ძალიან მოსწონს შენი წამოწყებული საქმე და რომ გაიგო ამდენი ხნის მანძილზე ასე თავდადებით შრომობთ შენა და გუნდის თითოეული წევრი, თქვა „ცოდვანი არიან, ამათ ჩვენი დახმარება უნდათო“. ნადი, ტელე-რადიო კომიტეტის შუამდგომლობა მომიტანე სასწრაფოდ, გათვალეთ 25 კაცს თვეში რა ხელფასი დასჭირდებათ. წლის ბოლომდე ხელფასის ფონდს გადმოგირიცხავთ, ახალი წლისათვის კი შტატებსაც დაგიმატებთო“. გ.ენუქიძე არ იზავს. მას რამდენიმეჯერ ვთხოვე საკითხის აღძვრა ამ საქმეზე და ყოველთვის ერთსა და იგივე პასუხს მაძლევს: „ქვეყანას სხვა საქმეებისთვის უფრო სჭირდება ფულიო“. იმავე წუთს ბ-ნი ფარნა ელაპარაკა საქ. ტელე-რადიო კომიტეტის თავმჯდომარეს გ.ენუქიძეს. მოკლედ უთხრა სათქმელი და დააყოლა: თქვენ გაეცით ხელფასები, დარღვევის საკითხი ჩემთან მოვა, მე უნდა გადავწყვიტოვო“.

ალარ ვიცოდი რითი გადამეხადა მადლობა. ფრთაშესხმული წამოვედი ფინანსთა მინისტრიდან. „როგორ მიალწიე იქამდეო“ – მითხრა გ.ენუქიძემ. თვითონ მიმიხმო – ვუთხარი და გავუშეორე ბ-ნ ფარნასთან შეხვედრის ფაქტები.

სათანადო მიმართვა გაიგზავნა მთავრობის სახელზე. ანსამბლისათვის მისაცემი ხელფასების ფონდი ჩამოგვერიცხა. სამწუხაროდ, სერიოზული საოპერაციო შევიქენი. ხანგრძლივი დრო დამჭირდა ჯერ თბილისში, შემდეგ კი მოსკოვის საავადმყოფოში (ონკოლოგიის კვლე-

ვით ცენტრში აკად. ბლოხინთან). ვიდრე მე სამსახურს დავუბრუნდე-ბოდი, არავინ შენუხებულა გამზადებული ბრძანების პროექტის კო-ლეგიაზე გასატანად ეთნოგრაფიული გუნდის შტატში დამტკიცების შესახებ. სამსაიფრში დაბრუნებულს კი სულ სხვა სურათი დამხვდა. კომიტეტის თავმჯდომარე გ.ენუქიძე ცეკაში გადაეყვანათ მდივნად. მის ნაცვლად დაენიშნათ ნ.ფოფხაძე.

როდესაც მას ვთხოვე, გამოეცა ბრძანება ეთნოგრაფიული გუნ-დის შტატში ასაყვანად. მან ცივად მომიგო: „სად არის 25 საშტატო ერთეული, ისედაც შესამცირებელი მყავს ასი კაციო“. ასე დამთავრდა თითქმის თერთმეტწლიანი ეპოპეა საქართველოს ტელეერადიო კომი-ტეტში ეთნოგრაფიული გუნდის შექმნის თაობაზე.

„უჩემოდ ვინ იმღერეთო“ – ზედგამოჭრილია იგი ზოგიერთ ხელ-მძღვანელ მუშაკზე“. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. თურმე ჩვენი ინი-ციატივით გაკეთებული საქმე, ჩემგან არ უნდა ნამოსულიყო. ასეც გა-იულერა შემდგომ.

როგორც ჩანს, ეთნოგრაფიული გუნდის ეკრანიდან გაუჩინარებას საზოგადოების თვალში უამბოდ არ ჩაუვლია. ალბათ ამის გამოც იყო, რომ მოგვიანებით კომიტეტში შეიქმნა ახალგაზრდული გუნდი სახე-ლოვანი მომღერლის, დირიჟორის თემურ ქევხიშვილის ხელმძღვანე-ლობით. უფრო გვიან განთქმულმა სალამურზე დაკერის ოსტატმა ომარ კელაპტრიშვილმაც შექმნა ქართული ხალხური საკრავების ორკესტრი და კარგ საქმესაც აკეთებდა. ზედმინეწით აკადემიური იყო თ. ქევხიშ-ვილის, როგორც სოლისტი და დირიჟორი. მისი შესრულებული სიმღერა საკუთარი სოლოც და გუნდურიც ფილიგრანული, დიდოსტატური იყო. პამლეტ გონაშვილი, მამია ხატელიშვილი, თემურ ქევხიშვილი ეს სამი ღეთიური ხმით დაჯილდოვებული მუსიკოსები ჰგავდნენ და არცა ჰგვან-დნენ ერთმანეთს. ვიცი აქ რისი თქმაც მსურს. მაგრამ ეს ცალკე თემაა. აქ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ თ. ქევხიშვილის გუნდი უფრო საკონცერ-ტო გამოსვლებისათვის იყო უკეთესი, ვიდრე ჩემს მიერ ზემოთ ჩამოყა-ლიბებული პრინციპებისა, რომლის ძირითადი ძარღვი რადიოში დაუნ-ჯებული „ოქროს ფონდის“ ხელახალი განახლება, მისი „ნოტებად ქცე-ვა“ და კრებულებად გამოცემა გახლდათ, ეს იდეა ეთნოგრაფიულ გუნ-დთან ერთად ჩაიკარგა დავინყებაში. ღმერთმა ქნას, კვლავაც გამოჩ-ნდნენ დასახულ ურთულეს, მაგრამ ფრიალ საჭირო გზაზე გავლის მო-მავალი მსურველები.

კინოფონდი და ფილმოთეკა

საქ. ტელერადიო კომიტეტის, კერძოდ ტელევიზიის მუსიკალური პროგრამების მთავარი რედაქცია გულგრილად გვერდს ვერ უვლიდა იმ ფაქტს, რომ რაც დრო გადიოდა, თვალნათლივ სჩანდა საჭიროება კინომუსიკალური ფონდის შექმნის აუცილებლობისა, ამ საქმის გადაჭრას კოლექტივი მხარს უჭერდა. ადრე აღვნიშნავდი: ტელევიზიის გარიჟრაჟზე იძულებული ვიყავით, მოსკოვთან მაკავშირებელი სარელეო ხაზის უქონლობის გამო, კინო ფართო ფირზე გადაგველო საკონცერტო მუსიკალური ნომრები. შავ-თეთრი გამოსახულების, აალებადი ფირი კარგა ხანია უკვე ხმარებაში აღარაა, მაგრამ მაინც ისტორიას შემორჩა მ.თარხნიშვილი „ძველი სოფლის სურათებით“, მისივე „დაიგვიანეს“, „ურმული“, დ.გამრეკელის, მ.ნაკაშიძის, მ. და პ.ამირანაშვილების, ლ.ჭყონიას, ძმები ერქომაიშვილების, ჰ.გონაშვილის, ლ.ისაკაძის, ელ.ვირსალაძის, ლ.გეგელიას, ციცინო ციციქიშვილისა და ეთერ გვაზავას დუეტი, ედიშერ მირიანაშვილის, ბ.კრავეიშვილის, ს.თორელის, ო.თაქათაიშვილის ოპ. „ჯილდოს“ და სხვ. კინოფირები. ასევე ითქმის „შრომისა და სიმღერის ადამიანები“ (ავტორ. ლაფაური) სოფ. შემოქმედი, „კოლხური სუიტა“, „საქართველოს შრომის სიმღერები“, (სცენ. ავტ. ს.ლაფაური, რეჟ. მ. ჭიაურელი). რაც ნლები გავა, ამ კადრებს ძებნას დაუნყებენ მომავალი თაობები. ბოლოს და ბოლოს შეიქმნა ჯერ ტელესტუდიასთან არსებული ტელეფილმები, შემდეგ კი კომიტეტთან დაქვემდებარებული „ტელეფილმების სტუდია“, თავისი დირექციით, ბულალტერიით და ა.შ. მის სტრუქტურაში გაჩნდა მუსიკალური განყოფილებაც, მაგრამ იმის გამო, რომ საკონცერტო პროგრამების გადაღება უფრო რთული გახლდათ და მატერიალური ანაზღაურება სასაცილოდ მინიმუმი, ნორმალური რეჟისორი, ოპერატორი ხალისით არ ეკიდებოდა საკონცერტო პროგრამებზე მუშაობას.

„კოლხურ სუიტაში“ - შემორჩენილი აკაკი ხარებავა რად უღირს იხილოს და უსმინოს მომავალმა თაობამ?! „შრომის სიმღერებში“ გადაღებული ართანელი ჩახუტამვილები, სიმამვილები, გურული“ ელესას“ მთქმელები და სხვ. მრავალნი დღეს აღარ არიან. მათი ხმა გამოსახულება მხოლოდ კინოფირზე შემორჩა შთამომავლობას. ამდენად,



დღესაც მიმჩნია, ტელეფილმებს მეტი უნდა ემუშავათ მუსიკალური თუ თეატრალური სპექტაკლების ფიქსირებაზე, ცალკეული შემსრულებლების გადაღებაზე. ისინი ათეული ნლების შემდეგ შეიძენდნენ მეტ ღირებულებას. თავის დროზე ჩემთვის რომ ყური დაეგდოთ, დღეს ფილმსაცავში დაუნჯებული იქნებოდა „ზურაბ ანჯაფარიძე“, სხვა მომღერალ-მუსიკოსების ხელოვნება. მოგვიანებით ტელეფილმებში შეიქმნა მუსიკალური განყოფილება. აქ მუშაობდა მარლენ კიტია. შემდგომ კი მას სათავეში ჩაუდგა მუსიკისმცოდნე მანანა შვეარდნაძე. მან ენერგიულად მოჰკიდა ხელი მუსიკალური ფილმების შექმნას (მღერის ცისანა ტატიშვილი, ლამარა ყონია, მედეა ამირანაშვილი და ა.შ.).

განსაკუთრებული პრობლემების წინაშე ვიდეო ვიდეო ფონდის შექმნის გზაზე. უდიდესი შრომის ფასად შექმნილი მუსიკალური პროგრამა, რომელიც ჩვენს კომიტეტშიც და საზოგადოებაშიც ფართე აღიარებას ჰპოვებდა რედაქციის დაუკითხავად იშლებოდა. იშლებოდა „კასეტები“, რომლებზეც საწნუხაროდ, ვილაცა ჩინოვნიკის საუბარი ინერებოდა ერთჯერადი გადაცემისთვის. ასე წაიშალა ქუთაისისა და თბილისის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრებში, საკონცერტო დარბაზებში ჩაენრილი უნიკალური საოპერო, საკონცერტო სპექტაკლები შ.მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა“, დ.თორაძის „ჩრდილოეთის პატარაძალი“, ა.კერესელიძის „ბაში აჩუკი“, რ.ლალიძის „ლელა“, ვ.აზარაშვილის, შ.დავითაშვილის, ა.ბალანჩივაძის ბალეტები და ა.შ. მათი ნაშლით სამუდამოდ დაიკარგა იმ პერიოდის არამარტო ოპერები და ბალეტები, არამედ საერთოდ მუსიკალური ხელოვნება, გამოჩენილ შემსრულებელთა შემოქმედება, რეჟისორების, დირიჟორების ნაფიქრნაღვანი. მომავალ თაობას დ.გამრეკელისა და სხვათა ხელოვნება – ვ.სარაჯიშვილისა არ იყოს დარჩათ მხოლოდ ფირფიტებზე ხმის ჩანაწერები. ეს ჩვენი თაობის მოღვაწეთა მხრივ უდიდესი უპასუხისმგებლობის, გონგაუჭერტაობის სავალალო შედეგია. „სტუდიაში დავით გამრეკელი“, საუბრობდა გულლიად, გახსნილად თავის წარსულზე. მის მიერ შესრულდა ათზე მეტი არია, რომანსი და... გადაცემის მეორე დღესვე წაიშალა. ჩემი აღმფოთება აღმფოთებად დარჩა. ერთ კვირაში ეს დიდი მომღერალი გარდაიცვალა. რა ვიცოდით თუ მისი ტელევიზიაში სტუმრობა „გედის სიმღერა“ იქნებოდა.

ვიცი, ბევრს მწვავედ, ტელევიზიის შიდა სამზარეულოში ჩაუხედავი გარედან მოსული ადამიანივით ვსაუბრობ, მაგრამ ფაქტია, რომ მეტი სიფრთხილე, წინგახედულება გემართებდა ყველას ვისაც ვიდეო ფირების ნაშლის ბედ-იბაძალი ებარა. აქედან მით უფრო გვიჭირდა რედაქციებს ვიდეო ფირის მოპოვების საშუალება. პროგრამების დირექტორს, კერძოდ, ლ.ყუბანიევილი, მარინა კაპუსტინა, რუსიკო კუხაშვილი, მანანა ჯაკობია. ბევრს ცდილობდნენ ვიდეო ფირი გამოეყო რე-

დაქციისათვის, მაგრამ ეს ყველაფერი ზღვაში ნეთის ჩაგდებას ჰგავდა. სამაგიეროდ ამ მხრივ დიდი შეღავათი იყო, როდესაც ჩვენმა რედაქციამ მოსკოვში, ცენტრალურ ტელევიზიაში „დამეგობრა“ პიროვნება, რომელიც ჩვენებურ ჭაჭის არაყზე გვიცვლიდა ნახმარს, მაგრამ მაინც, ჩვენთვის ესოდენ საჭირო ვიდეოკასეტებზე. ეს „შენაენი“ ვიდეოფირები მოსკოვიდან ცარიელი როდი მოგვექონდა. ზემოთ არაერთგზის თხრობისა, აქ კვლავ ვიმეორებ: მაღლიანი „ჭაჭის“ ნყალობით მოსკოვის ცენტრალური სააპარატოს ღამის ცვლაში ისეთ უნიკალურ უცხოურ შოუ-ჯაზ-კონცერტებსა და კლასიკის ისეთ საღამოებს გვინერდნენ, რომელსაც თვით ცენტრალური ტელევიზია ეთერში ვერ გადასცემდა, ამ პროგრამების მათ მიერ სათანადო შეუსყიდობის გამო. ასე გადაიცემოდა ჩვენთან გახმაურებული გადაცემები „ესტრადა და თანამედროვეობა“, „მსოფლიოში პიანიზმის ცოცხალი ლეგენდა – უკრაინის გოროვიცი“, „მსოფლიოს ხელოვნების ვარსკვლავები“ და მრავალი სხვა. ცხადია, ყოველივე ამის შესახებ ტელემედიუმებზე არაფერი იცოდნენ. გზად გზა მრავალგზის ვახსენებ ჩვენი კრიტიკული გამოსვლების ქმედითობის შესახებაც. სათქმელი კვლავ ბევრი დამჩნა. მოგიტორობთ ზოგიერთ ფაქტზე. ერთხელ ჩემს ახლობელ ელგუჯა და მიჩიან ხუციშვილთან გორში ყოფნისას, ქალაქში გავიარეთ. ლიანვის ხიდის გადაღმა ახალი, ვეება ტერიტორიაზე დიდი ხნით ადრე დაწყებული მშენებლობის ბალავარი შევნიშნე. გორს, „ქართლის გულს“ კულტურის სასახლე კი არა სახლიც არ ჰქონდა და ვიკითხე „აღბათ ვილაცას მოაგონდა გორი და კულტურის სასახლეს აშენებს აქო. მასპინძლებმა დამიმონმეს ნათქვამი და დაამატეს: „აშენებენ კი არა, აშენებდნენ“. ამასობაში ახლოსაც მივედი. ბალავარს შიდა მხრით უკვე მაყვლის ბარდები მოსდებოდა. საძირკველში ჩაყრილი ათასები ნვიძასა და ქარს მიჰქონდა. უკვე იშლებოდა კედლები. მივაკითხე მახლობლად გორის ცნობილ „ბამბეულის კომბინატს“. ხელმძღვანელობამ ამიხსნა: „იმის გამო, რომ ბამბეულის კომბინატსა და საერთოდ, ი.ბ.სტალინის სამშობლო გორს კულტურის სახლიც არა გვაქვს, სად, რომელ პლენუმზე თუ პარტიულ ყრილობაზე არ დავაყენეთ საკითხი, ეგება დაგვეწყობა მშენებლობა. დაპირებები, დაპირებებად გვრჩება“. ვიკითხე, თუ ჰყავდათ მხატვრული თვითმოქმედება. დასტურად გამაცნეს ქორეოგრაფი, რომელმაც მაჩვენა კლუბად წოდებული, სახელდახელოდ ნაგები შენობა. დაბალჭერიანი კედლები დახეთქილი, ამოცვენილი მოზაიკის იატაკითა და ა.შ. მისი ნახვის შემდეგ სიცილი კი არა ტირილი მოგინდებოდა ადამიანს. თურმე იგი ბამბეულის კომბინატის მშენებლობის დროს სახელდახელოდ აგებული მუშათა სასაბინო ყოფილა.

მალე გორში დავბრუნდი უკვე კინოოპერატორით. იმ დანგრეულ იატაკიან „კლუბ-საოცრების“ წინა ფასადთან დაყრილ ნაგვის გროვე-

ბის ფონზე გადავიღე მშვენიერი ცეკვები, სიმღერები. მხატვრული შესრულების ფონზე აღიბეჭდა უკვე ნანგრევებად გადაქცეული ახალი კულტურის სასახლის დაწყებული საძირკვლის კედლები. ეკრანზე აღვებეჭდეთ „გორმშენის“ ინჟინრები, რომლებმაც ყოველგვარი პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის გარეშე, წლის მიწურულს, ე.წ. ბიუჯეტში ასათვისებელი დიდი თანხის „დაკარგვის“ შიშით დაინყეს მშენებლობა, „აითვისეს“ – ვიდრემდე ეყოთ თანხა და მიატოვეს.

ყოველივე ზემოთ თქმული, კომბინატის თვითმოქმედების კონცერტის ფონზე, კიდევ უფრო მძაფრ ფერებში დავხატეთ და ვთქვიოთ სათქმელი. მეორე დილაა. ადრიაანად მივდივარ სამსახურში. კიბეებზე მხედება ბ-ნი კ.გარდაფხაძე და მსაყვედურობს: „რა გადაეცი გორზე კრიტიკული, საქ. ცეკას პირველ მდივანს ვ.მჭავანაძეს უყურებია მისთვის. აღშფოთებულია. მთხოვს გადაცემის ტექსტის მიტანას „მეც მივართვი ტექსტი. ბ-ნ კარლომ იგი წაიღო ცეკაში. ველოდი. მაინტერესებდა რა ამბავს მოიტანდა. დაბრუნებისას კარგ ხასიათზე დამხვდა, აღარ იყო შეშინებული. მითხრა: „ვასილ პავლოვიჩმა“ მაგრად შეახურა გორელი მშენებლები. ერთი წლის ვადაში მოვიკითხავ კულტურის სასახლეს გორში და ვაი, თქვენი ბრალიო. ჩვენ კი გვიოხრა: „ასე უნდა გამოაფხიზლოთ მძინარეებიო“.

გავიდა ორიოდ წელი. გორის საქალაქო კომიტეტიდან მივიღეთ მიწვევა ქ.გორში კულტურის სასახლის გახსნის შესახებ. კინო გადაშლები ჯგუფით ვენვიეთ „ქართლის გულს“. ბაზალტში და მარმარილოში ჩასმული მშვენიერი სასახლე გადაიშალა ჩვენს წინაშე. გადავიღეთ გადასაღები, მათ შორის, სახელგანთქმული გორის მუსიკალური სასახლეების ქალთა გუნდი შალვა მოსიძის ხელმძღვანელობით, მამაკაცთა ანსამბლი, ცეკვები. მ.მცურავიშვილის ხელმძღვანელობით სხვა ანსამბლები. ერთი სიტყვით, გორის კულტურის სასახლის საზეიმო გახსნას არანაკლები ზეიმური ტელეგადაცემა მიუძღვენით, რითაც იქაურ მცხოვრებთა მაღლი და პატივისცემა დავიმსახურეთ.

შემდგომ წლებში არაერთხელ ვწვევივართ, უკვე მოძრავი სატელევიზიო სადგურით. მშვენიერი სასახლე ხელგამლით მასპინძლობდა კავშირის მასშტაბით აღიარებულ გორის ტრადიციულ საგუნდო მუსიკის ფესტივალებს. იმ ფესტივალების ყოველი დღის პროგრამები ფართო ადგილს პოულობდნენ ცისფერ ეკრანზე.

მუსიკალური პროგრამების რედაქციაში რეჟისორად ახალი დაწყებული ჰქონდა მუშაობა თამაზ ელიავას. მას ერთხანს ჭიათურის თეატრში ემუშავა. იქვე შეექმნა მშვენიერი ოჯახი ქალაქის „მანგანუმ ტრესტის“ მართველის ქალიშვილთან ერთად. ერთხელ მკითხა თუ ვიცნობდი კარგად ზემო იმერეთს. ვიცნობდი მხოლოდ ცენტრ – ქალაქს. კინო-გადაძმლები ჯგუფით წავედით. სამწუხაროდ, თამაზის მეუღლის

მამა ადრე გარდაცვლილიყო ერთსართულიან მშვენიერ სახლ-კარს ჯერ კიდევ ეტყობოდა მეოჯახის მზრუნველი ხელი. ჩვენ იქ დავბინავდით. საქართველოში ისიც იმერეთში, მასპინძლის სიტობის ვინ არ იგრძნობს. ჩვენც მოჭარბებულად გვექონდა ოჯახის დიასახლისის, თამაზის მეუღლის ქ-ნ ინგას და მისი დედის ყურადღება.

მაღე გავედით სოფლებში. სხვებთან ერთად მოვიხანხლეთ ხრეითი, რგანი. ეს უღამაზესი სოფლებია, უფრო მეტად, უღამაზესი სულის ადამიანებით დასახლებული. იქ მოვისმინე უნიკალური ძველი ხალხური სიმღერები, რომლებიც თითქმის არც ერთ ოლიმპიადაზე არ მომისმენია. სამნუხაროდ არც ერთ ამ სოფელში კულტურის სახლს ვინ ჩივის, კლუბიც კი არ იყო, რათა ხანდაზმული მომღერლების ხმა ჩაგვეწერა. სამაგიეროდ, უხვად ვხედავდით ღია წესით გადათხრილ თუ დახურულ მალაროებს, რომელთაც უხეში ექსპლოატაციის ხელი ემჩნეოდათ. მანგანუმის მომპოვებლები არას დაგიდევდნენ მადნის ამოღების შემდეგ მათთვის დაკისრებულ ვალდებულებას, მინის ალდგენითი სამუშაოების შესახებ. მათ ვალდებულებებში შედიოდა აგრეთვე სოფლის კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების აშენება. მსგავსი კი არაფერი ხდებოდა. რგანში ვიხილეთ ერთი პატარა ფიცრული, თურმე კლუბს ეძახდნენ. მასში ხომ თავით კულსაც ვერ მოიქნევა. ყოველივე ამის შესახებ კარგი ალიყური მიჯარათები მადნეულელებს ტელეეკრანიდან. თურმე საქმის გაკეთება შეეძლოთ. ორი წელი არ დასჭირვებიათ რგანში მშვენიერი კულტურის სასახლის ასაშენებლად.

თეთრინყაროს რაიონის ავკარგ ზე ადრე ვრცლად ვისაუბრეთ და აქ თავს აღარ შეგანყენთ. ერთი კი მინდა კვლავ შევახსენო თეთრინყაროელებს – თუ მათი რაიონის ცენტრში დღეს მხარგაშლილი დგას კულტურის სასახლე, სამადლობელი ცისფერ ეკრანს უნდა უთხრან.

1979 წ. შეიქმნა ტელევიზიის ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქცია. მანამდე ხალხური მუსიკის გადაცემებს ჩვენთან ერთად მუსიკალური გადაცემების მთავარ რედაქციაში ნარმართავდნენ რედაქტორი ომარ ჩიტაია, რეჟ. ვ.გელაშვილი. შემდგომ ომარ ჩიტაია, რომელმაც სხვაგან არჩია გადასვლა, შესცვალა კომიტეტის სიმფონიური ორკესტრის მსახიობმა გოგი კრანაშვილმა. ეს იყო ბირთვი, რომელიც ყოველ პარასკევს ტელემაყურებლებს საინტერესო კოლექტივებს წარუდგენდნენ. ჩემთან ერთად მათ დიდი ტვირთი ასნიეს ხალხური შემოქმედების პირველი სატელევიზიო ფესტივალის წარმატებით ჩატარებისათვის. ზონალურ ფესტივალებში თითქმის მუდმივი წამყვანები იყვნენ დონარა კინწურაშვილი, ომარ ტივაძე.

გარეჯობა

უამრავი მასალა ჩემს არქივში გარეჯობის სახალხო დღესასწაულის შესახებ. ღირს ამ დღესასწაულების ცალკე წიგნად აკინძვა. ალბათ სხვები ითავებენ ამ პატრიოტულ საქმეს. მე კი ორიოდ სიტყვით გავყვები უდაბნოს ბილიკებს, რომლითაც ვიარე გარეჯის მონასტრებში, ვხედავდი, როგორ ილუპებოდა მამა-პაპათაგან, „წმინდა მამათაგან“ ოფლით ნაგები, ხმლით დალენილი მათი სიცოცხლის ფასად ჩვენამდე შემონახული, კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ნაგებობები. ამ უნიკალურ ძეგლებს დღითიდღე აკლდებოდა გამოქვაბულები, ნაგებობანი და ვეება სახლისხელა კლდის ლოდები, მათზე აღბეჭდილი ფერშეუცვლელი ფრესკებით დაბლა მიექანებოდნენ ფერდობებზე. ეს მე-20 საუკუნის ბარბაროსობა იყო. ამ ველურობას სჩადიოდნენ რუსი გენერლები თავიანთი შოვინისტური და უვიცი ხელქვეითებით. მათ მიერ სამხედრო პოლიგონად დაპყრობილ საქართველოს ამ ისტორიულ მხარეს, არად დაგიდევდნენ. პირდაპირი დამიზნებით ამსხვრევდნენ გამოქვაბულებს. მთავრობა დუმდა. ისეე ახალგაზრდობამ აღიმალლა ხმა XX-საუკუნის რუსი ბარბაროსების წინააღმდეგ. საქ. ტელერადიო კომიტეტში მოჰქონდათ აუფეთქებელი თუ აფეთქებული ყუმბარის ნამსხვრევები. საზოგადოებრივმა აზრმა თავისი გაიტანა. ხალხმრავალმა ჯგუფებმა იწყეს სელა უდაბნოსაკენ. მთავრობამ მიზანშეწონილად ჩათვალა ეროვნული ახალგაზრდობისათვის ხელიდან წაეგლიჯა ინიციატივა და თავდაცვ განძირა ხელი. დაიწყო დიდი ძალისხმევა უდაბნოში რუს გენერალთა თავნებობის აღსაკვეთად. „ზოგი ჭირი მარგებელიაო“ – უთქვამთ ბრძენ ადამიანებს. დაიწყო თანდათან შევიწროვება „პოლიგონისა“. ამ ბრძოლამ მრავალი პიროვნება წარმოაჩინა. ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან უდაბნოს გაადამიანურობისათვის ბრძოლაში სხვებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ქ-ნმა მ.მეზვრიშვილმაც შეასრულა. მან დიდი ენერგია შეაღია უდაბნოში სოფლის დამკვიდრებას, სასმელი და სარწყავი წლით ხრიოკი მინების „დაპურებას“. მისი დაულალავი მოძრაობით, (გვერდში ამოიყენა ვისაც რისი გაკეთება შეეძლო) 1975 წელს დაიწყო „გარეჯობის“ სახ. დღესასწაულისათვის მზადება.

„წარმოიდგინეთ, რომ რომელიმე ერს არა აქვს ისტორია, მივცეთ გარეჯი და ბრწყინვალე ისტორია ექნება“ – აღნიშნავდა ერის პატრიოტი და მამულიშვილი აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი.

„ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია ის პერიოდი, როდესაც „გარეჯობაში“ ჩავერთე და მისი მუსიკალური გაფორმება დამევეალა.

ერთხელ, მეცხრე „გარეჯობიდან“ ვბრუნდებოდით. საგარეჯოს რაიკომის პირველმა მდივანმა მედგა მეზვრიშვილმა გზაში მითხრა. „გაისად საიუბილეო „გარეჯობისა“ და სოფ. უდაბნოს დამკვიდრების საიუბილეო მეათე წელი სრულდება. სოლომონ, მჯერა რაიმე კარგს მოიფიქრებ, მომანოდე იდეა და აქედანვე შევუდგები თადარიგს“. პასუხისათვის დიდხანს არ მიფიქრია. მიემართე, რომ სოფ. უდაბნოს, გარეჯობის დღესასწაულის ათი წლის იუბილეს ემთხვევა დიდი დავით აღმაშენებლის ძის დემეტრეს მიერ უკვდავი „შენ ხარ ვენახის“ ლავრაში შექმნის 800 წლისთავი. განა დიდი ეფექტი არ იქნება ამ სამი თარიღის აღსანიშნავად „შენ ხარ ვენახი“ შეისწავლონ უდაბნოს სკოლის ბავშვებმა და ზეიმში მიიღონ მონაწილეობა?! მედ. მეზვრიშვილს მოეწონა იდეა. მაგრამ, დასძინა: „ვის მირჩევ ამ საქმეს რომ ხელი მოჰკიდოს. გაგვატყავებს, ძვირს მოგვთხოვს. მთელი წელი უდაბნოში ვინ ივლის, აქაურ ბავშვებთან ამ სიმღერის მომზადება ძალიან ძნელი იქნებაო“. მართლაც და ვინ ივლიდა თბილისიდან უდაბნოში კვირაში ორჯერ, თუნდაც ერთხელ?! თანაც მ.მეზვრიშვილმა დასძინა, რომ „გარეჯობის“ მონყობის საქმეს, ზღვა ხალხის დაპურებას იმდენი თანხა სჭირდება, რაიონი გალატაკდაო. ბევრი არ მიფიქრია. შევთავაზე მხოლოდ ჩემი თავი, ჩემი მოღვაწეობის მანძილზე არაერთი საშუალო საქმე მიკეთებია, ათობით დღესასწაული მომიწყვია, არსად თანხა არ მომითხოვია. მაგალითად თვით ტელე-რადიო კომიტეტში ჩემს მიერ საზოგადოებრივ სანყისებზე ორგანიზებული შესანიშნავი ეთნოგრაფიული გუნდის არსებობაც არ იკმარებდა?! მ.მეზვრიშვილს გაუხარდა, შემპირდა, რომ ყოველ ოთხშაბათსა და შაბათ დღილით მოვიდოდა ჩემს ნასაყვანად ტრანსპორტი. ასე დავიწყე სოფ. უდაბნოს სკოლაში ბავშვთა გუნდის შექმნა.

ბავშვებს პირველად ძალიან უჭირდათ. თქვენ თავად განსაჯეთ რა კონტიგენტი უნდა დასახლებულიყო სოფ. უდაბნო, აქედან რა დონის კულტურის მატარებლები იქნებოდნენ პატარები?! მაგრამ უკან არ დამიხვეია: „დიდი შრომა, დიდი რუდუნება დამჭირდა უდაბნოელი „პატარა ველურები“ (მოგვიანებით მათ ასე ვეძახდი) სამხმოვანებას ცალკე-ცალკე, ანუ თავთავის პარტიას რომ დეუფლებოდნენ. სამივე ხმებს თითქმის გავაზეპირებინებდი, შევაერთებდი მათ და ყველა ერთ რომელიმე ხმაზე ერთვებოდნენ. ზოგჯერ თითქმის გულიც მიცრუვ-

დებოდა. ერთხელ უდაბნოში გამომყვა ჩემი უმცროსი მეგობარი, ნიჭიერი მუსიკოსი, კომპოზიტორი ბადრი ტულუში. გუნდი გავამღერე, შეუდღე ქი ვცადე სამ ხმად შეერთება. არ ვიცრა მოხდა. წინა მეცადინეობაზე ბავშვებს ვუთხარი: „თუ მომავალშიც სამ ხმაში სიმღერას ველარ შესძლებთ, ალბათ მიგატოვებთ-მეთქი“. შეიძლება ამ ნათქვამმა დაძაბა მათი ყურადღება. „შენ ხარ ვენახი“ სამ იმაში აუღერდა. ბადრი ტულუში გაოცდა, „რამდენი რამ გაგიკეთებია. ამითან ქი არა, სპეციალურად შერჩეული ხმის ქალაქელ ბავშვებთან, ასეთ მოკლე დროში, ძალიან გამიჭირდებოდაო“. როცა „პატარა ველურებს“ მოვეფერე, ნახეთ ბიძია ბადრიმ რა თქვა?! ქალაქელ ბავშვებსაც უჭირთო. ე.ი. თქვენ მათზე მეტი გაგიკეთებიათ, ყოჩაღო „ბაჭიებო“... უნდა გენახათ მათი სახეები, ენით აუნერგელი სიხარული. ბოლოს და ბოლოს დავძლიეთ მთავარი, სამ ხმაში სიმღერის ბარიერი. ეხლა უკვე წინ წავიდოდით, ვიმუშაებდით სხვა სიმღერებზე, უკვე შესწავლილს მხატვრული ნიუანსებით დავხვედით და ა.შ.

ჩემი უდაბნოელ ბავშვებთან მუშაობა არ შემომიფარგლავს მხოლოდ სიმღერის სწავლებით. მათ ბევრ რამეს ვუყვებოდი ხელოვნების ისტორიიდან, გამორჩენილი მუსიკოსების ცხოვრებიდან. ისინი თანდათან ჩამოყალიბდნენ, ისწავლეს თავის მოვლა, მეცადინეობაზე სუფთად სიარული. ისინი გარეგნობით უკვე გამოირჩეოდნენ სკოლის სხვა ბავშვებისაგან.

უდაბნოში ჩემი მიმოსვლისათვის საკუთარი, მოძველებული „ნოლ ერთით“ დადიოდა ახალგაზრდა 30-იოდე წლის თემურ აროშვილი. იგი აღმოჩნდა უაღრესად ნიჭიერი პიროვნება. კარგად ფლობდა ქართულ ხალხურ საკრავებს და თავადვე ამზადებდა მათ. ეს რომ გავიგე, თემურის მეფთავაზე ცალკე შეექმნა ქართული ხალხური საკრავების ორკესტრი. მან მალე შესძლო უდაბნოელ ბავშვებში ფანდურის, სალამურის აუღერება. ეს უკვე სამომავლოდ დიდი საქმის სანინდარი იყო. სოფელი უდაბნო არ იქნებოდა „დამუნჯებული“. ბინებიდან უკვე გაიგონებდით სიმღერის, ხალხური საკრავების ხმას, ეს უკვე სულის გამარჯვება, უდაბნოში ქართული კულტურის სულიერი აღზევებაც ზეიმობდა.

თ.აროშვილმა საგარეჯოში, თავის ახალშენ ოჯახში, პატარა თვითნაკეთი, ოთხთვლიანი ტრაქტორი მაჩვენა, მას შეეძლო თხუთმეტი ოპერაციის გაკეთება, თვით ექსკავატორისაც ქი. მას ისე ჰქონდა შუაღერძული მობილური, რომ შეეძლო ელექტრობოდის გარშემო ათი-თხუთმეტი სანტიმეტრი მოეხნა, დაეკულტივატორებინა, შეენამლა ვენახი, გაეთიბა, მინა მოესწორებინა და ა.შ. გამაოცა მისმა კონსტრუქციის უბრალოებამ, მშვენივრად მორგებულ საჭესთან მჯდომს შეეგძლო ძირს გადმოოქოლოდად რამდენიმე ოპერაციის გაკეთება. დღეს

გავრცელებულ „პერმის“ ხელის კულტივატორებს ყველა ვერ მართავს, უხეშია, მიბრუნ-მობრუნების დროს, გინგრევს მთელ მკლავებს, ორგანიზმს. მაშინ კი არც „პერმები“ იყო. თემურიმ ჩემს შეკითხვაზე – „რატომ ამის შესახებ არ აცნობებ სოფლტექნიკას ან ზემოთ“, მიპასუხა: ქუთაისში იმხელა ქარხანა დგას „ქუთათურა მანქანებს“ ბაზარი არა აქვს. ასეთი ტრაქტორების გამოშვებით დაისვენებს გლეხობა, სახელი გაუკეთდება რესპუბლიკის საქარბნო მრეწველობას“. თ.აროშვილმა გულისტყვილით მომიგო, რომ არ დაუტოვებია სოფლტექნიკა და სხვა წარმოებები, მაგრამ ყველგან მოსთხოვეს „წილი“, მოსთხოვეს თანაავტორობა: ისიც კი უთქვამთ: „თანხას შენ მოგცემთ, ავტორობაზე ხელი აიღეო“. ღმერთო, როდემდე უნდა ჩაიკლას ნიჭი სამთავრობო სტრუქტურებში მოკალათებული მაჯლაჯუნების, მექრთამეების ხელით?! შემეცოდა თემური. გამოვართვი ალბომები. მათში პატარა (სულ რაღაცა 2 მ. და 10 სმ. სიგრძის) „ემშაკი ტრაქტორის“ მუშაობაში გადაღებული სურათები იყო. ვთხოვე ბ-ნ ჯ.პატიაშვილს მიღება. იგი მაშინვე შედგა. ვაჩვენე ალბომები, აუხსენი სიტუაცია. მან ერთი „დაიგინა“ და თავისთან სასწრაფოდ იხმო ცეკას ტექნიკის განყოფილების გამგე ბასარია, ახალი ტექნიკის ათვისების სამმართველოს უფრ. ჭყონია. მალე მათთან გაიმართა მწვევე საუბარი ბ-ნ ჯუმბერიმ ბრძანა: „თქვე დალოცვილებო სოფლები თავზე გვექცევა ძვირად ღირებული დიდი ტექნიკის სათანადო რაოდენობის უქონლობით. ჩვენ იტალიაში, ჩინეთში, იაპონიაში დავეძებთ მიკრო-ტექნიკას შესაძენად, რათა გლეხობას შრომა გავუადვილოთ. მის შესაძენად ვალუტაა საჭირო. იგი ჩვენ არ გაგვანია. რუსეთი ამ ვალუტას არ იძლევა. ამ დროს აქ, ცხვირნინ, საგარეჯოში შექმნილია ასეთი მშვენიერი, მობილური, იაფად შესანახი, მცირე გაბარიტიანი ტრაქტორი, თქვენ კი გძინავთ“. მოწვეულმა „მოღვანეებმა“ მხრები აიჩჩეს, „არ ვიცოდითო!“ ბ-ნ ჯუმბერ პატიაშვილს კი ველარ ვკადრე ამეხადა ნილაბი უნიათობისა ზოგიერთი ვაიპატრიოტისათვის. ასე „შემოზიდეს“ „პერმები“ და სხვ. მიკროტრაქტორები, ეტყობა დიდი თანხა ტრიალებს შემოზიდულ საქონელში...

1976 წ. 16 მაისიდან მოყოლებული, თერთმეტჯერ ჩატარდა „გარეჯობა“. ყოველი წლის ზეიმს თავისი ქვესათაური ჰქონდა, იგი ეძღვნებოდა უდაბნოში სასმელი წყლის მოყვანას, სარწყავი არხის დამთავრებას, მესაქონლეობის კომპლექსის აშენებას და ა.შ.

მე კი განვაგრძობდი უდაბნოელ ბავშვებთან ინტენსიურ მუშაობას. რაიონმა უდაბნოელ ბავშვთა გუნდს შეუკარა ფორმები, ჩემი ვაჟის, მხატვარ გია ლაფაურის ესკიზების მიხედვით (ისიც უფასოდ). შინდისფერი კაბები, ახალუხები, პაჭიჭები თუშური სისადავით გამოირჩეოდა. უკვე ხუთი სიმღერა გვექონდა დამუშავებული. ბავშვები წა-

ვიყვანე თბილისში. რადიოში, ტელევიზიაში ჩავნერეთ სამი სიმღერა. დაავთვალეირებინე გადასაცემი თუ ჩამწერი სტუდიები, ვამოგზაურე ზოოპარკში. უმეტესმა მათგანმა თბილისი პირველად ნახა. კმაყოფილი ვიყავი მათი ქცევით. ისინი უკვე არ ჩამოუვარდებოდნენ „ქალაქელ“ თანატოლებს.

დადგა „გარეჯობის“ წინა დღე. უდაბნოში ვარ, ვაზუსტებ სიმღერის ნიუანსებს. ძირითადად აქცენტს ვუკეთებ ურთულეს „შენ ხარ ვენახს“. ისე, უკვე უჩემოდაც ართმევენ თავს „სულიკოს“, „ცანგალა და გოგონას“. მოულოდნელად სამეცადინო ოთახის კარი შემომიღო სკოლის დირექტორმა, მან იცოდა, რომ მეცადინეობის დროს იქ ვინმეს შემოსვლა აკრძალული მქონდა. ბოდიშის მოხდით მაუნყა სტუმრების მოულოდნელი მოსვლა, უდაბნოს ახალი, თანამედროვე დარბაზებით აღჭურვილი მშვენიერი საჩუქარი – უნივერსალის გახსნა ელოდა. იგი წინასწარ დაავთვალეირეს საქ. ცეკას პირველმა მდ. ჯ. პატიამვილმა, მდივ. გ. ენუქიძემ და სხვებმა. სკოლა ახლოს იყო. მათ „შენ ხარ ვენახის“ გალობა გაუგიათ. უკითხავთ, სკოლაში ვინ გალობსო. მ. მეზერიშვილს ეთქვა სათქმელი და მაცნობებდა სტუმრები შენთანაც შემოვლენო. მალე მოვიდნენ. ბავშვები შეცბნენ. მათსა და არამართო მათ ფსიქოლოგიაში მოგეხსენებათ რა მნიშვნელობა ჰქონდა ცეკას მდივნის გამოჩენას. გუნდი დავამშვიდე, დავძაბე ყურადღებისაკენ და დარბაზში დაიღვრა ხმები. სტუმრებმა გაიგეს, რომ ამ საგალობელს აქ, ამ მონასტერში შექმნის 800 წელი წელს შეუსრულდა. ბავშვების მოსმენით კმაყოფილებმა მკითხეს, კიდევ თუ იციან რამეო. იმღერეს „სულიკო“, „ცანგალა და გოგონა“. ამ უკანასკნელს იწყებდა 9 წლის ბიჭუნა, შენგელი პაპუაშვილი. მშვენიერი ტკბილი ტემბრის ხმა ჰქონდა.

გ. ენუქიძემ შენიშნა: „შენ აღარ ხუმრობ, ასე თბილისის მრავალ სკოლაშიც ვერ მღერიანო“. ბავშვებს ძალიან გაუხარდათ შექება. მეორე დღეს, ჩიჩხატურის კომკთან, თეატრონზე, რომლის ფერდობებზე ასიათასზე მეტი მსმენელი იყო შეფენილი, საზეიმო კონცერტი სწორედ უდაბნოელმა პატარებმა გახსნეს. მსმენელს ეუნყა, როდის, რატომ შეიქმნა ეს გუნდი. კონცერტს ესწრებოდა მოსკოვიდან სენკევიჩის ჯგუფი. სიმღერის დამთავრებისთანავე ჩემთან მოვიდა ცენტრალური ტელევიზიის წარმომადგენელი და მთხოვა „შენ ხარ ვენახი“ გვემღერა დავითის ლავრის იმ ქვაბულ დარბაზში, სადაც დაიბადა იგი. ჩვენ ერთად გავეშურეთ. იქ მართლაც უნიკალური აკუსტიკა იყო პატარა ნამღერების შემდეგ მოენყო სინქრონული გადაღება. მოგვიანებით, სიმღერა უდაბნოელ ბავშვთა ანსამბლის შესრულებით მოსკოვიდან სამჯერ გადაიცა სენკევიჩის „გეოგრაფიულ მოგზაურობაში“. ზეიმის დამთავრების შემდეგ უდაბნოში ველარ მივიდოდი. თქმა არ უნდა, გუ-

ლი მწყდებოდა, მაგრამ არც ჯანმრთელობა მინყოდა ხელს, 9 თვის მანძილზე, ზამთრის უდაბნოს ქარბუქშიც კი გვიხდებოდა ნამქერის გარღვევა. ჩემს თავს თავი რომ გავანებოთ, თემურ აროშვილი ნამდვილად მეცოდებოდა. კეთილ, თავმდაბალ, ღარიბ, წვრილშვილიანი ოჯახის მამას, ხშირად ბენზინსაც არ უსხამდნენ.

ტელევიზიაში არაერთხელ ჩამომაკითხეს უდაბნოელმა პატარებმა, მათმა მშობლებმა, რათა დავბრუნებოდი გუნდის მეცადინეობას. ზემოთაც ვახსენე და ვიმეორებ, იმ ბაშეებში შენგელი პაპუაშვილი, მისი და მზია საინგილოდან გადმოსახლებული ოჯახის შვილები იყვნენ. ჰქონდათ სუფთა სმენა, წკრიალა ხმა. შენგელი სათანადო დამუშავების შემდეგ, უთუოდ კარგი მომავლის მომღერალი გაიზრდებოდა.

საიუბილეო „გარეჯობის“ ეთერში გასვლას უმტკივნეულოდ მაინც არ ჩაუვლია. რუს გენერალთა მოთხოვნით, სამხედრო „ცენზურას“ მიზანშეწონილად არ მიუჩნევია ვერტმფრენის საშუალებით, ზევიდან გადაღებული კადრების ეთერში გაშვება. სხვათა შორის, ასევე გაგვიძალღეს ეთერში გადაცემა „მუსიკალური აჭარის“ შესახებ, რომლის ცალკეული მუსიკალური ნომერი გადაღებული იყო ბათუმის სკვერებში, ზღვისპირზე და ა.შ. ამ შემთხვევაშიც „კებეს“ წარმომადგენლის, ანუ II ნან. უფროსის მ.ხანუკაევის მიერ ატეხილი „განგაში“ უმაღ ჩააქრო ამ ფაქტის გახმაურებამ ზემდგომ ორგანოებში. „წერილფეხა“ ჩინოვნიკები უფრო გვიმლიდნენ ხელს კარიერის მაძიებლობით. საიუბილეო გარეჯობა მაყურებელთა თხოვნით რამდენჯერმე გამეორდა ეთერში.

თბილისობა

სახალხო დღესასწაულებს შორის ასევე პოპულარული გახდა „თბილისობა“. ვინც დასწრებია ამ სახალხო დღესასწაულს, დაგვეთანხმება, ქალაქის უკიდევანო სივრცეში, მის სკვერებში გაბნეულ კონცერტებს ვერც ყველა მსურველი ესწრებოდა, ვერც ტელევიზია აუდიოდა ყველაფრის გადალებას. ერთადერთი რიყე იყო, სადაც ძირითადი ზეიმი იმართებოდა და იქაც მოუხერხებელი გახლდათ დიდხანს დგომა დასაჯდომი ადგილების უქონლობის გამო. ამიტომ ხალხური შემოქმედების მთავარმა რედაქციამ სიამოვნებით მიიღო წინადადება კუს ტბის ტერიტორიაზე მდებარე, ღია ცის მუზეუმში ტრადიციულად დავმკვიდრებულიყავით. მშვენიერი თეატრონი, ფერდობზე შეფენილი ოდა-სახლები, რომელთაც მომლერალ-მოცეკვავეთათვის ჩინებული სამასპინძლო ბინები იყო, კარგ საშუალებას გვაძლევდა მშვიდ ატმოსფეროში გვემუშავა. კუს ტბის, ანუ ღია ცის ქვეშ მუზეუმის ტერიტორიაზე ტრადიციულად მონანილებოდნენ დუშეთის, ახმეტის, ჩოხატაურის რაიონები. იქვე ჩადგმული იყო ქართული თონე, მომსვლელთათვის ცხეებოდა დედას პურები, იხარშებოდა ხინკალი, შიშხინებდა მწვადები, იყო ყველანაირი მომარაგება ქალაქვაჭრობის მხრიდან და იყო მთავარი სუფთა ჰაერი. მშვენიერად მოძრაობდა ტრანსპორტი, კუს ტბის საბაგირო გზა... წამყვანი, ჩვენი საყვარელი ვახუშტი კოტეტიშვილი ჩვეული სილალით წარმართავდა ჩამოსულ სახალხო მთქმელებთან ურთიერთობას, შიგადაშიგ ჩაბნეულ მუსიკალურ ნომრებს წარადგენდა დიქტორი დონარა კინწურაშვილი.

პირველივე „თბილისობის“ შემდეგ, ხალხური ყოფისა და ეთნოგრაფიულ მუზეუმში სისტემატურად ესწრებოდნენ აკად. გიორგი ჩიტაია, მწერალი ნოდარ დუმბაძე, მრავლად მრავალი ინტელიგენცია. გვესწრებოდა უამრავი უცხო სტუმარი, ტურისტები. იყო მათთან გასაუბრება, ზოგჯერ სცენიდან მათ მიერ სიტყვის წარმოთქმაც. აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ტურისტები გერმანიიდან, ჩეხეთიდან, პოლონეთიდან სხვ. ქვეყნებიდან. მათ ანცვიფრებდათ ქართული ფოლკლორის სიდიადე. იქ ხომ მხოლოდ კონცერტი არ იმართებოდა? იყო ხელგარჯილობის, თონეში დედას პუ-

რების ცხოვრების, საოჯახო ნივთების დემონსტრირება. ეს ყოველივე უდიდეს შთაბეჭდილებას აცდენდა სტუმრებზე.

„თბილისობის“ დროს მუზეუმი ცოცხლობდა. თავის დანიშნულებას იძენდა. მუზეუმიც იღებდა შემოსავალს, ქალაქ-ვაჭრობაც.

ამდენად, კუს ტბის სახალხო დღესასწაულებმა ბევრი ზემდგომი პარტიული მუშაკიც დააფიქრა ნლიდან-ნლამდე ღია მუზეუმის უმოქმედობის, იქ საეჭვო პირთა მიერ არაჯანსაღი კლიმატის შექმნის გამო. როგორც ჩვენთვის ცნობილი იყო ფერდობზე შეფენილი მესხური, გურული, მეგრული, იმერული, აჭარული, ქართლ-კახური ოდა-სახლები „ქირავდებოდა“ მავან-მავანზე, შეიქმნა ნარკომანთა ბუდე.

ერთხელ საქ. ცეკას მდივანთან, ქ-ნ ვიქტორია სირაძესთან საუბრისას აღვნიშნე, რომ კუს ტბის მუზეუმის გაცოცხლება შეიძლებოდა თუ ამ შესანიშნავ ობიექტს მეტ ყურადღებას დაუთმობდა ტურიზმის საბჭო, პროფკავშირები, მთაერობა. დავსვი საკითხი კვირაში ორჯერ შაბათ-კვირას მაინც (შეიძლებოდა ყოველ დღეც) საქართველოს ესა თუ ის რაიონი, სოფელი სწვეოდა თავისი კუთხის ოდა-სახლს, წარმოეჩინათ ეთნოგრაფია, ხელსაქმობა, კულინარია, ფოლკლორი. მათთან თანმოყოლილ რაივაჭრობის სპეციალურ ჯგუფს ევაჭრა მოსულ სტუმრებთან, დამსვენებლებად ამოსულ თბილისელებთან, სადილი გაენყოთ ტურისტებისათვის და ა.შ. ამ ღონისძიების გასატარებლად საჭირო იყო სულ ორიოდე კაცი, რომელიც დაეკისრებოდა მუზეუმის თანამშრომელს ან სპეციალურად დანიშნულ პასუხისმგებელ პირს. ამისათვის საჭირო გახდებოდა ზემდგომ ინსტანციებში დასაქმებულიყვნენ პირები, რომლებიც შეადგენდნენ გრაფიკს და მკაცრი მოთხოვნით დაიცავდნენ მის შესრულებას.

ეს აზრი ქ-ნ ვ.სირაძესა და ნ.გურგენიძეს გაეანდე ფილარმონიის დიდ დარბაზში ჩემს მიერ ორგანიზებულ „მესტიულის პოეზიის საღამოზე“. მაშინაც და შემდეგაც ჩემი მოსაზრებები ყველას მოსწონდა. ოღონდ, არც მათ მოწონებას ხედა განხორციელება...

ჭალის წისქვილი

შესაძლოა აქ მოსატანად არ გვეჩვენოს ეს პატარა ამბავი, რომელსაც მე ახლა მოგიყვებით. თუ ღრმად ჩაუკვირდებით, შენიშნავთ, რომ ამ სტრიქონების ავტორი ტელევიზიაში მარტო გადაცემების „საკუთებლად“ არ ვყოფილვარ. ხალხური ხელოვნების, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის სფეროში ბევრი ისეთი ნაბიჯიც გადამიდგავს, რომელსაც პირადად ჩემთვის მტრების მეტი არაფერი შეუძენია. მაგრამ, სიყრმიდანვე უპატიოსნესი, ნალდი ქართველი პაპების ს.იობაშვილის, შ.ლაფაურის სინდის-ნამუსის ზიარით გაზრდილს არასოდეს არ მიღალატია მათი ხსოვნა-ანდერძისათვის. ამიტომაც ხშირად, საკუთრივ კომიტეტშიც დამის გარეთაც პლენუმებზე სიტყვაში გამოსვლისას, პრესაში თუ სხვ. ვიყავი ჩემი მამულის ჭირ-ვარამის ამკრეფი. ვცდილობდი საზოგადოებისათვის მეჩვენებინა ვინ-ვინ იყო. ვისაც ჩემი ფელეტონები ნაუკითხია სატირულ იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგში“ დამიდასტურებს, რომ მათში კონკრეტული პირები იგულისხმებოდნენ.

„ჭალის წისქვილზე“, რომელიც ჩემს მშობლიურ სოფელში უკვე ნანგრევებად ქცეული 12-წისქვილიდან ეს ერთი აღვადგენინე, იქვე „ქვის სამტკრევი“ ალაზანმშენის სანარმოს უფრ. დემნა რჩეულიშვილსა და ინჟ. მამია მაჭავარიანს, ღირს ორიოდ სიტყვის თქმა.

საქმე შემდეგში ასე წარიმართა: ზემოთ დასახელებულმა პირებმა 1981 წელს აღადგინეს ნანგრევებად ქცეული ძველი, ორი დიდი თელიანი წისქვილი. სოფელშივე ვუშოვნე საქმეში ჩახედული მენისქვილე და დაიწყო სარეკლამო ლიკლიკი, ჩაიყარა ხვიშირებში წლის მოსავალი. ტელეეკრანზე გავაშუქე ეთნოგრაფიულ იმეიათობად გადაქცეული წისქვილი, გაზ. „სოფლის ცხოვრებაში“ გამოვაქვეყნე წერილი – „გაცოცხლებული წისქვილი“. რეკლამამ კარგი გზა გაუჟვალა სოფლის განაპირას მდინარე კისის ხეობაში, ვეება, ისტორიული ვერხვებით დაჩრდილულ წისქვილს. იწყო მახლობელი სოფლებიდან ხალხის მოსვლა. ზოგს საფეკვაი მიჰქონდა, ზოგს ექსკურსიაზე მიჰყავდა შვილები, შვილისშვილები, ასევე მიჰყავდათ ორგანიზებულად მის სანახავად მოსწავლეები.

არაერთი სტუმარი მიდიოდა, ვისაც „კოლორიტი“ უყვარდა ლუკმის გატეხვა. მათ შორის აღმოჩნდნენ რაიონის

პარტიული ხელმძღვანელები, მილიციის და ა.შ. წარმომადგენლები. რაიონის მაშინდელ პირველ მდივანს ალიკა კობაიძეს ისე გაუტყბა ნისქვილში მოღსენა, რომ „ობიექტი“ სოფლის ხალხის დაუკითხავად გადაეცა ინტურისტის ხელმძღვანელობას „მისი შემდგომი კომფორტის“ მოწყობისათვის.

ნისქვილს მიეძალნენ მშენებლები. დაიწყეს მისთვის სახის შეცვლა. მიაშენეს სამზარეულო, წინა ეზოში ააგეს ვეება სასადილო. მენისქვილემ მაცნობა – „გვიშველე, აქ ისეთ რესტორანს აშენებენ და იმდენ ლოთ ხულიგნებს შემოიკრებს, მახლობელ ბოსტნებში ქალი ველარ გაიჭაჭანებსო. ჩავედი სოფელში. გულს ელდა მეცა. სადღა იქნებოდა უბრალო, ძველებური ნისქვილი. ამის თაობაზე ველაპარაკე მდივანს, სხვა მის თანამშრომლებს. ამოოდ! არც იმან უშველა საქმეს, რომ მოვითხოვე საკითხის გადანყვეტამდე მშენებლებს ხელი აელოთ მუშაობაზე. მივმართე საქ.ცეკას | მდივანს ჯ.პატიაშვილს. „ხვალ იდეოლოგიური დარგის მუშაკთა პლენუმზე გამოდი, სამარცხვინო ფაქტიაო“.

გამოვედი პლენუმზე სიტყვით. მივმართე დამსწრე დარბაზს თხოვნით, დაესახელებინათ თუ გნებავთ ერთი პიროვნება, რომელიც რესტორანში აღიზარდა და საზოგადო მოღვაწე გახდა. ალიკა კობაიძეს განუზრახავს ძლივს აღდგენილი ნისქვილიც რესტორნად გადააქციოს, თითქო თელავს აკლდეს „შუამთის“, „ჩაძირულის“, „ცისკარას“, „ზუზუმბოს“, „წინანდლის“, „ალაზნის“ რესტორნებით გადაჭედილი ადგილები. დარბაზში ხარხარი ატყდა, იცინოდა ყველა ორი ალიკა კობაიძის და მარგალიტაშვილის გარდა.

მალე ჩხორონყუსი მომინია სამუშაოდ ჩასვლა. ჩემთან მოდის რაიკომის მე-3 მდივანი მოკოტი აფშილავე და მთხოვს ცოტა ხნით გავყვე. იქვე ღიმილით შემომეგება თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორი (სამწუხაროდ გვარი აღარ მახსოვს) და მიცხადებს სერიოზული ტონით – „თქვენ ჩემი ბიუჯეტი გაანიავეთ“. მე მივხვდი მისი ღიმილიანი სახიდან, ბოლოს სულ სხვას მეტყოდა. მდივანმა კი მას შენიშვნა მისცა, ლაფაური დიდ საქმეს გვიკეთებს, ჩვენს რაიონზე გადაცემას ამზადებს და ძალიან გთხოვთ თუ რაიმე განყენინათ სხვა დროისთვის გადადეთო“. პროფესორმა კი-დეე უფრო მეტად გაიღიმა, მოვიდა, შემომეხვია და მითხრა“. მთელი ჩემი დანაზოგა დაეხარჯე აქ სოფელში მამა-პაპისეული ღირსილიტა ნისქვილის განახლებისათვის. თქვენმა გადაცემამ ძალიან იმოქმედა. ჩამოვედი და მთელი შეებულება და ფული ამ ნისქვილს შევასმარეო“. მაშინდა მიხვდა მოკოტი აფშილავე რამ „გაანანყენა“ პროფესორი. დიახ, ცისფერი ეკრანიდან ყოველ კეთილ წამოწყებას, მართალ სიტყვას ხალხი ითავისებდა, ავტორიტეტს გვიქმნიდა. ჩვენ ამ ავტორიტეტს დღენიდადა ვუფრთხილდებოდით.

ჩვენს ქალაქის

თვითმოქმედება და სხვა...

ციხფერ ეკრანზე მცირე ფორმის ანსამბლების, ვოკალური ჯგუფების წარმორჩენა თანდათან ტრადიციად დამკვიდრდა. ამას ხელს უწყობდა ტელემაცურებელთა ჩვენდამი მორალური მხარდაჭერა. მხარდაჭერა ყოველგვარი ეროვნული სულის გამოვლინებისადმი. მრავალგზის მომიშველიებია ცნობილი პროფ. იასე ცინცაძის წერილში გამოთქმული აზრი, რომელიც ერთ-ერთი ქართული საგალობლების კონცერტის შემდეგ 1963 წელს მივიღეთ. მინდა მისი წერილი აქაც გავიმეორო: „დიდი მადლობა ბ-ნო რედაქტორო კონცერტის პროგრამის მართებული აგებისათვის. უღმესი შთაბეჭდილება მოახდინა ქართულმა საგალობლებმა. ეს გვაიმედებს ვიფიქროთ, რომ ჩვენს ერს გადაშენება არ უწერია. უფრო დიდი ერები აღიგავნენ მინის პირისაგან. დიდი ქვეყნების მოძალებელი ენა და განუკითხავი ხმაურიანი მუსიკის ტალღა შთანთქმას უპირებს მცირე ერებს. თუ გავძლებთ, მხოლოდ ენისა და ენასთან არანაკლები წილნაყარი ხალხური სუნთქვის - სიმღერის გადარჩენით უნდა გადავრჩეთ... მარად დამუნჯებული მენახოს ლეკი, თურქი, მონღოლი, სპარსი ქართველური ტომების დამუნჯებისათვის. ამ სტრიქონების ავტორს საშუალება ჰქონდა ენახა, მოესმინა სამხრეთ საქართველოს, ქვემო ქართლის, საინგილოს და სხვ. კუთხეებში უკვე დამუნჯებული ოჯახები და ნეტავი არ მენახა! იქ ახლა ცალ ხმაზელა ყმუიან!“

აი, მკითხველო, ჩვენს მიერ მომზადებულ ეროვნულ პროგრამას, ტელემაცურებელთა მსგავსი გამოხმაურებები ახლდა. ამ პატარა წიგნში ზოგი მათგანია მოტანილი, უმრავლესი ჩემს პირად არქივში ინახება. მომავალში მათ აღბათ, ვინმე მადლიანი შეეხება.

ასეთი გამოხმაურებები გვამხნეებდა, გვაიძულებდა გვეძია, გვეძია და დღენიდაგ გვეფიქრა ერის სულიერ აღზევებაზე. ცნობილია, რომ 1930-50-იან წლებში ხშირად ეწყობოდა ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადები. ნამყვან რაიონებში არსებობდა სიმღერისა და ცეკვის სამხარეო ეთნოგრაფიული სახელმწიფო ანსამბლე-

ბი. იგი დადებით გავლენას ახდენდა ერის სულიერ ყოფაზე, და ამ დროს, პოლიტიკურ სცენაზე აღზევებულმა ნ. ხრუშჩოვმა ერთი ხელის მოსმით გააუქმა სსრკ-ის ხალხთა ისედაც მცირედი მონაპოვარი. ზედიზედ გაჰქრა, დაიშალა დასახელებული სარაიონო სახელმწიფო კოლექტივები, გაუქმდა კულტურის სახლის ანსამბლები. სულს ლაფავდა ხალხური შემოქმედება. თბილისში და მგონია მთელ რესპუბლიკაშიც, ერთადერთი კარგი ანსამბლი ტრამვაი-ტროლეიბუსების სიმღერისა და ცეკვის კოლექტივი გახლდათ, რომლის არსებობას კბილებით იცავდა ამ სამმართველოს უფროსი, ბრწყინვალე ქართველი მამულიშვილი მიხეილ ჩიკვაძე. ამ დროს თითქოს განგებამ ქვეყანას მოუვლინა ტელევიზია, რომელსაც შეეძლო მცირე ერების ენობრივი და სულიერი დეგრადაცია ნაწილობრივ მაინც დაეცვა „ზევიდან“ მოძალებული ენ. „ინტერნაციონალიზმის“, ანუ ერების გათქვეფის, სულიერი გადაგვარების შორს გამიზნული იდეოლოგიისგან. დიახ, ცისფერ ეკრანს, მიუხედავად მის პროგრამებში რუსული ორიენტაციის დაძალებისა, შეეძლო ერისათვის გარკვეული სამსახურის განევა. ამასთან, ცისფერი ეკრანის გამოყენება „ინტერნაციონალიზმის“ საფარით შეიძლებოდა და იყო ამის ყველა პირობა, გამხდარიყო ეროვნულობის ზღვარის ნაშლის საშუალებაც. გააჩნდა ამ სამიმ საშუალებას ვინ როგორ გამოიყენებდა. მაშინდელი საქ. ტელევიზიის მცირერიცხოვანი კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ცისფერი ეკრანის ზემოთქმულ სამიმ ტენდენციას ღირსეულად გაართვა თავი. დღენიდავ ვცდილობდით ეკრანზე ქართული სულის დამკვიდრებას. პირადად ჩემი მთელი მოღვაწეობა სწორედ ამ მიმართებით იყო წარმართული და ამით ვამაყობ კიდევც. ვინც ცოტა ღრმად აკვირდებოდა ჩვენს ჩვეულებრივ რიგით გადაცემებს, კონცერტებს, ხალხურ თემატიკაზე აგებულ პროგრამებს, ცალკეულ ციკლებს. იგი უდაოდ ამჩნევდა ჩვენს შენიღბულ ძალისხმევას. მაგალითად, გადაცემათა ციკლებში: „მუსიკალური ოჯახები“, „ხალხური სიმღერის უკვდავება“, „ხალხური საუნჯე“ და მრავალ სხვ. ხშირად მოუწონოდებით ტელემაყურებელს, ოჯახებს, ზემდგომ ინსტანციებსაც კი, მეტი ყურადღება დაეთმოთ მოზარდი თაობის ეროვნული სულით აღზრდისათვის. ვამუნათებდით პროფესიონალ მუსიკოს-თეორეტიკოსებს სამუსიკოსკოლების, სასწავლებლების მოსწავლე-სტუდენტებისათვის შეედგინათ და გამოეცათ სოლფეჯიო და სხვა სახის სახელმძღვანელოები ეროვნული ცილო-კავების, მელოდების ბაზაზე. ეს კრებულები „ვასილიოკით“ კი არა, არამედ უნდა დანაყბულიყო „ლილეს“, „იავნანას“, „ჩაკრულოს“ ან სხვა ათასი ქართული მელოდით. სამწუხაროდ, ყველა პროფესიონალი მუსიკოსი როდი ცდილობდა ამ პრობლემის მოსაგვარებლად ჩვენს გვერდით დგომას.

ზემოთ ვთქვი და აქ კვლავ ვიმეორებ ჩემს მიერ გადაცემებში მრავალჯგონის ნათქვამს: „ღმერთმა ნუ ქნას დაგვენგრეს სვეტიცხოველი, ალავერდი, ნიკორწმინდა, გელათი ან ერის სხვა დიდებული ძეგლი. და მაინც, თუ ეს უბედურება მოხდა, ჭკვიან ერს შეუძლია მისი აღდგენა შემორჩენილი ნაბაზებით, ფოტოსურათებით და სხვა, მაგრამ თუ ერის სულიდან ამოიძირკვა ენის ტოლფასი და თანატოლი საუკუნეებგამოვლილი ხალხური მრავალწმიანი სიმღერა, მას ვერაფერი ველარ აღადგენს მეთქი“.

მკითხველო, მე ამ ფრაზებს წარმოვთქვამდი იმ აკრძალვების ხანაში, 1960-70-იან წლებში. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ჩემი არქივის გადათვლიერების დროს კვლავ ჩავერწმინდე ხოლმე დარომ შემეძლოს კიდევ ცისფერი ეკრანიდან განვლილი ნათქვამის გამეორება, იგივეს გავაკეთებდი. თქვენ თავად განსაჯეთ, ვიყავი მართალი?! გამართლდა ჩემი წინათგონობები?! გამართლდა და მერე როგორ!!! დაინვა ოპერისა და ბალეტის თეატრი და ერის ძალამ იგი უკეთესი ხიბლით აღადგინა. მინისძვრამ დაანგრია რაჭის სოფ. მრავალძლის წმ.გიორგის ეკლესია და იგი უკვე აღადგინა ხალხმა. ქვეყანაში მრავალი თეატრი-ტაძარი შენდება და შენდება უდიდესი საკათედრო ტაძარი თბილისში – წმიდა სამება. ხალხის სულიერი ყოფა?! იგი დღითი დღე უარესდება. ერის უმეტეს სოფლებში ქორწილებში თუ ძეობებში ცალხმაზე ყმუიან. საღა ისმის „ხურო“, „მრავალუამიერი“, „ჩაკრულო“, „შერმაზანო“, „მოლხინი ვნახოთ“, „ჭარულო“, „მაცრულები“ სუფრულები. ამას რომ ვწერ ქართლ-კახეთი მაქვს მხედველობაში. 1990-იანი წლებიდან სოფლის ცხოვრებით ვცხოვრობ და ჩემს სათაყვანო სამეგრელოში, გურიასში, იმერეთში, მესხეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში, აჭარაში რა ხდება მიჭირს თქმა. თუმცა, დღევანდელი გაუსაძლისი ცხოვრება სიკეთის იმედს მიწურავს.

დიდი გადახვევა მომიხდა. ბოდიშს ვუხედი მკითხველებს ჩემი ემოციების თავს მოხვევისათვის.

დავუბრუნდეთ 1960-იან წლებს, ხრუშჩოვშიწმინის ზეობის და ხალხური თვითმკემდეების დაქვეითების პერიოდს. აი, სწორედ ზემოთ მოყვანილმა მაგალითებმა მაიძულა, რესპუბლიკური ოლიმპიადების გაუქმების მაგივრად მომეძია ახალი გზები. ამ პერიოდში ვცადე დიდი შრომითი ტევადობის „რაიონის კულტურის საღამოების“ დაწყება. 1963 წ. გავმართე თელავის, მახარაძის რაიონების კულტურის საღამოები, რომელიც ეთერში თითოეული 2-საათამდე გრძელდებოდა. ამან ინტელიგენციის, მთელი საზოგადოების ერთსულოვანი მხარდაჭერა გამოიწვია. რედექციაში ჩვენი შრომის ქებათა-ქების წერილები შემოდიოდა. ერთხელ, ოპერის თეატრში ადრე მივედი. იქ იმართებოდა საშვიდნოებზობრ დიდწვნილი საზეიმო საღამო და კონცერტი, რომ-

ლის ტრანსლაციას ჩვენი რედაქცია კურირებდა. იქ დამხვდა ღონისძიების დაწყებამდე ადრე მისული, იმხანად ვაჭრობის მინისტრად ახლად დანიშნული ვახტანგ თოხაძე. მე მას მანამდე მახარადის რაიკომის მდივნობიდან კარგად ვიცნობდი. ამ რაიონზე ადრე მიძღვნილი მქონდა „შრომისა და სიმღერის ადამიანების“ ციკლიდან გადაცემები სოფ. „შემოქმედზე“, „ნაგომარზე“, „გამარჯვებაზე“, უკვე ზემოთ ვახსენე „მახარადის“ რაიონის კულტურის სალამო და ა.შ.

ბ-ნი ვახტანგი სიხარულით შემხვდა და მითხრა: „სოლომონ, ჩემი მინისტრად დანიშვნა ხომ არ გენყინა, მახარაძეში უფრო ხშირად ვხვდებოდით, ვიდრე თბილისშიო“. ჩვენს შორის გაიბა გულთბილი საუბარი. მის თქმაზე „უეჭველად მნახე ხოლმეო“, მიუხედავად ბატონო ვახტანგ, ფული მე არ მაქვს და ხელოვნება თქვენ. უსაქმოდ შენუხება არ მიყვარს, თქვენც დროს დაგაკარგვინებთ, ისედაც ბევრი საქმე გავქმეტეთი.

– მე მწამს შენი. რამეს მოიფიქრებ, ეგება ჩემს სამინისტროსაც წაადგესო.

– საფიქრელად შორს არ წავალ. ვხედავ იმლება ქვეყანა, მრავალი მუსიკოსი, ხალხური მომღერალი, ორკესტრის მსახიობიც კი ვაჭრობას მიეკედლა. ადრე მარტო თბილისში არსებობდნენ „ცეკავშირის“, „კოოპერატივის“, „სამტრესტის“, „რესტორანვაჭრობისა“ და სხვ. უწყებების შესანიშნავი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები. დღეს ყველგან ჩაკედა ხალხური ხელოვნება. თქვენთან კი შეიძლება კიდევ უფრო კარგი ანსამბლების ჩამოყალიბება.

ბ-ნი ვახტანგს გაუხარდა – აი, ხომ გითხარი, შენ რაღაცას მოიფიქრებ-მეთქი. ხვალ დილით სისტემის დიდი რესპუბლიკური თათბირი მაქვს. დილას, 10-საათზე ჩემი მანქანა შენთან იქნება. კარგად მოემზადე, სიტყვაში გამოსვლა მოგინევთ. დასძინა. ეს ასეც მოხდა.

ბ-ნი მინისტრის მისაღებაში როგორც კი ჩემი გვარი ვახსენე მდივანმა მაშინვე კარი გამიღო, თქვენ უკვე გელოდებიანო. კაბინეტში შევედი, თვალთ ამიჭრელდა. ვეება დარბაზში უამრავი დარგის მუშაკი შემომჩერდა. ბ-ნი მინისტრი შუა დარბაზში შემომეგება. მიმაცილა მის სამუშაო მაგიდასთან, გვერდზე გადგა და საკუთარი სკამი შემომთავაზა. ცხადია, მე ეს არ ვიკადრე. იქვე მაგიდის კუთხეში მოვეწყე. ბ-ნი ვახტანგიმ წარმადგინა და სიტყვა გადმოძვა. მოვეყვი ერის ძირძველ კულტურულ წარსულზე. ხაზი გავეუსვი დღევანდელი სულიერი ყოფის უბადრუკობას და დავსძინე, რომ საქართველოს მსგავსი უკიდურესი დაღმასვლა მისი არსებობის ათასეული საუკუნეების მანძილზე ხშირად ჰქონია და მაინც ჰქმნიდა უძვირფასეს, მსოფლიოს ხალხთა ხელოვნებაში განუმეორებელ, თვითმყოფად კულტურას სიმღერა-გალობისა, ძეგლების მშენებლობის სახით. დღეს კი, დღეს პა-

ტარა ერევისათვის თავსმოხვეული „ინტერნაციონალიზმის“ შორს გამიზნული საფართო უსისხლოდ, უბრძოლველად გვიპყრობენ, სულით გვალატაკებენ. რა ვიღონოთ? რა გავაკეთოთ? ძალა ხალხის ხელშია, თქვენს ხელშია. ვაჭრობის დარგს დღეს ათასობით ხელოვანი შემოეკედლა. შევუქმენით მათ მცირე საარსებო პირობები. ხომ ფაქტია, რომ დღეს ვაჭრობის დარგის ყველა რიგითი მუშაკი უკეთესად სცხოვრობთ, ვიდრე ინტელიგენცია ან მუშათა კლასი? მამ, გაიღეთ თითო მანეთი, მიეცით ორიოდ კაპიკი სიმღერის მცოდნეთ და მალე თბილისში ახმინდებიან ანსამბლები. თბილისი კი იყო და დარჩება მაგალითი, ტონის მიმცემი საქართველოს დანარჩენი რაიონებისათვის. კიდევ ბევრი რამ, ბევრი ფარული გულისტკივილი გავუმხილე დარბაზში წვეულებს და დაეჯექი. არ ელოდნენ ჩემგან ასე პირდაპირ საუბარს. ერთხანს დარბაზი ჩაყურებული, ჩაფიქრებული იყო მინისტრიც. ბოლოს ახმაურდნენ, ეცილებოდნენ სიტყვის თქმას ერთმანეთს. თბილისის ცენტრალური უნივერსიტეტის დირექტორმა, „დინამოს“ ყოფილმა ცნობილმა ფეხბურთელმა ასლან ხარბელიამ ბრძანა: „ჩემთვის სულში ასე არავის ჩაუბედავს. პირობას ვიდლევი, მალე უნივერსიტეტში შეიქმნება დამოუკიდებელი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი“. ასევე განაცხადეს რესტორანვაჭრობის მმართველმა ბ-ნ ივ.ბოკერიამ, ქალაქვაჭრობის სამმართველოს უფროსმა ბ-ნ ვლადიმერ ბიბილიეიშვილმა და მრავალმა სხვამ.

ამ შეხვედრამ უდიდესი ნაყოფი გამოიღო. სულ მალე ჩემთან მოდიოდნენ თხოვნით – მომესმინა მათი კოლექტივები. ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში დანყებული მოძრაობა „დავიცვათ ხალხური საუნჯე“, სხვა უწყებებმაც აიტაცეს. ამ მოძრაობას ფეხდაფეხ დევნა სჭირდებოდა და ჩვენც ძალისხმევას, კონსულტაციებს არ ვაკლებდით დანყებულ დიდ საქმეს. ასე დაიბადა სატელევიზიო გადაცემების ახალი ციკლი „ჩვენი ქალაქის თვითმოქმედება“, რომელიც სრულიად საქართველოს მოედო. სხვადასხვა ქალაქებში, სოფლებში იქმნებოდნენ ანსამბლები, ჯგუფები. ეს იყო პირველი სატელევიზიო ფესტივალის დანყების წინა პერიოდი, ე.წ. ჩვენი ძალების გამოცდილების შეძენის, მოსინჯვის პერიოდი და დღეს უნდა ხმამაღლა განაცხადო, ჩვენს მაშინდელ რუდუნებით საქმიანობას უამისოდ არ ჩაუვლია.

კმელი თბილისის მელოდიაში

როდესაც ტელეეკრანზე 1962 წელს დები იშხნელე-ბის შესახებ მომზადებული კონცერტი – საუბარი გადა-ვეცი, უკვე ზემოთ აღვნიშნე, რომ ზოგი ვინმე უარყოფითად შეხვდა ამ ფაქტს: „ვის რად უნდა ნაფტალინი-დან ამოღებული იშხნელების ეკრანზე დაბრუნებაო“. სამაგიეროდ, ხალხი, მასა, ტელემაცურებელი გულ-მხურვალედ გამოგვეხმაურა. ვაიკრიტიკოსებს ავინყდებოდათ, რომ ქართველ ხალხს წმინდა, კლასი-კურად ჩამოყალიბებული ხალხური სიმღერების პარა-ლელურად ჰქონდა სისხლ-ხორცში გამჯდარი სულიე-რი ყოფის მეორე განშტოება – ქალაქური მელოსის სა-ხით. ძალიან ხშირად თბილისში შექმნილი და ტრადიცი-ული დქეული მელოდია მეზობელი ერების მუსიკოსებს მიჰქონდათ და თავიანთად ასაღებდნენ.

1964 წ. რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში მიმ-დინარეობდა ქართველ კომპოზიტორთა პლენუმის შესა-ხებ სჯა-ბაასი. ერთერთი ქართველი მუსიკისმცოდნე „პროფესორი“ გამოვიდა და ეროვნული კილო-ჰარმონი-ის სინმინდის დაცვის ეშხში შესულმა ქართული ქალაქე-რი სიმღერების კილო-ჰარმონია, მათ შორის, მსოფლიო-ში პოპულარული „სულიკოც“ უცხო სხეულად მიიჩნია ქართული ხალხური მუსიკისათვის. ლენინგრადელმა ცნობილმა მუსიკისმცოდნემ, პროფ. ხუბოვმა არ გაიზია-რა ქართველი პროფესორის მოსაზრებანი და იქვე დასძი-ნა: „თუ ქართველებს მსოფლიოში პოპულარული სიმღე-რა „სულიკოც“, რომლის მელოდია მეორე მსოფლიო ომში თავის პიმნად ჰქონდათ იუგოსლავიელ პარტიზანებს, თავისად არ მიაჩნიათ, დაე, იგი რუსული სიმღერა იყოსო“. უცხო მუსიკისმცოდნის ამ აზრს ჩვენ ადრეც ჩვენად აღ-ვიქვამდით და ეკრანიდანაც თავის კუთვნილ ადგილს მი-ვაგებდით. ამის მაგალითი იყო დადგმითი ხასიათის კონ-ცერტი „დილის საარი“, „ქალაქური მელოდები“ და რაც მთავარია, ფუნიკულიორზე დადგმული „ძველი თბილისის სურათები“, რომლის ავტორები გახლდით მხატვარი ირაკ-ლი ხუროშვილი, რეჟისორი გივი გაჩეჩილაძე და ამ სტრი-ქონების ავტორი. გულშიჩამწვდომი, ემოციური მელოდი-



ები, დუდუკის ტკბილხმოვანება, სიმღერები, ცეკვები, ლამაზი კადრები, მხატვრის მიერ იმ პატარა სტუდიაში შექმნილი ძვ.თბილისის ქუჩა-სახლ აივნებით, საინტერესო შთაბეჭდილებას სტოვებდა. ტელემყურებელთა მადლიერებით აღსავსე წერილების შემოსვლას ხომ ზღვარი აღარ ჰქონდა. მათი თხოვნით ჩვენ ეს დადგმა-კონცერტი რამოდენიმეჯერ გავიმეორეთ. ძველი თბილისური მელოდიების გამოძახილმა არ დააყოვნა და თავისებური ასახვა თეატრების რეპერტუარში, ფილარმონიულ საღამოებშიც ჰპოვა. იმხნელებისადმი ინტერესი კვლავ გაიღვიძა, ეწყობოდა მათთან საჯარო შეხვედრები, სადაც მსახიობი მერაბ თაბუკაშვილი უკვე აქტიურად იღნვოდა ამ მიმართებით. სწორედ მისი თაოსნობით, არაერთხელ, თვით მოსკოვშიც მოეწყო ქ-ნ თამარ იმხნელის მონაწილეობით „ქალაქური რომანების საღამო“. საქ.ტელევიზიის ამ ინიციატივის დავინწყება მომავალ მკვლევარს არ ეგების, მით უფრო მაშინ, როდესაც ასე მომრავლდნენ სხვისი წამონყებული საქმის მითვისების მსურველნი.

პარზი ბიჭი პროფესია არ არის...

ვიდრე სხვა თემას შეევეხებოდე, მინდა ეკრანის მიღმა დარჩენილი ერთი პატარა ინციდენტიც გავიხსენო.

მრავალგზის ვახსენე და კვლავ ხაზს ვუსვამ, ტელევიზიის სანაყის წლებში იმ პატარა კოლექტივის მეგობრულ თვით ოჯახურ კეთილ ურთიერთობებზე. რომ იტყვიან „ტყეში ირემმა ირემს ბალახი მიანოდა, არც შენ გაკლია, არც მეო“, ასე ვიყავით ერთმანეთთან, ერთი რედაქციის წარმატება ყველასი იყო, მეორის წარუმატებლობა ყველას გულის ტკივილს იწვევდა. მაშინ ჩვენ რედაქციებს ერთადერთი ვინრო ფირის გადამღები კინოკამერა გვემსახურებოდა, რომელსაც რეზო კეზელი მართავდა. მთელი კომიტეტი აღფრთოვანებამ მოიცვა, როდესაც ბ-ნმა ანტონ კელენჯერიძემ თათბირზე განაცხადა „მოსკოვმა მეორე, ახალი კინოკამერა „კრასნოგორსკი“ გამოგვიყოფო.

მთ.რედაქტორ შ.სალუქვაძესთან მაშინვე შეიკრიბა ენ. „კორპორაცია ბალჩაშიაც გადავიხედე“-ს თანაზიარნი და იყო განსჯა თუ როგორ გამოგვეყენებინა უკეთესად ახალი კინოკამერა და ვისთვის მიგვემაგრებინა იგი. გადანყდა; კამერა დაელოცათ იმ დროის ახლად შემოსატეხული კინოოპერატორ თენგიზ მერკვილაძისათვის. დაიწყო ჩვეულებრივი ძიების, ფანტაზიის გაშლის დღეები. განსაკუთრებით დაეტყო ახალ კამერის კვალი „ახალი ამბების“ რედაქციას. სიუჟეტებში გაჩნდა ახალი, მონიწივე ადამიანების სახეები რესპუბლიკის შორეულ რაიონებიდან.

ერთ დღეს თათბირზე ვილაცამ თქვა. მოდით კინოკამერა მთა-თუშეთს ვაწვიოთ, მთის ცხოვრებაც დავამკვიდროთ ეკრანზეო. ეს აზრი ყველას მოეწონა. თ.მერკვილაძე მიავლინეს მთათუშეთში მეცხვარეთა ყოფის ჩანახატების ჩამოსატანად. გავიდა ხანი, თ.მერკვილაძე უკამეროდ დაბრუნდა მთიდან. მან ახსნა-განმარტებით ბარათში აღწერა, რომ კლდის ბილიკებით ცხენით მიმავალს, წაუბორძიკდა, იგი უღრან კლდეში გადაიჩეხა და კამერაც თან გადაიყოფა. მე ბენეზე გადაეურჩი სიკედილსო. ყველამ გამოვიტირეთ კამერა. ვულოცავდით ოპერატორს გადარჩენას. გავიდა დრო და ხარკოვიდან კკ-მ მიიღო ცნობა, რომ თქვე-

ნი კინოკამერა №... ჩამოერთვა ვილაც კინომოყვარულს და გიბრუნებთ კანონიერ მფლობელსო. ეს ასეც მოხდა. კინოკამერა კომიტეტს დაუბრუნდა. თ.მერკვილაძეს იგი „კარგ ფასად“ მიეყიდა ვილაც მოგზაური კინომოყვარულისათვის. კოლექტივის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. ოპერატორის პასუხისგებაში მიცემაზე ყუელამ უარი განაცხადა. „ჩვენ თვითონ გავასამართლებთო“ თქვა შ.სალუქვაძემ. შემოიყვანეს.

თ.მერკვილაძე, იდგა შუა ოთახში. ვერაფრით იმართლა თავი. სამაგიეროდ საითაც გაინია, იქიდან მოხვდა მაგარი აღიყული. ბოლოს შოთა არჩვადემ თქვა: „ვაკმართ, კარგი ბიჭია, ჭკუას ისწავლისო“. ამ ნათქვამმა ალაშფოთა ჩვენი პირველი კინოლენტების გადამღები ოპერატორი, მეორე მსოფლიო ომის დროს ყოფილი მფრინავი თენგიზ ლომიძე და ხმამაღლა რუსულად განაცხადა: „კარგი ბიჭი პროფესია არ არისო“ – და მოითხოვა უმცროსი კოლეგის სამსახურიდან განთესვა. ეს აზრი ყველამ გაიზიარა, თუმცა მეგობართა წინაშე დანაშაულისა და ლალატისათვის მას არც ედგომებოდა ჩვენს კოლექტივში.

ახალსახლობა

კავშირგაბმულობის სახლის მე-5, მე-6 სართულებზე მდგმურად შეხიზნული რადიოტელევიზიის საკუთარი სადგომის-სახლის მშენებლობა თბილისის ზოოპარკის დასავლეთით მიმდებარე ტერიტორიაზე, შემდგომ მ.კოსტავას ქ.68, დასასრულს უახლოვდებოდა. გვიხაროდა ყველას, რადიოს, ტელევიზიის, ტექნიკის თანამშრომელს. რედაქციებმა და ადგილკომმა კომიტეტის თავმჯდომარეს ბ-ნ კარლო გარდაფხაძეს შეეთავაზეთ – საქმის წინ ნაწილის მიზნით – მოგვეწყო შენობის დასუფთავება. ბ-ნ კარლოს ცხადია, გაუხარდა კოლექტივის ასეთი თანადგომა, შენობის დაპროექტების, საძირკვლის ჩაყრიდან დამთავრებამდე ხომ მისი და ტექნიკის დარგში მოადგილის ბ-ნ რაფიელ ლიპარტელიანის მხრებზე გადადიოდა მთელი სიმძიმე. უნდა გენახათ დასვენების დღეებში ახალი შენობის კარ-ფანჯრებიდან რა ბრდღვინვა გადიოდა. არც მშენებელ-ამშენებელთა და მის მომავალ მდგმურთა კეთილ სადღეგრძელოებს ვიშურებდით, თუმცა ყოველივე ეს გარკვეულ შეზღუდულ ფორმებში ხდებოდა.

და აი, 1966 წ. ახალ შენობაში შეესახლდით III-IV სართულებზე რედაქციებმა დავიდეთ ბინა. მე-4 სართული მთლიანად ტელევიზიის რედაქციებმა დავიკავეთ. ახალსახლობას ჩვენმა რედაქციამაც მიუძღვნა მცირე საოჯახო პურ-მარილი. ადრე მრავალგზის ვაყენებდი საკითხს, რომ მუსიკალურ-პროგრამებს, როგორც სპეციფიკურ და ფაქიზი ხელოვნების მატარებელ უნარს, მის ვიზუალურ გამოსახულებას, ხმის მაღალ დონეზე ჩანერას ესაჭიროებოდა გამორჩეული სმენისა და შემოქმედებითი უნარის მქონე ხმის რეჟისორები, ტელეოპერატორები, მუსიკალური გამფორმებლები, მაღალი გემოვნების მხატვრები. გზადაგზა ეს პრობლემაც თანადთან მოგვარდა. ოპერატორების ჯგუფის ხელმძღვანელმა ჯუმბერ ნანიტაშვილმა შტატების დამატების ნყალობით შესძლო მუსიკალური პროგრამების გადაცემებზე უმეტესწილად დაენიშნა კარგი თვალთახედვის ტელეოპერატორები: ზაურ დობორჯგინიძე, დიმიტრი (ჩვენი დიმა) ოგანიანი, ვაჟა ოძელაშვილი, რობერტ თარგამაძე, გურამ გაფრინდაშვილი, ლერი არცივაძე, რეზო გაბაშვილი, თემურ კალანდარიშვილი, სოზარ ჩართოლანი, გურამ ვაშაკიძე, ჯამბულ მდივანი და სხვ. ასევე იყო მხატვრების ჯგუფის მხრევაც-ხელმძღვანელი თემო გოცაძე. ჩვენს რედაქციას



თანაქტიურად თანამშრომლობდნენ ჟორჟეტა თავაძე, მზია დათუნამ-ვილი, ნოდარ ხინგელი, ტოლიკა ბუაძე, ნანა აბრამიშვილი და სხვები. ისინი ხშირად სარედაქციო თათბირებსაც ესწრებოდნენ, გულთან მიჰქონდათ რედაქციის ავიც და კარგიც. აღარას ვამბობ მუსიკალურ-გამფორმებლების ჯგუფზე. მას ნიჭიერი მუსიკოსი, კომპოზიტორი ნუნუ დულაშვილი ედგა სათავეში. იგი ჩვენი რედაქციის თანდგომი იყო გასვლით საღამოებში თუ შეხვედრა კონცერტებში. ასევე მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ირინე ნიკლაური, ეთ.ბოლქვაძე და სხვ.

იგივეს გამოირება მინევეს ხმის რეჟისორებზე, კობტა ჟღენტის თავკაცობით. ნოდარ ძნელაძე, ელგუჯა ეგიტაშვილი, ნოდარ ასათიანი, ირაკლი გიგაური (სამშუხაროდ, ეს ნიჭიერი მუსიკოსი და ხმის რეჟისორი მოულოდნელად გარდაიცვალა, რამაც ყველა ჩვენგანი დაამწუნხრა), ვაჟა ვახტანგიშვილი, მერაბ ურიგაშვილი. პირველ წლებში თავდადებით ემსახურებოდა საერთო საქმეს უფროსი თაობის ხმის რეჟისორი სულიკო ხატიაშვილი. მათზე იყო დიდად დამოკიდებული ეთერში გასული ხმის ხარისხი, რასაც უხმაუროდ, დიდი რუდუნებით ენოვდნენ ესოდენ საპასუხისმგებლო საქმეს.

ნებისმიერ სტუდიაში გადაცემის მომზადებას წინ უძღოდა მხატვრების ესკიზების მიხედვით სადადგმო რეკვიზიტის დამუშავება, დეკორაციის შექმნა. ამ მეტად შრომატევად საქმეს უძღვებოდნენ ტელემაყურებელთათვის ყოველთვის უჩინარი ადამიანები ვასო გვრიტიშვილი, პავლიკა მირველოვი, რეზო ყურულაშვილი, ბეგლარ ნარეკლიშვილი. სადადგმო ნაწილს წლების მანძილზე უძღვებოდა ნოდარ ბენდუქიძე, რომელიც შემდგომ პროგრამების დირექტორად დანიშნურდა. გზადაგზა არაერთხელ მოვიხსენიე რედაქციასთან მჭიდროდ დაახლოვებული გარეშე ავტორები, აქტივი, ურომლისოდაც გადაცემები ერთფეროვნების საშიშროების წინაშე აღმოჩნდებოდა. ამიტომ, ყოველთვის საზრუნავი გვქონდა მუსიკისმცოდნე ნიჭიერი ახალგაზრდების მოძიება, მონევეა, მათთვის სატელევიზიო ჟურნალისტიკის ზოგიერთი სპეციფიკურობის გაცნობა. ამ მხრივ, 1965-1975-იან წლები, უდაოდ საინტერესო იყო. ვ.სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის დირექციისა და კერძოდ, თეორიულ-საკომპოზიტორო ფაკულტეტის დეკან ბ.-ნ. ვლადიმერ დონაძესთან ჩვენი ურთიერთობა. მრავალგზის წარუადგინე წერილობითი, დასაბუთებული მოთხოვნა, რათა მე-4 მე-5 კურსის მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტები შემოქმედებითი პრაქტიკისათვის ტელე-რადიო კომიტეტის შესაბამის მთ. რედაქციებში მოველინებინათ. ეს ასეც მოხდა. კონსერვატორიის მხრიდან სტუდენტთა პრაქტიკულებს ხელმძღვანელობდა დოც. არჩილ ბეგიჯანოვი და უნდა ითქვას, ახალგაზრდებისათვის რადიოსა და ტელევიზიის სპეციფიკის გაცნობა, გადაცემის ტექნი-

კური აგების აზროვნების მხრივ უდაოდ ნაყოფიერი იყო. ეს პრობლემა მით უფრო ყურადღების ღირსად მიმაჩნდა, რომ მუსიკის ჟანრის ჟურნალისტებს თითქმის არცერთი უმაღლესი სასწავლებელი არ ზრდიდა. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი ვერ ახერხებდა წმინდა საგაზეთო სტატიისაგან თავის დაღწევას და სატელევიზიო თხრობითი ენის ჩვევების შემუშავებას. ის ნაწილი კი, ვინც ალღოს უღებდა ტელე-რადიოს სპეციფიკურობას, ყოველთვის ვცდილობდით მათთვის ხელის შეწყობას, დავალებების მიცემას. მათგან არა ერთმა დაიმკვიდრა ადგილი, როგორც რადიოს, ისე ტელევიზიის მუსიკალური პროგრამების გადაცემებში.

განსაკუთრებით გვინდა დიდი სითბოთი გავისხენო ცნობილი ქართველი კომპოზიტორები, სახალხო არტისტები, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები: ანდრია ბალანჩივაძე, ალექსი მაჭავარიანი, შალვა მშველიძე, გუგული თორაძე, ოთარ თაქთაქიშვილი, რევაზ ლალიძე, არჩილ კერესელიძე, გრიგოლ კოკელაძე, ბიძინა კვერნაძე, მიხეილ ჩირინაშვილი, მერი დავითაშვილი, ნოდარ ანდლულაძე, იაკობ ბობოხიძე, ოთარ გორდელი, შოთა მილორავა, ოთარ თევდორაძე, გოგი ცაბაძე, ვაჟა აზარაშვილი, შალვა დავითაშვილი, ნუნუ გაბუნია, ნუნუ დულაშვილი, რობერტ ბარძიმაშვილი, მერაბ სეფაშვილი, მარიკა კვალიაშვილი, მაცაო სებისკვერაძე, ზურაბ მყავია. როგორ შემიძლია რედაქციის აქტივზე, ჩვენს გვერდით მდგომი მუსიკოს-შემსრულებლები ვახსენო და უღრმესი მადლიერების გრძნობით არ გავისხენო საქ.ხალხური ცეკვის სახ.დამსახურებული ანსამბლი ქ-ნ ნინო რამიშვილისა და ბ-ნი ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით. ყოველ საზეიმო თუ საახალწლო გადაცემების ჩანერა-გადაღებების შემთხვევაში, უზუსტეს დანიშნულ დღეს და საათს, როგორც ერთი კაცი ყოველთვის ჩვენს გვერდით იდგნენ. ასევე ითქმის საქ.ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახ.დამსახ.ანსამბლზე ანზორ კავსაძის, ვალერიან ცაგარეიშვილის, კირილე ვაშაკიძის ხელმძღვანელობით, საქ.სახ. კაპელა გივი მუნჯიშვილის ხელმძღვანელობით, ქორეოგრაფები: ბუხუტი დარახველიძე, მიხეილ შუბაშიკელი, ავთანდილ თათარაძე, ბესიკ სვანიძე... ჩვენს გადაცემებში აქტიურად მოღვაწეობდნენ მეცნიერები, პოეტები: ვახტანგ ბერიძე, ირაკლი აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი და მრავალი, მრავალი სხვა... მათთან ერთად ექმნიდით საქართველოს ტელევიზიის, ქართული ტელევიზიის სახეს, მის ავტორიტეტს. იგი ხომ დღით-დღე იხვეწებოდა, ფრთებს შლიდა.

არაერთხელ გამომივიდა ხმამაღალი ნათქვამი – მუსიკალური პროგრამების მთ.რედაქცია სრული დატვირთვით მუშაობდა. ყოველთვის გვექონდა „პორტფელში“ სარეზერვო გადაცემები, კონცერტები. იყო საახალწლო თუ ე.წ. საზეიმო დღეები, როდესაც ერთ დღეს 10-15 გადაცემა თუ კონცერტი ნასულა ეთერში. მუსიკალურ პროგრამებზე, მასობრივ-სა-

ნახაობით კონცერტ-გადაცემებზე სულ უფრო მზარდი იყო მოთხოვნილებები კომიტეტის ხელმძღვანელობისა თუ ტელემაცურებელთა მხრიდან. წელიწადში 300-350-ზე მეტი გადაცემა-კონცერტი ამის დასტური გახლავთ, პირადად მე სურვილი მქონდა ცისფერი ეკრანის სამაუნყებლობა-დემი რაც შეიძლება მეტი მუსიკალური, ხალხური, საესტრადო პროგრამები ყოფილიყო და ხშირად ვალწვედი კიდეც.

თავის პატარა, მაგრამ აზრითა და ფაქტებით დიდად ტევად ნიკეში ქ-ნი ივლიტა მესხიშვილი („საქართველოს ტელევიზია 1956-1988 წლებში, გვ. 21) აკი აღნიშნავს კიდეც: „მუსიკალური პროგრამების მთავარი რედაქცია მასობრივი სატელევიზიო პროგრამების ერთ-ერთი ძირითადი შემსრულებელი იყო. იგი წამყვან როლს ასრულებდა სადღესასწაულო გადაცემების მომზადებაში“.

დიდი მადლობა ქ-ნ ივლ.მესხიშვილს მისი დღევანდელი გადასახედიდან განვლილი ჩვენი შრომის ესოდენ თბილად გახსენებისათვის. დიდი მადლობა ჩვენი მთ.რედაქციის ყველა მაშინდელ თანამშრომელს იმ უდიდესი ქაპანის უღალატოდ განევისათვის.

* * *

საზეიმო დღეებისათვის კომიტეტის რედაქციები რიგი თვეებით ადრე ვინყებდით სცენარებზე მუშაობას. ასე იყო საახალწლო პროგრამების მომზადებისას. განსაკუთრებით კი ბოლო 31 დეკემბრის, ანუ ძირითადი საახალწლო საღამოს სამზადისი იქცეოდა დიდ ყურადღებას. ამ ძირითადი ღერძის მომზადება ფაქტობრივად ჩვენს რედაქციას ეკისრებოდა. 1970 წ. საახალწლო სამზადისისათვის უკვე ზაფხულში დაიწყო კომიტეტის ხელმძღვანელობამ გეგმების მოთხოვნა. თათბირზე ვთხოვე ბ-ნ კარლო გარდაფხაძეს: „ათეული წლებია ცენტრალურ საახალწლო გადაცემებზე ძირითადად ჩვენი რედაქცია მუშაობს. დავილაღეთ, გამოვიფიტეთ, ეგება შეიქმნას ცალკე ჯგუფი მის მოსამზადებლად. ერთხელ მაინც მოგვეცეს საშუალება ჩვენც მშვიდად შევხვდეთ ოჯახებში ახალი წლის მობრძანებას. ჩვენის მხრივ უკვე გვაქვს 15-მდე მხატვრული პროგრამის მონახაზი მეთქი“. ყველა იქ მყოფი დაგვეთანხმდა. დასახელდნენ სხვადასხვა რედაქციის ცნობილი ჟურნალისტები, რეჟისორები და დაიწყეს მუშაობა. ჩვენმა რედაქციამ თავისი საქმე განაგრძო. მე პირადად ახალი წლის ღამის პირველის ნახევარზე გათვლილ ორმოც ნუთიანი დადგმითი ხასიათის საზეიმო კონცერტი „მრავალჟამიერი“ მოვამზადე. დეკემბრის შუა რიცხვებში ქ-ნ ივლიტას და ბ-ნ კარლოს ვუჩვენე ვიდეორჩანანერი. მოეწონათ. ამდენად სრულიად მშვიდად განვავრძე ჩვეულებრივი სამუშაო.

გათენდა 20 დეკემბერი. დილაადრიანად მივედი სამსახურში. ბ-ნი კარლო აღელვებული დამხვდა: კარგია ადრე მოხვედი, შემოდი ჩემთანო. მის

კაბინეტში თავიდან მოვისმინეთ ცენტრალური საახალწლო გადაცემა ბენ კარლოს იგი არ მოსწონდა, არც მე ვიყავ კმაყოფილი. მასში ჩაყრილი იყო განელილი მილოცვები, საუბრები, არც მუსიკალური ნომრების თანმიმდევრობა ჰქმნიდა ერთიან გამჭოლ დრამატურგიულ ხაზს, რიტმს. განსაკუთრებით უღიმღამო იყო მთავარი, ლამის 12-საათის მილოცვის მონაკვეთი. „რა გვეშველება“ ნერვიულად ბრძანა ბენმა კარლომ.

– ამას სჭირდება ცენტრალური მილოცვის სულ სხვა თავიდან გადაღება, კარგი საზეიმო მუსიკალური ნომრების ჩამატება და მთლიანად ახლებურად გადამონტაჟება.

– მერე და როგორ მოესწრება! – ბრძანა შენუხებულმა.

– მოესწრება! თქვენი ავტორიტეტი და ჩვენი მონდომებაა საჭირო.

ეხლავე დარეკეთ საავიაციო სამმართველოში, სასწრაფოდ გამოგვიყონ ვერტმფრენი სოფ. უშგულში გასაფრენად. დარეკეთ მესტიაში, რათა უშგულის ცენტრში დღესვე აიტანონ დიდი ნაძვის ხე, აიყვანონ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, გამომიყავით 1 ვიდეო სამონტაჟო საამქრო კარგი მემონტაჟებით, დაგვეგმოს ლამის ცვლა. თუ დღესვე ყოველივე ეს თანახმა იყო. გატარდა ოპერატიული ღონისძიებები. ჩემი რედაქციიდან ნავიყვანე რეჟ.თამაზ ელიაძე, რედაქტორი ბადრი ჩაღუნელი, კინოოპერატორი გივი მელქაძე და სინქრონული აპარატით სულ რაღაც 25 წუთში ვერტმფრენით ევროპაში ზღვის დონიდან ყველაზე მაღალ სოფ. უშგულის ცენტრში დავეშვი. ჩვენი იქ ჩასვლის ამბავი უკვე მთელ სოფელს გაეგო და ჩვენს გარშემო ტრიალებდნენ. სოფ. კალადან ხარების მარხილით უკვე მოქონდათ ვეება ნაძვის ხე, დრო არ ითმენდა. იგი დავდგით სოფლის ცენტრში ღია ცის ქვეშ და ვთხოვე დამსწრე ახალგაზრდებს დაენყოს ჩვენი ჩატანილი ყუთით, ფერადი სათამაშოებით მისი შემკობა. ოპერატორი თავის კადრებს იღებდა. ჩვენ ნაძვის ხის გარშემო გაევაბით სვანური ფერხული. ცეკვა-სიმღერის ფონზე შერჩეულმა უხუცესმა სვანებმა ახალი წელი მოულოცეს საქართველოს მშრომელებს. სახელდახელოდ მოვატანივე ფანდური და მე თვითონ „დაცხე“ ტაშ-ფანდურა. ნაძვის ხის გარშემო გაიმართა პატარების ცეკვა-თამაში. ფერხულში გუნდთან ერთად ჩაება მთელი სოფელი. ეს იყო განუმეორებელი იმპროვიზაციული მხიარული მილოცვა, რომელიც ბრწყინვალედ გადაიღო ოპერატორმა. დღის მეორე ნახევარში გადაღებული მასალით კმაყოფილნი უკვე თბილისში დავჯექით. უხვმოვლიან უშგულში გადაღებული მილოცვით ქ-ნი ივლიტა და ბ-ნი კარლო კმაყოფილნი დარჩნენ. უკვე საღამოდან კი დავიწყეთ მთელი საახალწლო მასალის გადამონტაჟება, მასში ახალი საზეიმო მუსიკალური ნომრების ჩართვა. მთელი ღამე ვიმუშავეთ. დილის 8.30-საათზე უმოძრაოდ ერეფანში ფეხის ხმა გაისმა. მივხვდი კ.გარდაფხაძე და ი.მესხიშვილი

იყვნენ, გაისინჯა უკვე მზა გადაცემა, მან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მალე ბრძანებითა და ფულადი პრემიებით აღინიშნა ჩვენი და ტექნიკური პერსონალის თავდადებული შრომა. რას იზამ, ასეც ხდებოდა. როცა მთელი საჯაროებლო ცისფერ ეკრანთან ერთად მხიარულად მხედებოდა ახალ წელს, ჩვენ ღამითაც არ გვექონდა ძილის ნება. უკვე არაერთხელ ვახსენებ ცენტრალური სააპარატოს, ვიდეო საამქროების, ფირის გამომყვავებელი ლაბორატორიის, ხშირ შემთხვევებში ღამის ცვლაში მუშაობა. რამდენჯერ ყოფილა, ერთი პატარა დაუდევრობის, მექანიკური შეცდომის გამო საეთეროდ გამზადებული გადაცემა წამლილა და ხელახლა მოგვიხდენია მისი ჩანერის ორგანიზაცია. ერთ აუნერელია მძლავრი ელექტრო აპარატურის განათების ქვეშ დგომა და დღე-ღამით მუშაობა. აკი ამიტომაც იყო დადგენილი დასახელებული სააპარატოების ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის რძით უფასო მომსახურება. აქ ვერ აღვწერ და სიმართლე გითხრათ, არც სურვილი მაქვს თქვენი გუნება, განწყობილება დავამძიმო მსგავსი სირთულეების მოყოლით. დაე, ისინი როგორც ყოველთვის, თქვენს უნახავად დარჩეს ცისფერი ეკრანის უხილავი ფარდის მიღმა. ეთერში წასული გადაცემის შემდგომ მისი ავტორისა და შემოქმედების ჯგუფის გამოცხადების მიუხედავად, ხშირად მაყურებლის თვალსაჩინო მხოლოდ მის წამყვანს, ანუ დიქტორს აღიქვამდა. აკი მშრომელთა წერილების მნიშვნელოვანი რაოდენობა სწორედ მათ სახელზე მოდიოდა. არაერთი წერილი ჩემს არქივშიცაა შემონახული. მათი გადაკითხვა ყოველთვის ღიმილწარვე სიამოვნებასა მგერის და მადლიერების გრძნობით მავსებს.

არ შემიძლია კეთილი სიტყვით არ მოვიხსენიო, საამქროების ის პერსონალი, რომლებიც ჩვენთან ერთად ღამეებს ათენებდნენ გადაცემების მომზადებაში და ყოველთვის ეკრანს მიღმა რჩებოდნენ. ესენი იყვნენ ნინო მეგრელიშვილი, თენგიზ მიქელაძე, სერგო თომაშვილი, ნოდარ ფირუზაშვილი, ალა კობრეიძე, ლამარა ახობაძე, ალიკა სარქისიანი, ანატოლი მურადზაძე და სხვ. ტექნიკური სამსახურის ხელმძღვანელი ინჟინრები, უფროსები, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ტექნიკისა და ფინანსების დარგში ოთარ კაკაბაძე, რომელმაც შეცვალა პენსიაში გაცილებული ამავდარი კოლეგა რაფიელ ლიპარტელიანი, ტელეცენტრის დირექტორი გივი ბენდუქიძე, იური აკობია, ტაისა თმორი, გიორგი გაბესკერია, ნიკო ბახტაძე, შალვა მანჯგალაძე, ჰამლეტ ცაგარეიშვილი, სერგო ესაკია, გიორგი კორძახია, ვაჟა შონია, დევი კვაჭაძე, დიმიტრი ბარათაშვილი, რუდოლფ დაბაგოვი, ვლადიმერ შენგელია, ირაკლი შარაშიძე, არსენ ქველიშვილი, ოთარ მშენიერაძე და მრავალი სხვ. ამ ადამიანებთან არათუ სამსახურეობრივი, არამედ პირადი კეთილი ურთიერთობა მაკავშირებდა. ისინი ყოველთვის ჩვენს ახლოს იდგნენ, გვაძლევდნენ ტექნიკურ რჩევებს, რიცა ცაქმე წინ მიდიოდა. მე მათ დღესაც დიდი მადლობით ვიხსენებ.

საბაობა სოფელ ტანძიაში

ჩვეულებრივად ვმუშაობდი კაბინეტში. კარზე ფრთხილი კაკუნი გაისმა. კარი ღიაა, მობრძანდით-შევეხმარე. შემოვი-და საშუალო ტანის სანდომიანი ახალგაზრდა კაცი და მაშინ-ვე გამეცნო – ნუგზარ ერისთავი განუხებთ ბოლნისის რაიონიდანო, – მომმართა.

– რით ვემსახურო დიდი ერისთავის შთამომავალს ქვემო ქართლიდან – ღიმილით მივმართე, სკამი მიეუდგი და მოსასმენად მოვემზადე...

– ბატონო სოლომონ, ბოლნისის რაიკომის მე-3 მდივანი ვარ. დავალებული მაქვს რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, მაღალ დონეზე ჩავატაროთ სულხან-საბას სახელობის დღესასწაული „საბაობა“. მინდოდა ამ ღონისძიებისათვის გადამენერა საგალობლები და არ გამომდის, ნამეტან ძვირს ითხოვენ. ბოლოს ერთმა მეგობარმა მირჩია თქვენთან მოსვლა და გეახელით...

ჩვენს შორის გულახდილი, საქმიანი საუბარი შედგა. ყველაფერი გაეარკვიეთ, შეეთანხმდით და რადგან ტანძიაში არ ვყოფივარ, ადგილზე დათვალიერება მოვითხოვე – როდისთვის გეახლოთო-მითხრა. მე დღესვე შემიძლია ნამოსვლა თუ ტრანსპორტის საშუალება-გაქვთ და... სამიოდე ნუთში ბოლნისისაკენ მიექროდით.

ნუგზარი სიხარულს ვერ ფარავდა. თქვენი თანადგომა ძალიან გაუხარდება პირველ მდივანს თ.ხაზარაძესო. მართლაც, როგორც კი ჩვენი მისვლა შეიტყო, მიატოვა ყველა საქმე და ტანძიაში ერთად წავედით.

სულხან-საბას ნასახლარი ქორივით გადაპყურებს მდინარე ფოლადაურის ხეობას. პატარა, უკვე მოსახლეობიდან დაცლილ სოფ. ტანძიას ახალმა სიომ დაუბერა. მალე 70 კომლზე მეტი ზემო სვანეთის მკვიდრი ჩამოსახლდება. მიმდინარეობს საბას სახლ-მუზეუმის მშენებლობა. ნასახლარის წინ საკარო ეკლესიის ფერდობზე გადავწყვიტეთ თეატრონის აგება, მომავალში აქ გაიმართება შეხვედრები, კონცერტები, ძირითადად კი ქართულ საგალობელთა ფესტივალები.

ბოლნისის რაიონის აქტივმა ყველაფერი იღონა დიდი საბას სახალხო დღესასწაულის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. იასამნების ახვითქებული ხეივნის ბოლოს, ფერდობზე აიგო შესანიშნავი თეატრონი, რომელსაც ორივე მხრიდან დაშვებული ფართე კიბეებით უკავშირდებოდა სცენას. არც ტელევიზიისა და რადი-


ოს სახ. კომიტეტი დაგრჩენილვართ ვალში. საჩუქრად მოვამზადე საათ-ნახევრიანი საგალობლების მაგნიტურ ფირზე ჩანერილი, ყოველგვარი ხარჯის გარეშე მიმყავდა მხატვრული კოლექტივები (სიმფონიური ორკესტრი გიგი აზმაიფარაშვილის დირჟორობით, ქალთა ტრიო, ოქტეტი, ეთნოგრაფიული გუნდი, სახ. ფილარმონიის მსახიობ-მომღერლები, სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის მოცეკვავეთა ცნობილი ანსამბლი „გორდა“ და მრავალი სხვანი, დილის ცხრა საათზე ბოლნისის რაიონის სოფელ ტანძიისაკენ დავიძარიით ორი „იკარუსით“. ადგილზე დავგვხვდა ჩვენი მოძრავი სატელევიზიო სადგური, რომელსაც უკვე მოუსწრო ტექნიკის გაშლა. მიმდინარეობდა საეთერო გამოსახულების დახვეწა.

„საბაობის“ ზეიმი ჩვენი კომიტეტის უანგარო დახმარებით, მართლაც რომ ზემოურად ჩატარდა. აღფრთოვანებას ვერ ფარავდენენ თბილისიდან ჩამოსული სტუმრები – საბაობის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი რევაზ სირაძე, სახ.უნივერსიტეტის პროფესორი ელიზბარ ჯაველიძე, პოეტი – აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, უნივერსიტეტის პროფესორი აპოლონ სილაგაძე, პოეტები მუხრან მაჭავარიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი, პროფ. სარგის ცაიშვილი და მრავალი სხვანი, რომელთა აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

დიდი კონცერტის შემდეგ დიდხანს გაგრძელდა სახალხო სეირნობა. აქა-იქ ტყის პირებში სიმღერები და ტაშ-ფანდურაც ისმოდა.

ამ წლებიდან, ვიდრე 1984 წლის ჩათვლით, „საბაობის“ სახალხო დღესასწაული ამ სტრიქონების ავტორის, რედაქციის რეჟისორის უ.დარჩიას, გ.გაჩეჩილაძისა და მრავალი სხვ. თანამშრომლის უანგარო შრომით. ტრადიციად დამკვიდრდა. ერთხელ, კერძო საუბრისას კომიტეტის თავმჯდომარემ ბ-ნმა ნ.ფოფხაძემ მითხრა; „ამდენს რომ შრომობ, წვალობ, ჰონორარს რამდენს გიხდებანო?!“ „სულხან-საბა კალთა ანეული დადიოდა ევროპის ქვეყნებში და მბრძანებლებს სთხოვდა დახმარებას საქრისტიანო პატარა ქვეყნის გადასარჩენად. მე რალა მამულიშვილი ვიქნები, სულხანის სისხლით დანრეტილ სოფელში მისი სახელობის დღესასწაულში ფული მოვითხოვო მეთქი“. მცირე დაფიქრების შემდეგ ნ.ფოფხაძემ თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკაო, ბრძანა: ვიცი პატრიოტი კაცი ხარ და თუ ასე უანგაროდ ამდენს ირჯებოდი ძნელი დასაჯერებელიაო“. ერთხელ, სამუშაო ოთახში შიდა ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. ბ-ნი ნუგზარი მეუბნება: ქვეყანა ათას რამესა მთხოვს, შენ ერთხელ არაფერი არ გითხოვია. სოფელი გაქვს. ვიცი მიმოსვლა გიჭირს, მანქანას რატომ არ თხოულობო?!" – „ბ-ნო ნუგზარ, მათხოვარი ღმერთსაც არ უყვარს, თორემ არც ერთი მათგანი მინაზე არ ივლიდა მეთქი“. გაიცინა. მითხრა ჩაესულიყავ პროფკავშირის თავმჯდომარესთან ილია კველიშვილთან და... ასე უმტკივნეულოდ გავხდნი მსუბუქი ავტომანქანა „ფიატის“ მფლობელი, რითაც ჩემმა შეილებმა და ოჯახმა ძლიერ გაიხარეს...

სულიკოს სახალხო დღესასწაული ზესტაფონის სოფელ ცხრაწყაროში



1970-იანი წლების შემდეგ რესპუბლიკაში მასობრივად დაიწყო სახალხო დღესასწაულების გამართვა. უკვე ტრადიციულ „ილიაობას“, „ვაჟაობას“, „თბილისობას“, „გარეჯობას“ მხარი აუბა და კვლავ აღორძინდა აჭარაში ძველთაგან ცნობილი „შუამთობა“, მცხეთაში „მცხეთობა“, ადიგენში „საფარობა“, ახმეტაში „ბახტრიონობა“, ყვარელში „გრემ-ქალაქობა“, ბორჯომის ხეობაში „ტბელობა“ და რომელი ერთი ვახსენოთ?!

1982 წ. აპრილის თვის ბოლო კვირის ორშაბათი დღე იდგა: ის იყო საკომიტეტო თათბირიდან კაბინეტში შევედი და თავმჯდომარის პირდაპირი ტელეფონი ახმაურდა. ბ-ნი ნ. ფოფხაძე მოხოვდა მასთან მისვლას: „შენ რომ სანთლით დაეძებ პატრიოტ ქომაგებს, აგერ კაბინეტში მენვია კაცი და შენი გაცნობა უნდაო“. მალე ვეახელ. მისი კაბინეტის კარი შევალე თუ არა, „ამ კაცს ხომ კარგად ვიცნობო“ და ძველი მეგობარივით ხელგაშლილი შემოვივარევა მამუკა ასლანიკაშვილი. იგი იმხანად ზესტაფონის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა. მე მას საქ.კომკავშირის ცეკას მდივნობიდან ვიცნობდი. სათანადო სალამ-ქალამის შემდეგ, იგი პირდაპირ საქმეზე გადავიდა: „იმერეთს, კერძოდ ზესტაფონს, რესპუბლიკა იცნობს მხოლოდ ღვინის მკეთებელ ფალსიფიკატორებად. ჩვენს მხარეში არანაირი სულიერი ღონისძიება არ იმართება, ჩამკვდარია ხელოვნება. მარტო სახელმწიფო გვემებზე მუშაობით სულსა ვხდით ადამიანებს და მინდა რალაციით შევამსუბუქო ეს მგომარეობა. ბევრი ფიქრის შემდეგ აზრად მოგვივიდა ჩვენც დაეანესოთ სახალხო დღესასწაული, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იგი სიმღერის ზეიმად გადაიქცეს. პოპულარული სიმღერა „სულიკო“ ჩვენია, ჩვენს სოფელ ცხრაწყაროში დაიბადა ვარინკა წერეთლის მიერ და სწორედ „სულიკოს“ დღესასწაული გვინდა დავინყოთ მაისის პირველ ან მეორე კვირასო“. გულდასმით ვუსმენდი. „სიმღერის დღესასწაული არსად არ იმართება და იგი მართლაც კარგი საჩუქარი იქნება ჩვენი

ხალხისთვის მეთქი. ოღონდ იგი დარჩენილ ათიოდე დღეში ვერ მოესწრება. თუ თავიდანვე უღიმღამოდ დავინწყეთ, მას ავტორიტეტი აღარ ექნება. საფიროა დაფიქრება, სოფ. ცხრანყაროს ნახვა, სათანადო ადგილის შერჩევა თეატრონისათვის, სადაც ტრადიციულად დამკვიდრდება სიმღერის ფესტივალისნაირი დღესასწაული. ამასთან მე, რამდენადაც ვიცნობ თქვენს რაიონს, ვერ დაიკვებნით მხატვრული თვითმოქმედი ანსამბლებით. თუ მარტო მონვეული ძალებით გავმართავთ კონცერტს და მასპინძლები მხოლოდ მსმენელის როლში იქნებით, დიდი ვერაფერი დღესასწაული გამოგვივა. ამიტომ საქიროა მთელი რაიონი, სოფლები ჩაებას სამზადისში, თავად მიიღონ ზეიმში მონაწილეობა“ – დავსძინე. ჩემი აზრი მოუნონა, მკითხა, როდის შეეძლებდი ზესტაფონში ჩასვლას.

ბ-ნ ნუგზარს სურს ეს სერიოზული დღესასწაული ერთობლივად შეექმნათ, რადგან ასეა, მე მზად ვარ დღესვე გამოგყვეთ მეთქი.

მ.ასლანიკაშვილს გაუხარდა და თქვა: „ერთ თვეზე მეტია დავდივარ დახმარებისათვის პარტიისა თუ კომკავშირის ცეკაში, კულტურის სამინისტროში, კომპოზიტორთა კავშირში, ფილარმონიაში და რა ვიცი სად არა. ეს ოხებრი, ეს დიდი საქმეა, მთელ რესპუბლიკას ეხება და თანამდგომი ვერა ვნახე. ბოლოს ცეკაში მითხრენი, წადი ტელერადიო კომიტეტში, ნახე ლაფაური, თავი მოებმებოდა შენს სურვილსო, ვიფიქრე აქვის ვიცნობდი და ნუგზარი გამახსენდა. აკი არც შევმცდარვარ. ხვალ დილით 7-სათზე ჩემი მანქანა თქვენი ბინის სადარბაზოსთან იდგებაო“, ბრძანა და მისამართი ჩაინერა. გამომშვიდობებისას ვთხოვე დრო რომ არ დაგვეკარგა, ჩემი ჩასვლისთანავე შევხვედროდით რაიონის კულტურის დარგის მუშაკებს, განათლების, წარმოება-დანეხებულეების ხელმძღვანელებს, რათა შეგვექმნა ფესტივალის საორგანიზაციო მუშა ჯგუფი. ეს ასეც მოხდა. დილაუთენია დავადექი ზესტაფონის გზას. უკვე მოფიქრებული მქონდა „სულიკოს“ ფესტივალის ჩატარების დებულება. მასში მონაწილე ანსამბლების, ვოკალური ჯგუფების, სოლისტების სავალდებულო რეპერტუარში უნდა ყოფილიყო 4 ხალხური, მათ შორის „სულიკო“, როგორც აკაპელა, ისე, ინსტრუმენტული თანხლებით შესრულებული. აგრეთვე უძველესი, მიუნიყებული და ფესტივალისათვის სპეციალურად აღდგენილი ხალხური საგუნდო ან სოლო სიმღერა. დანარჩენი ორი ნომერი კოლექტივის ან სოლისტს ეძლეოდა შეერჩია მისი სურვილის მიხედვით.

მ.ასლანიკაშვილის კაბინეტში ხალხმრავლობა დამხვდა. ვისაუბრეთ რაიონის აქტივთან, წარმოების ხელმძღვანელებთან, შევქმენით საორგანიზაციო კომიტეტი, მასში შევიყვანეთ ჩემი ძველი მეგობრები, ადგილობრივი მუსიკოს-ლოტბარები ზაალ ლოლაძე, ალიკო ზარნაძე და სხვ. გადანყდა, „სულიკოს“ ავტორის, ვარინკა წერეთელის საფლავის

კეთილმონყობა. იქვე მახლობლად, ქვის ტოინებში ჩუხჩუხებდა უამრავი ნყარო. აკი ამიტომაც დაემკვიდრა სოფელს „ცხრანყარო“. იმავე ტერიტორიაზე იყო პატარა ვაკე, რომელიც გვირგვინდებოდა ოვალური ფერდობით. იგი ჩინებულ ბუნებრივი თეატრს ჰქმნიდა. სწორედ იქ გადაწყდა საკონცერტო სცენის მშენებლობა.

ცხრანყაროს „სულიკოს“ სიმღერის დღესასწაულის ღირსეულად ჩასატარებლად დამუშავდა დებულება. იგი საქტელერადიო კომიტეტის კოლეგიის და ზესტაფონის რაიკომის ბიუროს ერთობლივი დადგენილებით, ყოველი წლის მაისის თვის ბოლო კვირას ჩატარდებოდა. გამოიყო მრავალი ჯილდო, პრიზი და რაც მთავარია, რედაქციამ თ. ჭკუასელის, ბ. ლოლაძის, მ. დოლიძის, თ. ედიავას, მ. მანდარიას შემადგენლობით დიდი საორგანიზაციო მუშაობა ჩაატარა დღესასწაულში მონაწილე ანსამბლების, ჯგუფების, სოლისტების, მუსიკალური ოჯახების მოსამზადებლად... და აი, 1983 წ. 28 მაისი, კვირა. ზესტაფონის ქუჩები სოფელ ცხრანყარომდე გამოიყურებოდა საზეიმოდ, ხალხის ნაკადი უწყვეტად მიედინებოდა, დანიშნულ დროს, დამსწრეთა წინ გამოდიოდნენ შემსრულებლნი რესპუბლიკის მრავალი რაიონიდან, ქალაქებიდან. იქვე ხდებოდა გამარჯვებულთა დაჯილდოება, პრიზების გადაცემა. ძნელია გადმოიციეს ზღვა ხალხის აღტაცება ვარინკა ნერეთლის საფლავის კეთილმონყობისა და ძეგლის გახსნის გამო. ეს იყო მართლაც უდიდესი სულიერი აღმაფრენა ქართული სიმღერის ნამდვილი დღესასწაული.

„სულიკოს“ ფესტივალის დაწყების ჩვენი მიზანიც ხომ ეს იყო – სიხარული გვეჩუქებინა მასში მონაწილეთა და დამსწრეთათვის.

ზაირ-სიტყვითა მესტვირემ (მესტვირული პოეზიის საღამო)

1979 წლის მაისი ინურებოდა. სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულმა ფოლკლორისა და იუმორის საღამომ დიდი შრომა და ენერგია მოითხოვა, მაგრამ ნათქვამია, „საქმეს თუ შეეები, უნდა დაეჭიდო თორემ დაგჯაბნისო“. ჩვენც შევებით და უნდა ითქვას, რომ გავიმარჯვეთ. ამ გამარჯვებაში, თქმა არ უნდა, ლომის წილი ვახუშტი კოტეტიშვილსა და ალექსი ჭინჭარაულს ეკუთვნოდათ. მათთან ერთად საღამოში აქტიური მონაწილეობა მიიღო პროფ. მზექალა შანიძემ, რომელიც ტოლს არ უდებდა კოლეგებს. საინტერესოდ გამოდიოდნენ სტუდენტები, ასპირანტები და საერთოდ, უნდა ითქვას, იუმორის საღამომ გაამართლა. უნივერსიტეტიდან რედაქციაში ვბრუნდებოდი, კიბეებზე ბ-ნი ნ. ფოფხაძე შემხვდა. მითხრა: „ჩვენმა ფოლკლორულ საღამოებმა რესპუბლიკა ააღაპარა, ხომ არ დაფიქრდები მესტვირულ პოეზიაზე“. ეს იყო და ეს. თავიდან ველარ მოვიშორე მესტვირული პოეზიის საღამოს მონაწილეობა. ეჭვი მანვალებდა, ვაი თუ მესტვირეებს საჭირო რაოდენობით თავი ვერ მოუწყაროთ-თქო. ამიტომ გადავწყვიტე მასში აჭარელი მეჭიბონეებიც ჩამერთო. მათი ჭიბონეა შაირები, ცეკვები არაერთხელ მომისმენია და გადამიცხა სხვადასხვა შერეულ კონცერტებში. ეს ასეც მოვახდინე. სათანადო ორგანიზაციული მუშაობის შედეგად სასურველი პასუხები მომდოდა რაჭიდან. იმერეთიდან, ქართლიდან, თვით თბილისიდან, აჭარაიდან. პროგრამა-სცენარი შევადგინე. ბ-ნ ვახუშტის შევეთათბირე. მან მოიწონა იდეა, სცენარი. მაგრამ, თქვა - „კაცო, სოლომონ, ლამის არის, ეს ირანოლოგი პროფესორი მსახიობად გამხადო, მოდი სხვას წავაყვანივით საღამო“. ბოლოს მაინც დავითანხმე, ჯერი ფილარმონიის დიდ დარბაზზე მიდგა. მისი დირექტორი დორიან კიტია ალლორანი კაცი გახლდათ. მან ფოლკლორული საღამოები, რომელიც ტელევიზიამ წამოიწყო, ისე გაითავისა, ლამის იყო საზოგადოებამ ეს გრანდიოზული, მასობრივი ფოლკლორული საღამოები ფილარმონიულ ლონისძიებებად მიიღო. ამ აზრის გავრცელებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ჩვენ არც სასტუმრო გვექონდა და არც ძვირად-

ღირებული ფილარმონიის დიდი დარბაზის ორ-ორი დღით დაქირავე-ბის საშუალება. ამიტომ შევთანხმდით, რომ ჩვენს მიერ ორგანიზებულ ფოლკლორის საღამოების ქირის სანაცვლოდ ფილარმონია ბილეთებს გაჰყიდდა და ამით გაგვიზრდიდა დარბაზის ქირას. მესტიურიული პოეზიის საღამოს გამართვაზე კი თავს იკავებდა და არც აფიშების გაკერის ტრადიციულ ვალდებულებებს იღებდა. დღემ რამდენიმეჯერ მიხდებოდა ბ-ნ დორიანთან მისვლა და ხვეწნა. არა და დიდი ხნით ადრე დანიშნული კალენდარული დღე 19 ივნისი კარზე იყო მომდგარი. ბ-ნი ნ. ფოფხაძეც ჩაერია საქმეში. უკან დახვევა ჩვენი კომიტეტის მხრიდან აღარ ეგებოდა. ჩვენთვის ძვირად ფასობდა საზოგადოებრივი აზრი და ავტორიტეტი. ამიტომ გადავწყვიტეთ, ფილარმონიის დარბაზის ერთი დღის ქირა როგორმე კომიტეტში მოგვექცია, დორიანი დამთანხმდა აფიშების გაკერაზე. სულ რაღაც სამი დღით ადრე თბილისის ქუჩები სტივორ-ჭობონებით მოხატული აფიშებით აჭრელდა. მიუხედავად რეკლამის დაგვიანებისა, დიდძალი საზოგადოება მოაწყდა ფილარმონიას. შეიქმნა ბილეთების შოვნის დეფიციტი. ზოგიერთნი იმასაც ამბობდნენ, შავ ბაზარზე ბილეთის ფასამ 10-მანეთს მიაღწიაო.

დაიწყო მესტიურიულ-მეჭობონეთა საღამო. ბ-ნი ვახუშტი ჩვეული, ჩახლეჩილი ხმით ენაწყლიანობდა. მე მღელევარებამ სადღაც კულისებში მიმძალა, ვილაცა მოდის და მეუბნება – მაღლა ლოყაში გიხმობენ ცეკას მდივანი ვიქტორია სირაძე და ტეკას მდივანი ნელი გურგენიძეო. მე-2-ე სართულის ლოყაში შევედი, სტუმრებს მივესალმე და კუთხეში მივჯექი.

ბ-ნი ვახუშტი სცენიდან: „ხალხნო, მე აღმოსავლეთმცოდნე გახლავარ-ირანოლოგი, პროფესორი. ამ ტელევიზიამ თავისი ფოლკლორული საღამოებით, ლამისაა არტისტად გადამაქცია. ფოლკლორი კიდევ შო, მამაჩემის, ვახტანგ კოტეტიშვილისგან სისხლ-გუნებაში მომყვება სიყვარული. ეხლა კი მესტიურიულ-მეჭობონეთების საღამოს გაძლოვაც დამაკისრეს. ყოველივე ამეების მომწყობი და ორგანიზატორი, ტელევიზიის მთავარი რედაქტორი სოლომონ ლაფაური გახლავთ, რომელიც ალბათ, აქ, სადღაც კულისებშია შეფარებული, ეს თქვენი ჩემდამი ტაში და ოვაციები მისი კუთვნილებააო“. ამ სიტყვის შემდეგ უფრო იმძლავრა ტაშმა. ხალხი ფეხზე ადგა, აქეთ-იქით აცეცებდა თვალს. ქ-მა ვიქტორია სირაძემ ხელი მომკიდა და მითხრა: „ნუ იმალები, ხალხი შენ გიკრავს ტაშსო“. მეც რა ჩარა მქონდა, გადავდექი ლოყიდან მაღლობას ვუხდიერ მაღლიერ საზოგადოებას.

მთელი საღამო საოცარი აღმაფრენით მიმდინარეობდა. ხალხის ამ ჟანრისადმი ასეთი მოწყურებული გამოძახილით ფრთაშესხმული მონანილენი, რომლებიც იქვე სცენაზე იყვნენ განლაგებულნი, ძალ-ღონეს არ იშურებდნენ სრულყოფილად ეჩვენებინათ თავიანთი ხელოვნ-

ნება. სალამოს მე-2 განყოფილება ახალი დანყებული იყო. ფილარმონის დირექტორმა დორიან კიტამ ლოჟიდან გამიხმო და ხვენა-მუდარით დამიწყო თხოვნა: „სოლომონ, შენი ჭირიმე, არ ველოდი თუ ასე მიიღებდა საზოგადოება მესტვირულ-მეჭიბონეთა სალამოს. დარბაზი გადაიტვირთა ფეხზე მდგომი მსმენელით, გასასვლელები, კიბეები გადატვირთულია. სალაროები ლამისაა დაგვიმტვირთონ. იძულებული გავხდი ხვალისთვის დამეწყო ბილეთების გაყიდვა. სამნუხაროდ, შორეული კუთხეებიდან მოსულნი წასვლას ლამობენ, მატარებელზე გვაგვიანდებო“. ჩვენ დღიურებსაც მივცემთ, სასტუმროში ადგილებიც მზადა გვაქვს. ოლონდ ესაა, მაინც არ ჩერდებიან. ჩვენ ლაფაურმა ერთი დღით მოგვინვია ჩვენი ხარჯებით და აქ მსახიობობას არ ვაპირებთო. შენი ჭირიმე, ჩამოდი, დაელაპარაკე, შენ გიცდიანო“. ისედაც ვაპირებდი ჩასვლას, მადლობის თქმას, გაცილებას. და, აი, სცენის უკან, ფოიეში შევხვდით. სიხარულით ვეხვეოდით ერთმანეთს. ვთხოვე დარჩენა. ეხლა ფილარმონია მოგხედავთ-მეთქი. უსიტყვოდ დამთანხმდნენ. ამ ფაქტმა შინაგანად გამახარა. ეს ხომ სახტელერადიო კომიტეტის, პირადად ჩვენი რედაქციის ხალხში დათესილ ავტორიტეტზე მეტყველებდა.

სტუმარ-მასპინძლობა

მოგეხსენებათ ჩვენში სტუმართ-მასპინძლობის ტრადიციული ადათ-წესები. უკანასკნელ კაპიკებს ვხარჯავთ სტუმართან თავის მოქაჩლებით. არც ტელევიზიას გვაკლდა სტუმარი. გზადაგზა ზოგიერთ ამგვარ სტუმრებთან შეხვედრა უკვე მოვიხსენიე, მაგრამ აუცილებლად მინდა გავიხსენო 1977 წ. ტელევიზიის დაბადების 20 წლისთავი. იგი ფართოდ, დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა სახ.ფილარმონიის დიდ დარბაზში. ზეიმზე დასასწრებლად ბევრი უცხო სტუმარი გვეწვია, რუსეთიდან, ბალტიისპირეთიდან, შუა აზიიდან და სხვ. ვხედავდით, ბ-ნ კარლოს უკვე უჭირდა მრავალი მისი კოლეგისა და სხვათა მიღება-მასპინძლობა. გულწრფელად გვეცოდებოდა. ისედაც მრავალშვილიანი ოჯახის პატრონი სულ მუდამ ვალებში იყო. ერთხელაც შევბედე და ვუთხარი — „ბატონო კარლო, ჩვენ ადრეც ათობით სტუმარი მოგვდიოდა. ცენტრალურ ტელევიზიაზე გადასაცემი (1960-1961 წლებში) პროგრამების ე.წ. „ჩასაბარებლად“. ვისაც არ ეზარებოდა ყველა საქართველოში მობოდა. სასტუმრო ხარჯები არც მაშინ იყო მთავრობის ნაწყალობებ ბიუჯეტში გათვალისწინებული და ჩემს ოჯახში მრავალგზის ვანყობდით მათთვის სადილ-ვანშემებს. ერთხელ ბატონებმა ანტონ კელენჯერიძემ და პეტრე შამათავამ ხუმრობით ისიც კი ბრძანეს: „ჩვენი სოლომონის სახლის კედლები ამდენი სტუმრობით შეილახა და უნდა კომიტეტმა შეეუწრემონტოთ“. ნურც თქვენ მოგერიდებათ. ნაკლები თანხებით შეგვიძლია ამდენი სტუმრის უკეთესი მასპინძლობა შევძლოთ მათი აქ ყოფნის მანძილზე-მეთქი. ბ-ნ კარლოს ვატყობდი ესიამოვნა ჩვენი თავაზიანი წინადადება, თანაც სულ სხვა იყო სტუმრებისთვის ოჯახში მიღება. გადანყდა, მეორე დღიდანვე ჩემი ოჯახის კარი ღია იქნებოდა ათობით სტუმრის მისაღებად. დავტრიალდი. ქ-ნ ივლიტასთან შეთანხმებით ვთხოვეთ სხვადასხვა რედაქციების პასუხისმგებელ რედაქტორებს, ჯგუფის უფროსებს: ეთერ ჩუბინიძეს, ვენერა კობიაშვილს, მაყვალა ჩხეიძეს, რუსუდან აბდუშელიშვილს და სხვ. ისინი ჩემს მეუღლესთან ერთად შეუდგნენ მრავალნაირი ნუგბარი კერძის სამზადისს. საუკეთესო მზარეული გახლდათ ტელეოპერატორების ჯგუფის უფროსი ჯუმბერ ნანიტაშვილი, ხმის ჯგუფის უფროსი კოსტა ჟღენტი, რეჟისორი თამაზ ვლიავა

და ამ სტრიქონების ავტორი. რალაცა კაპიკებით, სახელმწიფო „მტკიცე“ ფასებში, იმდენი პურ-მარილი დავახვავეთ, რომ სტუმრების თბილისში ყოფნის დღეებში, ზოგჯერ დღეში ორჯერაც ვანყობდით სუფრას. ასეთი ღონისიებები კიდევ უფრო გვაახლოვებდა ერთმანეთთან კოლეგებს, ოჯახებს.

აქვე გავიხსენებ ტელეფილმების ფესტივალსაც, რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა. ფესტივალის სტუმართა შორის იყვნენ პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკეთიდან, უნგრეთიდან, ბულგარეთიდან, გერმანიის ე.წ. დემოკრატიული რესპუბლიკიდან. ოფიციალური ცერემონიის შემდეგ კომიტეტის ხელმძღვანელობამ სტუმრებს შესთავაზა ექსკურსია-გასეირნება გორში. მე და ჩემი ზემოდასახელებული „მზარეულები“ კი სანოვავით დატვირთული მანქანით ჩავედით მუხრან-ბატონისეულ სასახლეში. იქვე კიდევ დაცული იყო ბატონისეული ვრცელი სკამ-მაგიდები, ძვირფასი ჭურჭელი, ღვინო-მარანი. გორიდან მობრუნებულ სტუმრებს უკვე განყობილი, საოცრად მდიდარი და ლამაზი სუფრა დახვდათ. 40-ზე მეტი ქალი და კაცი ლხენამ მოიცვა. ქართულმა ხალხურმა სიმღერებმა ხომ კვლავ აახმიანა მუხრანის სასახლე. ღია ფანჯრებში შემოჭრილმა მწვადის სურნელებამ ერთბაშად წამოშალა ისინი და ღია კარ-ფანჯრებს მიანყდნენ. სიგრძეზე გამწვანებული ნალვარალებზე მაცდურად მიშხინებდა 45-შამფური. ბ-ნი კარლო ველარ ფარავდა კმაყოფილებას სტუმართა უჩვეულო აღტაცების გამო, რომლებიც შამფურზე აგებულ მწვადებით დაუბრუნდნენ მაგიდას. თავმჯდომარემ სტუმრებს წარუდგინა თეთრხალათიანი „მზარეულები“, რომლებსაც სტუმრები ცალკეული კერძების რეცეპტებს სთხოვდნენ. როდესაც გაიგეს, რომ თეთრხალათიანები იყვნენ ტელევიზიის მუსიკალური პროგრამების მთ.რედაქტორი ს.ლაფაური, მთავარი ტელეოპერატორი ჯ.ნანიტაშვილი, მთ.ხმის რეჟისორი კ.ჟღენტი, რეჟისორი თ.ელიავა, ისინი წამოცვივდნენ, გვეხეუოდნენ.

ქ-ნი ივლიტას მეუღლე ბ-ნი ვაჟა ჯალალონია გაზ. „კომუნისტის“ პ/მგ. რედაქტორი გახლდათ. ჭირი იყო თუ ლხინი ხშირად ვიყავით ერთად, მათ შორის მათი ოჯახის აგარაკზე „არმაზში“. ჩემთვის და არამარტო ჩემთვის, ყოველთვის დაუეინყარია ის დღეები.

* * *

1971 წლის პირველი სატელევიზიო ფესტივალი გაზაფხულიდანვე განსაკუთრებული შრომითი ინტენსიურობით დავიწყეთ. ჩემთან ერთად ამ დიდი ჭაპანის განევა მოუწიათ რედ. ო.ჩიტაიას, რეჟისორებს გ.სებისკვერძეს, ვ.გელაშვილს, რეჟის. თანაშემწეს მ.მანდარიას. ჩვენს პატარა ჯგუფს, როგორც ყოველთვის, მხარში გვედგა ქორეოგრაფი მიხეილ შუბაშიკელი. აღარ გავიმეორებ, რომ სატელევიზიო ფეს-

ტივალის, ამ გრანდიოზული ღონისძიების ტელეეკრანზე გადმოტანას, როგორც ზემოთაც არაერთგზის აღენიშნე, ქეყანაში „ხრუშოვ-შჩინის“ პერიოდში გაუქმებული ოლიმპიადები, დაშლილი მხატვრული კოლექტივები, მინაკლებული მხატვრული თვითმოქმედების გამოცოცხლება ედო საფუძვლად.

რა უპირატესობა ჰქონდა სატელევიზიო ფესტივალს ნინამორბედ ოლიმპიადებთან შედარებით?! ჩვენის რწმენით, ბევრი რამ! პირველი ის, რომ რესპუბლიკა დავყავით ექვს ზონად: 1. თბილისი, 2. გორი, 3. ქუთაისი, 4. ბათუმი, 5. სენაკი, 6. სოხუმი. ოლიმპიადების დროს მასში მონაწილეთა რიცხვი შეზღუდული იყო. ტარდებოდა კომპაქტურად 5-6 დღეს. სასტუმროებში ანსამბლების განთავსება ურთულეს პრობლემებთან იყო დაკავშირებული. მის მონაწილეთა განსაზღვრულ ე.წ. „ლიმიტის“ გამო, თითქმის ყოველთვის ოლიმპიადის გარეშე რჩებოდნენ სოფლის კოლექტივები, ოჯახები. სატელევიზიო ფესტივალის დროს კი თითოეულ ზონაში შეგვეძლო იმდენ ხანს დარჩენა და მხატვრული კოლექტივების ვიდუო ჩანერა, რამდენსაც საქმე მოითხოვდა. ანსამბლების ჩანერის კალენდარი საშუალებას იძლეოდა დილიდან საღამომდე გვემუშავა და სასტუმროსა თუ სხვ. ფინანსური ხარჯების გარეშე უკან დაგვებრუნებინა მონაწილენი. ზონებში ნინასნარ გვექონდა და შექმნილი საორგანიზაციო კომიტეტები. სხვა რაიონებიდან ჩამოსულ მონაწილეთათვის გამოყოფილი იყო დასასვენებელ-ჩასაცმელი, კვების ობიექტები. ოლიმპიადაში მონაწილენი შეზღუდული იყვნენ წარმოსაჩენი რეპერტუარით (ეძლეოდათ მაქსიმუმ 2-3 ნომერი), რაც ხშირად კურორტებით თავდებოდა. მაგ: იყვნენ რაიონები, სადაც ოლიმპიადიდან ოლიმპიადამდე არა ჰყავდათ ანსამბლები, მათთან ჩამქრალი იყო მხატვრული სულიერი ყოფა. საოლიმპიადოდ კი უცბად შეკრებდნენ მომღერალ-მოცეკვავეებს, სახელდახელოდ შოამზადებდნენ ორ-სამ ნომერს და ხშირად იმაზე მაღალ შეფასებას იმსახურებდნენ, ვიდრე რომელიმე მუდმივმოქმედი ანსამბლი. დასრულდებოდა ოლიმპიადა და დაიშლებოდნენ მათი კოლექტივებიც. სატელევიზიო ფესტივალი კი მიმდინარეობდა თითქმის მთელი წელი (კვირაში ერთი საღამო). შეუზღუდავი ჰქონდათ რეპერტუარი, მონაწილეთა რაოდენობა. განსაკუთრებით ეს დადებითად მოქმედებდა სოფლის – ამ მართლაც და „შრომისა და სიმღერის ადამიანებზე“, დადებით გავლენას ახდენდა სანარმოო-დანესებულებების, მუშა-მოსამსახურეების მხატვრულ შემოქმედებაზე, რომლებიც თითქმის ვერასოდეს იღებდნენ ოლიმპიადებში მონაწილეობას. და ბოლოს, ოლიმპიადების ჩასატარებლად მთავრობა გამოჰყოფდა ბიუჯეტიდან დიდძალ თანხებს. ტელეფესტივალი კი ფაქტიურად რედაქციისათვის გამოყოფილი ყოველდღიური გადაცემების ჰონორარის თანხას არ სცილდებოდა, თუ არ

ჩავთვლით კომიტეტის დახმარებას პრიზების, დიპლომების, სიგელების შექმნა-დაბეჭდვის მცირე თანხას.

პირველმა სატელევიზიო ფესტივალმა მთლიანად დაადასტურა ჩვენი ნაფიქრალი. ტელეკამერის წინ თხუთმეტი ათასამდე მონაწილემ გაიარა. ეს იყო სრულიად საქართველოს მასშტაბით გრანდიოზული ღონისძიება. საკუთარი საშემსრულებლო ხელოვნების საკუთარ ოჯახებში ყურება, უდიდეს სიხარულს იწვევდა. „ჯადოსნური ეკრანის“ ეს მაღლი გადაცემებს მიმზიდველს ხდიდა. არ შემოძლია ღრმა მადლიერებით არ გავისხენო ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მაშინდელი უფროსის მოადგილე გოგი გაბესკირია, რომელიც ყოველი რთული ახალი ობიექტის ათვისებაში, საიდანაც პირველად ენყობოდა ტრანსლაცია თუ გადაცემა, ჩვენს გვერდით არ მდგარიყო. სენაკიდან ზონალური დათვალიერების წინა დღით მოძრავი სადგურის გამოსახულების მიღებისას გაირკვა, რომ მგზავრობისას დაზიანებულიყო გადამცემი. მე დიდის ამბით მთელი დღე ვიჯექი თეატრში და ვისმენდი კოლექტივებს მესტიიდან, ლენტეხიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან. ბ-ნი გოგი დამჯდარა მანქანაზე, წასულა თბილისში, წამოუღია დაზიანებული გადამცემის შემცვლელი დეტალი და იმავე დღის ბოლოსთვის ტექნიკის ინჟინრებთან ერთად ყველაფერი წესრიგში მოუყვანია. მე ეს ამბავი მანვე გამიმხილა გვიან ღამით. გამიკვირდა, ვუთხარი, რად არ გამაგებინე-მეთქი? მითხრა – „ინერვიულებდი, ხელი შეგეშლებოდა კოლექტივების შერჩევაში“. ასევე ყოველთვის გვერდით გვედგა მოძრავი სადგურის დაგეგმვის ჯგუფის უფრ. გივი ძნელაძე (შემდეგ პროგრამების დირექტორი), გიული დონდუა. ისინი ბევრს აკეთებდნენ რედაქციებისათვის შემოქმედებითი ატმოსფეროს შესაქმნელად. ასევე კეთილი სიტყვით ვიხსენებ პროგრამების დაგეგმვის თანამშრომლებს რ.აბდუშელიშვილს, მ.კაპუსტინას, რ.კუხალიშვილს, მანანა აკობიას და რა თქმა უნდა, ლეილა ყუბანეიშვილს, რომელიც თავდაუზოგავად განაგებდა მინდობილ საქმეს. გვქონდა სიმწელებიც, კამათიც, დავაც, მაგრამ გვქონდა მთელ კოლექტივს ურთიერთბატივისცემა, სიყვარულიც. შემდეგ და შემდეგ ეს ურთიერთობა თანდათან გაგრილდა. გაჩნდა თავშეუწუხებლობის ძაწენე სინდრომიც, მაგრამ იგი ზღვაში წვეთის შერევას ჰგავდა.

გადაცემა სულით კლიერი და ქართლის სურათები

ხალხური შემოქმედების მთავარმა რედაქციამ რომ იტყვიან, ფრთები გაშალა. სახელმწიფო ფილარმონიაში გამართული „ოზურგეთის ფოლკლორული საღამო“, გადაცემები „შუქი სულისა“, „საქართველოს ხეობების (ავტ. რ. ურუშაძე). „მეთუნეები, სხვადასხვა რაიონების მხატვრული კოლექტივების შეხვედრები სტუდიაში, „თვითნასწავლი მხატვრები“, „შრომის და სიმღერის ადამიანები“ და მრავალი სხვა ალამაზებდა სატელევიზიო პროგრამებს. მომავალი მკვლევარი თუ უბრალოდ დაინტერესებული პირი არ შეიძლება არ შეეხოს, არ ჩაუფიქრდეს, არ გაანალიზოს რედაქციის თითოეული ნევრის ღვანლი და ამაგი მოძიებული, პრობლემატური თუ საზოგადოებრივი ჟღერადობის თემებით. ჩემთვის დღესაც ჟრუანტელის მომკვრელია მწერალ კობა არაბულის მიერ შემოთავაზებული, ჩვენი ერისათვის უაღრესად პრობლემატური საკითხი – დაცლილი მთის სოფლების გამო. ბ-ნმა კობამ შემოგვთავაზა პირალმა ხევსურეთის – ერთ-ერთი სოფლის ზენბაცალგა ტრადიციები, სადაც მხოლოდ ერთი ოჯახი ცხოვრობდა. ჩვენ მას „ერთკაციანი სოფელი“ დავარქვით. ოჯახის თავკაცი, ახალგაზრდა ყუდია არაბული მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად მარტოდ ცხოვრობდა, მარტოდ ეწეოდა სოფლის ჭირ-ვარამის უღელს. ლუდს მოხარშავდა თუ უბრალოდ კაცთან დალაპარაკება მოენატრებოდა, მთის სერზე გადადგებოდა, მეზობელ სოფლისკენ თოფს გაისვრიდა და ასე იხმობდა სტუმრებს. გადაცემის რედაქტორმა და რეჟისორმა ნუკრი მამულაშვილმა ღრმად განიცადა მწერლის ნაფიქრი და ასევე ღრმად მიყენებული ხედვითი კადრებით წარმოაჩინა თანამედროვე პატრონიტი გმირი გლეხის გაუტეხელი მარტოსულობა. ყუდიას ნათქვამი: „დამეზრდებიტან შვილები, ორს დავაქორწინებ, ქალს აქვე გავათხოვებ, მალე ოთხი ოჯახი შევიქმნებით, მინას არ გავასხვისებთ“.

ასევე სამახსოვროდ მიმაჩნია გადაცემა „სულით ძლიერი“. იგი მიედგნა ნოდარ დუმბაძის მოთხრობის ცოცხალ გმირს ბრმა მეფანდურეს ილია თავართქილაძეს, რომელიც ჩოხატაურში იმჟამადაც ცხოვრობდა. დაბადებულან ორივე თვალთ უსინათლო ახალგაზრდამ შექმნა ოჯახი,



აღზარდა შესანიშნავი შვილები, სთლიდა ჩონგურებს, აკეთებდა და-ზიანებულ ტელეფონებს, აკერებდა ფეხსაცმელებს, ეზოში გამართა ელექტროდენის ღირლიტა ნისქვილი, აწყობდა დაზიანებულ კედლის საათებს. ოჯახებში მიჰყავდათ მუსიკალური ინსტრუმენტების (პიანინო, აკორდეონი და ა.შ.) შესაკეთებლად, ასაწყობად. ერთხელ ჩოხატაურში სტუმრად მიწვეულ მუსიკოსს, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატს, ამჟამად აშშ-ში მცხოვრებ პიანისტ ლექსო თორაძეს ათქმევინა: „ასეთი სუფთა ბგერებით აწყობილი როიალი უცხოეთის ცნობილ საკონცერტო დარბაზსაც შეშურდებათ“.

ილია, ანუ როგორც მას ეძახდნენ, შუშუნი თავართქილაძე ჩოხატაურში ცხოვრობდა. გაიხსენეთ მწერალ ნოდარ დუმბაძის მოთხრობის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. ომის დაწყების სურათი. ახალგაზრდობა იკრიბება ფრონტზე წასასვლელად. სერზე გადმომდგარი ბრმა მეჩონგურე სიმღერით მიაცილებს მათ. ის ბრმა მეჩონგურე სწორედ რეალური პიროვნება, როგორც ეს ნ.დუმბაძეს სჩვეოდა, გახლდათ. პირადად ბ-ნ ნოდარსაც უამბვნია ჩემთვის, „ღია ცის ქვეშ კუს ტბის მუზეუმში გამართულ „თბილისობის“ დროს, სადაც ერთ-ერთი მონაწილე ყოველთვის ჩოხატაურელები იყვნენ. ჰოდა, მე და რუჟისო-რი უშ.დარჩია ვართ ჩოხატაურში, ვამზადებთ „ფოლკლორულ საღამოს“. კულტურის განყოფილების გამგეს, ჩემს კარგ მეგობარს, რევაზ თედორაძეს ვკითხე, შუშუნი თავართქილაძე თუა მეთქი ცოცხალი, – კიო, აგერ ახლოს ცხოვრობს. თუ გაინტერესებს, შეგახვედრებო, – მითხრა. თქმა არ უნდა, მართლაც მაინტერესებდა ამ საოცარი უსინათლო პიროვნების, მისი ოჯახის ნახვა-გაცნობა. ეს გაცნობა იმავე დღეს შედგა, რაც მასზე ზემოთ მოგახსენეთ მცირედად მოგეჩვენებთ, როდესაც მისი ხელმადლიანობით შექმნილი ნივთები ვნახე. იქვე გადავწყვიტე მასზე ცალკე გადაცემის მომზადება. (ავტ. ოტია კალანდაძე). გადაცემას „სულით ძლიერი“ ვუნოდეთ. როგორ შექმნა ოჯახი?! ეს საოცარი ლეგენდა მან მოგვითხრო: „მივყავდი დაზიანებული ტელეფონების შესაკეთებლად. შემდეგ, მისი მუშაობის სისწორის შესამოწმებლად სხვა რომ არ შემენუხებინა, ვრეკავდი ატეესში, სადაც მხედებოდა დაზიანების ბიუროს თანამშრომელი ქალიშვილი, მომავალი ჩემი მეუღლე. იგი ყურადღებიანი, საოცარი სითბოთი მპასუხობდა. ჩვენს შორის ასეთი საუბარი ხშირად იმართებოდა. ამ დაზიანებული ტელეფონების მადლით შევიყვარეთ ერთმანეთი და როდესაც ბოლოს, და ბოლოს აუცილებელი შეიქმნა ჩვენი შეხვედრა, უკან დავიხიე, რომ მნახავ დამკარგა-მეთქი. რა გაეწყობდა, ბოლოს ვუთხარი მიზნი ჩემი ნუხილისა. იგი მაინც მოვიდა შესახვედრად. მე შორიდანვე ვიკრძენი მისი მოსვლა. თვალზე ცხვირსახოცი ავიფარე. და მაინც აქვითინებული ჩამომეკიდა კისერზე. მითხრა: „რა გაენყობა, ჩემი

ბედ-ყისმათი შენ ყოფილხარო და წავედით ჩემთან სახლში. ასე გავ-
ზარდეთ ორი შვილი – ვაჟი ბახმაროს სატყუოს ინჟინერია, ქალიშვილი
მუსიკოსი“ – დასძინა შუშუნიმ.

გადაცემამ „სულით ძლიერი“ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ტე-
ლემაყურებლებზე. მისმა ნახვამ თუ მოსმენამ ბევრ ხელჩაქნეულ ინ-
ვალიდსა თუ ხელმოცარულ ადამიანს დაუბრუნა სიცოცხლის აზრი და
რწმენა.

აღნიშნული გადაცემა 1981 წ. სექტემბერში მოწყო. როგორც ყო-
ველთვის ამ პერიოდში შვებულებით მივდიოდი კახეთში, სოფ. კისის-
ხევში, ჩემს მამა-პაპულ მამულში. სამსახურში დაბრუნებისას მაგი-
დაზე ტელემაყურებელთა დიდძალი ფოსტა დამხვდა. მათ შორის აღ-
მოჩნდა წერილი ჩოხატაურიდან, რომელსაც ილიას ქალიშვილი მარი-
ნე აწერდა ხელს. იგი მწერდა გადაცემით მიღებულ ღრმა შთაბეჭდი-
ლებებს, არ იშურებდა მაღლიერებით ალესილ სიტყვებს საქ.ტელევი-
ზიის მისამართით. ერთ ადგილზე წყლის წვეთით იყო გაუღენთილი ნა-
წერი. იგი მწერდა, რომ „ეს წვეთი მამის ცრემლია და აღარ „გადავწე-
რე. დაე, თქვენც იგრძნოთ მისი სიხარულის ცრემლის ძალაო. ამასთან
მაცნობებდა, რომ დღეს მამაჩემს ვეღარ იცნობთ. გახალისდა, მეც
საჭირო ვყოფილვარ ქვეყნისათვისო, უამრავი წერილი მოგვდის რო-
გორც ჩვენი რაიონიდან, ისე რესპუბლიკის სხვადასხვა მხრიდან. ჩვენს
მიმართ სულ სხვა ყურადღებას იჩენენ რაიონის ხელმძღვანელებიც.
თუ აქამდე მამა ჩვეულებრივი ბრმა კაცი იყო, ეხლა იგი რაიონის საპა-
ტიო მოქალაქედ ირჩიეს. მამა ამბობს: „ამ ხნის კაცს ჩემს სულში არა-
ვის ჩამოუხედავს. ეს შესძლო მხოლოდ ტელევიზიამ და უღრმესი მად-
ლობა ამისთვისო“.

ცხადია ბ-ნ ი.თავართქილადის, მისი ოჯახის მისამართით იმავე
დღეს (1981 წ. 2 ნოემბერს) გავაგზავნე მისალოცი ბარათი მისი საპა-
ტიო მოქალაქედ არჩევისა და ესოდენ დაფასების გამო. მას შემდეგ
მრავალი ათეული წელი გავიდა. ბ-ნი შუშუნიც იმ დიდი ქვეყნის ბინა-
დარი გამხდარა. მისი ოჯახი, შვილები, შვილიშვილები ამშვენებენ ამ
წუთისოფლის სამზეოს და ამდენი ხნის წლის წინანდელი ტელევიზიის
გადაცემით მიღებულ გულის სიმხურვალეს თურმე დღემდე გრძნო-
ბენ. ამის დასტურია კისისხევში ჩემდამი გამოგზავნილი მაღლიერე-
ბის ბარათი, რომელიც 2001 წ. 24 დეკემბერს მივიღე, როგორც ჩემ-
თვის საუკეთესო საახალწლო ნობათი – მოლოცვა. ასე ყოფილა თურ-
მე. „ცისფერი ეკრანის“ ჯადოსნური ძალის მიმზიდველბა ათეულო-
ბით წლებში გადადის.

როგორ არ გავიხსენო 1983 წ. 6 ივლისი ფილამრმონიის დიდი სა-
კონცერტო დარბაზი, სადაც გავმართეთ თვითნასწავლი კომპოზიტო-
რის, ზ.ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახ. აკადემიური თე-

ატრის რიგითი მომღერლის – შოთა ჩაკვეტაძის საგუნდო სამღერების ციკლის დადგმა, რომელსაც ბ-ნ ვახუშტი კოტეტიშვილმა მოუძებნა საერთო ქარგა და მას „ქართლის სურათები“ შევარქვით. ამ საღამოს გრანდიოზული ძალისხმევა დასჭირდა. მასში მონაწილეობდნენ საქ. ტელერადიოს სიმფონიური ორკესტრი – გივი აზმაიფარაშვილის ხელმძღვანელობით, კომიტეტისვე საესტრადო ორკესტრის სასულე ჯგუფი ანუ, „ბენდი“, საქ.სახ. კაპელა გივი მუნჯიშვილის ხელმძღვანელობით, საქ.ტელერადიოს ვაჟთა ოქტეტი და გუნდი, ოპერის მომღერალთა გუნდი, ექვსი სოლისტი, მსახიობები ზინაიდა კვერენჩილაძე და ზურაბ ქაფიანიძე. ჯერ კიდევ 1982 წლის ერთ-ერთ საახალწლო საზეიმო კონცერტში მოვამზადეთ და ჩავინერეთ გუნდი და სოლისტი „შემომეყარა ყვიჩალი“.

თავისი საგუნდო ყლერადობით, ინტონაციით გაგვახსენა დიდი ნიკო სულხანიშვილის საგუნდო მუსიკის გზა, ამიტომ არც გამეკვირვებია, როდესაც მ.ჩაკვეტაძის „შემომეყარა ყვიჩალი“ საქ. კომპოზიტორთა კავშირის გამგეობამ თავის საყრილობო პროგრამაშიც შეიტანა. შთამბეჭდავი, მელოდიის სილამაზით, გამოირჩეოდა თ.ზაალიშვილის სოლო, დრამატიზმით იყო აღსავსე ჯემალ მდივანის შესრულებით „ყვიჩალის პაემანი“, გუნდები „თმარ მეფე და ხონთქარი და სხვ. ფილარმონიის დარბაზში გადაჭედილი მსმენელი გულითადი ოვაციით შეხვედა შოთა ჩაკვეტაძეს, მის მუსიკალურ-პოეტურ კომპოზიციას „ქართლის სურათებს“.


„ქართლის სურათების“ დადგმის ზურგს უკან იყო ხელისშეშლის, „ორპირობის“ ნიუანსებიც. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა ზოგიერთი პროფესიონალი კომპოზიტორის შურისმაგვარი გამოსტომითაც. „თვითნასწავლ კომპოზიტორს ფილარმონიის დიდ სახელმწიფო დარბაზში, ამდენი მხატვრული კოლექტივის, მსახიობ-მომღერლების მონაწილეობით როგორი გრანდიოზული საღამო მოუწყვეთო“ (!!!) რას იზავთ ბატონებო, ხალხია შემოქმედი, ღმერთმა ნიჭიერი კაცი ნუ გამოუღიოს ჩვენს ტანჯულ მამულს და საქართველოს ტელეეკრანი ყველა ნიჭიერს აძლევს თავისი ნიჭის დემონსტრირების საშუალებას.

პირველი ექსპედიცია მესხეთ-ჯავახეთში

იდეა 1987 წ. აგვისტო. კომიტეტის თავმჯდომარემ ბ-ნმა ა.სანებლიძემ მითხრა: „სოლომონ, მოემზადე, ოც აგვისტოს გვინდა შენი ხელმძღვანელობით, ჩვენი თანამშრომლებისაგან დაკომპლექტებული ჯგუფი ექსპედიციაში წახვიდეთ მესხეთ-ჯავახეთის რაიონებში. მოიარეთ სოფლები, შეხვედით ადამიანებს, შეისწავლეთ მათი პრობლემები, წარმოაჩინეთ ახალი სახელები, ჩაინერეთ თუ რაიმე საინტერესოს მოისმენთ, ნახავთ. ამ დიდი კუთხის ხალხსაც გაუხარდებათ, ტელევიზიასა და რადიოსაც გამოგვადგებაო“.

მესხეთ-ჯავახეთი. ერთიანი საქართველოს დედა ისტორია და დედაბოძი ასპინძა, ადიგენი, ახალქალაქი, ახალციხე. იდეა მომხიბლველი გახლდათ. თანაც ექსპედიცია და არა რიგითი მივიღებთ. ცხადია, დაეთანხმდნენადადებას. ერთი კია. გულში ეჭვის ჭიამ ჩამომლიმა, როდესაც ექსპედიციის მონაწილეთა სიას ჩაეხედე. ესენი იყვნენ – მუსიკალური გადაცემების რედაქციიდან: შაკი-აშვილი ოლია (ლუიზა), იმნაძე ავთანდილი, ხალხური შემოქმედების რედაქციიდან: მამულაშვილი ნუკრი, ქოქუ-აშვილი იზოლდა, ლიტერატურულ-დრამატული რედაქციიდან ჭელიძე ვლადიმერი, რადიოს მუსიკალური პროგრამების მთ.რედაქციიდან, გარსევანიშვილი ნანა, რადიოს ლიტერატურულ-დრამატული რედაქციის მთ.რედაქციიდან-მჭედლური ზინაიდა, კონსერვატორიის დოცენტი ვალერიან მალრაძე და ტელერადიო კომიტეტის მძღოლი სურენ გაბრიელიანი.

ზემოთ ვთქვი, „გულში ეჭვის ჭიამ ჩამომლიმა“-მეთქი. ეს აზრი კიდევ უფრო განმომტკიცდა, როდესაც დასახელებულ მეგობრებთან ექსპედიციაში გამგზავრების წინა პატარა შეკრება გავმართე. საინტერესოა, რომ ექსპედიციაში მონაწილენი იყვნენ იმ დროს ცნობილი ე.წ. „დისიდენტები“. ისინი აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი ეროვნულ მოძრაობაში. ისიც გაირკვა, რომ აგვისტოს 25-26 რიცხვებში საზოგადოებაში გავრცელებული ხმებით, მოსალოდნელი იყო ახალგაზრდობის მძლავრი გამოსვლები. საინტერესოა, იმ დროს ვილაც-ვილაცები ხშირად ძალად ავრცელებ-



დნენ ხმებს მოსალოდნელი მანიფესტაციების, არეულ-დარეულობის მოწყობის შესახებ. ეს ხმები პანიკაში აგდებდა სამთავრობო სტრუქტურებს და მაქსიმალურ ზომებს მიმართავდნენ ახალგაზრდული მოძრაობის სიმძლავრის შესასუსტებლად. ექსპედიციის მონაწილეებთან ჩემი შეხვედრის დროს სწორედ ეს პრობლემები დაზუსტდა. ლუიზა შაკიაშვილმა, ავთო იმნაძემ და სხვებმა სწორედ ამ საკითხზე გაამახვილეს ყურადღება. ისიც აღინიშნა, რომ „არ გაგვემხილა“ და ხალხში დაყრილი ხმები ახალგაზრდობის დიდი გამოსვლების, გაფიცვების შესახებ მართლაც მზადდებოდა, მაგრამ არა აგვისტოს ზემო დასახელებულ დღეებში. ამიტომ ყველამ სიამოვნებით მიიღო წინადადება მესხეთ-ჯავახეთის ექსპედიციაში წასასვლელად.

და, აი, ჩვენი ექსპედიცია 20 აგვისტოს დილით გზას გაუდგა. საშუალება გვეძლეოდა ათი დღის მანძილზე შემოგვევლო მესხეთ-ჯავახეთის ოთხივე რაიონის სოფლები, გვენახა ისტორიული ძეგლები, შევხვედროდით სოფლის მცხოვრებლებს.

ბინა ახალციხეში დავიდეთ. დავბინავდით სასტუმროში. შევხვდით რაიონის ხელმძღვანელობას. მეორე დღიდანვე შევუდექით საქმეს. ახალციხის 32 სოფლიდან დღემდე მახსოვს ანყური, მუსხი, ანდრიანმინდა, კლდე, ელიანმინდა, გიორგინმინდა, ურაველი, მიქელმინდა, ჩავინერეთ საინტერესო თქმულებები, ანდაზები, შელოცვები, სიმღერები. რაც მთავარია დავესწარით სახალხო დღესასწაულს „საფარობას“, რომელიც 1980 წელს დანყებულა და უკვე მერვედ იმართებოდა. „საფარობა“ რაიონის ცენტრში რაბათში დაიწყო. მასში მთელი რაიონი იღებდა მონაწილეობას. კინოფირზე გადავიღეთ დღესასწაულის საინტერესო ეპიზოდები. რაბათის სახ. მუზეუმი მე-9 საუკუნის მართლაც და თვალმუდგამი ულრანი ტყის, მაღალი მთის კლდეში მიმალული უნიკალური ძეგლი საფარა, სადაც აჟღერდა ზემის ფინალური აკორდი. ჩავინერეთ უძველესი მესხური „ოროველა“, 77 წლის იასონ ოქრომელიძის გუდასტვირზე შესრულებული მესხური მელოდია და, რაც მთავარია, ჩავინერეთ უკვე საკმაოდ ცნობილი თქმულება „საფარის“ ტაძრის მშენებლობაში მონაწილე საოცრად გონიერ პირუტყვზე – ხარ ინდუმაზე, რომელიც აქვე მომყავს სრულად.

ხარი ინდუშა

ძველი დიდების ძეგლად აღმართულა საფარის მონასტერი. ნეტარ იყოს, ვინც პირველად ღვთის თვალით შენიშნა კლდე-ტყით შემორკალული, მიმალულ-მიუდგომელი პატარა მიწის ნაგლეჯი. იქვე, მუხის ფესვებში ამოხეთქილი ცივი, კამკამა წყარო სიცოცხლის ცვარნამს აპკურებს ტყესა და მინდვრის ყვავილებს. თითქო განგებას შემუქნია თვალთაგან მიფარებული პატარა ნალკოტი.

აი, აქ უნდა აშენდეს და სახელწოდებად საფარა დაემკვიდროს მტრისთვის შეუმჩნეველი ტაძარიო, აკურთხა ადგილი მღვდელმთავარმა, რომელსაც შემდეგ მეტსახელად, მასაც მამა საფარელი დაემკვიდრა.

ითქვა და საქმესაც შეუდგნენ, ლოცვა-გალობით მსხვერპლი შესწირეს წმინდა მამებმა სამონასტრე ადგილის დედას...

და დაიწყო ტაძრის აგება. ეს საპატიო და მძიმე ტვირთი მხრებს დაედო შეიდ ძმა ათაბაგთაგან ორს. ქვაში ჩუქურთმის დიდოსტატს უფროს და ოსტატის შეგირდს – ყველაზე უმცროსს.

ძმებმა კისათიბის ტყეში კლდის ქანი მოსინჯეს, ნამდვილი სამონასტრო ქვააო, მადლი შესწირეს უფალს.

კლდიდან ქვის მოჭრა, სამონასტრე ადგილამდე მარხილით ჩაზიდვა, ჩუქურთმამში ამღერება, დამუშავება და მონასტრის კედელზე წყობა დიდ გარჯას ითხოვდა.

– გვიძიმს უფალო ორ ოსტატს ამ დიდი საქმის აღსრულება. შეგვიმსუბუქე ტვირთი, მესამე კაციც წამოგვაშველეო – შელაღადა ღმერთს უფროსმა ოსტატმა.

– მესამე სულად ხარი გყავთ ინდუშა. მისი ძალა და ჭკუა გამოიყენეთ ამხანაგადო, – გუგუნით გამოსცრა სატაძრედ ნაკურთხმა მიწამ.

– ღმერთო, იკურთხოს შენმა სახელმა. აღსრულდება შენი ხვთიური ხმით ნათქვამი ჭეშმარიტება, – შეჰლაღადეს ძმებმა უფალს.

– მამ, ინდუშა, ჩვენი ინდუშა. ამიერიდან შენ ხარ ჩვენი მესამე ძალა, უტყვი, მეტყველთა შორის გაკურთხა მამა ღმერთმა. იყოს ნება ღვთისაო, აღმოხდა ლოცვა ოსტატებს და ინდუშას რქებზე კელაპტრები ააციმციმეს.

– მამ, ჩვენ სამნი ვართ. უმცროსო ძმაო, შენ ქვას მონა-

გრევ, ინდუშა მარხილით სატაძრე ადგილზე ჩამოზიდავს, მე კი ქვას სულს შთავებურავ, სიცოცხლის მარადიულ სიმღერად ვაქცევ და ჟამთა საგალობლად მონასტრის კედლებში მივუჩენ ადგილს. თქვა უფროსმა ათაბაგმა და საქმეს შეუდგნენ.

შევირდი კისათიბის კლდეზე ქვას ანგრევდა, მარხილს ტვირთავდა, ინდუშა უგამყოლოდ ქვას სატაძრე ხევში უზიდებოდა, დიდოსტატი სთლიდა, სჭრიდა, კედელზე სამკაულად ალაგებდა.

თავაულებელ შრომაში გადიოდა დრო... ინდუშა უდრტვინველად ზიდავდა ჭაპანს, ტაძარი ზეცის შესაერთებლად მიინევდა მალლა...

დადგა შემოდგომა. სუსხიანი ქარები ჰქროდა... ერთ დღეს ინდუშამ დააგვიანა მარხილით ქვის ჩამოთრევა.

– ინდუშა მუ... უ... უ, – მრავალგზის გადაიარა დიდოსტატის მიერ ხარაჩოდან გადაძახილმა ექომ.

– მონგრეული ლოდის ჩატანა გვიანდება, დიდოსტატს ხელი შეეშლება, ნეტავირად იგვიანებს ჩემი ინდუშა მუ... უ... უ... – გადასძახოდა კისათიბის კლდე სამტვრევიდან ოსტატის შევირდი.

ინდუშა არ სჩანდა...

ხეობაში ქლიავისფერმა ბინდმა შემოაფარა თავი და დღის შუქზე ნადირობა დაიწყო.

– აქ რალაცა ავი ამბავია, – შეშფოთებულმა ჩაილაპარაკა დიდოსტატმა და სამარხილე გზას შეუყვია.

– დიდოსტატს რაიმე ფარსაგი ხომ არ შეემთხვაო, – გაიფიქრა შევირდმა და ნაფიქრმა თავადვე შეაკრთო. ხამი ტილოს წინსაფარი აიკალთავა და თავქვე დაეშვა სამარხილე გზით.

– სიკათიბის კლდესა და სატაძრე ადგილს შორის დიდი მანძილი იდო. გზის შუა მინდორზე უხსოვარ დროდან პატარა, ამჟამად ნასოფლარი სოფელი ბორჯომი ყოფილა. აქ შეხვდნენ ერთმანეთის სანახავად წამოსული ძმები. სიხარულმა გადაუთამაშათ სახეზე ოსტატსა და შევირდს. კარგად ყოფნა მიულოცეს ერთმანეთს და უცბად ღიმილი შეაკედათ ბაგეებზე, ერთხმად შეჰყვირეს, ინდუშა?! ინდუშა სადღა?! ინდუშა აუ... უ... უ... შებღაულებს ძმებმა. კვალი მოჩხრიკეს. იქვე წაადგნენ მარხილში ჩაჭედო, დათვისაგან ნახევრად შეჭმულ ინდუშას. მარხილის თრევით დალალულ წმინდა ხარს აპეურები ვერ დაუნყვეტია, ეგებ არც ცდილა ინდუშა გაქცევას. იქნება არ მიატოვა ზეციური სატაძრე ქვა და შეაკვდა უწმინდურს...

– ინდუშა, ჩვენო ჭკვიანო, ერთგულო ძმაო და მეგობარო. – ერთად აღმოხდათ ოსტატებს და მათ თვალთა უპეებში ცრემლმა გამოჟონა.

– ინდუშა, ინდუშა, ვისლა დაველაპარაკო, ვინლა ჩამოზიდავს ჩემგან მონგრეულ ქვას? – ნუხდა შევირდი.

- ტაძარი დასრულდა, კლდისა და ტყის ფონზე კელაპტარივით აისვეტა ცის კაბადონზე - დააყუჩა ოსტატმა შეგირდი.

- მამ ტაძარი დასრულდა? - სიხარულით აღმოხდა უმცროს ძმას.

- დასრულდა ძმაო, დასრულდა.

- ღმერთო დიდებულო, ნუთუ, ტაძრის დასრულების უამს მსხვერპლშენიერვა მოითხოვე და ყველაზე წმინდა წმინდათა შორის ინდუშა შეინიერე?! - შელალადა შეგირდმა უფალს და პირჯვარი გამო- ისახა.

უკვე კარგად შეღამებულყო, როდესაც ძმებმა ინდუშას საფლა- ვი გაუჭრეს და იქვე მარხილიანად ჩაასვენეს. საფლავს ზედ ის ლოდი დაადეს ინდუშას, საბოლოოდ რომ მოჰქონდა. ის ქვა დღესაც იქ დევს. ხალხი ინდუშას ქვას ეძახის და ხელს არავინ არ აკარებს.

ძმებმა ათაბეგებმა ინდუშას თავი და წინა ჩლიქები ქვაში გამოკ- ვეთეს, საფარის წმინდა ტაძრის კედელში ჩადგეს და შთამომავლო- ბას დაუტოვეს ლეგენდა ღვთიურ ხარზე.

მარადიულ ძეგლად გადაქცეულ ხარ ინდუშას მოსახსენებელი ნირ- ვა გადაიხადა მღვდელმთავარმა. „დიდება ხარის ნახნაეს, კაცის მარ- ჯვენას, ცის ნამს, დედამინის მოსავალსო“ - ლოცვა დაასრულა საფა- რელმა.

ამინ, ამინ, ამინ! იმეორებდნენ ტაძრის კედლები და ეს ხმები ზე- ცას მიჰქონდათ ღვთისმშობლის მიერ საქართველოში გამოგზავნილ მფარველ ანგელოზებს...

ასპინძის რაიონში შემავალ 22 სოფლიდან მოვიწახულებთ რუსთა- ვი, ხერთვისი, აწყვიტა, ანუ ქუნცა, ნიჩგორი, ნაქალაქევი, თმოგვი, ტოლოში, ძველი. ამ უკანასკნელში ოთხი გვარი ზედგინიძეები, ინასა- რიძეები, დიასამიძეები და ივანიძეები ცხოვრობდნენ. ჩვენ შორის ნაგ- ვიყვანს აღწეროთ დასახელებულ სოფლებში ვისგან რა თქმულება, ლექსი თუ სიმღერა ჩავინერეთ. ერთი კია, მრავალი საინტერესო ხალ- ხური ნიმუში დღესაც ინახება ჩემს არქივში. ადიგენში ბევრი საინტე- რესო სოფელი, ძეგლი, განსაკუთრებით, ზარზმის ტაძარი მოვიწახუ- ლეთ. ფირზე აღვებქდეთ ახალი, არატიპიური, ლამაზი სკოლის საზეი- მო გახსნა.

ზარზმის ტაძარი არაერთხელ მინახავს. ახალს ვიტყვი, რომ იგი ერთ-ერთი უნიკალური ძეგლია ქართულ ხუროთმოძღვრებაში. ერთი კია, მის შესასვლელი კარის გარე თაღის ქართული წარწერა დიდი ხნის წინ სომხებს გადაუღლესიათ, სომხური წარწერით „დაუმშვენებიათ“, მარჯვენა კუთხეში სომხური რელიგიური დამლაც დაურტყიათ, ვი- თომდა სიძველის ნიშნად ცეცხლით შეუბოლიათ და შემდეგ აუტეხი- ათ განგაში „ეს ძეგლი სომხურია, ჩვენი წინაპრები აქ ცხოვრობდნე-

ნო"... ქართველ მეცნიერებს. ახალი თავსატეხი გაუჩნდათ. ისტორიული წყაროებით ცნობილია მისი ქართველი აღმშენებელი, ეს სომხური წარწერა რაღას ნიშნავსო. ბოლოს ერთმა ქვიანამ თალის წარწერა გამოიკვლია. აფხიკა გადანალქსი და სომხური წარწერის ქვეშ კვლავ გამოაბრწყინა ქართული. მარჯვენა კუთხეში კი უცვლელად დაუტოვებია სომხურის მცირე წარწერა და რელიგიური დამლა, როგორც მეტყველი ნიშანი ზოგიერთი მეზობელი პირუტყვი მეცნიერის არაკაციური საქციელის თვალსაჩინოებისა.

ტელევიზიაში ჩემი მოღვაწეობის დროს მჭიდრო ურთიერთობა მქონდა რუსეთის, უკრაინის, ესტონეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის ტელევიზიების კოლეგებთან. ბევრთან ვმეგობრობდი ოჯახურადაც. ისინი ხშირად, ზოგჯერ ისე. დროის სატარებლად მენვეოდნენ ხოლმე. ერთხელაც, რამდენიმე დღიანი ვიზიტით მენვივნენ ერევნიდან კოლეგები, მთ.რედაქტორი მარკ პეტროსიანი და მთ. რეჟისორი კარლენ აბრამიანი. (მათ რედაქციას ჰყავდა საკუთარი მიკრო ავტობუსი „რაფი“) წავიყვანე კახეთში. ვაჩვენე სანახავი. თბილისში დაბრუნებულეებს შევატყვე, რომ წასვლას არც ფიქრობდნენ. გადავწყვიტე წამეყვანა მესხეთში. ასეც მოხდა. ზარზმის დათვალიერების დროს განგებ დავიწყე შესასვლელი თალის წარწერის წაკითხვა. ისინიც დაინტერესდნენ და როდესაც ფაქტი იხილეს, შეცბნენ, ფერი ეცვალათ. მეტი სიტყვა „ჩვენი-თქვენი“ ისტორიული ძეგლების შესახებ, რომელიც ზოგჯერ ჩვენი შეხვედრების დიალოგს ახლდა ხოლმე, აღარ გამართულა.

ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე თემიდან გადახვევისათვის. მაგრამ მე საჭიროდ ჩავთვალე ეს ამბავი მომეთხრო, თუ გნებავთ იმისთვისაც, რომ ზოგჯერ საჭიროა მეგობარსაც კი ჩაახედო მისსავე სულში, რათა სწორად განსაჯოს ეროვნული გენის სიღიადე თუ სიყალბე. ვფიქრობ მკითხველს არ გადავტვირთავ თუ აქვე მოვიტან ჩემი ჩანაწერების მესხური თქმულებების ციკლიდან ორ პატარა თქმულებასაც.

მარიამ ზედგენიძე

სალამო უამი შემოიპარა სოფელ წყორძაში. მე კი ისევ განევადრობ კარდაკარ სიარულს. თმაჭალარა მესხებს დავეძებ. ვინერ წარსულის ამბებს. კაცს გული გიკენისის, როდესაც მათი ნაამბობი არ სცილდება მომხვედურ თათრებთან უთანასწორო ბრძოლების ამბებს. მძიმეა ამ წარსულის გახსენება, მაგრამ უხსოვარ დროიდანვე ზრდილობით ცნობილი უარს ველარ მეუბნებვიან სტუმრად შემოვლილს და მიყვებიან ათასგვარ თქმულებებს. ახალგაზრდებმა მითხრეს: „აქ ერთი მოხუცი ქალი თამარ ასპანიძე ცხოვრობს, იმან იცის ბევრი თქმულება და ლექსი. უეჭველად ნახეთო“. მეც იქით ვავეშურე...

ოთხმოცდაათ წელს გადასული ქალბატონი თამარი სახლში დამხვდა, გავეცანი. გაუხარდა ჩემი სტუმრობა. სახლში შემოიპატიო. მადლი მიუფე და გარეთ, დიდი მსხლის ქვეშ, მოლზე ვამჯობინე ჩამოჯდომა.

– რას გვეტყვი, ქალბატონო თამარ, ძველი ამბები თუ შემოგრჩათ მეხსიერების სკივრში?!

– როგორ არა, შეილო, ლექსებიც მახსოვს. შელოცვებიც და ჩემი წინაპრების ამბებიც. თქვა მოხუცმა და შეაქო საკუთარი მეხსიერება.

– ვინ გყავდათ ისეთი წინაპარი საქებურად რომ შემოგრჩენიათ?

– როგორ თუ ვინ, მარტო ჩემი ბებიის, მარიამის ვაჟაკაცობის ამბავი მეყოფა საამაყოდ. აბა, ყური დამიგდე. – თქვა თამარ ასპანიძემ და დაიწყო მოყოლა.

– მე ზედგენიძე ვახლავართ, სოფელ მუსხიდან. ბებია მყავდა მარიამი, საოცრად ლამაზი და ღონიერი ყოფილა. თურმე ქალიშვილობას მოზერს მალლა ენეოდა, ერთი ხელის და კვრით ტოლ ბიჭებს ფეხზე არ აჩერებდა. თორმეტი და-ძმანი ყოფილან. მასზე უფროს ძმებსაც ერეოდა. ანაბაჯი ვინ იყო იმის ღონესთან? დიდ ბაბუას ჭიდაობის ხერხებიც უსწავლებია, რა იცი სად გამოგადგესო. აკი გამოსდგომა კიდევ. ერთხელ მუსხში ამბავი მოუტანიათ. სოფელ საროში და ასპინძაში დამპყრობელი ურჯულოები ჭიდაობას მართავენ და ქართველებს ამასხარავენო. ვისაც ბრძოლა და ხმლის ხელში დაჭერა შეეძლო, ყველა ჯარობაში იყო გადაკარგული, სოფლებში თათრებთან მოჭიდავე ვინლა იქნებოდა ხეიბრებისა და ბიჭ-ბუჭების მეტი. შოდა ლალობდნენ სოფლებში დაბანაკებული თათრები.

მარიამი მაშინ თვრამეტი წლისა ყოფილა. უთქვამს, რაც მოხდება, მოხდეს, სოფელ საროში გადავალ, ურჯულოები უნდა ნავაქციოვო. ბევრი უშალეს თურმე: მარიამს არ დაუშლია. ჩაუცვამს ძმის ტანისამოსი და საროში წასულა. უმცროსი ძმაც თან წაჰყოლია: ქალი ხარ, რა იცი, რაში გამოგადგებიო.

სოფლის ცენტრში თათრების ღრინაცვლმა გამოაფხიზლა და-ძმა. იქით მიაპურეს. საჭიდაოს წრეში ერთი ახმახი თათარი დააბოტებდა, ყურებამდე გადახეული ღიმილით და თვალით ეძებდა ახალ საკბილოს.

- გიორგი, ძმაო, დედას ვუტყობ ამ თათარს, მინაზე თუ არ გავშხლარ-თოო. - თქვა თურმე მარიამმა და ელვის სისწრაფით გადახტა საჭიდაო წრეში.

- თათარო, ჯერ უხელოდ, თავებით ვიჭიდაოთო. უთქვამს ბოხი ხმით მარიამს.

- ეს ლანირაკი საიდან გამოტყვრაო. აგდებით გადაიროხროხა ახმახმა ფალავანმა და ხელების უკან დანყ ით საჭიდაოდ მოემზადა.

- მარიამმა უკან გადაიჭლო ხელები და თავი თათრის თავს დააძგერა. ერთხანს ასე იყვნენ გაქევაებულნი, თავმიბჯენილნი. ვერ იგრძნობდი, რომელი რომელს დაჯავნოდა. მალე თათრის გაზეთილ ტანზე ოფლის წვეთები ამოიბურცნენ. მარიამი მიხვდი, რომ მონინალმდეგეს კუნთ-ძარღვებმა თრთოლვა დაიწყეს. ეს უკვე დაღლილობის ნიშანი იყო და ნელ-ნელა დაიწყო თავით მიწოლა. გაუჭირდა ახმახ თათარს. ჯერ ერთი, შემდეგ კი მეორე ფეხითაც თანდათან იწყო უკან დახევა. მარიამმა დაძაბა ძალ-ღონე. თათარი საჭიდაო წრის კუთხემდე მიიყვანა. ფეხბორთხმულ მაყურებლებს ზედ ცხვირთან მიაჭყლიტა და მოულოდნელად გვერდიდან გამოეცალა. თათრების ნაქებმა ფალავანმა თავი ველარ შეიკავა, ნონასწორობა დაკარგული წინ გაქანდა, შუაგულ წრეში პირქვე წაემხო. მარიამი თვალის უსწრაფესად ფეხით შეადგა თათარს და ძმასთან ერთად ხალხში გაუჩინარდა.

მარიამი და გიორგი უკვე სამშიდობოს იყვნენ გასულები, როცა შეჩერდნენ, ყური მოუგდეს სოფელს. თათრების ყრანტალში ისმოდა შეძახილები: „შაითან, შაითან გაიურ“.

- ყოჩაღ მარიამ. დიდი, ზონზროხა თათარი ათრიე. თავით ჭიდაობა რა-ღამ მოგაფიქრა? €

- გოგო ვარ ძმაო. გოგო. ხელით დაჭიდებული, უფრო მალე ნავაქცევდი, მაგრამ ისიც მიხვდებოდა ქალი რომ ვიყავი და ღმერთმა იცის, რით დამთავრდებოდა ჭიდაობა.

- ღვთისმშობელმა გიკურთხოს ძალ-ღონე, დაო, ღონესთან ერთად დიდი გონებაც უძღვნია უფალს.

- რა დროის ქებაა, აგერ თათრების ცხენი ბალახობს, დაიჭირე. შევხსდეთ და ასპინძისაკენ გავკურცხოთ. იქ უფრო დიდი ჭიდაობააო.

ნასულან ასპინძაში. აბა, იქუთრეცია ურჯულოები ცხოვრებულ ბებიას. თათრები გამწარებით ეძებდნენ მათი ფალავნების დამმარცხებელს. ბევრჯელ მუსხშიც მისულან თათრის მადებრები მაგრამ, იმ ლამაზ გოგოში რომელ მოჭიდავეს შეიცნობდნენ? - დაამთავრა ლეგენდის თხრობა თამარ ასპანაძემ.

გვიან საღამოს დავტოვე სოფელ წყორთა. გზაში თითქოს მეც მკერდს მითბობდა თვრამეტი წლის ულამაზესი და უღონიერესი მარიამ ზედგენიძეზე ჩანანური თქმულება.

ღმერთო, აკურთხე ქართველი ქალი!

სოფელ ანდრიაწმინდის ეკლესიაში კარგა ხანია გალობის ხმა აღარ გაგონილა. გალობა კი არა, სამრეკლოზე ზარის დარისხებაც სანატრელი გაუხდათ სოფელში დარჩენილ ქართველებს. სამაგიეროდ, მოლას ყივილი და ზურნის ჭყვიტინი გამხდარიყო მათი დილის საარი. იმ კვირა დღესაც ანდრია-წმინდის ეკლესიის ეზოში დაბანაკებულ თათრებს ჭიდაობა გაეჩაღებინათ. ყურის წამლებად აჭყვირებულ ზურნის ხმას ზოგჯერ მათივე ღრიანცელი ახშობდა. განსაკუთრებით ხმამალლა ხორხოცებდნენ თუ ზეთით გაზინგლული თათრების ფალავანი ყანის მკაში მოღლილ ქართველს ნააქცევდა. გაყოყორებული ფალავანი წრეს ინდაურივით გაფხორილი შემოუფლიდა, თავს მუხლებამდე ჩამოუკანატურებდა შემალლებულზე მჯდომ მბრძანებელ სარდალსა და მის უჩვეულოდ ლამაზ ხათუნს, გამარჯვებისათვის ჯილდოს მიღებამ ხომ მთლად გადარია თათრის ფალავანი. მან რამდენჯერმე შემოუარა წრეს. გამომწვევად იხმობდა საჭიდაოზე ძალით მორეკილ ქართველებს, რომლებიც დაბოლმილნი, მუნჯებივით შესცქეროდნენ გალალებულ თათარს. ის იყო ფალავანს საჭიდაო წრე უნდა დაეტოვებინა, რომ ქართველების მხრიდან თეთრწვერა მოხუცი საბა ინასარიძე წამოდგა.

– წრეში დარჩი, მე უნდა დაგეჭიდოვო-მიუგო თათრულად საბამ.

– მე ბებერს როგორ გეჭიდაო, არ გეშინია დაფშენისა?! აგდებით – მიახალა თათარმა.

– ქებას ნახვა სჯობია თათარო, – თვალციცხლ დაკვესებულმა ჩაიღმუფლა საბა პაპამ.

საბა ინასარიძე იმ მკათათობის თვეს სამოცდაჩვიდმეტისა შესრულდა. ახალგაზრდობაში არაერთი თათრის ფალავანი გაურთხია მიწაზე, რამაც ბეჭდაუდებელი ფალავნის სახელი გაუგდო ხალხში. წლებმა თავისი წაილო. გადაავინყდა კიდევ ბოლოს როდის იჭიდავა. ხარს აქცევდა კისერში ერთი მუშტის დარტყმითო – ამბობდნენ მასზე. მაგრამ ახლა, ოთხმოც წელს მიტანებულს რილას იმედი აქვსო, შეწუნდნენ თანასოფლელები.

საბამ ისე სწრაფად გაიძრო ხალათი და საჭიდაო წრეში გაჩნდა, რომ მისიანებმა შეწინააღმდეგება ვერ მოასწრეს.



საბა ცხვირწინ აესვეტა გათავებებულ ფალავანს. რამდენიმე ღრმა სუნთქვით მკერდი საბერველივით ამოაქმინა. მარჯვენა ხელის მაჯაში მარწუხივით მოუჭირა ხელი. თვალის დახამხამებაში ძირს დაიქნია, მარცხენა მუხლი წაუჩოქა და კისრულზე გადატანით ისეთი ზღარათანი მოადინა თათრების გაზულეკებულ ფალავანს, გეგონებოდათ მინა ინძრაო.

მოულოდნელობისაგან ენაჩავარდნილი თათრების ბრბო პირლია მისჩერებოდა თავიანთ ბეჭდაუდებელ ფალავანს, რომელიც სირცხვილისა თუ ტკივილისაგან გაოგნებული, მინაზე მუტრუკივით გაშხლართული, ზეზე ადგომას აღარ აპირებდა.

საბა ინასარიძემ სწრაფად გადაიცვა ხამის პერანგი და სწრაფადვე გაუჩინარდა ანდრიანმინდის ეკლესიის ეზოდან. ორლობეში მიმავალს უკნიდან მსუბუქი ფეხის ხმა შემოესმა. მიიხედა და თვალს არ დაუჯერა. მისკენ ფრთხილად მორბენალი თათრის უღამაზესი ხანუმი შეიცნო.

– ზეინაბი მქვიან – სულმოუთმელად მიუგო ხანუმმა და საბას ხელებს ემთხვია. მუჭაში ყელსაკიდი ოქროს ჯაჭვი ჩაუშუჭა. ეს ჩემგან გქონდეთ საჩუქრად. ალაპი და მდგომარეობა ნებას რომ მაძლევდეს, ახლა მივხედი თქვენგან, მხოლოდ თქვენისთანა მამაკაცისაგან უნდა გააჩინოს ქალმა შვილი...

საბა ინასარიძემ ზეინაბ ხანუმი ზეზე წამოაყენა. მადლობა უძღვნა და მამა-შვილურად აკოცა შუბლზე. ვინმემ არ შემამჩინოსო, ზეინაბი თვალის დახამხამებაში უკანვე გაუჩინარდა ორლობეში. მას შემდეგ ვინ იცის, რამდენმა ასეულმა წელმა გადათვალა თავისი ფურცელი. მინად იქცნენ იმ დროის მომსწრენი, მაგრამ მოხუცი საბა ინასარიძის გამირობის ამბავი დღემდე ცოცხლობს მესხეთში...

– თქმულება ჩავინერე. ქლიავისფრად შემოპარებულ ბინდში გაეყვი ორლობეს. მწვანე მოლზე პატარა მესხები ბლლარძუნობდნენ. ვკითხე, რა გვარისანი ხართ მეთქი. – ინასარიძეებიო, მომძახეს. გული აღმივსო უთქმელმა სიხარულმა. მათი ძარღვებიდან საბა პაპას ქართული სისხლის ყვილი შემომესმა. კვლავ ჭიდაობდნენ მესხეთში ინასარიძეები... როგორც ზემოთ არაერთგზის ითქვა, მესხეთ-ჯავახეთის სოფლებში მრავალი საინტერესო თქმულება, სიმღერა და სხვ. ჩავინერეთ. ეს უღარესად ნაყოფიერი, საჭირო მოგზაურობა იყო. იმ მონაკრებ მასალების მიხედვით შემდეგ მომზადდა საინტერესო გადაცემა „ძებნად დაკარგულისა“. ამავე სათაურით მომზადდა უფრო მოგვიანებით მეორე დიდი გადაცემა, რომელიც მიუძღვნა კომპოზიტორ ვალერიან მაღრაძის ღვაწლსა და ამაგს მესხური მელოდების დამუშავების, ნოტებში აღდგენის, მომღერალთა გუნდში გადატანისა და ახალი სულით აჟღერების გამო. ჩინებული გადაცემის დასათაუ-

რების „ძებნად დაკარგულისა“ ავტორი გახლდათ რევაზ ურუშაძე. რე-
ჟისორი ვაჟა ფაჩულია.

ჩვენი გამსვლელი ექსპედიცია ნარმატებით მიმდინარეობდა. ვარ-
ძიის მოსიყვარულების შემდეგ ახალქალაქისკენ გავსწიეთ. მის სოფ-
ლებში ვამთავრებდით მუშაობას. ისე როგორ დაებრუნდებოდით თბი-
ლისში კუმურდოს განთქმული ტაძარი არ მოგვენახულებინა. და აი,
კუმურდოც გამოჩნდა. ვერ ვიტყვი, რომ კეთილი ღიმილით შემოგვე-
გებდნენ იქ დამკვიდრებული სომხები. ტაძარს შემოკრული გალავნის
ჭიშკარი დაკეტილი დაგვხვდა. ჩვენს ავტობუსთან შეგროვებული სომ-
ხებიდან არც ერთი არ გაინძრა, მიეტანათ გასაღები და გაეღოთ ქარ-
თველებისათვის ქართული ტაძრის კარები. ლუიზა შაკიაშვილმა გვა-
ჯობა. აფოფხდა გალავანზე, გადახტა ეზოში და საშინელი ჭახანის ხმა-
ზე ყველამ გადავიხედეთ. ლუიზა გამწარებული იწვა, მას ფეხი მოს-
ტყდა. ძლივს ვიპოვეთ ფიცარი, რომელზედაც მოტეხილი ფეხი და-
ვასვენეთ (დაფუბით) და სასწრაფოდ ახალქალაქის საავადმყოფოს მი-
ვაშურეთ. იქ ქართველი ექიმები დაგვხვდნენ. ლუიზას სერიოზული
მოტეხილობა აღმოაჩნდა (კოჭის არემი). თაბაშირის დადების მიუხე-
დავად, ჩვენი ჯავახეთში დარჩენა უკვე აღარ შეიძლებოდა. კურსის
თბილისისაკენ ავიღეთ. ყველანი შენუხებულნი ვიყავით ლუიზა შაკი-
აშვილის ფათერაკიანი მარცხით, მაგრამ დიდ სავალ გზაზე ისევ ლუი-
ზამ მისთვის ჩვეული ენაკვიმატობით იხუმრა: „ზოგიერთ პარტოკრატს
გაუხარდება, შაკიაშვილი „დისიდენტებს“ გამოაკლდება და ეროვნულ
მოძრაობაში ველარ ჩაერთვებაო. იმ კრეტინებს გააგებინეთ, რომ ფე-
ხი მომტყდა, განა ენაცო“. მისმა ნათქვამმა გაგვამხიარულა და მგზავ-
რულიც წამოვიწყეთ:

**მოვდივართ მოგვიხარიათ,
მტრის და პარტიის გულიზა,
ახალი ძალით შეგიტევთ
ფენმოტეხილი ლუიზა!... და ა.შ.**

გაზეთები. რეცენზიები.

წერილები. სურვილები...

ერთგან გამოჩენილი პოეტი ბელა ახმადულინა წერდა: „ასე მგონია, სიმღერასთან ისე ახლოს არვინ სახლობს, როგორც ქართველი კაცი. მზიარულებასა და სიმღერას, მწუხარებასა და სიმღერას, სიყვარულსა და სიმღერას შორის არავითარი ზღვარი არ არსებობს. თუ ქართველი აი, ამ წუთში არ მღერის, მხოლოდ იმიტომ, რომ წუთის შემდეგ ამღერდება. ალბათ, გასაკვირი არ არის, რომ ასეთი ერის წიაღში იბადებიან დიდებული ადამიანები, დიდებული მუსიკოსები“.

წინასწარ მოსასმენად და ხმის ჩასაწერად, 9-დან 12 აგვისტომდე – გახლდით საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს მთის რაიონში ჩხორონყუში. ვამზადებდით რაიონის მეტად საინტერესო და მდიდარ „ფოლკლორის სალამოს“ (ავტ. ს.ლაფაური, რეჟ. უშანგი დარჩია, ხმის რეჟისორი მალხაზ ვახტანგიშვილი და სხვ.). გადაცემისადმი და საერთოდ ტელევიზიის საქმიანობისადმი ინტერესი მთელს რაიონში იყო მოფენილი. ადგილობრივი გაზეთის „ნაპერწყლის“ კორესპონდენტი კვარაცხელია კვალში დაგვევებოდა, ინტერვიუს გვთხოვდა. არ უცდიდა გადაცემაზე მუშაობის დასრულებას. ბოლოს იგი რეჟისორ უშანგი დარჩიას შეუჩნდა. სთხოვა ინტერვიუ: ბ-ნო უშანგი, მოძრავი სატელევიზიო სადგური პირველად იმყოფება ჩვენს რაიონში. მშრომელთა ინტერესი დიდია თქვენი მუშაობისადმი. გაზეთის მკითხველების სახელით გთხოვთ, რამდენიმე სიტყვით მოგვახსენოთ თქვენი ჩამობრძანების მიზეზზე.

უ.დ. საქ.ტელევიზიისა და რადიო მაუწყებლობის ხალხური შემოქმედების მთ.რედაქცია ამზადებს გადაცემებს ციკლიდან „გვაქვს უთვალავი ფერითა“. ამ რუბრიკით უკვე ათობით გადაცემა მოეწყო. მისი მიზანია ღრმად ჩაიხედოთ რაიონის სოფლების, ოჯახების სულიერ სამყაროში და ჩვენი ძალისხმევით შევეცადოთ ამა თუ იმ კუთხის საბედნიეროდ ჯერ კიდევ შემორჩენილი, კულტურის ფორმების აღდგენა; ამიტომაც ვაგროვებთ, ვეძებთ მასალებს რესპუბლიკის მასშტაბით.

ამ გადაცემების მომზადებას სოლომონ ლაფაური უდ-

გას სათავეში. მე მასთან ერთად ვმუშაობ სცენარზე. ნამყვანი კი იქნება დონარა კინწურაშვილი.

კორ. როდის ვიხილავთ გადაცემას?

უ.დ. დავამთავრებთ შერჩეული მასალის ჩანერას. საბოლოოდ დაზუსტდება სცენარი და ვფიქრობთ სექტემბრის ბოლოს ეთერში წავარუბრიკით „გვაქვს უთვალავი ფერთა“ – ჩხორონყუს რაიონი ან „მუსიკალური ჩხორონყუ“.

კორ. – გვინტერესებს თქვენი შთაბეჭდილება რაიონის ფოლკლორზე, ხალხური შემოქმედების ანსამბლებზე.

უ.დ. გადაცემაზე მზადება ოთხი-ხუთი თვის წინ დაიწყო სოლომონ ლაფაურისა და თქვენი რაიონის ხელმძღვანელობის ურთიერთ შეთანხმებით. ისე, რომ დღეს თქვენს რაიონში, თითქმის ყველა სოფელში დიდი მზადებაა. საოჯახო თუ კულტურის სახლებთან არსებული თითქმის ყველა ანსამბლი კარგადაა მომზადებული. ამაკარად იგრძნობა მშრომელი ადამიანების დიდი ინტერესი ჩვენი გადაცემისადმი. ამდენად, ჩვენი მიზანი იყო და იქნება რაც შეიძლება მეტი ანსამბლი, მეტი შემსრულებელი, მეტი ოჯახი აჟღერდეს და ეს დროებითი კი არა, არამედ მუდმივად დარჩეს ადამიანთა ყოფაში, მათს სულიერ ცხოვრებაში. ესაა ჩვენი მიზანი და ამ მიზნისათვის ვენეცი კოლოსალურ შრომას.

კორ. გმადლობთ, გისურვებთ წარმატებას“.

1981 წ. 28 მარტი გაზ. „თბილისი“. სახ.კონსერვატორიის დოცენტი, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების ხალხური მუსიკის სექციის თავმჯდომარე ოთ.ჩიჯავაძე: „ქართული სიმღერა გამოირჩევა არა მარტო მუსიკალური აზროვნების მაღალი დონით, არამედ თვითმყოფადი განუმეორებელი თვისებებით. თუკი ქართული დამწერლობა ერთი თოთხმეტაგანია მსოფლიოში არსებულ დამწერლობათა შორის, ქართული სიმღერის დამახასიათებელი ჰარმონია უფრო უნიკალურია და ამჟამად არსებული ორი სახეობის ჰარმონიათაგან – ერთერთი. ჩვენი მუსიკალური ფოლკლორი ყურადღებას იქცევს აგრეთვე მრავალხმიანობის ფორმებით, დიალექტიკური მრავალფეროვნებით. საბედნიეროდ, ხალხის ამ საუნჯეს ყოველთვის ჰყავდა მოამაგენი, სახალხო შემსრულებლები, რომელნიც თავდადებით, გულწრფელი სიყვარულით იცავდნენ მას. ხალხურ სიმღერას დღეს მხარში ამოუდგა ტელევიზია. ვუსურვოთ წინსვლა და წარმატებები“...

1965 წ. 17-IV – გაზ. „თბილისი“ (ავტ. გ.კაკაბაძე) „რესპუბლიკის მშრომელთა ფართო მასების ესთეტიკური აღზრდისათვის ბევრს აკეთებს საქართველოს ტელევიზიის მუსიკალურ გადაცემათა რედაქცია. აქ მუშაობენ ამ საქმის ენთუზიასტი და ინიციატივიანი ადამიანები – უფროსი რედაქტორი ს.ლაფაური, რეჟისორები გ.გაჩეჩილაძე, ნ.გარსევანიშვილი, რედაქტორები ნ.გურგენიძე, მ.რამიშვილი. მათი თაოს-

ნობით, აქტივის მხარდაჭერით, წლეულს ბევრი კარგი გადაცემა მომზადდა. ამაზე ნათლად მეტყველებს შთაბეჭდილებებით საესე ნერილები. მაცურებლებს მოენონათ გადაცემა გამოჩენილ ქართველ მომწერალ ნიკო ქუმსიაშვილზე (ავტ. ს.ლაფაური). წლეულს იანვარში ტელეკრანის მაცურებლებმა ნახეს ამაღლებული და მიმზიდველი გადაცემა „ძველი სოფლის სურათები“. იგი ეძღვნებოდა რესპ. სახ.არტისტს, გამოჩენილ ხალხურ მომღერალსა და ლოტბარს მარო თარხნიშვილსა და მის გუნდს. გადაცემის გამეორებას დაჟინებით მოითხოვენ მშრომელები. მათი სურვილია ამ მონტაჟის დაუყოვნებლივ კინოფორზე აღბეჭდვა. ხშირად ეწყობა ხელოვნების მუშაკთა შეხვედრა მშრომელებთან - „შრომისა და სიმღერის ადამიანები“ (ავტ. ს.ლაფაური). წლეულს რამდენიმე გადაცემა ვნახეთ სხვადასხვა საწარმო-დანესებულებიდან. საინტერესო იყო ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში გამართული კონცერტი „როცა ჩარხები დუმან“ (ავტ. ს.ლაფაური, რეჟ. გ.გაჩეჩილაძე. მასში ადგილობრივმა შემოქმედებითმა ძალებმაც მიიღეს მონაწილეობა. ასევე კარგი იყო კონცერტი სართავსატრიკოტაჟო კომბინატში - „სტუმრად ფეიქრებთან“, რომელიც შესვენებისას გაიმართა.

ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოში ჯერ მუშები დაზგასთან შრომის პროცესში გვიჩვენეს, შემდეგ კი ეზოში სამმართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გამოსვლა გაგვაცნეს. მუსიკალურ გადაცემათა რედაქცია ტელემაცურებლებს კიდევ ბევრ საინტერესო გადაცემას ჰპირდება, მაინც რას?

- უკანასკნელ დროს საგრძობლად დაქვეითდა რესპუბლიკაში მხატვრული თვითმოქმედების დონე - ამბობს ს.ლაფაური - ახლა ამ უბანსაც ექცევა ყურადღება. უკვე დაიწყო საგუნდო და ქორეოგრაფიული ჯგუფების ჩამოყალიბება. რედაქციამ შემოიღო ახალი ციკლი „ჩვენი ქალაქის თვითმოქმედება“. ამ რუბრიკით იანვრიდან ეწყობა თბილისის მხატვრული თვითმოქმედების სატელევიზიო დათვალიერება. გამარჯვებულ კოლექტივებს მიენიჭებათ დიპლომები. ამასთან გადავიღებთ სატელევიზიო კინოკონცერტს ამას წინადად მაცურებელი მონმე გახდა გადაცემისა „დავიცვათ ქართული ცეკვის სინამდვილე“. იგი გაიმართა ცნობილი ქართველი ქორეოგრაფის დავით ჯავრიშვილის ბინაში. მზადდება სატელევიზიო გადაცემა „ნიკო სულხანიშვილი“. უკვე ტრადიციად იქცა საქართველოს დღე მოსკოვში. მოსკოველებთან მორიგი შეხვედრა გათვალისწინებულია მაისისათვის. ნაჩვენები იქნება ახალი სატელევიზიო ფილმი კომპოზიტორ რ.ლალიძის ცხოვრება-შეშოქმედებაზე. დაიწყო მზადება სატელევიზიო კონცერტის გადაღებისათვის, მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის ცნობილი მუსიკოსები და ხელოვნების ნამყვანი ოსტატები“. და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ გაზ. „თბილისი“ თითქმის ყოველთვის აქვეყნებდა ჩვენს გადაცემებზე წერილებს, მიმოხილვებს. არაერთხელ დაბეჭდილა ჩვენი მოსაზრებები ამა თუ იმ პრობლემაზე. გაზეთის ასეთი თანადგომა მეტად საჭირო იყო თუ გნებავთ იმიტომაც, რომ ეკრანიდან ნათქვამი თოფიდან ტყეის გასროლას მაგონებს, რომელსაც უკან ვეღარ დაიბრუნებ. ტელემყურებელი ხშირად გვენერდა წერილს გაგვემორებიანა გადაცემა, განგვემარტა მასში წამოყენებული პრობლემა. ეს კი ყოველთვის არ ხერხდებოდა, არა ჩვენი მიზეზით. ამიტომაც ზოგჯერ გაზეთსაც მივმართავდით. 1966 წ. 9 აპრილის გაზ. თბილისში დაიბეჭდა ჩვენი წერილი „გავუფრთხილდეთ ხალხის საუნჯეს“. მასში სხვა საკითხებთან ერთად კვლავ და კვლავ ხალხური სიმღერის აღორძინების პრობლემაზე ვეხებოდით.

აი, პატარა ფრაგმენტი გაზ. „თბილისში“ გამოქვეყნებული ჩვენი წერილიდან: „შორს რომ არ წავიდეთ, თბილისის სასულიერო სემინარიაში თუ გიმნაზიებში სიმღერა-გალობის მასწავლებლებად, ლოტბარებად ინვევდნენ ცნობილ ქართველ კომპოზიტორებს. მათი ავტორიტეტი ნაყოფიერ გავლენას ახდენდა მოსწავლეებზე. ხალხის სიყვარულს, ხალხთან სიახლოვე ადულაბებდა, ამის მაგალითად გამოდგება ზ. ფალიაშვილის, ზ. ჩხიკვაძის, ია კარგარეთელის, ნ. შარაბიძის, ე. ნატრაძის, ნ. სულხანიშვილისა და სხვ. ცნობილი მუსიკოსების მოღვაწეობა გიმნაზიებში თუ სემინარიებში. იქ მუშაობით დიდი კომპოზიტორის ავტორიტეტი კი არ ილახებოდა, მაღლდებოდა. შედეგად ის იყო, რომ გიმნაზიისემინარიის კურსდამთავრებულნი მუსიკალურ სფეროში, საერთოდ, კულტურაში ისე ღრმად ერკვეოდნენ, რომ შეეძლო პროფესიული განათლების მისაღებად ნებისმიერ კონსერვატორიაში შესვლა...

დღეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგუნდო ხელოვნებას, რომელსაც თანამედროვე ეპოქის შესატყვისი, ახალი, გრანდიოზული და სანახაობითი ფორმები ესაჭიროება. ახალი სამემსრულებლო ფორმების ძიებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასობრივი საგუნდო შემოქმედებისათვის, რომელიც გარდა მუსიკალური გემოვნებისა, ადამიანს უნივერსალურ კოლექტიური ურთიერთობის, ხასიათის ჰარმონიულობის გრძნობებს.

საქართველო სიმღერის ქვეყანაა – ეს სიტყვები არაერთხელ წავვიკითხავს და გვსმენია. ყველას გვახარებს ჩვენი ეროვნული სიმღერის ასეთი დიდი შეფასება. ამ შეფასებას საქმით უნდა ვუპასუხოთ. არ გვარგებს თვითკმაცყოფილება. ჩვენი მიზანი და ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ შეგვეძლოს ბალტიისპირა რეკონსტრუქციების მსგავსად სიმღერის დღესასწაულების ჩატარება, სადაც ვთქვათ, „ჩაკრულოს“ ერთდროულად შესრულებას შესძლებს ორი, სამი ათასი ზემიში მონაწილე“.

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ 1981 წ. 3 ივლისი. გამოქვეყნდა პროფ. ალ. ლლონტის ვრცელი წერილი, რომლითაც ავტორი გამოხედავნიან ჩვენს მიორიგ ფოლკლორულ საღამოს. იგი ტრადიციულად, სახ. ფიღარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მოენყო და მთლიანად დაეთმო ოზურგეთის რაიონის ანსამბლებს, სახალხო მთქმელებს, მუსიკალურ ოჯახებს. „მასპინძელსა მხიარულსა“ – ასეთი აფიშით ვინვევდით დარბაზში მაცურებლებს.

აღნიშნულ საღამოს ორგანიზაციაში მთელი რაიონის ხელმძღვანელობა იღებდა მონაწილეობას, მისი მაშინდელი თავკაცის დემურ დვალისშვილის ჩათვლით. საღამოს წამყვანი და ავტორი გახლდათ მეცნიერი მუშაკი, ფოლკლორისტი გიზო ქელიძე. აი, რას წერს ბ.ნი ალ. ლლონტი: „ხალხური შემოქმედების ქემმარიტი ზეიმი გაიმართა ფიღარმონიის დიდ დარბაზში. ქალაქში გურულები არიან ჩამოსული – ხუმრობით გამოაცხადა წამყვანმა და მართლაც ავანსცენაზე მკვირცხლად შემოჯარდნენ მთქმელ-იმპროვიზატორთა და შემსრულებელთა ჯგუფები, რომელთა შორის იყვნენ ხანდაზმულებიცა და ნორჩებიც, კოპნია ქართულკაბოსანი მანდილოსნებიცა და ყაბალახმოხვეული ქამარ-ხანჯლოსანი ქარმაგი ბერიკაცებიც. მახარაძელებმა გაგვახარეს, ჩვენს თვალწინ გამოახვეაეს ხალხური საუნჯის ძველი და ახალი მარგალიტები, საფოლკლორო ჟანრების ფართო რეპერტუარი, ჩამოიყვანეს ნიჭიერი მოიგავენი და „ყბის საქცევეების“ ოსტატები, მთქმელები და ავტორ მთქმელები, უნიკალური მელიოდიების ქომაგნი და შემსრულებლები...

...ეს იყო თბილისის საზოგადოებასთან და ტელემაცურებლებთან ახალი შეხვედრა ხალხური შემოქმედების შემნახველებთან. სამ საათს გაგრძელდა ეს ზეიმი. ფარდა დაიხურა, მაგრამ შინ წასვლა მაინც არავის უნდოდა. ბუნებრივად იყო. ამისთანა შეხვედრები იშვიათად იმართება. საზოგადოებას კი სწყურია ხალხურ სიბრძნესთან შეხება“.

წერილის ავტორი შეეხო მთელ საღამოს, მასში მონაწილეებს. განსაკუთრებით გამოჰყო მის შავიშვილის ანსამბლის მიერ შესრულებული „შვიდეკაცა“, „გურული ნადური“, სოფ. ვაიჯვრული „გარაყანიძეების, ქმები მამულაშვილების, ურუშაძეების ოჯახების. გ. სალუქვაძის ანსამბლ „იადონისა“ და სხვათა გამოსვლები. „განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სრულიად ახალი ვარიანტი ხალხური დრამისა „თხამ ვენახი შეჭამა“, რომელიც ვირტუოზულად შეასრულეს ნატანებელმა ბერიკაცებმა ივანე ჩავლეიშვილმა, ივანე მკურნალიძემ და კოტე ლეღვეყამ. მომღერლებმა მიაგნეს საოცარი სიმღერის გულში ჩამწვდომ მელიოდიას და უბრწყინვალესი არტისტიზმით მოხიბლეს მაცურებელი“ ...და ბოლოს წერილის ავტორი დასძენს: „მასპინძელსა მხიარულსა“ იყო თანამედროვე ქართული სოფლის ზეპირმთქმელების ამჟამინ-

დელი ვითარების ნათელი დღესასწაული. ბევრი სრულიად ახალი და საინტერესო რამ ვნახეთ ამ საღამოზე. ჩანს ხალხური სიტყვა და ლექსი, ხალხური სიმღერა და ნაკვეთი ცოცხლობს და ვითარდება, ახალ პირობებში ეპოქის შესატყვისი სიკეთით იცხება. მას არ უნდა მოაკლდეს ჩვენი საზოგადოების სიყვარული და ყურადღება". დიას, ბ-ნ ალ. ლლონტის მოსაზრებას, რომ ხალხური შემოქმედება ახალ გარემოსთან შეგუების მიმართებით იქმნება და ვითარდება, ჩვენ საყვარელი ვიზიარებთ. მახსენდება კომპოზიტორთა კავშირში ცალკეად გამართულ ვითომ „პლენუმი“, სადაც ზუთიოდ ადამიანი ვესწრებოდით, იხილებოდა ფოლკლორის დღევანდელი მდგომარეობის პრობლემები. მომხსენებელი პროფ. გრ. ჩხიკვაძე დარდობდა, რომ „თანდათან კვდება ხალხური შემოქმედება“ და ა.შ. მე შევენიშნა ამდენი მის ასეთ რადიკალურ შეხედულებებს და დავსძინე – „იქ, სადაც ჯერ კიდევ ტრიალებენ ცოცხალი ადამიანები, ფოლკლორი არ მოკვდება, მას სათუთი მოპყრობა, გულისხმიერება და დღენიადაც ხელის შეშველება სჭირდება და იგი კვლავ აღორძინდება“. ვთქვი და მივატოვე „აქტივში“ ჩასანერი ე.წ. პლენუმი. მსგავსი მოსაზრება საბედნიეროდ, აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმაც გამოთქვა საჯაროდ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (1981 წ. 27 თებერვალი). მისი წერილის სათაურიც „კლდის ფხაზე თეთრო ყვავილოც“ ხომ თანამედროვე ავტორმთქმელის შედეგად ქცეული ლექსიდანაა აღებული. ჩვენ ბ-ნ ნიკოს ამ წერილში გამოთქმულ ქებათა ქებაზე ტელევიზიის, ვახ. კოტეტიშვილის, ალ. ჭინჭარაულის ღვანლზე, ფოლკლორის „რენესანსზე“ იმდენჯერ ვისაუბრეთ, რომ აქ მასზე აღარ შევჩერდებით. გვინდა მოვიტანოთ მხოლოდ აღნიშნული წერილისადმი გაზეთის რედაქციის მიერ ნაძღვარებული სიტყვები. მას მივიჩნევთ, როგორც ჩვენი შრომისადმი თანადგომას. აი, ისიც: „ბოლო წლებში ხალხური შემოქმედება განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდა. საქართველოს ტელევიზიისა და ფილარმონიის თაოსნობით გამართული ხალხური შემოქმედების საღამოებმა ერთსულოვანი მონონება დაიმსახურა.

კიდევ ერთხელ გახდა ცხადი, რომ ახლაც, ცივილიზაციის დღევანდელ დონეზეც, ხალხის დაუშრეტელი ფანტაზია ახალ-ახალ შედეგებს უქმნის“...

1984 წ. 3 აპრილის გაზ. „თბილისში“ დაიბეჭდა ი. სიხარულიძის წერილი – „ფიქრები ერთი სატელევიზიო გადაცემის შემდეგ და იქვე ქვესათაური – „წყარო დაუშრეტელი“. ავტორი სწერს.

„საქართველოს ტელევიზიის ხალხური შემოქმედების რედაქცია არა ერთი და ორი კარგი გადაცემის ნამომწყები და მოთავეა. ჯერ მართოდ ღირს ის ფოლკლორული საღამოები, რომლებმაც თითქმის მთელი რესპუბლიკა მოიცვა და კიდევ ერთხელ ნათლად დაგვანახეს,

თუ რა მდიდარი ზეპირსიტყვიერებისა და ენობრივი საღიჯის მფლობელია ქართველი ხალხი.

ჩვენს ტელეეკრანებზე თითქმის ყოველ კვირა ვეყურებთ მშვენიერ სატელევიზიო ჟურნალებს: „კვალი ნათელი“, „ამაღდარი“, „ხელიხელსაგომანები“, „შუქი სულისა“, „თვალთაი“ და სხვა. რომლის ავტორები, სანთლით დაეძებენ ხალხში მიმალულ თვითნასწავლ მხატვრებს, პოეტებს, ხელმარჯვე ოსტატებს და სინათლეზე გამოაქვთ მათი შემოქმედება და თავდადება. ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალის შესწავლა და მისი გამომზეურება ხელს უწყობს ხალხური შემოქმედების პოპულარიზაციას, მომავალ თაობას უნერგავს წარსულის პატივისცემას და სიყვარულს.

საქართველოს ტელევიზიის ხალხური შემოქმედების რედაქციამ კიდევ ერთი საინტერესო გადაცემა ჩაუყარა საფუძველი, ეს არის ციკლი „ქართული ფოლკლორის მოამაგენი“, რომლის მიზანია მაყურებელს შეახსენოს ქართველი ერის კაცების ის დიდი ამაგი და ღვაწლი, რომელიც ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრებისა და გამოცემის საქმეს დასდეს. არადა ვინ არ იყენებდა ქართული ხალხური პოეზიის შესწავლითა და დამუშავებით დაინტერესებულნი.

პირველ რიგში ამ საქმის ნამომწყებნი ნი-იანი ნღების სახელოვანი მოღვაწეები ე.წ. თერგდალეულები: ილია ჭავჭავაძე, პეტრე უშიკაშვილი, აკაკი წერეთელი, თედო რაზიკაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ვაჟა-ფშაველა და სხვები. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ფოლკლორულ ძეგლებს, როგორც სამშობლოს ისტორიის შესწავლის ერთ-ერთ წყაროს, როგორც ჭეშმარიტად მხატვრულ ნაწარმოებებს. საკუთარ შემოქმედებას ზეპირსიტყვიერებით გადმოცემული თქმებით, ანდა ზებით, ზღაპრებითა თუ თქმულებებით ამდიდრებდნენ და უფრო დახვეწილსა და გალამაზებულს, ასევე საკუთარ ხალხს, თავისივე ერს უბრუნებდნენ: ასე შეიქმნა „განდეგილი“, „გამზრდელი“, „ბაში-აშუკი“, „გველის მჭამელი“, „ბახტრიონი“ და ვინ მოსთელის, რამდენი რამ.

ამჯერად ხალხური შემოქმედების რედაქციამ ქართული ფოლკლორის მოამაგეთაგან აკაკი წერეთელი წარმოგვიდგინა, ყველამ კარგად იცის, თუ რა დიდი და განუზომელია აკაკი წერეთლის ღვაწლი ქართული ფოლკლორის შესწავლის საქმეში. ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „არავის ისე კარგად არ ესმოდა ჩვენში სახალხო სიტყვიერების მნიშვნელობა, როგორც აკაკის... ჩვენს სასიქადულო მგოსანს ხშირად უთქვამს „ქართველი არ გაპქრება, თუ მისი სახალხო პოეზია არ დაიკარგაო“ ...

გადაცემაში ხაზგასმით გამოიკვეთა აკაკი წერეთლის მოღვაწეობის სწორედ ეს მხარე და ამითაც იყო მისაღები და საყურადღებო ტელემაყურებელთათვის.

უსმენთ მსახიობების მიერ წაკითხულ მშვენიერ ხალხურ ლექსებს და რწმუნდებით, მართლაც, რა საშვილიშვილო საქმის მოთავე ყოფილა ჩვენი მგოსანი.

**„ხომალდში ჩაგჯექ, ზღვას გაველ,
ფრანგის ქვეყანა ვნახეო,
სულ დავიარე ხმელეთი,
ვერ ვნახე შენი სახეო,
ანთებულ სანთელს გამსგავსე,
დილით ცისკარზე გნახეო“...**

ასეთი მარგალიტების ერთად თავმოყრასა და აკინძვას მართლა შესაშური ენერგია და დრო უნდა დასჭირებოდა, არადა, მის მიერ დაარსებულ „ერებულის“ ფურცლებზე რამდენი ამგვარი ხალხური პოეზიის ნიმუში გამომზეურდა. მგოსანი ზეპირსიტყვიერებას თვლიდა და უშრეტელ წყაროდ ხალხის წარსულის შესასწავლად. მან ხალხური შემოქმედების ბრწყინვალე დახასიათება მოგვცა: „ხალხური პოეზია უტყუარი სარკეა გარდასულ ცხოვრებისა და ისტორიის მტკიცე საძირკველი. ამიტომაც ცნობილია დღეს ყოველ განათლებულ ერისაგან ერთი უპირველესი საჭიროებად. ჩვენი ქართული „ზეპირგადმოცემები“ მით უფრო შესანიშნავი არიან სხვებისაზე, რომ კერძო მნიშვნელობის გარდა მსოფლიო ხასიათი აქვთ. საქართველო იყო გზა და ხიდად იმ დიდი მოძრაობის დროს, როდესაც სხვადასხვა ერი აზიიდან ევროპაში გადადიოდა. მაშასადამე, ჩვენი ქვეყანა უძველეს დროიდანვე ბევრის მომსწრეა, მნახელი და მონმე“...

გადაცემაში გამოყენებული დიდი მოძღვრის ეს სიტყვები შემთხვევითი არ არის. იგი დღევანდელი თვალსაზრისითაც საინტერესოა და გულში ჩასაყოლებელი.

გახსენების ამ დღეებში ამიტომაც მოგვიხმეს ტელეეკრანებთან გადაცემის შემქმნელებმა. ამიტომაც კიდევ ერთხელ უნდა მოგვეგონებინა ამ ანდერძის მთქმელი, კიდევ ერთხელ უნდა შევხედროდით მის აკვანსა და ჭალარას.

(გადაცემის შემქმნელები არიან: ავტორი და რეჟისორი ირინე ტალიაშვილი, რეჟისორი დიმიტრი მანჯგალაძე, რედაქტორი ვანო ბერიძიაშვილი).

საქართველოს ტელევიზიის ხალხური შემოქმედების რედაქცია მართლაც რომ საშვილიშვილო საქმეს შესჭიდებია და თავისი წვლილით ხელს უწყობს ჩვენი ერის კულტურის საგანძურის პოპულარიზაციას“.

რამ განაპირობა ჩვენს გადაცემებში ახალი ციკლის „ხალხური ფოლკლორის ამავდარის“ შემოტანა? რედაქცია თავის უკვე განვლილ გადაცემებს ყოველთვის უკეთებდა ანალიზს. ფოლკლორულ საღამო-

ებს ფილარმონიიდან, პერიოდულად ვუნაცვლებდით მოძრავი სატელევიზიო სადგურით მომზადებულ რეპორტაჟებს რაიონებიდან, სოფლებიდან. ასეთი მიდგომით, ფორმის ძიებით, ვმუხტავდით ტელემყურებლებს, რათა მათთვის ერთფეროვნების შთაბეჭდილება არ შეგვექმნა, მათი ინტერესი ჩვენი გადაცემებისადმი არ შენელებულიყო. ამასთან, ყველა მთქმელი თუ ავტორ-მთქმელი საკუთარი მეტყველებით ყოველთვის როდი იდგა სათანადო სიმაღლეზე. საჭიროდ ვცანით ეკრანზე გამოგვეტანა სხვადასხვა უწყებებში თუ უკვე ნიგნებში დაუნჯებული უძვირფასესი საგანძური. ასე დავამყარეთ მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობები საქ. მეცნიერებათა აკადემიის, ლიტერატურის ინსტიტუტის ხალხური პოეზიის და ფოლკლორის განყოფილებებთან. ბ-ნ მიხეილ ჩიქოვანის შემდეგ მისი ხელმძღვანელი ბ-ნი ჯონდო ბარდაველიძე ეს შესანიშნავი მეცნიერი და ტკბილმოუბარი პიროვნება თვეში ერთხელ გვიმზადებდა და თავადვე მიჰყავდა ეკრანზე საუბარი. გადაცემის მომზადებაში ცხადია, მას მხარში ვედექით, განსაკუთრებით რეჟისურა. შერჩეულ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს კითხულობდნენ, სახელოვანი მსახიობები, სიტყვის ოსტატები ზ.კვეენჩხილაძე, ო.მელვინეთუხუცესი, გ.სალარაძე, ი.ურანეიშვილი, ტ.საყვარელიძე, ი.ტრიპოლსკი, თ.ნათაძე და სხვები. რედაქციის ასეთმა მიდგომამ კიდევ უფრო კეთილ სასამენი, აკადემიური და სრულყოფილი გახადა ფოლკლორული გადაცემები.

„საქართველოს ტელერადიო კომიტეტის ხელმძღვანელობა პერიოდულად მიმართავდა რესპუბლიკის მეცნიერებს, მწერლებს, მუსიკოსებს, თხოვნით, გამოეთქვათ ჩვენი გადაცემების შესახებ აზრი, მომავლის სურვილები.

აი, რას სწერდა დიდი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია კომიტეტის ხელმძღვანელობას (აღნიშნული წერილი შესულია მწერლის ავტომეულის IX ტომში).

„კმაყოფილი ვარ თქვენი ლიტერატურულ-მხატვრული, მუსიკალური გადაცემებით. ოლონდ სასურველი იქნებოდა უფრო მეტად გაგეზმიერებინათ გადაცემები მსოფლიო ლიტერატურის ყველა ქვეყნების კლასიკოსებზე რუბრიკით – „კლასიკოსები“. ხალხში უნდა დავწერგოთ ყოველმხრივი ცოდნა მათ შესახებ. იგივე ითქმის მუსიკის, მხატვრობისა და ხელოვნების ყველა დარგის კორიფეებზე. სასურველია მოენყოს აგრეთვე საუბრები ფილოსოფიაზე...

...„სასურველია აგრეთვე ვრცელი გადაცემები, საუბრები საქართველოს ისტორიაზე, რუბრიკით „ქართლის ცხოვრება“...

რაც შეეხება მუსიკალურ გადაცემებს, ჩემის აზრით, ესტრადა კარგია, მაგრამ მეტი ყურადღება სჭირდება ხალხურ სიმღერებს. ცნობილია, არც ერთ ერს არ გააჩნია ესოდენ მდიდარი მუსიკალური ფოლ-

კლორი. სამწუხაროა, რომ ხალხური სიმღერების გადაცემისას არ ფიგურირებენ სასულიერო საგალობლები. მაგალითად, უკანასკნელ ხანებში არტემ ერქომაიშვილმა ჩასწერა უამრავი გურული საგალობლები, რომელთაც ძნელად შეედრება რაიმე მსოფლიო ვოკალურ მუსიკაში. რატომ არ უნდა ფიგურირებდნენ ისინი ხშირად თქვენს გადაცემებში. იქნებ ვინმემ მიბრძანოს, ეს საეკლესიო მუსიკა და რელიგიურ ექსტაზს გამოიწვევსო. მაშ თუ ასეა, ნულარ მოვისმენთ ბახის პასიონებს, კანტატებს, მესებს, ქორალებს, მოცარტის რექვიემს, ბრამსის რექვიემს, ლისტის „ვია კრუცისს“ და ა.შ. დროა უკუვაგდოთ ეგ შეზღუდული თვალსაზრისი. გვახსოვდეს, რომ საგალობლები მუსიკალური ფოლკლორის განუყოფელი ნაწილია. ეს ხალხის შემოქმედებაა და არავის არ აქვს უფლება მათი მიჩქმალვისა! მე კატეგორიულად მოვითხოვ, დანესდეს გადაცემები ქართული საგალობლებისა, რუბრიკით: „შენ ხარ ვენახი“, ცხადია, მუსიკისმცოდნეთა კომენტარებით“...

და ბოლოს, დიდი მწერალი და მამულიშვილი დასძენს: „საქართველოს რადიოს და ტელევიზიის გადაცემებში უნდა ბატონობდეს ქართული ენა. სამწუხაროა, რომ ისედაც თავისი ბუნებით ინტერნაციონალურ-კოსმოპოლიტურ საქართველოს ტელევიზიის პროგრამებში უფრო მეტია ე.წ. „სანახაობითი“, „გასართობი“ კლასი გადაცემები, ვიდრე ეროვნული სულით გაჯერებული „რაც მტრობას დაუნგრევია“, „ძმარ ძმითა ხარ ძლიერი“ და ა.შ.

ჩვენ მრავალგზის ვახსენეთ გადაცემები ცენტრალურ ტელევიზიაზე. რედაქცია სხვადასხვა ხერხით (სატრანსლაციო რეპორტაჟი, სტუდიური და ა.შ.) ნელინადში 30-ზე მეტ გადაცემას ვამზადებდით თუ პირველ წლებში მოსკოვში ჩაგვექონდა მზა მასალა, შემდგომ და შემდგომ უკვე ადგილიდან ვანვდიდით გადაცემებს.


ყოველი გადაცემის შემდეგ, როგოც წესი, მოსკოვიდან მოგვდიოდა რეცენზიები. არ მახსოვს, შემთხვევა ჩვენს გადაცემებს ქებათა ქება არ დავმსახურებინოს. უფრო მეტიც. ბევრ ჩვენს გადაცემას იმეორებდნენ და მასზე აღფრთოვანებული რეცენზიები, სტატიები ქვეყნდებოდა რუსულ პრესაშიც. (ასე მაგ: „ქართველი ხელოვნების ოსტატების კონცერტი“, „სცენები ოპერებიდან“, „მღერის პაატა ბურჭულაძე“ და სხვ.).

ერთხელ რედაქციაში გვეწვია სკკპცეკას წარმომადგენელი მოსკოვიდან ვლ. მიხაილოვი. უყურებდა გადაცემებს, აკვირდებოდა ჩვენს საქმიან ატმოსფეროს, ესწრებოდა რეპეტიციებს, დაესწრო „სიმღერის გაკვეთილის“ წინასწარ ჩანერას და ა.შ. ჩვენთან გამომშვიდობებისას ცრემლებს ვერ მალავდა. მან მითხრა: „ბევრგან მაგ ზაენის ცეკა. მთელ რიგ რესპუბლიკებს ეწვევივარ. არსად თქვენი მრავალფეროვანი მუშაობის მსგავსი არაფერი მინახია. სხვა ყველაფერთან ერ-

თად, მომხიბლა თქვენმა ძალისხმევამ ხალხური სიმღერის შესწავლის გაკვეთილების ჩატარებამ. არსად მსგავსი არაფერი მინახავსო“.

ხალხური სიმღერის გაკვეთილებს ცისფერი ეკრანიდან ასევე მაღალი შეფასება მისცეს და გაკვირვება ვერ დაფარეს სატელევიზიო ფილმების ფესტივალში მონაწილე უცხოელებმაც. „ბევრი რამ უნდა ვისწავლოო საქართველოს ტელევიზიის მუშაობიდან: პირველ რიგში კი ის თუ როგორ უნდა პატრონობა მშობლიურ ხალხურ ხელოვნებას“. განაცხადა პოლონეთის ტელევიზიის წარმომადგენელმა.

ბევრის თქმა, მაგალითის, გამოსმაურების მოტანა შეიძლება, მაგრამ, ამჯერად ამით დაკმაყოფილდეთ.



1975 წ.
 1 დეკემბერი
 ნ.გაფრინდაშვილის
 კორონაცია
 თბ.ჭადრაკის
 სასახლეში. მე-5-ე
 მსოფლიო ჩემპიონა-
 ნად კურთხევა.
 პ.ფულიაშვილის
 სახ.ომ-ის სოლისტი
 ანზორ ფიოლია და
 ცენტრში ს.ლაფაუ-
 რი



1976 წ. 28-ივნისი „ესპანური მოტივები“ – ჩანერის ბოლო დღე. ავტორები რეჟისორი ლ.შაკიაშვილი, რედაქტ. ი.რობიტაშვილი, ასისტენტი თ.გუტკოვი, ბალეტმ.რესპ.სახ. არტისტი ზ.კიაკელიშვილი, ოპერატორები: ზ.დობოროჯგინიძე, დ.ოგანიანი, ჯ.გრიგორაშვილი, მხატვრები: თ.გოცაძე და ყ.თაყაძე, ხმის რეჟ. გივი პარკაძე. მთ.როლებში: კარმენი – ელენე ნიკოლაძე (კალასი), ხოზე: გნულუკიძე (გუდა და პერატილე) ესკამილო – ნებიერიძე ანზ. (ფიშერ-დისკაუ), დონკუანი: ზურაბ ცინცილაძე, – და სხვ...



1976 წ.
 1 აგვისტო
 გალის
 რაიონის სოფ.
 ოტობაიას
 გუნდი –
 აკაკი
 ხარებაეას
 ხელმძღვანე-
 ლობით
 სტუდიაში




1976 წ. 14 თებერვალი - ხობის სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობის „კოლხიდის“ ანსამბლი. მთ. აგრონომი ვახტანგ სერგია, ლოტბარი ვახტანგ მიმინოშვილი, ს. ლაფაური და ა. შ. კოლექტივი პირველად გამოდის საზოგადოების წინაშე.



1977 წ. 13 ოქტომბერი, სსრკ სახ. არტ. ანდრ. ბალანჩივაძე მუსიკალური გადაცემების მთ. რედაქციაში ცენტრალურ ტელევიზიაზე მისი გადაცემის ვიდეო ჩანერის წინ.



ჩანერა ვიდუოფორზე 1979 წ. 21 აპრილი. გადაცემა ციკლიდან - „ხალხური სიმღერის უკვდავება“ გადაიცა 8 მაისს. (მარცხნიდან) პოეტ.აკადემიკ. ირაკლი აბაშიძე, ხელმძღვ. ანზორ ერქომაიშვილი და რამინ მიქაბერიძე, ს.ლაფაური, რეჟ.ასისტ. მანანა კუპრაშვილი



1980 წ. სტუდიაში დიქტ. ომარ ტივაძე და რედ. ბადრი ჩადუნელი

1981 წ. 13 მარტი,
თბილისი, თავი-
სუფლების
მოედანი. „ქურთუ-
ლი დღეების“
გახსნა. საქალაქო
საბჭოს აღმასკომის
თავ-რის მოადგილე
ნინო ჟვანია და
ს.ლაფაური



რედაქტორი ბადრი
ჩადუნელი
გარდაიცვალა 1983 წ. 4
მაისს. (მარჯვნივ)
რეჟისორი იგორ
არაყიშვილი გარდა-
იცვალა 1980 წ. 21-III-ს

1983 წ. 29 მარტი,
თბილისის 1 მაისის
კულტურის სახლი,
ვიდეო კონცერტის
ჩანერა. სცენაზეა
ზუგდიდელი ბიჭუნე-
ბის გუნდი.






1983 წ. გალი,
მზადება „გალის რაიონის „ფოლკლორული სადამოსთვის“ სოფ. ოქუშის
ანსამბლის მონაწილეებთან



„დიდგორობა“
ს. ლაფაური,
ქ.ჭილაძე, ვაჭრ.
მინისტრი მერაბ
ქაჯაია და სხვ.
1983 წ.
დიდგორი 1983 წ.

ნარნერა სურათზე „სახსოვრად ბატონ
სოლომონს ლერი შენგელიასგან
გადაღებულია 1983 წ.“ გალში
ეს კაცი.... მოსკოვის ოლიმპიადაზე
ჩაეიდა ფეხით 1983 წ. გალი.



სცენარისა და სანახაობის დადგმის ავტორი
ს.ლაფაური,
ბოლნისი. სოფელი ტანძია სახ. დღესასწაული „საბაობა“. ამ დღეს გაიხსნა
მუზეუმი. 1984 წლის 6-ივნისი.



ზესტაფონი, 1984 წ.
სახალხო დღესასწაულ
„სულიკოს“ ფესტივალ-
ში მონაწილეთა
დაჯილდოება

1984 წ. 6 ივნისი
ბოლნისის რაიონის სოფ.
ტანძია, სახალხო
ღღესასწაული „საბაობა“
(ჩემი დადგმითა და
სცენარით). ამ დღეს
გაიხსნა საბას მუზეუმი.



1984 წ. ზესტაფონი, სოფ. „ცხრანყაროს“ სულიკოს ფესტივალში
გამარჯვებული თელავის ანსამბლი



სტუდია 1984 წ. 2 მაისი. ტრიფონ ხუხუას ოჯახი, შუაში პოეტი და ჟურნალ „საქართველოს ბუნების“ რედაქტორი ევგენი ბართაია.



1985 წ. ტელევიზიის სხდომათა დარბაზში



1985 წ. 16-V. რადიოში უდაბნოელი პატარების გუნდის პირველი ჩანაწერები: „შენ ხარ ვენახი“ და „ცანგალა და გოგონა“. გუნდის ხელ-ლი ს.ლაფაური. გადაიკა რადიოს საბავ. რედაქციით „პიონერთა დაფიონში“ და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთათვის. ამასთან „გარეჯობის“ (ახ.დღეასანაულის მე-10 ნლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმი გახსნეს უდაბნოელი სკოლის ბავშვთა გუნდმა. ვიდეოჩანაწერი გადაიკა ტელევიზიით, სპეც. გადაცემა მოამზადა ცენტრ. ტელევიზიისათვის სენკევიჩის ჯგუფმა და ეთერში გადასცეს სამჯერ.




„მუს. შეხვედრები ტყიბულელ მემახტეებთან“ 1986 წ. 26.X. საქ. ტელერადიოს სიმფ.ორკესტრის მსახიობები, უკან: საქ. დამსახ. არტ. ვაჟა კუბლაშვილი, რესპ.სახ.არტ. დირიჟორი გივი აზმაიფარაშვილი და ს.ლაფაური



1986. 24 ივნისი, სსრკ
სახ.არტ. ანდრია ბალანჩივაძის დაბ. 80 წლის იუბილის მეორე დღე ფუნიკულიორზე



მცხეთა 1986 წ. ივნისი. გერმანულ მეგობრებთან: ბერლინის ტელევიზიის სანახაობითი-გასართობი პროგრამების მთავარი რედაქტორი ჰეინერ სტრეტცელი მეუღლით და ჩემი ოჯახი (მარცხნიდან ს.ლაფაური შვილიშვილ ნინოთი), მარჯვნიდან გერმანისტი - მაია ბადრიძე, მედეა ქელბაქიანი და მარიკა ლაფაური.



1986. ნინანდალი
მარცხნიდან მარჯვნივ: თელავის რაილმასკომის კულტურის განყოფილების გამგე ანზორ ქემაშვილი, ტელევიზიის დიქტორი ო. ტივაძე, საქ. კ. პ. თელავის რაიკომის მდივანი უ. ყარაულაშვილი, ბარბარა ბრინსკა, ტელევიზიის რეჟ. თ. ელიავა, ტელე-რედაქტორი ბ. ჩაღუნელი, ჩეხი მომღერალი ს. კირსტენი



1987 წ. საახალწლო გადაცემების განხილვაზე. მარჯვნიდან: რეფ. მ. ჯალიაშვილი, კომპოზ. ვ. აზარაშვილი, ს. ლაფაური



“ღერები”
1990 წ. 9.IV-ს სტუდია N1, ებრაული სიმღერების შემსრულებელი კაპელა
„ღერები“-ს წევრებთან



ტელემუსიკალური რედაქცია 1989 წ. 13.11
ს.ლაფაური



სტუმრად ტელეჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან. 2003 წ.

დასასრული

დაბრუნება მუსიკალურ პროგრამებში


ჩემი ტელევიზიაში მოღვაწეობის ბოლო ხუთი წელი (პენსიაში გავედი 1991 წ. 11 მაისს, ქვეყანაში არეულობის უამს) კვლავ მუსიკალური გადაცემების მთავარ რედაქციაში მომიხდა დაბრუნება (არა ჩემი სურვილით).

ერთხელ კაბინეტში მიმიხმო ნ.ფოფხაძემ და მითხრა: „ხომ ვიცი შენი ნათქვამის უკან წალება რარიგად ძნელია. მე იძულებული ვარ ეს გავაკეთო. შენ, ძმაო რკინის თავი და ნერვები გქონია, როგორ უძლებბოდი და ამუშავებდი მუსიკალური პროგრამების მთავარ რედაქციას? რაც ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქცია შექმენი, შენი შემცვლელი აქ ვერავინ მოვიყვანე და ისევ შენ უნდა დაგაბრუნოვო.“

საშინლად მენყინა, ჯერ ერთი, რედაქციაში ნიჭიერი ხალხი იღწვოდა, მეორეც, არავითარ შემთხვევაში უკან არ მინდოდა დაებრუნებულისავე. „მირჩევნია სულ წავიდე აქედან მეთქი“. „ვერსადაც ვერ წახვალ, შენ უპატრონო ხომ არ გგონია კომიტეტი? შენი ადგილი ტელევიზიაა და აქ უნდა იღვანო“. თქვა და ტელეფონს მიუტრიალდა.

ერთხანს ვიდექი... გამოეტრიალდი და ჩემი გაჭირვების (ათასჯერ ვიმეორებ, არა მართო ჩემი) გულშემატივარს ქ-ნ ივლიტა მესხიშვილს მივაკითხე. ეტყობა მან უკვე იცოდა თავმჯდომარის გადანყვეტილება. კარებშივე შემომაშველა მისთვის ჩვეული ღიმილი და მთხოვა ახლოს დაჯდომა. „რაო, დაგიბარა?“ – მკითხა თვალის მოუშორებლად. განცხადება დავუნერე განთავისუფლების შესახებ. არც წაუკითხია, დახია.

სწორედ მოქცეულა. ამდენი წლები აქ ერთად გავატარეთ, სად უნდა წახვიდე? ეგ რედაქციაც შენი შექმნილი არ არის? უცხო კოლექტივში ხომ არ მიდიხარ?! შენ შესძლებ კვლავ აამოძრაო რედაქცია, რომლებიც გულგატეხილები არიანო“ – დასძინა. გამოვემშვიდობე ქ-ნ ივლიტას და სახლში წავედი. მეუღლეს მუს. მცოდნე მედია ქელბაქიანს ისე გაუხარდა მუსიკალურ პროგრამებში ჩემი დაბრუნების ამბავი, მაღლობით მოიხსენია თავმჯდომარე.



ლამეარ მიძინია. ათასი ფიქრი ამეკვიციატა. არაერთხელ დავფიქრებულვარ ჩემს განვლილ გაზაზე. კი, ვერ ვეგუებოდი სამსახურებრივ გულგრილობას, საქმისადმი ღალატს. მიყვარდა, როცა დღეს გასაქმებული დღეს კეთდებოდა. ვერ ვეგუებოდი ტყუილის თქმას. თემატიკის განაწილების დროს, მზია რამიშვილთან ერთად, ვცდილობდი ჯგუფები დაკომპლექტებულიყო გადაცემის სირთულისა და მათი შესაძლებლობის მიხედვით. სარედაქციო თათბირზე ყველას ერთნაირი უფლება ჰქონდა თავისუფლად გამოეთქვათ თავიანთი აზრი. ასე მყარდებოდა რედაქციაში ჯანსაღი კლიმატი.

ხშირად გვექმნებოდა წინააღმდეგობები გადაცემების მომზადებაში. მკაცრად იყო განსაზღვრული გადაცემის მომზადების თუ ჩანერის დრო. ამ დროის მიხედვით იყო აკინძული სტუდია სააპარატო, ვიდუო საამქრო, სამონტაჟო, ტელეოპერატორების, ხმის რეჟისორების დაგეგმვა და ა.შ. ამდენი რგოლის ერთად აკინძვა, ურთულესი პროცესია. რედაქციის განყოფილებები, შემოქმედებითი ჯგუფები უმეტესწილად კარგად ართმევდნენ თავს ამ რთულ პროცესებს... მაგრამ... ზემოთ ფიქრების აკვიცება ვახსენე. ფიქრიან გონებაში კალეიდოსკოპივით მიმორბიან სიყრმის წლები. სინდისით, პატიოსნებით განვლილი წლები. მამა მეორე მსოფლიო ომში, სევასტოპოლის მიმართულებით, ზღვაში დაიკარგა. 11 წლის ბიჭს საკუთარი თავის აღზრდა დამაპკისრა ღებრთმა, 15 წლისა ვმლროდი თელავის სახ. ეთნოგრაფიულ გუნდში. ფ. მახათელავშილის ხელმძღვანელობით. სწავლის პარალელურად მიმუშავია თელავის სახ. თეატრში, დროებით მსახიობად (რესპუბლიკური თეატრების II ტურის დათვალეურების გამო, იდგმებოდა „ხევისბერი გოჩა“ და „ღრმა ფესვები“), მისწავლია ინსტიტუტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, ოთხ წელიწადში წარჩინებით დავამთავრე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ნიჭიერთა სკოლა-ინტერნატი, ნითელი დიპლომით გამოვედი ვ. სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორიიდან. აქტიური ვიყავი ახალგაზრდულ ორგანიზაციებში, მუსიკას, სიმღერას ვასწავლიდი თბილისის ზოგად საშუალო სკოლებში, ზოოვეტ-ინსტიტუტში, საავადმყოფოებში. ვთანამშრომლობდი ჟურნალ-გაზეთებში. ის იყო მუშაობა უნდა დამეწყო საქ. მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ ფოლკლორის განყოფილებაში, რომელსაც აკადემიკოსი ბ. ნ. გ. ჩიტაია ხელმძღვანელობდა და სახტელერადიოს კომიტეტში ბ. ნ. ანტ. კელენჯერიძის, მისი მოადგილის ბ. ნ. პეტრე შამათავას ინიციატივით, დავიწყე მუშაობა მუსიკალურ რედაქციაში პ/მგ. რედაქტორად და აი, დღეს გზაჯვარედინზე ვდგევარ. კომიტეტში 7-თავმჯდომარე გამოვიცვალე, ყველასთან ნორმალური, ადამიანური ურთიერთობა მქონდა და ვერცერთი მათგანი ვერ იტყოდა, ს. ლაფაური, „იმისტი“ ან „ამისტიანო“. ვიცოდი, ჩემი საქმე და უშურველად მივუძღვენი მთელი ცხოვ-

რების საუკეთესო წლები საქ. ტელევიზიის ავტორიტეტის ზრდას, მის უმნიშვნელო სახელს. რადგან მნამდა, ტელეეკრანიდან სხვის ოჯახებში „შეჭვრიტინების“, ხალხის დამოძღვრების უფლება სუფთა გულ-ხელიან და მამულზე შეყვარებულ ადამიანებს უნდა ჰქონოდათ მხოლოდ.

აი, ამ ფუქრების ორომტრიალში მივედი კომიტეტში. დილა იყო. როდის მოასწრო ბრძანების დაბეჭდვა კადრების უფროსმა ვერ გეტყვი. იგი სათათბირო დარბაზთან შემხვდა და ბრძანებაზე ხელის მონერა მთხოვა – მუსიკალურ პროგრამებში ჩემი მთ.რედაქტორად დაბრუნების შესახებ.

რა გაენწყობდა! დილის თათბირის შემდეგ, მე-4 სართულის აღმოსავლეთით მდებარე მუსიკალურ რედაქციაში შევალე კარები. მთელი რედაქცია ადგილზე დამხვდა: „რა გეგონა, გაგვექცეოდი?“ მითხრა ჩვეული ხუმრობით ჩემმა ძველმა მეგობარმა და თანამოკალმემ მზია რამიშვილმა. იგი უკვე მთ.რედ. მოადგილე იყო. მილოცავდნენ სხვა ჩემი თანამშრომლებიც. „შენებურად მოგვიჭირე ხელი“ – სიყვარულით მითხრა რეჟისორმა, ძველმა მეგობარმა დალი კახიანმა. პატარა შეხვედრის, მოფერების შემდეგ შევედი ჩემს ძველ კაბინეტში. ყველაფერი ისევ ისე იყო, როგორც დაეტოვე.

კომიტეტის ახალ თავმჯდომარედ ყოფილი პირველი მოადგილე არმაზ სანებლიძე დანინაურდა. წყნარ, შემოქმედებით მუშაობაში მიდიოდა ჩვენი საქმენი, მეგობრული ურთიერთობა, უხმაუროდ კეთებოდა დიდი საქმეები.

ახლებურად ამოძრავდნენ რედაქციები. მათ არც მუსიკალური პროგრამების რედაქცია ჩამორჩენია. პ.შ.გ. მდივნად ყოფილი რეჟისორის ასისტენტი მედეა გაბისონია დამხვდა. იცოდა თავისი საქმე. იგი ფაქტიურად რედაქციაში აღიზარდა და ერკვეოდა ყველაფერში.

რედაქციაში ასევე დამხვდნენ ახალბედა რედაქტორი ნანა ბულეიშვილი და პოპულარული ესტრადის მომღერალი, კომპოზიტორი ირმა სოხაძე. მას მინდობილი ჰქონდა მასობრივი ე.წ. „გალა“ კონცერტების გაძლოლა. ირმა ბევრ კარგ საქმეს აკეთებდა რედაქციის გარეთაც. დიდ დროს ახმარდა ვერეს ხევში ნოდარ დუმბაძის მიერ დაარსებულ „მზიურ“ – ქალაქში, ანუ საბავშვო პარკში, საბავშვო მუსიკალური თეატრის დაარსებას, მის გაძლოლას.

მინდა აღვნიშნო აგრეთვე რეჟისორ დალი გურგენიძის, როგორც სწორედ მუსიკალურ რეჟისორად მუშაობა. ქ-ნი დალი პროფესიონალი მუსიკოსი – თეორეტიკოსი იყო. ტელერეჟისორობამდე იგი კომიტეტის მუსიკალური გამფორმებლების ჯგუფში მოღვაწეობდა. მზია რამიშვილთან ერთად შემოქმედებითი თანამშრომლობით არა ერთი დასამახსოვრებელი გადაცემა შეიქმნა, რომელიც გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით. აქვე მასობრივი გადაცემების განყოფილებას უძღვე-

ბოდა ტელევიზიის ერთ-ერთი პიონერი ნანა გურგენიძე, საესტრადო საკონცერტო განყოფილებას კელავ გალინა ანჯაფარიძე და სხვ.

მუსიკალური პროგრამების მთ.რეჟისორად დამხვდა ჩემი დიდი ხნის მეგობარი ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან მერაბ ჯალიაშვილი. ბ-ნი მერაბი ხომ საქ. ტელევიზიის ერთ-ერთი პირველი პიონერი იყო. მასთან ერთად მომინია პირველი სატელევიზიო კინო-კონცერტების გადაღება. მერაბის ეკუთვნოდა ასევე პირველი სატელევიზიო ერთნაწილიანი ფილმი „დედის ხელი“. ამდენად, მთავარ რედაქციას თავისი წონა, ავტორიტეტი ჰქონდა კომიტეტშიც და საზოგადოებამიც.

დასასრულს, როცა თვალს ვავლებ საქართველოს ტელევიზიაში ჩემი მოღვაწეობის განვლილ სამ ათეულ წელზე მეტს, გულში სიამაყეს ვგრძნობ. „ცისფერი ეკრანის“ უხილავი ბილიკებით ჩემს კოლეგებთან ერთად მთელი საქართველო შემოვიარე, ყველა ოჯახის ეკრანული სტუმარი ვყოფილვარ და დიდსა და პატარისათვის მიმიმართავს: – გამარჯობათ პატივცემულო ტელემყურებლებო! ეხლა კი მინდა დიდი კრძალვით მოგმართოთ: – „ნახვამდის, ჩემო ძვირფასო მკითხველებო!“

სარჩევნი

რედაქტორისაგან -----	3
წინათქმა -----	7
საქართველოს ტელევიზია და მუსიკალური გადაცემები -----	9
პირველი სატელევიზიო ოპერა -----	15
საოპერო სცენები, გადაცემები -----	25
შემოქმედებითი საღამოები -----	31
მუსიკალური დადგმები, შეხვედრები -----	34
მუსიკალური შეხვედრები -----	36
მუსიკალური ტრანსლაციები -----	42
ტელეტრანსლაციები ქუთაისიდან -----	52
აფხაზეთი ტელეეკრანზე -----	67
მზიური აჭარა და ტელევიზიის მუსიკალური რედაქცია -----	79
გადაცემები – “შეგობრობის წრთებზე” -----	88
სტუმრები ამერიკიდან, მიუნხენიდან... -----	90
კომიტეტის მხატვრული კოლექტივები -----	107
საზღვარგარეთის ესტრადა ჩვენს ეკრანზე -----	111
ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქცია -----	126
ქართული ხალხური სიმღერების დაცვისა და მათი შემდგომი პოპულარიზაციის ღონისძიებები -----	127
“დავიცვათ ხალხური მუსიკის საუნჯე” -----	136
“ხალხური სიმღერის უკვდავება” -----	139
“მღერის ეთნოგრაფიული გუნდი” -----	147
კინოფონდი და ფილმოთეკა -----	155
“გარეჯობა ” -----	180
“თბილისობა” -----	166
“ჭალის წისქვილი” -----	168
ჩვენი ქალაქის თვითშემოქმედება და სხვა... -----	170
“ძველი თბილისის მელოდები” -----	175
კარგი ბიჭი პროფესია არ არის... -----	177
ახალსახლობა -----	179
“საბაობა” სოფელ ტანშიაში -----	185

“სულიკოს” სახალხო დღესასწაული	
ზეესტაფონის სოფელ ცხრაწყაროში -----	187
“შაირ-სიტყვითა მესტვირემ” (მესტვირული პოეზიის საღამო) -----	190
სტუმარ-მასპინძლობა -----	193
გადაცემა “სულით ძლიერი” და “ქართლის სურათები” -----	197
პირველი ექსპედიცია მესხეთ-ჯავახეთში -----	201
ხარი ინდუშა -----	203
მარიამ ზედგენიძე -----	207
საბა პაპა -----	209
გაზეთები, რეცენზიები, წერილები, სურვილები... -----	212
დაბრუნება მუსიკალურ პროგრამებში -----	235

რედაქტორი ნ. ზოფერია
 მხატვარი გ. ლაფაური
 დიზაინი ნ. არჩემაშვილი
 კორექტორი მ. გიორგაძე